


Իջյւնտան սրհս լժիղհտոմ!



Քսէնիո զսճնոսս. 1. 1990



ზენაით მბრძოლისა მარად შემწისა ჩუენისა, შენ მიერ ჰხსნილნი მონებისაგან ბნელისა ფარაოისა, ყუავილსა შესხმათსა შევთხავთ შენდამი ქალწულებისა ყუავილო ნინო! ქრისტეს მხედრობად აღწერილნი მონანი ზენასა მეუფისანი, არამედ ვითარცა მარად თანა მბრძოლად გაქუს მადლი მისა ძალი, მარად მძლე ექმენ მტერთა ჩუენთა მებრძოლთა და გვიხსნენ ვნებისაგან საცთურსა, რათა ანგელოზებრსა გალობასა დავთხზვიდეთ შენდა. გიხაროდენ, სული-სა მიერ საღმრთოსა განწმენდილო საღვთოო სძალო.

სიტყუისა ღვთისა მსახურთა თანა მოსაგრეო და ანდრიას ქადაგები-სა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებლო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათუის.

წმიდა ნინო
ოშკის ტაძარი



მკვლევან არს ღმერთი

78 -

ჯვარი ვაჭისა

1
1990

დაიბეჭდა
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის,
უწმინდესისა და უნეტარესის,
ილია მეორის ბატონობის
ღვთაშობისა და ღმრთობის ხსენებით

თბილისი
1990





წილკნის ღვთისმშობლის ხატი (IX ს.)

ყოველთა დაბადებულთა შემოქმედი ღმერთი მამისა თანა მჭლომარეჲ, შენ, ღმრთისმშობელო, რომელმან ჳორცითა შევ, რომელი მწყემსთა ანგელოზთა მიერ ზეთლემს ღმერთი გამოუბრწყინდა და ვარსკვლავისა მიერ მოგუთა ეუწყა და თაყუანის სცეს. ჩუენცა, უღირსნი ესუ ღმრთისმშობელო, შენგან შობილსა ქრისტესა თაყუანის-ვსცემთ და გადიღებთ შენ, კურთხეულო დედათა შორის.

ქილ-ეგრატის იადგარი

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ო ლ ი ა II

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო ე პ ი ს ტ ო ლ ე

**"დადაღ-ყვეს უფლისა მიმართ
ჭირსა მათსა, და ურვათა
მათთაგან იხსნა იგინი. და
უძლოდა მათ გზასა წრფელსა"...
(ფს. 106, 6-7).**

ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო!
"მადლი თქუენდა და მშვიდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესო ქრისტესა" (რომ. 1, 7),
ამინ!

ყველას გილოცავთ კარს მომდგარ ახალ წელს.
დაე, მშვიდობიანი და კურთხეული იყოს იგი საქართველოსთვის, მთელი ქვეყნისთვის.
მარადიულობას, ისევე როგორც საწუთროს, ღმერთი განაგებს; ამიტომაც ჩვენი ლოცვა მას ეკუთვნის
მხოლოდ:

ყოვლადმოწყალეო უფალო, გვედრებით, რათა "აკურთხო გვირგვინი წელიწადისაჲ სიტკბოებითა შენითა და
ველნი შენნი აღავსენ სიპოხითა" (ფსალმუნი 64, 11).

დღეს ჩვენ სიხარულით სავსენი ბედნიერებას ვუსურვებთ ერთმანეთს.
მაგრამ სად არის ბედნიერება? არსებობს კი იგი ამქვეყნად ამდენ განსაცდელსა და მწუხარებას შორის?
ხშირად ბედნიერებას ჩვენს მიწიერ ყოფას ვუკავშირებთ, მაგრამ ამაოდ, რადგან იქ ვეძებთ მას, სადაც ის
არ არის.

მუდამ უბედურნი ვიქნებით, თუ ჩვენი ბედნიერება მარტო გარეგნულ მღვდმარეობაზე: კეთილმოწყობილ ბინაზე,
ოჯახის ან პირად კეთილდღეობაზე იქნება დამოკიდებული. ყოველივე ეს იმდენად სწრაფად ცვალებადი და
წარმავალია, რომ მათზე იმედის დამყარება საკუთარი თავის მოტყუებას ნიშნავს. არადა, რამდენნი არიან
ბედნიერების მოპოვების სურვილით მაღალ თანამდებობას, პატივს, დიდებას რომ ესწრაფვიან. ამისთვის ხარჯავენ
ფულს, იმცირებენ თავს, თხოულობენ, ცრუობენ, მთელს ენერგიას ალევენ მიზნის განხორციელებას, ხოლო როცა
საწადელს აისრულებენ, იგრძნობენ, რომ ამაოდ დაშვრნენ. მიზანს მიაღწიეს, ბედნიერება კი არსად ჩანს;
თანამდებობის მოპოვებასთან ერთად დიდი მწუხარება და განსაცდელი ხდება პიროვნების თანამდევნი.

მაშ, სადა ხარ ბედნიერებაჲ, სად გიპოვოთ შენ? "აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა არს"
(ლოკა 17, 21), — ზრძანებს მაცხოვარი.

დიახ, ბედნიერება ჩვენს სულშია, იგი ჩვენშია.
ჭეშმარიტად ბედნიერი არის ის, ვისაც ძალუქს თავის თავში დაიტოვოს ღვთის დიდება. ვინც ჰპოვა ღმერთი
და ცხოვრობს უფლის კანონებით. ასეთი ბედნიერება უღვევი და არამიწიერია, ღრმა, მარადიული და ნამდვილია.
ეს არის ბედნიერება არა მარტო კეთილ დღეთა, არამედ განსაცდელით სავსე ცხოვრებისაც, ეს არის ბედნიერება
არა მხოლოდ სიკოცხლისა, არამედ სიკვდილისა, ბედნიერება არა დროებითი, არამედ მარადიული.

თუ შენ ღმერთთან ხარ და ღმერთი შენშია, სულიერ სიმშვიდეს შეინარჩუნებ ავადმყოფობის დროს,

ახლობლის გარდაცვალებისას, სხვადასხვა განსაცდელის ჟამს.

ერთხელ ომის დროს, საშინელი დაზოშვის შემდეგ, ერთი მორწმუნე თავშესაფრიდან რომ გამოვიდა, დაინახა, რომ მისი სახლისაგან ნანგრევებია იყო დარჩენილი. ყველაფერი განადგურებულიყო, იდგა მხოლოდ როიალი. მან როიალი სხვების დახმარებით ნანგრევებიდან გამოიტანა, დადგა ქუჩაში, თვითონ მოუყდა და დაიწყო საგალობლის დაკვრა: "შე ყოველივე დავკარგე, უფალო, მაგრამ არ დამიკარგებარ შენ, ღიღება შენდა!"

ასეთია ძალა რწმენისა.

მორწმუნე ადამიანი სულ სხვანაირად აღიქვამს სამყაროს; მასში ხდება სულიერი სრული ფერისცვალება, იცვლება აზროვნება, იწმინდება გული...

რწმენით განათებულ ქრისტიან გულს ყველა უყვარს, ყველას ჰპატიობს, ყველას უთმობს, ყველაფერს ითმენს; ასეთი გული ადვილად ამჩნევს გაჭირვებულს და ეხმარება მას; მისთვის უცხოა სიცრუე, ავსტიცვაობა, ცრუმოწმება, ქურდობა, მკვლელობა... საერთოდ არაწესიერი ცხოვრება. თუ ნახა ვინმე ცოდვილი, კი არ განიკითხავს, მხარში ამოუდგება მას, რომ როგორმე ააყენოს დაცემული.

მისი ცხოვრება ქმნის ჯვარს: მისწრაფვის ღვთისადმი და მისწრაფვის ადამიანისაკენ. რწმენა და სიყვარული აერთებს ღმერთთან; სიყვარულივე აკავშირებს მოყვასთან და ხალხთან.

ქრისტიანად ყოფნა ნიშნავს განახლების გზით მუდმივ სვლას, მადლისა და ცოდნის განუხრელ ზრდას, ჩვენს სულში სრულყოფილების, ღვთის მსგავსების აღდგენას.

ქრისტესთვის არა აქვს მნიშვნელობა ელნი (ბერძენი) ხარ შენ თუ ოუდეველი, წინადაცვეთილი თუ წინადაუცვეთელი, ბარბაროსი თუ სკვითი, მონა თუ თავისუფალი პიროვნება, რადგან მის წინაშე ყველა თანასწორია (კოლასელთა 3, 11).¹

მაცხოვარმა დაარღვია ზღუდე ადამიანებს შორის და მოციქულის პირით ასე მოუწოდა თავის მიმდევართ: "შემომსთ უკუე ვითარცა რჩეულთა ღმრთისათა, წმიდათა და საყუარულთა, მოწყალებამ, შეწყნარებამ, სიტკბობამ, სიმდაბლემ, სიმშვიდემ, სულგრძელებამ; თავს იღუბლით ურთიერთას და მიჰმადლებლით თავთა თვისთა, უკუეთუ ვისმე აქუნდეს ვინმესთვის ზრალი. ვითარცა-იგი ქრისტემან მოგმადლა თქვენ, ვგრეცა თქვენ მიჰმადლით მათ. და ამას ყოველსა ზედა სიყუარული, რომელ-იგი არს სიმტკიცე სრულებისა" (კოლასელთა 3, 12-14).

შემთხვევითი არ არის, რომ კეთილ საქმეთა ჩამოთვლისას, მოციქულმა პავლემ პირველ ადგილზე მოწყალება დააყენა. სწორედ მოწყალება აკლდა ყველაზე მეტად ძველ მსოფლიოს. გავიდა 2000 წელი და თანამედროვე ადამიანსაც კვლავ მოწყალება აკლია ყველაზე მეტად. აქედან გამომდინარე, არ არის ჩვენში უმთავრესი სიკეთეც — სიყვარული. სიყვარულის ნაგებობა ისე მძაფრად არასოდეს უგრძნებია ადამიანს, როგორც დღეს. ეს შედეგია ურწმუნეობისა.

სოციალ-პოლიტიკური თეორეტიკოსები როცა ათიბმს ქადაგებდნენ, ვერ საზღვრავდნენ, რომ ამით პიროვნებაში ნერგავდნენ ისეთ სისასტიკეს, რომელსაც არა აქვს საზღვარი. უღვთო ადამიანი ჩაიკეტა თავის ცეოზში. მას არ აწუხებს ზედი მოყვასისა, მათი, ვინც თვეობით, წლობით უპატრონოდ წევს საავადმყოფოში, არ აწუხებს ხვედრი ქერივთა, ოზოლთა, მარტობელა მოხუცებულთა... მისი საზრუნავი მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობაა.

ანდა შეხედეთ, როგორია დღევანდელი ოჯახი. სადღაა აქ ცოლ-ქმრის სიყვარული და პატივისცემა. სიყვარული სარწმუნეობის გარეშე იქცა ვნებად, სისხლის ყვილად და არა სულის. მოთხოვნილებად (ნაღსონი).

სიყვარულის გრძობა დაკარგულია მშობლებსა და შვილებს შორისაც...

ხშირად გაიგონებთ, რომ ახალგაზრდამ თავის ამხანაგს დანით ათობით სასიკვდილო ჭრილობა მიაცენა და მას კი სინანული არ დაუფლებია; ანდა შვილმა მშობელი მალულად მოკლა, მერე კი მშვიდად იდგა ცხედართან და ახლობლებისა და ნაცნობებისაგან სამძიმარს იღებდა.

საიდან მოდის ასეთი დაუნდობლობა, ასეთი სისასტიკე?

გეკითხებით, განა შეიძლება, ნამდვილად მორწმუნე, ღვთისმოსავმა ადამიანმა ასეთი საშინელი დანაშაული

¹ აღრე ბერძენები სხვა ხალხებს, რომლებიც ბერძნულად არ დაპარაკობდნენ, უყურებდნენ როგორც უმდაბლეს რასას. ოუდეველებიც ამბობდნენ წარმომავლობით და მხოლოდ თავისი თავი მაჩნდათ ღვთის რჩეულად. ბარბაროსებს და სკვითებს, ფლავიუსის თქმით, სთვლიდნენ ისეთ ველურებად, რომლებიც ცოტახილა განსხვავდებიან მხეცებისაგან. მონა ანტიკურ ხანაში იყო მხოლოდ როგორც ცოცხალი ძალა; ზატონს შეეძლო სურვილისამებრ დაესაჯა, ეცემა, დაესახიჩრებინა, ანდა სულაც მოეკლა იგი და ის ამისათვის პასუხს არავის წინაშე არ აგებდა.

ჩაიღინოს?

რა თქმა უნდა, არა, თუ იგი ფსიქოურად არ არის დაავადებული.

აი, სადამდე დავყვით უღვთოდ. დღეს ჩვენ მხოლოდ ვლაპარაკობთ ამა თუ იმ დანაშაულზე და გვაოცებს მისი სიმძიმე. გაოცება საქმეს ვერ უშვლის. უნდა შევძლოთ დანაშაულის მიზეზის მიგნება და არა განკითხვით, არამედ თანადგომითა და თანაგრძობით ცოდვილის სწორ გზაზე დაყენება.

ბშირად ხდება, რომ ციხიდან განთავისუფლებულს სამსახურში არ იღებენ. ის აწუხებს ხან ერთ, ხან მეორე ორგანიზაციას, მაგრამ ყველგან უარით ისტუმრებენ. არაფერ ფიქრობს, სად უნდა იშოვოს მან პურის ფული, სად იცხოვროს, რა ჩაიცვას... ყოფილი პატიმარი იძულებული ხდება კვლავ იქურდოს, ახალი დანაშაული ჩაიღინოს და ისევ ციხეში მოხვდეს. ასე უაზროდ იკარგება წლები, იკარგება სიცოცხლე. ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენმა მოძღვრებამ ინახულეს ქალთა კოლონიაში მყოფნი. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელსაც თავის დროზე მაღალი თანამდებობა ეკავა, მღვდელს სინანულით უთხრა, რომ ადრე, როდესაც ციხიდან გამოსული ვინმე მას სამსახურში მიღების თხოვნით მიმართავდა, ახლოსაც არ იკარებდა, მოსმენაც არ უნდოდა მისი... ახლა კი, როცა თვითონ მოხვდა პატიმრობაში, იგრძნო, რამდენად მკაცრი და არასამართლიანი იყო სხვათა მიმართ.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ, დაწესებულებათა ხელმძღვანელებო, ყველას, ვისაც გარკვეული თანამდებობა გეკავიათ, ნუ აიმაღლებთ თავს და იამპარტავენთ სხვათა წინაშე თქვენი მდგომარეობით. რა იცით, რას გიმზადებთ ხელოვნული დღე; იყავით მოწყალენი და შემზარალებელნი, შემწყნარებელნი გლახაკთა და დამცირებულთა და თქვენი სიკეთის სანაცვლოდ ღვთისაგან დიდ მადლსა და სიხარულს მიიღებთ.

ახლახანს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების წინაშე ჩვენ ორი საკითხი დავაყენეთ: I. რომ მოგვეცნო უფლება ციხეში სასულიერო პირთა დაუბრკოლებელი შესვლისა და პატიმრებთან საუბრისა; II. დაართონ ნება, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციამ, ცალკეულმა პირმა, ასევე ეკლესიამ თავლებით გამოამშვიბინოს ის დატუსაღებული, რომელიც გრძნობს თავის ცოდვას, ნანობს და პირობას დასდებს, რომ დანაშაულს აღარ ჩაიდენს. ოღონდ, ვინც დამნაშავეზე აიღებს პასუხისმგებლობას, მან უნდა იზრუნოს კიდევ პატიმრობიდან განთავისუფლებულის სამუშაოთი უზრუნველყოფასა და ოჯახში დაბრუნებაზე.

თუ ეს განხორციელდა, ძალიან ზეერი სული შეიძლება გადავარჩინოთ საბოლოო დაცემისაგან.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ სიკეთის ქმნა, უნდა ვისწავლოთ მოწყალეობის კანონებით ცხოვრება და იგივე უნდა ვასწავლოთ ზევებზე.

"მოწყალეობანი და სარწმუნოებანი ნუ მოგაკლდებიან შენ. ხოლო შეიბენ იგინი ყელსა ზედა შენსა, დაწერენ იგინი ფიცარსა ზედა გულისა შენისასა, და პპოთ მადლი. და წინასწარ განიზრახვილე კეთილსა წინაშე უფლისა ღვთისა და კაცთა" (იგავნი 3. 3-4), — გვარიგებს სოლომონ ბრძენი.

მადლობა ღმერთს, ჩვენს მრევლში რწმენა და სულიერობა თანდათან მაღლდება, რაც მეტად გვახარებს. ზოგიერთმა მათგანმა ითავა ქრისტიანული წესით უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა; უნივერსიტეტისა და სხვა სასწავლებლების სტუდენტები, ასევე სტუდენტები სასულიერო აკადემიისა და სემინარიისა ლექციების შემდეგ მიდიან ხოლმე საავადმყოფოებში და იმ ავადმყოფებისათვის, რომელთაც მომკითხავი არაფერა ჰყავთ, თავისი სტიპენდიით ყოღულობენ პრიორეტეტს, ნუგეშს სცემენ და უვლიან მათ.

მრავალი მორწმუნე დადის უპატრონოთა სახლში, მარტოხელა ავადმყოფ მოხუცებთან...

ახლახანს ჩემთან იყვნენ ახალგაზრდები და ითხოვეს ლოცვა-კურთხევა, რომ შობა დღეს მონახულონ საქართველოს ციხეებსა და კოლონიებში მყოფი პატიმრები, მოუტანონ მათ საშობაო საჩუქრები.

ეს ყოველივე ჭეშმარიტად ნაყოფია რწმენისა, სიყვარულისა და მოწყალეობისა. ასეთ ცხოვრებას მოაქვს ნამდვილი სიხარული და ნამდვილი ზედნიერება; მუდამ უნდა გვახსოვდეს მაცხოვრის სიტყვები: "ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ" (მათე 5, 7).

საინტერესოა, რომ ძველებრავლად (ამ ენაზე დაწერილი მათეს სახარება და ძველი აღთქმა) სიტყვა "მოწყალეობა" თანამედროვე გაგებასთან შედარებით გაცილებით ფართო მნიშვნელობას შეიცავს. იგი არ ნიშნავს გაჭირვებულის მხოლოდ შევლას ანდა მისზე მდგომარეობაში მყოფისათვის თანაგრძობას. ის ასევე გულისხმობს სხვისი მდგომარეობის იმდენად ღრმად წვდომის უნარს, რომ შეძლო მისი თვალებით დაინახო სამყარო, მისი გონებით გაანალიზო პრობლემები, განიცალო მისი განცდები...

ეს კი სიზრდადღე მეტია. ეს არის არა მარტო თანაგრძობა, არამედ საკუთარი თავის შეგნებული გაიგივება სხვა პიროვნებასთან იმდენად, რომ აღიქვამ და გრძობს სამყაროს, გარემოს ისე, როგორც აღიქვამს მას ჭირში მყოფი. ეს არის ნიჭი სხვადასხვანისა.

ღმერთმა მოგვამდლოს იგი.

"მისდით მოწყალეების გზასა და სიმაართლეს", — გვარიგებს ზრძენი.

აქ ერთის მხრივ იგულისხმება ღვთის მოწყალეობა, მოყვასისათვის გაწეული სიკეთე, გაჭირვებულისადმი თანაგრძობა... საერთოდ მზადყოფნა სხვათა დასახმარებლად, ხოლო მეორეს მხრივ — მიცემული პირობისა და დაკისრებული მოვალეობის აღსრულებისათვის ზრუნვა.

მოწყალეობა აღამიანებს შორის მეგობრულ გრძობასა და მოყვასისათვის მსხვერპლად შეწირულ მსახურებას ემყარება, სიმაართლე კი შინაგან სიმტკიცესა და სიწრფელეს გულისხმობს.

თუ ჩვენ შევძლებთ ამ წესით ცხოვრებას, აღარ იქნება ამდენი სისასტიკე, დაუნდობლობა და სამყაროც იქნება სხვა.

მოწყალეების სახე მრავალგვარია; თითოეულმა ჩვენგანმა მისთვის შესაფერისი გზა უნდა აირჩიოს და ესწრაფვოს სიკეთის ქმნას.

მოწყალეების რამდენიმე მაგალითი მინდა მოგიყვანოთ:

ებრაელთა წინაპარი ისააკი თავის სახლეულთან ერთად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა. მას ჩვეულებად ჰქონდა ჭების ამოთხრა, რომ სხვა ხალხსაც ესარგებლა წყლით. ისააკმა ასე მრავალი ჭა ამოთხარა და ამით თავისებურად მოწყალეების საქმე აღასრულა.

სხვა მაგალითი:

ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პრეზიდენტი იყო ლინკოლნი. მას, როგორც ყველა აღამიანს, ჰყავდა კეთილისმყოფელებიც და, რა თქმა უნდა, მტრებიც. იყო ვინმე სტენონი, რომელიც იმდენად ვერ იტანდა ლინკოლნს, რომ ჯერ კიდევ პრეზიდენტად არჩევამდე მას მღაბალ, ვერაგ ჯამბაზს უწოდებდა; გაპუდმებით დასცინოდა და ზედმეტ სახელდაც "ნამდვილ გორილას" ეძახდა. სტენონი ამბობდა: სულ ტყუილად ირტყებიან, როცა აფრიკაში მიემგზავრებიან გორილას დასაჭერად; გორილა ხომ შეიძლება აფრიკაში, სპრინგ-ფილდში, ილიინოს შტატში შევიპყროთ.

ლინკოლნი დიდხანს ითმუნდა ასეთ შეურაცხყოფას; მერე კი უპასუხა იმით, რომ სტენონი, როგორც სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, ამერიკის თავდაცვის მინისტრად დანიშნა.

გავიდა წლები; სიყვარულმა და მოთმინებამ ზოლოს გაიმარჯვა. და, როცა პრეზიდენტი თეატრში მოკლეს, მის კუბოს სტენონი ცხარედ ასე დასტიროდა: აქ განისვენებს დიდებულია შორის ყველაზე გამოირჩეული ხელმძღვანელი, ვინც კი ოდესმე უნახავს მსოფლიოს.

აი, ასე კურნავს სიკეთე ზოროტებას, სიყვარული — სიძულვილს.

და კიდევ ერთი მაგალითი:

ერთ-ერთ მონასტერში ცხოვრობდა ახალგაზრდა ბერი, სახელად მარტირი, რომელიც გამოირჩეოდა ღვთისმოსაობითა და გლახაკთადმი მოწყალეობით. იგი ზიარებისა და აღსარებისათვის ხშირად დადიოდა თავის მოძღვართან სხვა მონასტერში. და აი, ერთხელაც მოძღვართან მიმავალმა ამ ახალგაზრდა ბერმა გზაში დაწოლილი წყლულებიანი გლახაკი დაინახა, რომელიც ადგომასა და იმავე მონასტრისკენ წასვლას ცდილობდა, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდა. მარტირიმ ძირს გაფინა თავისი მანტია, ზედ დააწვინა დაფრლომილი, მერე იგი ზურგზე მოიკიდა და ასე გაეშურა ტაძრისაკენ.

ნათელმზილველის ნიჭით დაჭილდობულმა მისმა სულიერმა მამამ ბერები ამ სიტყვებით მსწრაფლ ფეხზე დააყენა: — იქარეთ, ეხლავ გახსენით მონასტრის ჭიშკარი, მოდის მარტირი და თავის მხრებით ღმერთს მთაბრძანებსო.

მარტირიმ კი ალაყაფის კარს რომ მოაღწია, დაფრლომილი მიწაზე დაასვენა, რათა კარები გაეღო. და როცა ზაკის ასაყენებლად მობრუნდა, მანტიაზე აღარავინ დახვდა. მან დაინახა ცაღ ამაღლებული იესო ქრისტე და ნა ეს სიტყვები: მარტირი, შენ არ უგულვებულმაყ მე მიწაზე, მე არ უგულვებულმაყ შენ ზეცაში, შენ აქ რე, მე კი შეგიწყნარებ შენ საუკუნოდ.

ჯერში შესულ მარტირის ძმები მიეგებნენ. მოძღვარმა ჰკითხა: ძმაო ჩემო, სად არის ის, ვინც შენ

მხრებით მოგვყავდა?

მარტივად ცრემლით უპასუხა: მამაო, რომ მცოდნოდა, ვინ იყო, მის ფეხებთან დავემხოზოდიო...

ჩვენც უნდა გვახსოვდეს, რომ, რასაც გაჭირვებულისთვის გავიღებთ, მას თვით მაცხოვარს ვაძლევთ, უფრო სწორად კი ვაძლევთ საკუთარ თავს. საშინელი სამსჯავროს ფაშს ეტყვის უფალი მღვდმთა "მარტუენით მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნი მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაზამითგან სოფლისაითა, რამეთუ შშიოდა და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და მასუთ მე, უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე, შიშველ ვიყავ და შემოსეთ მე, სნულ ვიყავ, და მოხედეთ მე, საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა. მაშინ მოვიგან მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ შშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უცხო და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგმოსეთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა?"

და მოუგოს მეუფემან და ჰრქუას მათ: "ამინ გეტყვი თქვენ. რადენი უყავთ ერთსა ამას მკირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ" (მათე 25, 34-40).

მოწყალებისა და თანაგრძნობის უნარი, — აი ჭეშმარიტი ზედნიერება, აი, ერთადერთი გზა ზეკად მიმავალი.

ჩვენ მარადიულობის დიდი საიღუმლოს წინაშე ვდგავართ. ეს საიღუმლო განსაკუთრებული ძალით საახალწლო ღამეს იჩენს თავს.

ამ ღამეს ჩვენ ნათლად ვხედავთ წარსულს, აწმყოს, გვსურს განვჭვრიტოთ მომავალი.

გასული წელი ჩვენი ერისთვის იყო მწუხარების, სისხლის, ცრემლისა და განსაცდელის წელი, მაგრამ, ამავე დროს, ეს იყო სულიერი ამაღლების, განწმენდისა და ფერისცვალების წელი. არღვომისა და ამაღლებისკენ მიმავალმა ჩვენი ერის გზამ გოლგოთა გაიარა.

დღეს ჩვენ ვმადლობთ მას მოწყალებისა და განსაცდელისთვის, მწუხარებისა და ნუგეშისათვის. გვწამს, მაცხოვარი არასდროს დაგეტოვებს და ღვთისმშობლის მფარველობა არ მოგვაკლებს.

ეს იღუმალი ღამე გვაახლოებს მარადიულობასთან, შემოქმედთან და მოყვასთან. ამიტომაც გვინდა, რომ იგი ნათესაებისა და მეგობრების წრეში გაეატაროთ. ამ ღამეს ჩვენ ერთმანეთს ვუსურვებთ ზედნიერებას, ჭანმრთელობას, სიხარულს. უპირველეს ყოვლისა კი უნდა აღვაჯლინოთ ლოცვა, რადგან, როგორც ზრძანებს მაცხოვარი, "ყოველსა, რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეცოს თქვენ" (ლუკა 21, 22).

მაინც რა გისურვოთ საახალწლოდ, რითი დაგლოცოთ?

ერთხელ ერთ მეცნიერს ჰკითხეს, თუ რა მიაჩნდა თავის აღმოჩენათა შორის უნიშვნელოვანესად.

ყველას ვგონა, რომ ის თავის ცნობილ გამოკვლევას დაასახელებდა, რომელმაც ხალხს იმდენი სიკეთე მოუტანა. მან კი უპასუხა: ჩემთვის ყველაზე დიდი აღმოჩენა არის იესო ქრისტე, ჩემი მხსნელი და ჩემი ღმერთი.

ვისურვებდი, ყველა ქართველს მაღე დადგომოდეს ამ დიდი აღმოჩენის დღე.

ეძიებდეთ, უპირველეს ყოვლისა, სასუფეველსა ღვთისასა, ეძებდეთ მას და საზღაურად მიიღებთ ყველაზე დიდ სიკეთეს, რაც შეიძლება ისურვო ახალ წელს, რაც შეიძლება ინატრო ამქვეყნიურ ცხოვრებაში და მარადიულ ნეტარებაში, ამაშა ნამდვილი ზედნიერება.

ახალი წლის სიხარული ქრისტიანისთვის არის გამობატულება იმ გრძნობისა, რომ ჩვენ გვეძლევა საშუალება კვლავ ვემსახუროთ ღმერთს, ერს, მოყვასს, ვიმოღვაწეოთ და ვიშრომოთ სულის ასამაღლებლად, ზნეობის განსაწმენდად, რომ მეტი მადლით შევიმოსოთ, ახალი წყალობით აღვივსოთ.

და თუ გვწამს, რომ სული ჩვენი ხატია შემოქმედისა, როგორც ზრძანებს ზიზლია, მაშ, მიუძღვნათ სული ღმერთს, რამეთუ წერილ არს: მიეცით კისარს კისრისა და ღვთისა ღმერთსა.

ღმერთი მშვიდობისა და სიყვარულისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა. გაკურთხოთ თქვენ უფალმან სიონით!

გიხაროდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

ილია II

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი.

თბილისი,

ახალი 1990 წელი.



დიდება მოსულასა შენსა, უფალო;
დიდება შობასა წმიდისაგან ქალწულისა, უფალო;
დიდება შენდა.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ი ლ ი ა II

ს ა შ ო ბ ა ო ე პ ი ს ტ ო ლ ე

"გამოეცხადა...უფალი სოლომონს და... უთხრა:
მთხოვე, რა გინდა, რომ მოგცე შენ. უთხრა
სოლომონმა: მიანიჭე შენს მორჩილს გული
გონიერი... რათა სიკეთე გაარჩიოს
ხორბტენისაგან" (მესამე მეფეთა 3, 5, 9).

კურთხეული ივერიის მართლმადიდებელ ქრისტიანებს და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

ჩემო საყვარელო თანამემამულენო, ძმანო და დანო!
დღეს სასოებით ვხმობთ: გიხაროდეთ, — ემშანუელი მოზრძანდება! გიხაროდეთ წარმართნო და შეინანეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი. "ჰე, მოვედ, უფალო იესო" (გამოცხადება 22, 20).

მაცხოვარი მუდამ ჩვენთან არის "ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა" (მათე 28, 20), მაგრამ ამ სიხლოვეს განსაცდელისა და მწუხარების ფაშს უფრო ნათლად ვგრძნობთ; ნათლად ვგრძნობთ ავადმყოფობის სარეცელზე მყოფნი, ხილულ და უხილავ მტერთან შხრძოლნი.

მართალია, მწუხარება სიმწარესთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამ დროს მარადიულობის საიდუმლოსაც ეზიარება ადამიანი. მისი აზროვნება სამყაროსა და ისტორიის ჰორიზონტალური აღქმიდან ვერტიკალურში გადადის.

თითოეულ ჩვენგანს, თითოეულ ერს თავისი ზედი აქვს. ისტორია ყველას კუთვნილ ადგილს უჩენს და შესაფერის მოთხოვნებს უყენებს.

გასული წელი ჩვენთვის მძიმე გამოცდის წელი იყო. მაგრამ, ამავე დროს, იგი იყო წელი სულიერი ამაღლებისა. ჩვენ კიდევ ერთხელ ნათლად დავინახეთ, ვინ ვართ, რისთვის მოვედით ამქვეყნად, საით მივდივართ...

დაიძახებო იდეალები, რადგან ისინი არამყარ საფუძველზე იყო დაშენებული, ჩვენ კი მარადიული გვეგონა.

დაიძახებო ილუზიები იმიტომ, რომ ისინი მოწყვეტილნი იყვნენ ღმერთსა და სიყვარულს. საშინელი ნგრევისა და ქაოსის შემდეგ უფალომა კვლავ აღამალა ადამიანის დაცემული სული, დაგვიბრუნა რწმენა და სიყვარული, ღირსება და დიდება.

ამ განცდით ვხვდებით დღეს ქრისტეს შობის არამიწიერ სიხარულს; მისი მადლის გარეშე არ უნდა დარჩეს არავინ. ოღონდაც ეს ზეიმი, ეს სიხარული მხოლოდ გარეგნულ ფორმებში არ უნდა გამოიხატოს.

დღეს ჩვენ სიღრმისეული აზრით სულიერად უნდა მივსწვდეთ ბეთლემის გამოქვაბულს — მაცხოვრის შობის ადგილს და ძალისაებრ ჩვენსა განვიცადოთ იქ აღსრულებული ღვთის დიდი საიდუმლო.

უფალი ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი საოცარი სიმბაზლით განეცხადა მსოფლიოს, რათა ყველასათვის დაენახებინა ქეშმარიტების, სიმართლის, სიყვარულის სიღიალე, სიღიალე მარადიულ ღირებულებათა, რომელთაც

ვერაფერი დაფარავს, ვერავითარი ძალა ვერ შესცვლის, ვერ განაქარვებს.

იგი, რომელი არის ანი და ში, დასაბამი და დასასრული ყოველთა (გამოცხადება 21, 6); იგი, რომელი არის მეფე მეფეთა და უფალი უფლებათა, იშვა ზეთლემს გამოქვაბულში. მან უარყო მეფის სასახლე, ოქროს ტახტი, ღიღება მიწიერი და წარუდგა ქვეყანას ზაგაში მწოლი.

ერთი შეხედვით როგორი სუსტი და დაუცველი ჩანს ყრმის სიკოცხლე მისდამი მტრულად განწყობილ ამ სამყაროში. მაგრამ არა. მის სისუსტეში სულ სხვა სიძლიერეა, მის სიმდაბლეში — სხვა სიღაღე, მის მორჩილებაში — სულ სხვა სიკეთე. იგი მოვიდა სოფლად, რათა სძლიოს მის ზოროტებას. იგი მოვიდა სოფლად, რათა გაათბოს ჩვენი გაცივებული, დაშრეტილი გულები და აღავსოს იგინი დაკარგული სიყვარულით.

თვით შობის ღამის ზეცაა ამის მოწმე: "და მეცხსეულად იყო ანგელოზისა მისთანა სიმრავლე ერთა ცისათაჲ, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: ღიღებაჲ მალალოთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობაჲ და კაცთა შორის სათნობაჲ" (ლუკა 2, 13-14).

აი, მიზანი ღვთის განხორციელებისა.

უფლის განკაცების მადლით განიპო კრეტსაბმელი ადამიანის გონებისა და სულის უგრძობლობისა. ზეთლემელი მწყემსები გახდნენ ღიღისნი, პირველთ ეხილათ უბრალო გამოქვაბულის არამწიფიერი ღიღება და თაყვანი ეცათ ღვთაებრივი ყრმისათვის.

ღღესაც მაცხოვრის შობის ღღეა. მაგრამ ვინ ჰპოვებს მას, რომ თაყვანი სცეს და შეუფრდეს?

მხოლოდ წმიდანი გულითა, რადგან მსგავსი მსგავსს შეიყნობს. წმიდა სახარებაჲ ზრძანებს: "ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ".

და სად იხილავენ მას?

— საკუთარ გულში.

ისევე როგორც სუფთა წყალში მკვეთრად აირეკლება ტყე, მზე, ცა, ასევე სუფთა გულში აისახება ღმერთი.

ასეთი გული სულიერად ზეთლემის გამოქვაბულს ემსგავსება. ასეთ გულში იშვება მაცხოვარი და არა მარტო იშვება, მუდმივად დაივანებს იქ.

ღმერთი არის შემქმნელი ჩვენი გულისა. იგი განსწმენდს და განაახლებს მას, ოღონდ ხელი არ უნდა შეფუშალოთ და ჩვენი ნება არ უნდა დაეუპირისპიროთ მის მაცხოვრებელ და აღმადგინელ ძალას. ეს კი გულისხმობს ღვთის მცნებების, ღვთის კანონების აღსრულებას.

მოსე წინასწარმეტყველს ევეპოტიდან ებრაელთა გამოსვლის ორმოცდამეათე ღღეს შემოქმედისგან მიეცა კაცთა მოღვმის გადამრჩენელი, ჩვენი სულის ამამაღლებელი ათი კანონი, რომელთა დაცვა ყველა მორწმუნის ვალია. სწორედ მათ მინდა შეეცხო საშობაო ეპისტოლეში.

პირველი ოთხი მცნება გვასწავლის, როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება უფლისადმი, ხოლო დანარჩენი ექვსი გვიხსნის ადამიანებთან, მოყვასთან სწორი თანაცხოვრების პრინციპებს.

პირველი მცნება: მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვენ შენდა ღმერთი უცხონი ჩემსა გარეშე.

ეს მცნება მოითხოვს, რომ ჩვენ გვწამდეს, გვიყვარდეს, ვსალოებდეთ და თაყვანს ვცემდეთ ქმშარიტ ღმერთს.

ღღეს, როგორც არასდროს, სწორედ ეს კანონია დარღვეული. ურწმუნობა, ღვთის არსებობისადმი ეჭვი, ეჭვი სულის უკვდავებისა... ზინდავს ადამიანთა გულსა და გონებას. ზოგიერთნი მისდევნენ მისნობას, ჭადოქრობას, ხშირია მწვალებლობა, მკრებელობა, მღვდლისადმი, ეკლესიის სიწმიდისა და წმიდა საიდუმლოთადმი უსულგულო დამოკიდებულება. ხშირია გულგატეხილობა და სასოწარკვეთილება, რადგან ადამიანები ღვთის ნაცვლად იმედს ამყარებენ მათზე, რომელნი არიან ძლიერნი ამა სოფლისანი, ანდა საკუთარ მალალ თანამღებობასა და სიმდიდრეზე.

ყოველივე ეს არის პირველი მცნების წინაღმდეგი ცოდვები.

რომ შევიცნოთ ღმერთი, აუცილებელია, ვიკითხოთ წმიდა წერილი, წმიდა მამათა შრომები, უნდა ვიართოთ და ვილოცოთ ეკლესიაში, შევისწავლოთ ღვთის ქმნილება-შენება და კაცთა მოღვმის ისტორია, შევისწავლოთ ჩვენი სულიერი სამყარო. მაშინ ვიგრძნობთ შემოქმედის უნაპირო სიყვარულს, სიზრძესა და მოუწვდომლობას, მაშინ ვიგრძნობთ, რომ "უფალი ღმერთი ერთ არს" და შევიყვარებთ მას ყოველითა გულითა და ყოველითა სულითა და ყოველითა გონებითა და ყოველითა ძალითა ჩვენითა (მარკოზი 2, 29-30).

მეორე მცნება: არა ჰქმნე თავისა შენისა კერაჲ, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა

ზე და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანისა: არა თაყვანი-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.

ეს კანონი კრძალავს ჭეშმარიტი ღვთის ნაცვლად ფიზიკური სხეულების, არასულიერი საგნების, ცის მნათობების, ცხოველების, ფრინველების თაყვანისცემას. ქრისტიანისთვის კერპთმსახურებად ითვლება ასევე ცოდვითი მიდრეკილებებისადმი მონობა: ზევნი ესწრაფვიან სიმდიდრის შეძენას, რადგან მათი კერპი არის სიმდიდრე; ზოგი პატივმოყვარეობის ავადმოყვური სენით არის შეპყრობილი; ზოგს მთავარ საქმედ ხორციელი სიამოვნება გაუხდია სხვანი ლოთობენ, აზარტულ თამაშს მისდევენ... ღმერთი და მისთვის მსახურება კი აღარ ახსოვთ. თვით ცოდნის შეძენის დაუოკებელი სურვილი, მეცნიერულ აღმოჩენათა სიმრავლე ფასს კარგავს, თუ მას რწმენა და სიყვარული არ განსაზღვრავს, რადგან ასეთი ცოდნა შეიძლება დიდი ზოროტების მომტანი გახდეს.

მაშ, იყავით ბრძენნი, თავშეკავებულნი, თავმდაბალნი და ღვთისმსასობეულნი.

ზოგიერთი სექტანტური მიმდინარეობანი წმიდანთა თაყვანისცემის გამო ადანაშაულებენ მართლმადიდებელ ეკლესიას და კერპთაყვანისმცემლობად გვითვლიან მას.

ჩვენი პასუხი ასეთია: ხომ გვწამს, რომ ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთს ლოცვით შეეწიონ (რასაც სექტანტებიც არ უარყოფენ), ხომ გვწამს სულის უკვდავება და იმ ქვეყნად მარადიული ცხოვრება; და თუ ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისთვის ლოცვა, რატომ არ შეუძლიათ ღვთის წინაშე ჩვენთვის მლოცველნი და მედრებელნი იყვნენ: ღვთისმშობელი დედა, წმიდა ნინო, წმიდა გიორგი და სხვანი. თავისი ღვაწლითა და სათნო ცხოვრებით მათ ხომ უფლისაგან განსაკუთრებული მადლი მოიპოვეს და ამდენად ღმერთი მათ თხოვნას უფრო არ ისმენს? რა თქმა უნდა, ეს ასეა.

სექტანტები ასევე განგვიკითხავენ ხატების გამო. მათ არ მოსწონთ, რომ ხატთან ვიჩოქებთ და ვემთხვევით მას. სინამდვილეში ჩვენ თაყვანს ვცემთ არა ფიცარსა და საღებავს, არამედ იმ პირველსახეს, რომელიც გამოსახულია ხატზე; აზრობრივად ჩვენ სწორედ მას ვემთხვევით და მხოლოდ მის წინაშე ვიყრით მუხლს. ხატი არის სარკმელი ცისა.

ბიბლიიდან ვიცით, ათი მცნების მომღებელ მოსე წინასწარმეტყველს თვით ღმერთმა უბრძანა ტაძარში ქერუბიმების ოქროს ორი გამოსახულების დადგმა, რაც მან აღასრულა კიდევ.

ელდის მთავარ ავგაროზს იესო ქრისტემ გაუგზავნა თავისი სახის ხატი, ხელთუქმნელად სახელდებული.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ლუკა მახარებლის მიერაა დაწერილი ღვთისმშობლის რამდენიმე ხატი...

წმიდანთა და ხატთა სასწაულომოქმედი ძალის მრავალი მაგალითია ცნობილი. გავიხსენოთ თუნდაც ივერიის ღვთისმშობლის ან "ღირს არს ჭეშმარიტად" სახელდებული ღვთისმშობლის ხატის სასწაულები; გავიხსენოთ, როგორ აღდგა მკვდრებით მიცვალებული წმიდა ელისე წინასწარმეტყველის ძვლის შეხებისას. ეს ფაქტი ხომ წმიდა წერილშია დამოწმებული.

ასე რომ, მართლმადიდებელთაადმი წაყენებული ბრალდება არასამართლიანია და მწვალებლოვრ აზრს შეიცავს.

მესამე მცნება: არა მოილო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა.

დანაშაულია, როცა უბრალო და უსარგებლო ლაპარაკისას ღვთის სახელს ახსენებენ. კიდევ უფრო დიდი და მძიმე ცოდვაა, თუ ღვთის სახელით ტყუილად იფიცებენ. ღვთის გმობა, ღვთის სამართლის განკითხვა, ლოცვისას უტულისყურობა, აღთქმის დარღვევა... ყველაფერი ეს არის მესამე მცნების წინააღმდეგი.

ღვთის სახელი დიდი კრძალვითა და შიშით უნდა წარმოიუთქვათ. გაიხსენეთ, თუ როგორ აღგვიწერს ესაია წინასწარმეტყველი თავის ხილვას: "ვიხილე უფალი მჯდარი ამადლებული, ზეღმართულ ტახტზე, და მისი კალთები ავსებდა ტაძარს. თავით სურათივითი ედგნენ, ექვს-ექვსი ფრთა ესხა თითოეულს; ორით სახეს იფარავდნენ, ორით ფეხებს იფარავდნენ, ორით ფრენდნენ და... ამზობდნენ: წმიდაა! წმიდაა! წმიდაა საბაით უფალი! მისი დიდებით საესეა ქვეყნიერება" (ესაია 6, 1-3).

აი, როგორი მოწიწებით მსახურებენ ღმერთს ზეციური ძალები. მიიუშეტეს ჩვენ მეტი რიდი და თაყვანისცემა გვმართებს.

მეოთხე მცნება: მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი, ექვს დღეს იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღვთისა შენისა.

ბიბლიაში წერია, რომ ღმერთმა ექვს დღეში შექმნა სამყარო, მეშვიდე დღეს კი დალოცა იგი, აკურთხა და

საქმისგან დაისვენა. ეს მეშვიდე დღე იყო შაბათი.

ქრისტიანები უქმობენ შაბათსაც და კვირასაც, რადგან კვირა იესო ქრისტეს აღდგომისა და ჩვენი ხსნის დღეა.

მეოთხე მცნების დარღვევით სცოდავენ ისინი, რომელნიც ამ დღეებში არ უქმობენ, არ ზეიმობენ. დღესასწაული ყოველთვის წინაღობს საღამოდან იწყება. თუ მორწმუნე ხარ, ამ დროს ყველა საქმე უნდა დატოვო და ეკლესიაში წაბვიდე, რათა მიიღო ღვთის კურთხევა. დღესასწაულისა და კვირის წირვაზე დასწრება ხომ ყოვლად აუცილებელია. წირვისას იკითხება და იგალობება სპეციალური ლოცვები, რომელიც დიდი ძალის მიმცემია რწმენითა და სიყვარულით მოსულთათვის.

სამწუხაროდ, დღეს ხშირია ოჯახები, რომელთა წევრები გამუდმებით მუშაობენ, არ იციან შაბათ-კვირა და დღესასწაული. ისინი, როგორც წესი, უბარაქონი და უმადლონი არიან, რადგანაც მათზე არ არის ღვთის ლოცვა-კურთხევა.

მეხუთე მცნება: პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გვეოს შენ და დღევრძელი იყო ქვეყანასა ზედა.

ეს მეტად მნიშვნელოვანი მცნებაა. მშობლების პატივისცემაზე დამოკიდებული შეილებს კეთილდღეობა. წმიდა წერილი გვასწავლის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედ-მამის დალოცვას, ოღონდ დალოცვა უნდა იყოს დამახსოვრებელი, მშობლების დაფასებით მოპოვებული.

განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ავადმყოფ, ხანდაზმულ, დაუძღვრებულ მშობლებს. არადა, ზოგიერთი თავიდან იშორებს მათ და მოხუცებულთა თავშესაფარში გზავნის. ეს საშინელი სისასტიკეა.

მშობლები სწუხან, ტირიან შეილების უდიერი საქციელის გამო, თუმცა უმეტესწილად თვითონ არიან დამნაშავენი, რადგან ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით არ გაზარდეს ისინი.

დედ-მამის უპატივეკმულობის მიზეზით შეილები შემდეგ სხვადასხვა ავადმყოფობით იტანებთან; მათ ოჯახში არ არის სიმშვიდე და სიყვარული.

ყველას უნდა ახსოვდეს: როგორც თვითონ ექცეოდა მშობლებს, ისე მოექცევიან მას თავისი შეილები.

მეხუთე მცნება ასევე გულისხმობს კეთილ დამოკიდებულებას უფროსი ადამიანების, ახლობლების, მოძღვრების მიმართ. მაგრამ, თუ მშობელი ან ნებისმიერი სხვა პიროვნება ჩვენგან ღვთის საწინააღმდეგო საქმის აღსრულებას ითხოვს, არა ვართ ვალდებული დავემორჩილოთ მას.

მექექსე მცნება: არა კაც ჰკლა.

მკვლელობა საშინელი დანაშაულია. სხვისი სიცოცხლის ხელმოყოფი სცოდავს არა მარტო ადამიანის, არამედ ღვთის წინაშეც, რადგან ჩვენ არა გვაქვს უფლება ღვთის მიერ მონიჭებული სიცოცხლე მოვუსპოთ კაცს.

ამ ცოდვის ჩამდენი ადამიანი ამქვეყნადაც დიდად დასჯილია. გავისხნით, პირველი მკვლელი, კანი, რომელმაც თავისი ძმის, ახელის, სისხლი დაღვარა, ადგილს ვერ პოულობდა ახლობლების წრეში. ამიტომაც სხვაგან გადაიხვეწა და იქ ტანჯვაში დაღია თავისი დღენი. ხოლო ამ ცოდვის გამო სასჯელი მთელ მის მოდგმაზე გადავიდა. ასევეა ახლაც.

მკვლელობის განსაკუთრებული სახეა აბორტი. ამ დროს თვით დედა ხდება მკვლელი საკუთარი შეილისა. სამწუხაროდ, ზევნი ვერ გრძობენ დანაშაულს, არადა ამისათვის მკაცრად დაისჯებიან. რა თქმა უნდა, დაისჯება ისიც, ვინც აბორტს აკეთებს.

დიდი ცოდვაა კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ, რადგანაც ჩვენ ამით ზოროტებას კი არ ვსპობთ, არამედ ვადრავლებთ მას. "ზოროტებას ზოროტებით ვერ განკურნავ, — გვარიგებს ბასილი დიდი, — მას მხოლოდ სიკეთით შეიძლება უწამლო". ჰუმანურ, სამათლებრივ სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს სასჯელის ეს არაადამიანური სახე.

საშინელი ცოდვაა თვითმკვლელობა. იგი პროტესტია ღვთის ნების წინააღმდეგ და სულიწმიდის გმობად ითვლება. თვითმკვლელო, თუ იგი ფსიქოურად დაავადებული არ არის, საბოლოოდ წარწყმედს სულს. მისთვის ლოცვაც კი არ შეიძლება.

ფიზიკურის გარდა, არის სხვა სახის მკვლელობაც: შეურაცხყოფით, ცრუმოწმებით, დასმენით, ცილისწამებით... წმიდა იოანე ღვთისმეტყველი წერს: "ყოველსა, რომელსა სძულდეს ძმა თვისი, იგი კაცისმკვლელი არს და იცით, რამეთუ ყოველსა კაცის-მკვლელსა არა აქუს ცხოვრება საუკუნოა" (I იოანე 3,15).

ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ საშინელი ცოდვისგან.

მეშვიდე მცნება: არა იმრუშო.

ეს მცნება კრძალავს არაკანონიერ, დანაშაულებრივ ურთიერთობას ქალსა და კაცს შორის. აქ შედის შემდეგი ცოდვები: სიძვა, მეძაობა, სისხლის აღრევა, გარყვნილება, ცოლ-ქმრული ცხოვრების დამახინჯებული სახეები...

"სიძვად და ყოველი არაწმიდობა... ნუკალა სახელ-იღებთან თქვენ შორის" (ეფესელთა 5,3),— გვაფრთხილებს მოციქული პავლე. აღამიანს ღიღი თავშეკავება მართებს; უფალი ზრძანებს: თუ კაცი ნდომით შეტედავს ქალს, მან უკვე იმრუშა თავის გულში (მათე 5, 27-28).

არაწმიდა ფიქრები, სურვილები, უხამსი სიმღერები და ხუმრობები, ზედმეტი გართობა, უზნეო სანახაობანი, ნაყოფანება, სასმელის უზომო სმა... არის ცოდვა, რომელიც მეექვსე მცნების დარღვევითა და მძიმე დანაშაულით მთავრდება. დანაშაულს კი მოსდევს ღვთის სასჯელი.

მერვე მცნება: არა იპარო.

არავის აქვს უფლება აიღოს ის, რაც მას არ ეკუთვნის. აქ შედის შემდეგი ცოდვები: ქურდობა, ანუ სხვისი ნივთის, სხვისი საკუთრების მალულად აღება; ძარცვა—სხვისი ეთნები; ძალით მიტაცება; მკრეხელობა—ღვთისთვის მიძღვნილი, შეწირული ნივთებისა და საერთოდ საეკლესიო ქონების მითვისება ან მოპარვა; მექრთამეობა, მეგახშობა(როცა პროცენტით გასცემენ ფულს), მუქთახობა...

ზოგჯერ ქურდები და დანაშაულებრივ თავისი საქციელის გამარჯობის მიზნით სახარებიდან იშველიებენ იმ ავაზაკის მაგალითს, რომელიც მაცხოვართან ერთად აწამეს, და რომელიც მასთან ერთად სამოთხეში მოხვდა.

ავაზაკი შეწყნარებულ იქნა, რადგან სიკვდილის წინ მოასწრო მონანიება. მან მთელი არსებით იგრძნო თავისი განვლილი ცხოვრების სიმძიმე და განაჩინიც სამართლიანი გამოუტანა თავს და თავის ამბანაგს, რომელსაც მასთან ერთად აწამებდნენ. ჯვარზე გაკრული ის მიუბრუნდა ნაცხოვარს და უთხრა: "ჩვენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმნით, მოგვეცების".

იმდენად ძლიერი იყო მასში სინანული რომ ცოდვით დამძიმებული მისი გული განიწმიდა და იგრძნო, ის, რასაც სხვები ვერ ხედეზიდნენ; იგრძნო, რომ მის გვერდით ღმერთი ეწამებოდა; ამიტომაც სთხოვა: "შომიხსენე მე, უფალიო! თდეს მოხვიდე სუფევითა შენითა" (ლუკა 23, 41-42).

და მოუკლი იესომ "ამინ გუტყვი შენ: დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა" (მათე 23, 43).

ეს მაგალითი ნათელი დადასტურება იმისა, რომ ყველა ცოდვიდან შეიძლება ამალღება და განწმუდა; და რომ ღვთის მოწყალეობას არა აქვს საზღვარი.

მეცხრე მცნება: არა—ცილი სწამო მოყვასისა შენსა წაჰმითა ცრუითა. ეს მცნება ჩვენგან მოითხოვს სიმართლის გზით სვლას. მძიმე ცოდვად ითვლება: ცრუმოწმობა. ცილისწამება, დაზებულება, მოძმის განკითხვა...

ღირსი მამა ანტონი ღიღი წერს: ურჩხულის ენა ნაკლებ საშიშია, ვიდრე ენა ცილისმწამებელისა, რადგან ასეთი კაცი ჩხუბსა და განხეთქილებას ავდებს მშვილობით მცხოვრებ ადამიანებს შორის, სთესავს ზოროტებასა და ღვარძლს ახლობლებში, არღვევს ერთობას. ვინც ასეთ პიროვნებას სახლის კარს გაუღებს, თვითონაც ცოდვის მორევში ჩავარდება. ასეთ კაცთან ურთიერთობა მკველლთან ურთიერთობას ნიშნავს.

ცილისმწამებლის ენა მგავსია გველის შხამისა. უმჯობესიც კია გველისა და მორიელის გვერდით ცხოვრება, ვიდრე ცილისმწამებელთან ახლო ყოფნა, რადგანაც იგი თავისი სენით სხვასაც აავადებს და ისინი ერთად განკითხებიან ღვთის სამსჯავროზე.

ღმერთი მოწყალეა, მაგრამ იცოდეთ, ცილისწამების ცოდვა ძნელად შეენდება კაცს. ამიტომაც, "ნუ შეგრცხვებათ ასეთი ადამიანებისაგან განზე განდგომისა, თორემ მათი შხამით თქვენც დაავადდებით" (ანტონი ღიღი).

მეათე მცნება: არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყვებს მოყვასისა შენისა.

ეს მცნება მოითხოვს, კმაყოფილნი ვიყოთ ჩვენი ხვედრით, ჩვენი მდგომარეობით, რათა ხელი არ დაგვიროს სულის ფითრმა—შური. შური პირველყოფისა ზიანს აყენებს მას, ვინც ამ სენითაა შეპყრობილი.

სხვა ცოდვა უფრო უხეშია და სულშიც ისე არ ღვივდება, როგორც შური, — წერს ვასილი ღიღი, — შური

კი ისე სჭამს კაცის სულის, როგორც ფანგი რკინას... შური არის წუხილი სხვის სიკეთესა ზედა.

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი კი ასე გვაფრთხილებს: შური წყლოვია სულისა და საწამლავი მისი. იგია ერთ-ერთი ყველაზე უსამართლო და, ამავე დროს, სამართლიანი ვნება. უსამართლო იმიტომ, რომ კეთილთა სიმშვიდეს არღვევს, სამართლიანი კი იმიტომ, რომ შინაგანად ახშობს მას, ვის სულშიც ზუღობს.

ჩვენ განვიხილეთ ათი მცენება, რათა ერთხელ კიდევ გვევძინო მათი სიდიადე და აუცილებლობა თითოეული ჩვენგანისათვის. ეს მცენებები ეკუთვნის მთელ მსოფლიოს და ისინი, ისევე როგორც შესაქმის აქტი, შედეგია ღვთაებრივი სიყვარულისა.

ზოგჯერ კითხულობენ რად შექმნა ღმერთმა ქვეყანა, სადაც ამდენი უსამართლობა და მწუხარებაა?

ღმერთი სიყვარულია. მას არ შეუძლია იყოს მარტოობაში. სიყვარული ეძებს სხვას, რომ უყვარდეს და სურს, თვითონაც იყოს სხვისაგან შეყვარებული.

ამიტომაცაა შესაქმის აქტი ღვთაებრივი ზუნების გამოვლინება.

რაც შეეხება უსამართლობას, იგი მოდის არა ღვთისაგან, არამედ ადამიანისაგან. ადამიანს აქვს მონიჭებული თავისუფალი ნება, სიკეთისა და ზოროტების ქმნის სრული შესაძლებლობა, არჩევანის უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უფლის ხელში უბრალო მანქანა, იარაღი იქნებოდა.

მთავარია ჩვენ გადაწყვიტოთ, რას ვამჯობინებთ: სიკეთის ვიწრო, ეკლიან, მაგრამ გადამჩინებელ ბილიკს, თუ ცოდვის ფართო გზით სვლას. ზოგჯერ ისიც ჭირს, გაარკვიო რა არის ცოდვა და რა მადლი. ამიტომაც შესთხოვს ღმერთს სოლომონ ზრძენი: მოანიჭე შენს მორჩილს გული გონიერი, რომ სიკეთე გააჩიოს ზოროტებისაგანო (3 მეფეთა 3, 9).

გულის სიზრძნე მცენებათა დაცვით მოიპოვება; მაგრამ უმთავრესი მათ შორის არის შიში უფლისა.

"შიში უფლისა—დასაბამი სიზრძნისა" (ფსალმუნნი 110, 10).

"შიში უფლისა—დასაბამი სიკეთისა" (წმ. ისააკ ასური), —ზრძანებენ წმიდანნი.

ეს შიში განსხვავდება ადამიანური შიშისგან. იგია რწმენასა და სიყვარულზე დაფუძნებული გრძობა; გრძობა, რომელიც პიროვნებას გადაარჩენს ცოდვითი მიდრეკილებებისაგან და ღირსყოფს მას ღვთაებრივ სიყვარულთან ერთად გახდეს მონაწილე კაცობრიობის ხსნისა. ამისთვის გაიღო ღმერთმა უდიდესი მსხვერპლი: "ძე თვისი საყვარელი მოსცა (სოფელს), რათა ყოველსა, რომელსა პრწმენეს იგი, არა წარწყმედეს, არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნო" (იოანე 3, 16).

ძე ღვთისა, იესო ქრისტე, მოვიდა ჩვენთან, რათა, როგორც ერთი ფილოსოფოსი წერს, ნათლად დაგვენახა და მკვეთრად შეგვევძინო ჩვენი სისუსტე, ჩვენი უძლურება ყველაზე უმნიშვნელო საკითხებშიც კი და დავლოდებოდით გამოწვდილ ხელებს, რომელიც ფეხზე დაგვაყენებდა.

მაცხოვარი იშვა, ხსნის გზა განათდა. მაშ, შევიმოსოთ მისი რწმენით და მისი მადლით, "რამეთუ ყოველი, რომელი შობილ იყოს ღმერთისაგან, სძლეეს ქვეყანას. და ეს არის ძლევა, მიელი ქვეყნის მძლეველი, ჩვენი რწმენა" (I იოანე, 5, 4).

ქრისტე იშვა — აღიღებდეთ მას!

ქრისტე ზეცით გარდამოხდა — მიეგებებით!

სიყვარულით გილოცავთ ყველას ქრისტეს შობის დიად ღვთისაწაულს. შევთხოვ ღმერთს, სულიერად ფეხზე დადგეს საქართველო; ვიყოთ ერთობით ღმერთთან და ერთმანეთთან, "ვიხარებდით და ვიშვებდით და მივსკეთ მას დიდებაჲ, რამეთუ მოვიდა ქორწილი კრავისაჲ" (გამოცხადება 19,7).

ჩვენთან არს ღმერთი!

ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი.
თბილისი,
1989-1990.

ღვთისმეტყველება

წმ. მამა დიმიტრი როსტოველი

სიტყვა ღვთის განცხადებაზე

ვფიქრობთ რა უფლის განცხადებას იორდანის წყლებზე, საჭიროა გავიხსენოთ ის შემთხვევები, როცა უფალი ადრეც ცხადდებოდა წყლებზე იგი გამოცხადდა მწამული მღვდის წყლებზე და გაიყვანა თავისი ხალხი ხმელეთზე; როცა აღთქმის კიდობანი იორდანზე გადადიოდა, მან უკუაქცია ამ მდინარის წყლები: "მთუამან იხილა და ივლტოდა, და იორდანე უკუნიქცა მართლ უკუნ" (ფს. 113. 3) - და ბოლოს: თავდაპირველად, როცა ღვთის სული იქცეოდა წყალთა ზედა, ღმერთმა შექნა ცა, დედამიწა, ფრინველები, მხეცები, ადამიანი და საერთოდ მთელი ხილული სამყარო - და ახლაც, იორდანის წყლებზე ცხადდება უფალი, ერთიანი სამებაში: მამა-ხმაში, ძესხეულში, სულიწმიდა-მტრედის სახით. რას წარმოქმნის იგი თავისი გამოცხადებით? იგი ქმნის ახალ სამყაროს, ანახლებს ყველაფერს, ქმნის ახალს, განსხვავებულს ძველისაგან. "ის, ვინც ქრისტეს მიერაა, ახალი ქმნილებაა; ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია" (2 კორ. ფ. 17). მძიმე იყო პირველი სამყარო თავისი ბუნებით; არ შეეძლო ამაღლება ცამდე; ხმელეთი ესაჭიროებოდა, მასზე უნდა მდგარიყო; ხოლო იორდანის წყლებისაგან აგებული ახალი სამყარო ისეთი მსუბუქია, რომ არ საჭიროებს ხმელეთს, იგი არ იჭიება მიწაზე და ეძებს უმაღლესს; მისწრაფვის წყლიდან იორდანის ზემოთ განსხვავებული ბეკიური კარისაკენ (მათ. 3. 16).

ცხოვრებისეულ სიმძიმეებში იყო ჩაძირული პირველი სამყარო და იხრჩობოდა. მისთვის შეუძლებელი იყო ცამდე ამაღლება იმ კიბის გარეშე რომლის ძირი დაფუძნებული იქნებოდა მიწაზე, თავი კი ცამდე იჭებოდა ადმართული. მოუწვდომელი იყო ეს ადამიანთათვის. მხოლოდ იაკობმა იხილა კიბუ ესე. მაგრამ მხოლოდ იხილა, ასევე კი თვითონაც არ ასულა მასზე. ახალი სამყაროსათვის არ არის საჭირო კიბე; მისთვის შესაძლებელია კიბის გარეშე ავიდეს ცამდე, როგორ?

- ამ კიბის ნაცვლად, სული ღვთისა მტრედის სახით მიმოიქცევა წყლებზე. რას ნიშნავს ეს? - ადამიანთა მოღვაწე უკვე არ არის მიწაზე მიჯაჭვული, არ დახოხავს ქვეწარმავალივით, არამედ, როგორც ფრთოსანი ჩიტვი, გამოდის ნათლობის წყლებიდან. ამიტომ იყო, რომ სულიწმიდა ნათლობის წყლებზე გამოცხადდა, როგორც ფრინველი, რათა კიბის გარეშე აეყვანა ცამდე ნათლობის ემბაზით შობილი თავისი ბარტყები. იგი მოუწოდებს თავის ბარტყებს საფრენად.

აი, ასეთ ახალ სამყაროს ქმნის ღმერთი, ახლა ვნახოთ წმიდა სამების ერთ-ერთ პირს, იორდანის წყლებზე სამყაროს განახლებისას გამოცხადებულს, როგორ გამოჰყავს ნათლობის წყლიდან თავისი სულიერი ბარტყები და როგორ მოუწოდებს მათ ფრენისაკენ, რათა სათნოების ფრთებით აამაღლოს ისინი იორდანის ზემოთ განსხვავებულ ცაში. სანამ ამას განვიხილავდეთ, ეკლესიის მოძღვრებაზე დაყრდნობით, დავარწმუნოთ თავი, რომ ყოველი ადამიანი შობილი წყლით და სულით არის ბეკიური ბარტყი. მას შემდეგ, რაც იესო შევიდა იორდანში, წყალი წარმოქმნის გონიერ და სულიერ არსებებს - სულებს, რომლებიც მიწაზე კი არ დახოხავენ, არამედ, როგორც ფრთოსანი დაფრინავენ და ცისკენ მიისწრაფიან. "სული ჩუენი ვითარცა სირი განერა მახისა მისგან მონადირეთასა; საფრთხე შეიმუსრა და ჩვენ განფრენით" (ფს. 123. 7). ამბობს წინასწარმეტყველი დავითი. არაა ეს ჩიტი მიწიერი; ბეკიურია იგი და საცხოვრებელიც, რომელიც ნათლობიდან დაწყებული დაშაბდდება ჩუენთვის, წერილის თანახმად, ცაში იმყოფება".

ილიოპოლის ეპისკოპოსმა ლინსმა ნონმა, როცა ანტიოქიაში იმყოფებოდა და სურდა ღმერთისკენ მოუქცია აშკარა ცოდვითი ძეგლი, ღამით სიმშარში ასეთი რამ იხილა: წარსოუდგა, რომ იგი დგას ეკლესიაში ღმერთისაგან და აი მის ახლოს

ფრენა დაიწყო შავმა მტრედმა, ამოსვრილმა ტალახში. ნონმა აიყვანა მტრედი, განზანა ეშაბში და იგი თოვლივით თეთრი და სუფთა აქედან პირდაპირ ცისკენ გაფრინდა. ეს გამოცხადება იმის მაჩვენებელი იყო, რომ ნეტარი მამა პელაგიას მოაქცევდა უფლისაგან და გაანათებდა მის გონებას წმიდა ნათლობით. მაშასადამე, წყლები ნათლისღებისა ისეთი ძლიერია, რომ შეუძლია ადამიანი გადააქციოს ზეციურ ფრინველად. იორდანის წყლები აკეთებენ ამას; ისინი ანიჭებენ ადამიანს ფრთებს; მაგრამ ღვთის განცხადება მარტო ადამიანის ბუნების განახლებას როდი გამოხატავს. ჩვენ ვიცით, რომ წმიდა წერილი მამა ღმერთს ამსგავსებს არწივს (მეორე რეული 32. 11). ვკითხულობთ აგრეთვე, რომ ძელმერთი მსგავსია კრუბისა: "იერუსალიმ, იერუსალიმ... რამდენჯერ მინდოდა შენთა შვილთა შეკრება, როგორც ფრინველი კრებს თავის ბარტყებს ფრთებქვეშ" (მათ. 23. 37). ვიცით აგრეთვე, რომ ღმერთი - სულიწმიდა იორდანზე გამოცხადდა მტრედის სახით. რატომაა, რომ სამების პირები ემსგავსებიან აღნიშნულ ფრინველთა სამ გვარს? - ჭეშმარიტად იმიტომ, რომ მათ ნათლისღების წყლიდან სულიერად ამოჰყავთ გუნდი ასეთივე ბარტყებისა, ე.ი. გარდაქმნიან ადამიანებს ვის არწივის, ვის კრუბის და ვის კიდევ მტრედის მსგავს სულიერ ბარტყებად.

ღვთიურ სამკვიდრებელში ცაზე მოზიმიე ეკლესია ღვთის ერთგულ მსახურებს ჰყოფს სამ მთავარ სახედ. მასწავლებლების (მოდერების), მოწამეების და უმანკობის სახედ. ჩვენ არ შევცდებით თუ ვიტყვი, რომ ეს სამი სახე არსია ნათლობის წყლებიდან ამოყვანილი ბარტყების სამი სახისა. სახე მასწავლებლებისა - ესაა გუნდი არწივებისა, რომლებიც დალივლივებენ ცაში და თვალის დაუხამამებლად შესცქერიან მშეს, რამეთუ წმიდა მოძღვრები, განათლებულნი და განვითარებულნი ღვთის შემწეობით, როგორც ფრთოსნები, დაფრინავენ მადლა და ნათელი გონებით, როგორც თვალებით, უცქერიან რა სამ ბრწყინვალე ღვთაებას, ანათლებენ როგორც საკუთარ თავს, ისე სხვებსაც სიბრძნით.

სახე მოწამისა - ესაა გუნდი მრავალშვილიანი კრუბისა, რამეთუ მათ ქრისტესათვის საკუთარი სისხლის დაღვრით უშეეს იესოს სხვა ზევრი შვილი: მოწამეთა სისხლმა ნამდვილად შვა შვილები იმ პირველი ეკლესიისათვის, რომელიც გამრავლდა ისე, როგორც ვარსკვლავები ცაზე და ქვიშანი ზღვის ნაპირზე. სახე უმანკობა - ეს გუნდია მტრედებისა, რამეთუ ისინი მთლიანად წარმოადგენენ ცოცხალ მსხვერპლს; ცდილობენ და ზრუნავენ იმაზე, რომ აამონ არა სხეულს, არამედ მარტო ღმერთს. ეს

სამი გუნდი სულიერი ფრინველებისა ნათლისღების წყლებში დაიბადა. ენახოთ როგორ ხდება ეს "მომაპყარ თვალნი შენი უფალო ყოვლადმოწყალოვ ნუ განმეშორები მე, რამეთუ შენი წყალობით მე ვხლები ცაში მონაფარდო ფრინველი," ნათქვამია წმ. წერილში. იორდანზე; თავისი გამოცხადებით ღმერთმა მოაპყრო თვალი, მოჰხედა ადამიანთა ბუნებას; მოჰხედა მამა ღმერთმა და ძის თავზე განიხნა ცა; მოჰხედა ძელმერთმა, მოსულმა გალიელის ნაზარეთიდან ნათლისღებისთვის იოანესთან; მოჰხედა ვაშობ, რამეთუ ადამის ცოდვის ყველა სიბინძურე, ჩვენი ბუნების უძღურება შეკრება მან და მოიტანა აქ, რათა განეხანა იგი და განვეწმიდეთ ჩვენ ცოდვებისაგან. მოჰხედა ღმერთმა სულიწმიდამ, გარდამოსულმა ღვთიურ ადამიანზე ნათლობისა... მოგვხედა სამერთიანმა ღმერთმა და განა შეიძღვროდა ფრთები არ შეესხა ადამიანურ ბუნებას? შეასხა ფრთები მან ჩვენს ბუნებას, რამეთუ ამ ღვთიური მოხედვის შემდეგ მაშინვე გახილნენ არწივთა, კრუბთა და მტრედთა გუნდები, ე.ი. მოძღვრების, მოწამეებისა და უბიწოების სახეები. ავხსნათ ეს წმიდა წერილზე დაყრდნობით.

ღვთისმეტყველმა გამოცხადებაში იხილა ღვთის ტახტის წინ ბროლის მსგავსი მინის ზღვა (გამოცხ. 4. 6). ეს ზღვა აღნიშნავს ნათლისღების საიდუმლოებას, რამეთუ ღვთის ტახტსა და ამ ტახტთან მიახლოების მსურველ ადამიანს შორის არის ნათლისღების წყალი და არავის შეუძლია მიუახლოვდეს ზეციურ ტახტზე მჯდომარე უფალს, თუ არ გადავა ნათლობის ამ ზღვას. აი, რას წერს მახარებელი: "იესომ უპასუხა: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: თუ ვინმე წყლისა და სულისაგან არ იმეება, ვერ შესძლებს ღმერთის სასუვეველში შესვლას" (იოან. 3. 5). მაგრამ რატომაა ნათლისღების ამსახველი ზღვა მინისა და ბროლისა? ღვთის წერილის განმმარტებელნი ამბობენ: იგი იმიტომაა მინის, რომ ნათლობის მიმღები სულის განმწმენდი სისუფთავე აქვს, ხოლო ბროლის მისთვის, რომ სიმტკიცეს აძლევს ადამიანის გულს; მინისა და ბროლისაა რადგან, როგორც მინასა და ბროლს შუა გადის მზის სხივი, ასევე ღვთის წყალობა ნათლობის საიდუმლოების საშუალებით აღწევს ადამიანთან, მოდის ამ გზით მასთან და ანათებს მისი სულის ტაძარს... და ბოლოს იმიტომაა ეს ზღვა მინისა და ბროლის, რომ ყოვლადწმიდა სამება, მჯდარი ტახტზე, გამოისახოს და ხილული იქნეს მასში, როგორც მინისა და ბროლის სარკეში, რამეთუ სამების სახე წმიდა ნათლისღების დროს განცხადდა.

"წარვედით - სთქვა იესომ - და გაიხადეთ მოწამეებად ყველა ხალხი, მონათლეთ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა" (მათე


28. 19)

ვიმეტყვოთ: თუ მამა ღმერთი დაბრძანდება ტახტზე, როგორც არწივი, მაშინ ტახტის წინ მდებარე ზღვაში, როგორც მინისა და ბროლის სარკეში, უნდა გამოიხატოს არწივის სახე; თუ ძე ღმერთი დაბრძანდება ტახტზე როგორც კრუხი, რამეთუ იგი თვითონ უწოდებს ასე თავის თავს სახარებაში, მაშინ ტახტის წინ მდებარე ზღვაში უნდა გამოიხატოს კრუხის სახე, როგორც სარკეში. თუ სულიწმიდა დაბრძანდება ამ ტახტზე, როგორც მტრედი, მაშინ ზღვაში მტრედის სახე უნდა გამოიხატოს. აუხსნათ ახლა ამ სახეების სულიერი აზრი.

ჩვენი ვთქვით, რომ ღვთის ტახტის წინ არსებული ზღვა აღნიშნავს წმიდა ნათლისღების საიდუმლოებას, რომელშიც ჩვენი ზუნება იწმიდება, როგორც მინა, ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისაგან (2 კორ. 7. 1). ჩვენი სული ნათლდება და მტკიცდება, როგორც ბროლი... და, როცა ღმერთი სამებაში უცქერის ჩვენი ნათლობის დროს ამ საიდუმლო მინასა და ბროლს, მაშინ ჭეშმარიტად მასში ცხადდება სამების სახე. იმისდა მიხედვით, უცქერის მამა ღმერთი როგორც სულიერი არწივი, ან ძე ღმერთი, როგორც სულიერი კრუხი, ან ღმერთი. სულიწმიდა, როგორც სულიერი მტრედი, საიდუმლო მინა და ბროლი, ე.ი. ჩვენი ნათელღებული ზუნება ყოველთვის ამჟღავნებს იმ სულიერი ფრინველების გამოსახულებას და ხდება ბარტყი ან არწივის, ან კრუხის, ან მტრედის; ე.ი. ხდება ღვთის შვილი, შვილი უფლისა, ერთიანისა სამებაში მამისა და ძისა და სულისა წმიდისა (იოან. 1. 12).

ყოვლადწმიდა სამებას მოჰხედა ადამიანურ ზუნებას, ნათლისღებულს იორდანის წყლებში და გამოისახა მასში; ფრთები შეასხა, სულიერი ფრთები შეასხა არწივს, კრუხისა და მტრედის ბარტყებს; გამარავლა ეკლესიებში მოძღვრები, მოწამეები და უბიწონი. მასასადაძე, ნათელია, რომ ყოვლადწმიდა სამების თითოეულმა პირმა იორდანის წყლებიდან ამოიყვანა თავისი განსაკუთრებული სულიერი ბარტყები. მამა ღმერთმა, როგორც არწივმა, იორდანიდან ამოიყვანა სულიერი არწივები, ე.ი. ეკლესიის სულიერი მოძღვრები. წმ. კირილე იერუსალიმელი ამბობს: "საწყისი ქვეყნიერებისა არის წყალი, საწყისი სახარებისა კი იორდანე. წყლიდან ამობრწყინდა დღის სინათლე, რამეთუ თავდაპირველად წყლის ბემით მიმოქცევადმა ღვთის სულმა ბრძანა სიბნელიდან ამობრწყინებულიყო სინათლე. იორდანიდან ამობრწყინდა წმ. სახარების შუქი. საიდან დაიწყო თავისი მოძღვრება მსოფლიოს პირველმა მოძღვარმა ქრისტემ, ღვთიურმა ძალამ

და ღვთიურმა სიბრძნემ? განა არა იორდანის წყლებიდან? დიახ... "იმ დროიდან დაიწყო იესომ ქადაგება: "შინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია სასუფეველი ცათა" (მათ. 4. 17)... და მაშინვე მასთან გაჩნდნენ წმიდა მოძღვრები - წმიდა მოციქულები, რომლებიც მან საქადაგებლად გაგზავნა. ამგვარად, წყლებმა მისცეს სიცოცხლე როგორც ზუნებრივ, ასევე სულიერ ფრინველებს. საიდან იქნენ მოხმობილნი ღვთის მიერ პეტრე და ანდრია, იაკობი და იოანე, განა არა წყლიდან? ნუთუ მეზადურთაგან არ ამოარჩია უფალმა მოციქულები? განა იაკობის წყაროდან არ გამოცხადდა სამართლელი დედაკაცი თავის ქალაქში იესოს შესახებ ქადაგებით? (იოან. 4. 6. 7). განა სილუამის ემზაზიდან არ გამოვიდა მხედველობადაბრუნებული ბრმა, როგორც მოწამე ქრისტეს ძალის საოცრებისა? ყველაფერი ეს ხომ მითითებაა ნათლისღებაზე, რომელშიც ინკურნება სულიერი სიბრმავე, ჩამორევცხება ცოდვები და ეკლესიის მოძღვრები იღებენ ღვთიურ სიბრძნეს, რამეთუ ნათლობით მიეცემა ადამიანს ის წყალობა, რომლის საშუალებით შეუძლია შეიძინოს დიდი გონიერება; აქედანვე ებრძებათ სულიერი ფრთები. ღმერთი ძე, როგორც კრუხი აგროვებს თავის ფრთების ქვეშ გაფანტულ შვილებს, ამოჰყავს ნათლობის წყლიდან თავისი ბარტყები, თავისი მოწამეები; თვითონ ყველაზე ადრე სწირავს თავს ჩვენი გულისათვის, ჭრილობებისათვის გასწირავს თავის სხეულს, ჭვარს ეცემება... რათა ჩვენც მუდამ მზად ვიყოთ მოვკვდეთ მისი გულისათვის. გაიხსენეთ მოციქულის სიტყვები: ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოინათლეთ ქრისტე იესოს მიერ, მისი სიკვდილის მიმართ მოვინათლეთ? ეს თითქმის იგივეა, მოციქულს რომ ვთქვა (რომ. 6. 3). "ყველა, ვინც ქრისტეს მიერ მოინათლა, მისთვის უნდა მოკვდეს; ვინაიდან თუ დავგენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში, ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას". განა არ იყვნენ წმიდა მოწამენი, რომელთაც თავი შესწირეს იესოს. "შენთვის მოვწყდებით ჩვენ მარადღე, შევირაცხებით ჩვენ ვითარცა ცხოვარნი კლვადნი" (ფს. 73. 23). საერთოდ, კრუხს ჩვეულებად აქვს ამოარჩიოს საკვებში საუკეთესო მარცვალი და დაუძახოს თავის ბარტყებს. თუ ვაღიარებთ, რომ ყველა სათნოება არსია სულიერი საკვებისა, მაშინ ისიც უნდა შევიმეცნოთ, რომ არ არსებობს იმაზე უმაღლესი სათნოება, ვიდრე ეს სიყვარულია. "ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული" (1 კორ. 13. 13). იმაზე მეტი სიყვარული არაა, ვინაიდან, ვიდრე მას, ვინც თავის სულს დასდებს თავისი მეგობრისათვის" (იოან. 15. 13). სიყვარულის ეს მარცვალი იბოვა და



ამაზე მიუთითა კრებმა, ქრისტე ღმერთმა თავის ბარტყებს. მან თავი დასდო მეგობრებისათვის. "თქვენ, - უთხრა მან მოციქულებს - ჩემი მეგობრები ხართ, თუ გააკეთებთ რასაც მცნებად გიღებთ" (იოან. 15. 14). ამ მარცვალთან მოგროვდნენ ბარტყები - წმიდა მოწამენი და სიყვარულით ანთებულემა თავი დასდეს უფლისთვის. საიდან მოუწოდა ამ ბარტყებს იესომ, საიდან მოვიდნენ ისინი სიყვარულის მარცვალთან? განა არა ნათლობის წყლიდან, რომელშიც ისინი მისი სიკვდილის მიმართ მონათლნენ? მოუკმინოთ წმიდა ანასტასი სინაელს თუ რას ამბობს იმ კეთილგონიერი ავაზაკის შესახებ, რომლისთვისაც იესოს გახურეტილი ნეკნიდან გამოშავალი წყალი ნათლობის წყლად გადაიქცა.

ღმერთს - სულიწმიდას, როგორც მტრებს, ნათლობის წყლიდან ამოჰყავს თავისი ბარტყები სუთები, როგორც სხუელით, ასევე სულით. ე.ი. უბიწონი, რამეთუ მანამ ადამიანური ბუნება უფალ იესო ქრისტეს სახით სულიწმიდის გარდამოსვლით და მოქმედებით არ იქნა შეერთებული ღვთაებრივთან და განზნანილი იორდანის წყლებით, მანამ ცოლქმრობა ქალწულობაზე მდლდა იდგა და ქალწულებრივი სისუფთავის დაცვა ქრისტეს ღიღებისათვის არ იყო ცნობილი. "ხორცისაგან შობილი ხორცი" (იოან. 3. 6). მაშინ მხოლოდ ხორცი იზადებოდა, სული უნაყოფო რჩებოდა. როცა ადამიანური ბუნება მოვიდა იორდანზე და მასზე გარდამოვიდა სულიწმიდა, მაშინ უეცრად სულისაგან ცხოვრებაში დაიბადა ცოლქმრობაზე უფრო მაღალი-ქალწულობა, მსწრაფველი არა ხორციელისაკენ, არამედ სულიერისაკენ. "სულისაგან შობილი სულია" (იოან. 3. 6). ხოლო რადგან სული მეტია ხორცზე, ამიტომ სიქალწულე ვახდა უფრო პატივსაცემი, ვიდრე ცოლქმრული კავშირი.

სულიწმიდა, წინასწარმეტყველის სიტყვებით, როგორც ღვინო, იღვრება და წარმოქმნის ქალწულებას, რამეთუ იქ, სადაც სულიწმიდა აფრქვევს თავის მადლს, არ შეიძლება არ დაიბადოს უმანკობა. ნეტარი იერონიმი თავის თარგმანში კარგად გადმოგვცემს სიტყვებს: "ღვინო წარმოქმნილია სიქალწულისა" - მნიშვნელობას... და მართლაც, ის ღვინო სულიწმიდის მადლისა გადმოიღვარა ოდესღაც მოციქულებზე და დაათრო ისინი, გარდაქმნა ისინი ისეთ უბიწოებად, რომ მათში არ დარჩა არავითარი ბადი. ისინი მტრედებოვით უმანკონი გახდნენ. ამჟამად იღვრება ის ღვინო იორდანის წყლებზე და განა ვინ იქნება ისეთი, რომ ეჭვს შეიტანს იმაში, რომ წყლები ნათლისღებისა, შერეული სულიწმიდის ღვინოსთან, წინასწარმეტყველის სიტყვების "ღვინო წარმოქმნილია სიქალწულისა" თანახმად,

წარმოქმნის სიქალწულეს, და, ამასთანავე, ისეთს, რომლის შესახებ მოციქული ამბობს: "თავგამოდებული ვარ თქვენს მიმართ ღვთაებრივი თავგამოდებით, რათა წმიდა ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე" (2 კორ. II. 2). ღმერთთან ჩვენი ბუნების სულიერი შეუღლებით იზადება უმანკობა, რომელსაც სულიწმიდა ნათლობის წყლებიდან ამოყვანის შემდეგ ზეციურ სავანეში აიყვანს.

ამგვარად, სამების თითოეულმა წევრმა, რომელიც გამოცხადდა იორდანზე, ნათლობის წყლებიდან ამოიყვანა თავისი განსაკუთრებული სულიერი ბარტყები და მოუწოდებს მათ სათნოების ფრთებით ფრენას ცის განხმულ კარში.

უპირველესად მამა ღმერთი მოუწოდებს თავის ბარტყებს საფრენად, მოუწოდებს სულიერ არწივებს, ე.ი. მოძღვრებს, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული ფრთები. როგორია ეს განსაკუთრებული ფრთები? უაქველია, რომ მათ ყველასათვის საჭირო სათნოებების გარდა აქვთ კიდევ ორი: საქმე და სიტყვა; მხოლოდ ის არის ეკლესიის მოძღვარი, ის არის მალა მონანავე არწივი, რომელიც საქმით ასრულებს იმას, რასაც ასწავლის სხვებს სიტყვებით. ის, რომ ფრთები სულიერი არწივებისა ნამდვილად არის სიტყვა და საქმე, ეს აშკარად ჩანს იემეკიელის წიგნში. მან ერთხელ იხილა ოთხი ცხოველი; თითოეულს ოთხი ფრთა ესხა. მათ მოჰქონდათ ღვთის საყდარი. ხმაურს გამოსცემდნენ ცხოველები ამ ფრთებით; ქუხილის მსგავს ხმაურს; უცნაური იყო ეს გალობა; მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ეს გალობა ყელიდან კი არ გამოდიოდა, არამედ ფრთებიდან; სიტყვებს ენა არ წარმოსთქვამდა, არც ზაგენი სიმღერას, გალობდნენ ისინი, ადიდებდნენ ღმერთს, მაგრამ არა მჭკრემეტყველური ენით და ზაგეებით, არამედ იმ ფრთებით, რომლითაც დაფრინავდნენ. რა საიდუმლოება იფარება აქ? აი რა: ცხოველები, რომლებსაც მიჰქონდათ ღვთის საყდარი, წარმოადგენენ ეკლესიის მოძღვრებს, ღვთის სახელის მიუღ ქვეყნიერებაზე გამავრცელებელ რჩეულ ჭურჭლებს; ისინი ვალდებულნი არიან თავიანთი მოძღვრებით სწორ, გზაზე ატარონ ღვთის საყდარი, რომელშიც იმყოფება ათეულ ათასობით მორწმუნე სული; ატარონ ჭეშმარიტების გზაზე, ზეცისაკენ მიმავალ გზაზე, ქრისტეს ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე. ფრთები ამ ცხოველებისა, რომლებიც გალობენ და ხმას გამოსცემენ, აღნიშნავს სიტყვას და საქმეს. ფრთები, რომლებიც ფრენის შესაძლებლობას იძლევა, მიუთითებს იმაზე, რომ ეკლესიის მოძღვრები თვითონ უნდა იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, სათნოების ნიმუში; ეკლესიის მოძღვარი თავისი ღვთისმოსაური ცხოვრებით

ყველას წინაშე პირველად თვითონ უნდა ამალდეს ცად, როგორც ფრთოსანი ფრინველი. ხმა, გამოსული ფრთებიდან, აღნიშნავს მოძღვრულ სიტყვას. მოძღვარმა უნდა გამოსცეს ისეთი ხმა, რომელიც შესაბამისი იქნება მისი ფრენის ძალასთან, ე.ი. უნდა ასწავლოს "ფარას" და ამავე დროს ვალდებული იცხოვროს ისე, როგორც სხვას მოძღვრავს. თუ მოძღვარს არა აქვს ღვთის მაამებელი ფრთები, ისე მისი მოძღვრება კეთილ ნაყოფს ვერ გამოიღებს. მხოლოდ ის მოძღვარი ამალდება იორდანის ზემოთ განხმულ ცამდე, რომელიც დაფრინავს არა მარტო ერთით – სიტყვის ერთით, არამედ მეთრითაც – თავისი სათნოებრივი ცხოვრების ერთითაც, რომელიც ერთსა და იმავე დროს გვასწავლის სიტყვით და საქმით, არც ისე ადვილად აპყავს მოძღვარი და მისი მოწაფე ცამდე სიტყვას ან ტკილხმოვან ბაგეებს, როგორც კეთილი საქმეების ერთებს.

ძე ღმერთი, როგორც კრები, მოუწოდებს თავის ბარტყებს საფრენად. ეს ბარტყეხია წმიდა მოწამენი. ფრთები სათნოებისა, რომელიც მიეკუთვნებათ მათ, ყველასათვის აუცილებელი სათნოებების გარდა, არის რწმენა და აღსარება. ამ ორი მოწამებრივი ფრთების შესახებ მოციქული ლაპარაკობს შემდეგს: "თუ შენი პირით აღიარებ, რომ იესო უფალია და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები, რამეთუ გულით სწამთ სიმართლეს, ხოლო პირით აღიარებენ გადარსარებად" (რომ. 10. 10). ურყევი რწმენა გულში – ერთი ფრთაა; გაბეღული აღიარება ქრისტესი მეფეების და მწვალებლების წინაშე – ფრთაა მეორე. პირველი სულიერი ფრინველი, კეთილგონიერი ავაზაკი სწორედ რწმენისა და აღსარების ამ ფრთებით შეფრინდა სამოთხეში, რამეთუ, როცა უფალი ჩვენი ხსნისთვის ჯვარზე იყო გაკრული, როცა მას განუდგა თვით პეტრე, მხოლოდ იმ ერთმა კეთილგონიერმა ავაზაკმა ირწმუნა იგი გულით და აღიარა ბაგით, როგორც მეფე და უფალი. "გამიხსენე, იესო, როცა შენს სასუფეველში მიხვალ, უთხრა მან. ო, რა დიდი იყო ეს რწმენა ავაზაკისა მაშინ, როცა მოწაფეებში შესამჩნევად დაქინდა იგი. ყველა ცდუნდა, არ ცდუნდა მხოლოდ ავაზაკი და რწმენით შევედრდა მას... ამიტომაც მიიღო პასუხი: "ქეშმარიტად გეუბნები: შენ დღეს ჩემთან იქნები სამოთხეში". წმიდა ამბროსი ასე ლაპარაკობს ამის შესახებ: "იმ დროს, როცა სამოთხეში მიიღო ქრისტე, მიღებულ იქნა ავაზაკიც, მაგრამ ეს დიდება მას მხოლოდ რწმენამ მოუტანა".

ამგვარად, ნათელია, რომ ის ჩიტი, ე.ი. ქრისტესთან ერთად ჯვარზე გაკრული მოწამე

სამოთხეში შეფრინდა არა სხვა რომელიმე, არამედ რწმენის ფრთებით, რომელიც აღიარა ბაგით. "ეს დიდება, – ამბობს წმიდა ამბროსი – მიანიჭა ავაზაკს რწმენამ".

ღმერთი სულიწმიდა, გამოცხადებული მტრედის სახით, მოუწოდებს თავის ბარტყებს – უმანკოებს, რამეთუ მისი დამახასიათებელი თვისებაა გადააქციოს ადამიანი ფრთოსან ჩიტად. განსაკუთრებული სათნოების ფრთები ამ მტრედებისათვის არის სხეულისა და სულის მოკვდინება. ის, რომ სხეულის მოკვდინება იმ ორი, ზეცისაკენ აღმავალი ფრთიდან ერთ-ერთი ფრთაა, ამაზე წმიდა ამბროსი (მედიოლანელი), განმარტავს არ სახარების სიტყვებს, ამბობს: სხეული, რომელიც მზად არის შეასრულოს ღვთის კანონი და, რომელმაც განაგლო ცოდვები, თავისი გრძნობების სისუფთავით უტოლდება სულის ზუნებას და სულიერი ფრთებით მალდება ცამდე". აქ წმიდა მასწავლებელი ლაპარაკობს სხეულის სულთან გატოლებაზე, როცა შედეგობაში აქვს სხეულის მოკვდინება, როცა სხეულის ნამდვილი ზუნება როგორღაც გადადის სულის ზუნებაში, როცა ცუდი ემორჩილება კარგს, როცა სხეული ემსახურება სულს, როცა ადამიანი თავისუფლდება ცოდვებისაგან და სწმენდს თავის გრძნობებს, რაც შეუძლებელია სხეულის მოკვდინების გარეშე.

ადამიანი, რომელიც მოაკვდინებს სხეულს, ხდება მსუბუქი და როგორც ფრთოსანი ჩიტი, მალდება ცამდე სულიერი ფრთებით. ამგვარად, სხეულის მოკვდინება უმანკოებისათვის, არის პირველი ფრთა, რამეთუ სიწმიდის დამცველმა უბირველესად უნდა მოაკვდინოს სხეული: "მური და შტახსი და კასია სამოსელთაგან შენთა, ტადართაგან სპილოსი ძულისთა, რომელთა გახარეს შენ" (ფს. 44. 8). აქ ღვთიური წერილის განმმარტავნი მურის ქვეშ გულისხმობენ ვნებების მოკვდინებას.

მური – კეთილსურნელოვანი ფისია ზალზამის ხისა, რომელიც იზრდება არაზეთსა და ეთიოპიაში. იგი იხმარება საცხად, განსაკუთრებით კი მკვდრის ზალზამირებისათვის.

შტახსიც – არომატული საცხია; იხმარება სხეულებისაგან განსაკურნავად.

კასია – თხელ და კეთილსურნელოვან ხის ქერუს ეწოდება, რომლითაც შემოსილია ხის ტოტები. იგი კეთილსურნელოვანი საცხის შემადგენელი ნაწილია; იხმარება აგრეთვე, როგორც განსაკუთრებული სამკურნალო საშუალება.

შტახსში იგულისხმება მორჩილება, ხოლო კასიას ქვეშ – რწმენა. ეს კეთილსურნელებანი ამოღიან ქრისტეს სამოსიდან, ე.ი. მისი წმიდა

ეკლესიიდან, მორწმუნეთაგან, რომლებითაც შეიმოსა იგი, როგორც სამოსლით, მიიღო სხეული და დამკვიდრდა სუფთად და წმიდად მცხოვრებში.

ამგვარად, სულიწმიდა ამბობს: ვნებების მოკვდინება, მორჩილება და რწმენა, როგორც ძვირფასი ნელსაცხებელი, კეთილსურნელებს აფრქვევენ წინაშე მამისა შენისა შენი ეკლესიისაგან, სუფთა და უმანკო ადამიანებისაგან, რომლებიც იცავენ ამ სათნოებებს თავიანთ გულებში, როგორც სანელსაცხებლე ჭურჭელში... მაგრამ საკითხავია: რატომაა, რომ სულიწმიდა აქებს რა ქრისტეს ეკლესიის სხვადასხვა სათნოებისათვის, უპირველესად აღიღებს მას ვნებების მოკვდინებისათვის. აყენებს პირველ ადგილზე სმირნას? – იმიტომ, რომ არაკანონიერი გულისთქმების ჩახშობას, სხეულბრივი ავბორცობის შეწყვეტას, სხეულის მოკვდინებას, როგორც წინამძღოლს ისე მოჰყვებიან უკან სხვა დანარჩენი სათნოებანი. ამგვარად, სულიწმიდის სულიერ ბარტყებს, რომელთაც სურთ ზუღედ ჰქონდეთ ცა, აუცლებლად ესაჭიროებათ ეს ფრთა, ე.ი. სხეულის მოკვდინება. მეორე ფრთა არის სულის მოკვდინება. ეს ნიშნავს იმას, რომ მარტო საქმით ცოდვისაგან თავის შეკავება არ გვიშველის, თუ გონებით აყვებით ცულზე ფიქრს. შეიძლება ადამიანი წმიდა იყოს სხეულით, მაგრამ ჰქონდეს სხვადასხვა

არაშესაფერის სურვილები, გულისთქმებით ავბორცობდეს. ტყუილად როდი ამბობს მოციქული: "განვიწმიდით ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისაგან, ღმერთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე" (2 კორ. 7. 1). ეს სიტყვები მოწმობენ, რომ არსებობს ორმაგი მანკი – უწმიდურობა სხეულისა და არაწმიდება სულისა. სხეული მიჩვეულია გამოამჟღავნოს ეს უწმინდურობა საქმით, ხოლო სული – გულისთქმებით, ტყუილად იქებს თავს თავისი სიწმიდით და იმედი აქვს მიაღწიოს ზეციურ დიდებას ის უმანკოება, რომელიც იცავს გახრწნისაგან მხოლოდ სხეულს, ხოლო სულს გაბნეობილი გულისთქმებისა და ნდომისაგან არ სწმენდს. როგორც ჩიტს არ. შეუძლია ერთი ფრთით ფრენა, ასევე უმანკო მარტო სხეულბრივი სიწმიდით ვერ მიაღწევს ღვთის სახლს. ის ვინც იცავს, როგორც სხეულის, ასევე სულის სიწმიდეს, მტრედივით აფრინდება ცისკენ.

ამგვარად ჩვენ მოვისმინეთ, თუ რა გააკეთა სამსახურებმა ერთიანმა ღმერთმა იორდანის წყლებზე განცხადებისას სამყაროს განახლებისთვის; როგორ ამოიყვანა ნათლობის წყლიდან ეკლესიის სულიერი ბარტყები: მოძღვრები, მოწამენი, უმანკონი... და როგორ მოუწოდა მათ საფრენად ცისკენ.

დიდება და თავყვანისცემა მამასა და ძესა და წმიდასა სულსა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

სიტყვა უფლის წინადაცვეთაზე

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ შობიდან მერვე დღეს იწება მიეღო წინადაცვეთა. ერთის მხრივ, მან ეს გააკეთა იმისათვის, რომ აღესრულებინა სჯული (მათ. 5. 17); ღვთის ძე დაემორჩილა მოსეს სჯულის მოთხოვნებს "სჯულის ქვეშ მყოფთა გამოსასყიდად, რათა მიგველო შეიღობა" (გალ. 4. 5). მეორე მხრივ, წინადაცვეთა მან მიიღო, რათა ერეტოკოსებისათვის ეჩვენებინა მათი მოძღვრების სიყალბე; დაერწმუნებინა ისინი, რომ მან სინამდვილეში შეისბა ხორცი, მიიღო ადამიანური სხეული და ამით დაეხმო მათთვის პირი, რომელნიც ქადაგებდნენ, თითქოს, ღმერთს არ შეეძლო მიეღო

ადამიანური უძლური სხეული. ეფრემ ასური ამბობს: თუკი ქრისტე არ იყო სხეულში, მაშინ როგორ მოხდა მისი წინადაცვეთა?... მაგრამ რადგან ის იყო სხეულში, წინადაცვეთაც მიიღო, როგორც ადამიანმა. ჩვილი საკუთარ სისხლში შეიღება, როგორც ადამიანის ძე. მას ტკოდა და ტიროდა ტკივილისაგან ისე, როგორც ეს ადამიანის ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. მან მიიღო ხორციელი წინადაცვეთა, რათა ჩვენთვის დაეწესებინა სულიერი წინადაცვეთა, ე.ი. ნათლობა, რომელიც სწმენდს ადამიანს ცოდვიანი ვნებებისაგან. ამით ამოწურა მან ძველი აღთქმა, რომელიც

შეიცავდა უმეტესად დადგენილებებს ადამიანის გარეგნული ქცევის შესახებ და საფუძველი დაულო ახალს, სულიერს... და როგორც ძველი აღთქმის ხორციელი ადამიანი იჭრიდა თავისი სხეულის მგრძობიარე ნაწილს, ასევე ახალ, სულიერ ადამიანს უნდა მოეკვია სულიერი ვნებები: შფოთი, რისხვა, შური, სიამაყე, უწმინდური ზრახვანი და სხვა ცოდვილიანი გულისთქმები.

იესომ წინადაცვეთა მიიღო მე-8 დღეს და ეს იმიტომ, რომ თავისი სისხლით წინასწარ გამოესახა ჩვენთვის მომავალი ცხოვრება, რომელსაც ეკლესიის მამები უწოდებენ მე-8 დღეს ანუ საუკუნეს. წმ. გრიგორ ნოსელი ამბობს: წინადაცვეთა, კანონის თანახმად, სრულდებოდა მე-8 დღეს; ამასთანავე, რიცხვი რვა უჩვენებდა მომავალ მერვე საუკუნეს. რიცხვი შეიდი წმიდა წერილში აღნიშნავს სისრულეს. იმისათვის, რათა გამოეხატათ ამქვეყნიური ცხოვრების ხანგრძლივობა, წმიდა მამები ხმარობდნენ გამოთქმას: "შეიდი საუკუნე" ანუ "დღე", ხოლო "მერვე საუკუნე" აღნიშნავდა მომავალ ცხოვრებას.

აღსანიშნავია იმის ცოდნაც, რომ ძველ აღთქმაში წინადაცვეთა ნიშნავდა ნათლობას და წინაპართა ცოდვებისაგან განწმენდას. მართალია, ის ცოდვები წინადაცვეთით როდი განიღვებებოდა და არც შეიძლებოდა ამით განწმენდილიყო ადამიანი მანამ, ვიდრე ქრისტე ჩვენთვის ნებაყოფლობით არ დაღვრიდა თავის უწმიდეს სისხლს, არ გაეკურებოდა ჭვარზე.

წინადაცვეთა მხოლოდ პირველსახე იყო ჭეშმარიტი განწმენდისა და არა ჭეშმარიტი განწმენდა, რომელიც აღასრულა უფალმა ჩვენმა "და წაშალა ხელწერილი დებულებებით, რომელიც იყო ჩვენს წინააღმდეგ, აიღო იგი წრიდან და ჭვარს მიაღწერს" (კოლ. 2. 14). ხოლო ძველი აღთქმის წინადაცვეთის მაგივრად დაადგინა ახალი, კურთხეული ნათლობა წყლით და სულიწმიდით. ცოდვები იდგა გადაუღებავ წინააღმდეგობად ადამიანსა და ღმერთს შორის, მაგრამ შემდეგ ეს ცოდვები ჭვარს მიეღწერს და დაკარგა ყოველგვარი წინააღმდეგობის ძალა. წინადაცვეთა იმ დროისათვის წარმოადგენდა წინაპართა ცოდვებისათვის დასჯას და ნიშანი იყო იმისა, რომ ჩველი, რომელიც იღებდა წინადაცვეთას, ჩასახული იყო უკანონოდ, "რამეთუ ესერა უშულოებათა შინა

მიუდგა და ცოდვათა შინა შშვა მე დედამან ჩემსან" (ფს. 50. 5), რისგანაც ჭრილობა რჩებოდა ყმაწვილის სხეულში. უფალი იესო ქრისტე უცოდველი იყო. იგი ჭეშმარიტი ადამიანია, მაგრამ ადამიანური ცოდვების გარეშე. იგი ბებუნებრივად იშვა, იშვა ყოვლად უბიწო და უქმრო დედისაგან. მას, როგორც უცოდველს და კანონის დამდგენელს, არ უნდა მიეღო კანონის მიერ დადგენილი წინადაცვეთა, მაგრამ რადგან იესო დედამიწაზე მოვიდა კაცობრიობის ცოდვებისაგან გასაწმენდად, რადგან თავის თავზე აიღო კაცობრიობის ყველა ცოდვა, წინადაცვეთაც მოითმინა, როგორც ცოდვილმა. ამით მან უდიდესი მორჩილება გვიჩვენა. გვიჩვენა მორჩილება იმაზე მეტი, ვიდრე ეს მისი შობით იყო ნაჩვენები. თუკი იესომ თავისი შობით "დაიძაბუნა თავი, მიიღო მონის ხატება, გახდა კაცთა მსგავსი და შესახედლობით კაცს დაემსგავსა" (ფილ. 2-7), წინადაცვეთით მან მიიღო ცოდვილის სახე, როგორც ცოდვილი ითმენდა ცოდვილთათვის განკუთვნილ ტკივილს; რაშიც არ იყო დამნაშავე, იმისთვის იტანჯებოდა, "რაც არ წაურომეგია, ის უნდა მიეცა", ე.ი. უნდა მიეღო წინადაცვეთა იმ ცოდვისათვის, რაშიც მონაწილეობა არ მიუღია. წინადაცვეთით დაიწყო იესომ წამება ჩვენთვის და დაასრულა იმ ფიალის ბოლომდე შესმით, რომელიც გამზადებული იყო მისთვის და რომლის შესახებაც ჭვარზე გაკრულმა წარმოსთქვა: "აღსრულდა" (იოან. 19. 30).

ჩველი იესო სისხლის წვეთებს ღვრის წინადაცვეთით, ხოლო შემდეგ ნიაღვრის სახით წამოვა სისხლი იგი მისი სხეულიდან. დაბადებიდანვე ითმენს იესო ტანჯვას, ითმენს მას, რათა შემდეგში შესძლოს უფრო დიდი ტანჯვის დათმენა. ყრმობიდანვე იწყება ღვაწლი გმირობის მისაღწევად. კაცობრიობის ცხოვრება საესეა შრომით. იგი მსგავსია დღისა, რომლისთვისაც დღლა დაბადებაა, ხოლო საღამო – აღსასრული.

ამგვარად, ქრისტე, განდმრთობილი ადამიანი, დიდიდანვე გამოდის თავის საქმეზე სამუშაოდ, იგი იღწვის სიყრმიდან მიმწუხრამდე, "შმის დაზნელებამდე, 9 საათამდე, მთულ დედამიწაზე სიზნელის გამეფებამდე"... და ეუბნება იუდეველებს: "შამაჩემი აქამდე აკეთებს და მეც იმას ვაკეთებ" (იოან. 5. 17).

რას აკეთებს ჩვენთვის უფალი? – ჩვენი

ხსნისათვის ირცება, ცხოვნება უნდა მოუტანოს ქვეყნიერებას... ხოლო იმისათვის, რომ სრულყოფილად აღასრულოს ეს საქმე, მუშაობას იწყებს დილიდანვე, ყრმობიდან, ხორციელი ტკივილის დათმენიდან... ამასთან ერთად, გული შესტკივა ჩვენთვის, როგორც თვისი შვილებისათვის. დილიდანვე თესავს იგი თავისი სისხლით, რათა საღამოს მიიღოს მშვენიერი ნაყოფი ჩვენი გამოსყიდვისა. განდობითობილ ჩვილს წინადაცვეთის დროს. უწოდეს სახელი იესო; ეს სახელი მთავარანგელოზმა გაბრიელმა ზეციდან მოიტანა იმ დროს, როცა ქალწულ მარიამს ახარა მისი ჩასახვა. ეს სახელი უნდა დაერქმიათ იმ ჩვილისთვის, რომელსაც შობდა ქალწული მარიამი, ე.ი. ეს სახელი დაერქვა მას ჯერ კიდევ ჩასახვამდე ანუ ვიდრე ქალწულ მარიამს ხარებას გამოეცხადებოდა მთავარანგელოზი გაბრიელი და ქალწული იტყოდა: "აჰა, მხევალი უფლისა; დაე იყოს ჩემდა შენი სიტყვისამებრ" (ლუკ. 1. 38.), რამეთუ ამ სიტყვებისთანავე ღვთის სიტყვამ შეისხა ხორცი მის ყოვლადწმიდა მუკელში. ამგვარად, უწმიდესი სახელი "იესო", რომელიც უწოდა მთავარანგელოზმა ჩასახვამდე, მიეცა ქრისტეს, უფალს ჩვენსას წინადაცვეთისას, რაც ჩვენი ხსნის მაუწყებელი იყო, რამეთუ იესო ნიშნავს "ხსნას" (მათ. 121).

წმ. მოციქული პეტრე ასეთი სიტყვებით ამოწმებს ამ სახელის შესახებ: "ეს არის ღოღი, რომელიც უკუაგდეთ თქვენ, მშენებლებმა, და რომელიც ქვაკუთხედად იქნა და არ არსებობს გადარჩევა არც ერთ სხვაში, და არ არის ცისქვეშეთში ხალხისთვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც ჩვენ უნდა ვიქნეთ გადარჩენილნი" (საქ. 4. 11-12).

ეს წმიდა სახელი სამების განზრახვით იქნა უწინარეს ყოველთა საუკუნეთა მომზადებული, დაწერილი და დაცული ამ დრომდე ჩვენი ხსნისათვის; ახლა კი, როგორც შეუფასებელი, ძვირფასი მარგალიტი მოტანილ იქნა ზეციური საგანძურიდან კაცობრიობის გამოსახსნელად და გახსნილ იქნა იოსების მიერ. ამ სახელში გახსნილია "უჩინო და დაფარული სიბრძნე ღვთისა" (ფს. 50. 6); ამ სახელმა მშესავით გაანათა სამყარო, კეთილსურნელოვანი მირონით არომატით აავსო ქვეყნიერება.

"მირონი" - ნათქვამია წერილში - "გადმოღვრილი მირონია სახელი შენი"; არა

ქურჭელში დაცული მირონია სახელი მისი, არამედ - გადმოღვრილი, რამეთუ ქურჭელში შენახულ მირონი დაცულია შიგნით, ხოლო, როცა იგი გადმოიღვრება, მაშინვე კეთილსურნელებს აფრქვევს. უცნობი იყო ძალა იესოს სახელისა მანამ სანამ იმალებოდა "საუკუნო კავშირში", როგორც ქურჭელში, მაგრამ, როგორც კი ეს სახელი გადმოიღვარა ზეციდან დედამიწაზე, არომატული მირონით წყალობის კეთილსურნელებით აავსო ქვეყნიერება და ეს მოხდა წინადაცვეთის დროს ჩვილის სისხლის დაღვრისას. ძალა იესოს სახელისა გაიხსნა; ამ სახელმა განცვიფრებაში მოიყვანა ანგელოზები, გაახარა ადამიანები; შიში და ძრწოლა მოკვარა ეშმაკებს. ამ სახელის ხსენებამე ირყევა ჯოჯობეთი, ქრება ზნეღვთის თავადი, იღვენება სიბნელე კერპთაყვანისმცემლობისა და მის ადგილას ბრწყინდება შუქი ღვთისმოსაობისა (იოან. 1. 9), (ფილ. 2. 10). ეს სახელი მტრის წინააღმდეგ მიმართული ზასრი იარაღია. "იესოს სახელით ყოველთვის დაამარცხებ მტერს" - ამბობს წმ. იოანე კლემანტი, - "რამეთუ ამაზე ძლიერ იარაღს შენ ვერ იპოვი ვერც დედამიწაზე, ვერც ცაზე, ო, რა ტკბილია ქრისტესადმი სიყვარულით ანთებული გულისათვის სახელი იესო! ო, რა სასიამოვნოა იგი მისთვის, ვისაც ჰყავს იგი! რამეთუ იესო მთლიანად სიყვარულია, მთლიანად სიტკბოება; ო, რა წმიდაა სახელი იესო მისი მონისათვის, მისი სიყვარულით დატყვევებული მონისათვის! იესო გონებაში, იესო ზაგებზე, იესო გულში (რომ 10. 10). დადიხარ, მიხარ თუ მუშაობ-იესო მუდამ შენთანაა" (1 კორ. 2. 2).

ვინც გულით მიენდობა და მიეკრება, იმათთვის იესო არის გონების განმანათლებელი, სულის მშვენიერება, სხეულის ჯანმრთელობა, გულის მზიარულება, მწუხარებაში დამხმარე, ნაღველში - სიხარული; ავადმყოფობაში - მკურნალი, იმედი ხსნისა, ხოლო იმათთვის, ვისაც იგი უყვარს, თვითონ იესო არის საჩუქარი.

ოღესღაც, იერონიმის თქმით, ღვთის გამოუთქმელი სახელი "იელოვა" იწერებოდა ოქროს პატარა ფირფიტაზე და მას დიდი მღვდელთმთავარი ატარებდა შუბლზე. ამჟამად სახელი იესო იწერება წინადაცვეთის დროს დაღვრილი მისი ჭეშმარიტი სისხლით; იწერება იგი უკვე არა მატერიალურ ოქროზე, არამედ სულიერზე, ე. ი. იესოს მონათა გულსა და ზაგებზე.

"ის არის ჩემი ამორჩეული ჭურჭელი, რომ ატაროს ჩემი სახელი", - სიტყვა იესომ მოციქულ პავლემ (საქ. 9. 15).

უტკბილეს იესოს სურს, რომ მისი სახელი, როგორც ყველაზე ტკბილი სასმელი, ჭურჭლით დაჰქონდეთ, რამეთუ იგი ჭეშმარიტად ტკბილია ყველასათვის. "განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი; ნეტარ არს კაცი, რომელი ესაფს მას" (ფს. 33. 9).

იგემა იგი წინასწარმეტყველმა და სიტყვა: "შეგიყუარო შენ, უფალო, ძალო ჩემო" (ფს. 17. 2), იგემა მოციქულმა პეტრემ და სიტყვა: "უფალო, ვისთან წავიდეთ? საუკუნო სიცოცხლის სიტყვები შენ გაგაჩნია" (იოან. 68), (მათ. 19. 27).

ამ სახელით ამარცხებდნენ წმიდანები მტერს და არ ემინოდათ საშინელი წამებისა. "ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს? ჭირი თუ შევიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშველე თუ საფრთხე, ანდა მახვილი?.. და მწამს, რომ ვერც სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მმართველობანი, ვერც ძაღნი, ვერც აწმყო და მომაგალი, ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე, ვერც ვერაფერითი სხვა ქნისლება ვერ შესძლებს ღმერთის სიყვარულისაგან ჩვენს ჩამოშორებას" (რომ. 8, 35-38).

როგორ ჭურჭელში სურს იესოს იესო მისი სახელი, როგორი ჭურჭლით სურს ატარონ იგი? - რა თქმა უნდა ოქროსი, რომელიც გამოწრთობილია საფრთხის ქურაში, რომელიც ძვირფასი თვლებივით იესოსათვის ჭრილობებითაა დამშვენებული და რომელიც ამზობს: "ამიერიდან ნუღარავინ შემაწუხებს, რამეთუ უფალ იესოს წყლულებს

ვატარებ ჩემს სხეულში" (გალ. 6. 17). აი, ასეთ ჭურჭელს მოითხოვს ის სიტკბოება, რომლითაც იესოს სახელს სურს ტარება. ტყუილად როდი დღრის სისხლს წინადაცვეთის დროს ამ სახელის მიღებისას იგი; ამით თითქოს ამზობს: ჭურჭელი, რომელსაც სურს ატაროს ჩემი სახელი, უნდა შეიღებოს სისხლით, რამეთუ, როცა უფალმა ამიერიჩაა ჭურჭელი, მოციქული პავლე, რათა მას განეიდებინა მისი სახელი, მაშინვე დაუმატა: "და ვაჩვენებ მას, რაოდენ უნდა იტანჯოს ჩემი სახელისათვის" (საქ. 9. 16).

"შებედე ჩემს ჭურჭელს, სისხლიანს, დაწვლულებულს, - ასე იწერება სახელი იესოსი იმისი სისხლით, ტკივილებით, ტანჯვით, ვინც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვის ცოდვების წინააღმდეგ" (ებრ. 12. 4). ამზორს გიყოფთ შენ სიყვარულით, ო, უტკბილესო სახელი იესო! თაყვანს ვცემთ შენს უწმიდეს სახელს, ო, უტკბილესო და ყოვლადმოწყალეო იესო! ვადიდებთ შენს სახელს მხსნელი ჩვენი; თავს ვბრით წინადაცვეთის დროს დაღვრილი შენი სისხლის წინაშე უბოროტო ყრმაო და სრულქნილო უფალო; გვეძღვებით შენი უწმიდესი სახელისათვის, ჩვენთვის დაღვრილი შენი უძვირფასესი სისხლისათვის, შენი ყოვლადუბიწო დედის სახელისათვის - გადმოღვარე ჩვენზე შენი უხვი წყალობა და მადლი! დაატკე ჩვენი გულები შენით! გვაღირსე ჩვენ, შენს მონებს, იესო, ისეთი სახელები, რომლითაც მიგვიღებენ შენს მომაგალ სამეუფოში, რათა იქ ანგელოზებთან ერთად ვუგალობდეთ ყოვლად მშვენიერსა სახელსა შენსა უკუნითი უკუნისამდე ამინ.

თარგმნა მარიამ წიგწივაძემ



სიყვარულისათვის

"შიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა" (მთ. 22. 37. 38), - ასე აყალიბებს საღვთო წერილი, "სახარება", ქრისტიანული მოძღვრების ძირითად პრინციპს. მართლაც, ქრისტიანული რელიგიით მწიგნობრივი კანონის მთელი არსი და სიკეთის უმთავრესი სტიქია ესაა სიყვარული. არ არსებობს სიკეთე, გარდა ღმერთისა, რადგანაც, როგორც მახარებელი იტყვის, "არავინ არს სახიფო, გარნა მხოლოდ ღმერთი" (მთ. 19. 17). და არ არსებობს სიყვარული გარდა ღმერთისა, რადგანაც, თანახმად მოციქულისა, "ღმერთი სიყვარული არს... და ჩვენ ვცანთ და გურწმენა სიყვარული, რომელი აქუს ღმერთსა ჩვენდა მომართ" (1 იოანე 4. 16). ჩვენი მწიგნობრივი სრულყოფის ხარისხი განისაზღვრება იმ ძალითა და ენერგიით, რომლითაც ჩვენ მივისწრაფვით ღმერთისაკენ, როგორც უმაღლესი სიკეთისაკენ.

ქრისტიანული მოძღვრების არსში ამ უმთავრესი მცნების - სიყვარულის ადგილის განსაზღვრით იწყება ეკლესიის უდიდესი წმიდა მამის კაპადოკიის კესარიის მთავარეპისკოპოსის ბასილი დიდის "ასკეტიკონი". სამოღვაწეოდ ღვთის წინაშე შემდგარი, ანუ ასკეტურ ცხოვრებას მინდობილი ზერები ეკითხებიან წმიდა მამას: "რად არს წესი შემდგომობისაჲ მცნებათა ღმერთისათაჲ". წმ. ბასილი პასუხობს: "... აჰა ესერა თვით თავადმან უფალმან დაღვა შემდგომობისა წესი მცნებათა თუსთაი... პირველად და უდიდესად მცნებად ღმერთისა მიმართ სიყვარული განსაზღვრა". რომელია ის ღვთაებრივი მცნებანი, რომელთა შორის პირველი ღმერთის სიყვარულია? ესენია: გიყვარდეს ღმერთი შენი, გიყვარდეს მოყვასი შენი (მთ. 22. 37-39), "არა კაც ჰკლა, არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილი სწამო, პატიფიცე მამასა შენსა და დედასა შენსა" (მთ. 19. 18. 19). რატომ არის უდიდესი ამ მცნებათა შორის ღმერთის სიყვარული? იმიტომ, რომ ღმერთის სიყვარული მის მცნებათა შესრულებასაც გულისხმობს.

რა არის სიყვარული ღვთისა? როგორ უნდა გიყვარდეს ღმერთი? აი, კითხვა, რომელიც ზვერი ღვთისმოსიშის გონებაში დასმულა. ამიტომ არის,

რომ კაპადოკიის კესარიის მთავარეპისკოპოსს ზერები ღვთაებრივი სიყვარულის არსის ახსნას ვეუდრებიან.

"უსწავლელ არს ღმერთისა მიმართ სიყვარული", - გვასწავლის ბასილი დიდი. - როგორც სინათლის სიხარული, სიკაცხლის სიტკბო და დედის სიყვარული არავის უსწავლებია ჩვენთვის, ასევე და კიდევ უფრო მეტად, არ ისწავლება ღმერთის სიყვარული. ადამიანის აგებულებაში დაბადებიდანვე ჩათესილია სურვილი სიყვარულისკენ სწრაფვისა. არ გამოითქმის, არ აიხსნება ღმერთის მიმართ სიყვარული ისევე, როგორც საღმრთო სიკეთის ზრწყინვალება, ვერ წარმოაჩინებს მას ადამიანის სიტყვა, ვერც ყური მოისმენს.

თუ როგორი ახლობელი, როგორი გასაგები იყო ეს სიბრძნე ძველ საქართველოში ქართველი ქრისტიანი კაცისათვის, კარგად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ სწორედ ამგვარად ახასიათებს საღვთო სიყვარულს შოთა რუსთაველი:

"მას ერთსა მიჭნურობასა ჭკვიანნი ვერ მიშვედებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დაეაღლებიან".

ისიც ნათელია, თუ როგორ უცხოა ეს სიბრძნე ღლევიანდელი ქართველისათვის და როგორ საჭიროა, როგორ აუცილებელია მისი თავიდან შეთვისება, მასთან ხელახლა ზიარება.

კაცი განშორებული საღვთო მცნებათაგან უნდა დაუბრუნდეს მას. ეს შეუძლია ყველა ჩვენთაგანს, რადგანაც, როგორც წმიდა ბასილი გვასწავლის, ძალა საღვთო მცნებათა შესრულებისა მონიჭებული გვაქვს ჩვენ თვითონ მაცხოვრის მიერ. ადამიანი უმაღლესი სასწაულია უფლის შემოქმედებისა. თავის ხატად და თავის მსგავსად შექმნა ღმერთმა კაცი, დაადგინა იგი მუუფედ ქვეყნიერებისა და, როგორც იტყვის წმიდა ბასილი, მანიჭა მას ცოდნა ღმერთის შესახებ: "შეცნიერებასა მისსა ღმერთისა". სწორედ ეს არის ღმერთისაგან ზოძებულო მადლი, რომელსაც ღვთისმოსავი მიჰყავს ღმერთისკენ, ღვთისაგან დაშორებულს მიაახლოვებს მას, ღვთისგან განდგომილს მიაბრუნებს მისკენ. ცოდნა ღმერთისა, რომელიც ჩვენში თანდაყოლილია, არის საწინდარი ჩვენი მისწრაფებისა, რათა აღვასრულებდეთ ღვთაებრივ მცნებებს. ხოლო ამ

სიყვარულისათვის

მცნებათაგან ღმერთის სიყვარულის შემდეგ მეორე და მსგავსი ამისი არის: "შეიყუარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი" (მათ. 22. 39).

ერთმანეთის სიყვარულის მცნება ის ახალი მცნება იყო, რომელიც მაცხოვარმა მისცა მოწაფეებს საიდუმლო სერობაზე: "მცნებასა ახალსა მიგცემ თქვენ, რაითა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქვენ, რაითა თქვენცა იყუარებოდით ურთიერთას. ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას" (იოან. 13. 34-35). მოყვასის სიყვარული ქრისტიანობის თავისებურებაა, საქციელია, რომელიც გამოარჩევს მას სხვა რელიგიათაგან. უფალი ჩვენი იესო ქრისტე კატეგორიულად აცხადებს: "ესე არს მცნება ჩემი, რაითა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქვენ" (იოან. 15. 12). ამასთან ერთად იესო იმასაც უმტკიცებს თავის მოწაფეებს, რომ არ არსებობს სიყვარულის უფრო დიდი სახეობა, ვიდრე მეგობრის მიმართ სიყვარული: "უფროსი ამისა სიყვარული არავის აქუს, რაითა სული თვისი დადვას მეგობართა თუსთათვის" (იოან. 15. 13). ავითარებს რა ამ აზრს, წმიდა ბასილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანი თავისი ბუნებით მისწრაფვის ურთიერთსიყვარულისაკენ, რადგანაც იგი არის არა მარტოდმოყოფი და ველოური ცხოველი, არამედ მშვიდი და ურთიერთობისათვის მოწოდებული.

ასე რომ, მოყვასის სიყვარული აამაღლებს ადამიანს ღმერთის სიყვარულამდე ხოლო ღმერთის სიყვარული მთლიანს მოყვასის სიყვარულს. ამიტომ არის, რომ ღმერთის სიყვარული მოიცავს ყველა დანარჩენ ღვთაებრივ მცნებას. "უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს" (იოან. 14. 23), - ამბობს მაცხოვარი. ამიტომ არის, რომ ქრისტიანული სწავლულების ძირითადი ღერძი არის სიყვარული.

ამიტომაც ჩვენც შუასაუკუნეების ქრისტიანულ ლიტურატურაში უაღრესად პოპულარული კრებულიდან - ბასილი დიდის "ასკეტიკონისაგან" გამოყვავით დიდი წმიდა მამის ნააზრევი სიყვარულის შესახებ.

თბუღლებას, რომლისგანაც ქვემოთ გამოქვეყნებული ნაწყვეტი არის ამოღებული, ეწოდება "ასკეტური წესები". იგი კითხვა - მიკვების ფორმითაა დაწერილი და შედგება ორი ნაწილისაგან: "ზრცელი წესები" და "მოკლე წესები". "ზრცელი წესები" შედგება 55 კითხვა-მიკვებისაგან. ბერები ეკითხებიან წმ. ბასილს ასკეტური ცხოვრების სხვადასხვა პრობლემის თაობაზე და იგი პასუხობს. "მოკლე წესები" ანალოგიური ხასიათისაა, მხოლოდ დიდი წმიდა მამის პასუხები მათში უფრო

მოკლეა. კითხვა-მიკვებათა რაოდენობა ამ უკანასკნელ თბუღლებაში არის 313. ქვემოთ ჩვენს მიერ გამოქვეყნებული ტექსტი წარმოადგენს "ზრცელი წესების" პირველ სამ კითხვა-მიკვებას. "ასკეტური წესები", წმ. ბასილის "ასკეტიკონის" მთავარი შემადგენელი ნაწილი, ანუ ძირითადი თბუღლება.

ბასილი დიდის "ასკეტიკონი" შუასაუკუნეების საბერძნეთში კორპორაციებში ძალზე პოპულარული კრებული ყოფილა. დღეისათვის შემონახულია ამ კრებულის 150-ზე მეტი ხელნაწერი ბერძნულ, ლათინურ, სირიულ, არაბულ, ქართულ, სომხურ, სლავურ, კობტურ ენებზე. ჩვენამდე მოღწეული უძველესი სისტილით ცნობებით მტკიცდება, რომ წმ. ბასილის ასკეტური თბუღლებანი უკვე IV საუკუნეში იყო გაერთიანებული "ასკეტიკონის" სახელწოდებით ერთ კრებულში. როგორი იყო ბასილი დიდის ასკეტური კრებულის თავდაპირველი სახე? ეს საკითხი თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. დღემდე მოღწეული ხელნაწერების ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე, არის ცლა აღდგენილ იქნეს წმ. ბასილის "ასკეტიკონის" უძველესი შედგენილობა. ამ საქმეში მსოფლიო ფილოლოგიურ მეცნიერებას ყველაზე მეტ სამსახურს უწევს ამ თბუღლების უძველესი ქართული თარგმანი, რომელიც პროკოპი მღვდელს ეკუთვნის და ჩვენამდე შემონახულია X საუკუნის სინის მთის ერთი ხელნაწერით. ქართულ ენაზე წმ. ბასილის "ასკეტიკონი" ოთხი რედაქციით მოიპოვება: პროკოპი მღვდლის თარგმანი (ხელნაწერი სინა - 35), ვერემ მცირის თარგმანი, XI საუკუნე (ხელნაწერები: A-132 და A-689), უცნობი ავტორის თარგმანი, XII საუკუნე (ხელნაწერი A-63) და ვერემ მცირის თარგმანის შემოკლებული რედაქცია, XVII ს. (ხელნაწერი: ქუთაისის-61).

ეს დიდი ინტერესი "ასკეტიკონისადმი", რომელიც ძველ საქართველოში ჩანს, განპირობებულია იმ საოცარი პოპულარობით, რომლითაც წმიდა ბასილი სარგებლობდა ქართველ ხალხში. წმიდა ბასილი (330-379 წწ.) ქრისტიანული ლოგმატიკის ერთ-ერთი უმთავრესი ფუძემდებელია. თავისი მრავალმხრივი ლიტურატურული მოღვაწეობითა და დაუცხრომელი პრაქტიკული საქმიანობით მან ზიზანტის ისტორიაში ბასილი დიდის სახელი დაიმკვიდრა. გარდა ასკეტური ნაწერებისა, მისი სახელით ჩვენამდე მოღწეულია ლოგმატიკური და ლიტურატურული თბუღლებანი, პომილიები და სწავლანი, პოლემიკური ტრაქტატები და ეპისტოლეები. საკმარისია დავასახელოთ ძველ საქართველოში უაღრესად პოპულარული "ექუსთა დღეუთათვის" და "ფსალმუნთა განმარტებანი".

ქრისტიანული ეკლესიის წინაშე ბასილის

უდიდესი დამსახურებით აღტაცებული საეკლესიო მწერლობის ერთი გამოჩენილი მკვლევარი გადაჭრით აცხადებს, რომ მისი დროის არც ერთ ზერძებს არ შეუძლია დადგეს მასზე წინ. ბასილის ეპოქიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ ბიზანტიელებს შორის კამათი გაიმართა იმის შესახებ, თუ ვინ ელიარებინათ ქრისტიანული ეკლესიის უპირველეს მოღვაწედ – ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი (ღვთისმეტყველი), თუ იოანე ოქროპირი. ხანგრძლივი დავის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ სამივენი უპირველესი მოღვაწენი არიან და ერთნაირი დამსახურება მიუძღვით ქრისტიანობის წინაშე. 1979 წელს ქრისტიანულმა ეკლესიამ ბასილი კესარიელის გარდაცვალების 1600 წლისთავი კანადაში გამართული მსოფლიო სიმპოზიუმით აღნიშნა.

ქართულ მეცნიერებაში წამოყენებულია თეორია იმის თაობაზე, რომ ეროვნებით ბასილი დიდი შეიძლება იყოს ქართველი, სამხრეთ – დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი ქართველური ტომის წარმომადგენელი. (ე. ხინთიბიძე, ბასილი დიდის საღაურებისათვის: "შოამზე", 1962 წ. N 3. იხ: "ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისთვის", 1982, გვ. 207-262). ეს თვალსაზრისი ემყარება შემდეგ გარემოებებს: 1. ბასილი წარმოშობით იყო პონტოდან. მისი საგვარეულო მამული მდებარეობდა შავი ზღვის სანაპირო რაიონებში ქ. ტრაპეზუნტის სამხრეთით, მაშინდელი ქ. ნეოკესარიის მახლობლად. ამ რაიონების უძველეს მკვიდრ მოსახლეობას იმ დროისათვის ქართველური ტომები – მესხები, კოლხები, სვანები და ჭანები შეადგენდნენ. გარდა ქართველებისა, ამ რაიონებში მოსახლეობდნენ ზერძები და სომხები. ბასილის ბიოგრაფიის პირველწყაროებით დასტურდება, რომ იგი არ იყო არც ზერძი და არც სომეხი. 2. ბასილი მის თანამედროვეთა მიერ, და შემდეგ ტრადიციულად ქცეული აზრის მიხედვით, მიჩნეული იყო ეროვნებით კაპადოკიელად. იმდროინდელი საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, კაპადოკიელები იყვნენ მესხები. 3. ბასილის მეგობარი და ბიოგრაფი

გრიგოლ ღვთისმეტყველი ბასილის მამის ოჯახის წინაპრებად მიიჩნევს ძველ კოლხებს, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ იმ უძველეს ხალხს, რომელთა საკვირველებანი აღწერილია ზერძები პოეტებისა და ისტორიკოსების მიერ.

ბასილი დიდს ძველ საქართველოში ახლობელ, მშობლიურ მოღვაწედ თვლიდნენ. თავი რომ დაეანებოთ იმ გარემოებას, რომ ქართველი ხალხის ტრადიცია კაპადოკიას მონათესავე ქვეყნად მიიჩნევს, ხოლო კაპადოკიულ მოღვაწეებს (მათ შორის სამ დიდ კაპადოკიულ წმიდა მამას: ბასილ დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს და გრიგოლ ნოსელს) – მშობლიურ მოღვაწეებად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება. გარდა წმიდა გიორგი კაპადოკიელისა და წმიდა ნინო კაპადოკიელისა, არც ერთი წმიდანის ხსენების დღე არ შესულა ისე ღრმად ქართულ ტრადიციაში, როგორც წმინდა ბასილისა. იგი ფართოდ აღინიშნებოდა გურიაში, ჭავჭავთში, რაჭაში და საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ხევსურეთში. გურიაში ახალი წლის დღესასწაულზე – კალანდობაზე (ბასილობა ახალი წლის დღესასწაულს ემთხვეოდა) აკეთებდნენ ჩიჩილაკს. იგი ათლილი თხილის ტოტია, რომელსაც ნათალი ზურბუშელასავით ჰკიდია და მას "ბასილის წვერებს" უწოდებენ. ქართლში, ჭავჭავთში და რაჭაში ამ დღეს აცხობდნენ საგანგებო დანიშნულების პურს, რომელსაც "ბასილა" ერქვა.

წმიდა ბასილის მამის ოჯახმა, გარდა ბასილისა, ქრისტიანულ ეკლესიას მისცა ორი ეპისკოპოსი: გრიგოლი და პეტრე (ბასილის ძმები) და სამი წმიდანი: გრიგოლი, ემილია (ბასილის დედა), და მაკრინე (ბასილის და). ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გრიგოლ ნოსელი, რომელიც დიდი ბიზანტიელი მწერალი და აღიარებული საეკლესიო ავტორიტეტია.

ნაწყვეტი წმიდა ბასილის "ასკეტიკონიდან", რომელსაც ჩვენ "სიყვარულისათვის" ვუწოდებთ, გამოქვეყნებულია ორი ხელნაწერის A-132 (XIV ს.) და A-689 (XI-XII ს.) მიხედვით. თარგმანი ეფრემ მცირისეულია. ტექსტი ქვეყნდება პირველად.



ბასილი დიდი

კაპადოკიის კესარიის მთავარეპისკოპოსი

კითხვა მონაწილეთა

ა. ვინაიდან მომცა სიტყუამან კელმწიფებამ კითხვისა, პირველად ყოვლისა სწავლად გვედრებით, ვითარმედ: რა არს წესი შემდგომობისა მცნებათა ღმრთისათა, ვითარცა რომელიმე იყო პირველი და სხუად - მეორე და სხუად - მესამე; ანუ ყოველნი ურთიერთისა მოკიდულ არიან და ყოველნი ურთიერთას სწორ პატრივითა დასაბამ-ყოფისა წესისათა, რომელისათვის ადვილ იყოს ყოველისა მნებებელისა, ვითარცა მომრგულებით მოვლენულისა რადასამე მიერ, დაწყებდ დასაბამსა ვინაცა უნდეს?

მიგება: კითხვა ეგე თქუენი ძუელითაგანი არს და შემოთვანვე მოცემულ სახარებასა შინა, რაჟამს მოუვდა უფალსა შჯულის მოძღვარი იგი: მოძღვარ, პრქუა, რომელი არს პირველი მცნება შჯულსა შინა? და უფალმან მიუგო: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს პირველი და დიდი მცნება, და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი.¹

აჰა ესერა თუთ თავადმან უფალმან დადვა შემდგომობისა წესი მცნებათა თვსთა, რომელი პირველად და უდიდესად მცნებად ღმრთისა მიმართ სიყუარული განსამზღვრა, ხოლო მეორედ შემდგომად და მსგავსად მისსა, უფროსდა სრულმყოფელად პირველისა მის და მიერ გამოშავალად თქუა სიყუარული მოყუასისა. ვინაცა აწ თქუმულთა ამათგანცა და სხუათა ესევეითართა, ღმრთიფ სულიერთა წერილთა შინა პოვნილთაგანცა, ყოველთავე მცნებათა უფლისათა წესი და შემდგომობითი - შემდგომობა ისწავების.

კითხვა ბ. ვინაიდან ესე ესრეთ არს, პირველად უკუე ღმრთისა მიმართ სიყუარულისათვის შემრახე ჩუენ. რამეთუ ესე გუასმიეს, ვითარმედ: ჯერ - არს სიყუარული, ხოლო თუ ვითარ შესაძლებელ არს წარმართება მისი, ამისდა სწავლად მეძიებელ ვართ.

მიგება: უსწავლელ არს ღმრთისა მიმართ სიყუარული. რამეთუ არცა ნათლისათვის სიხარული; გინა ცხორებისა შეტკობა სხუსა ვისგანმე

გვსწავიან, არცა სიყუარული მშობელთა, გინა მშრდელთა სხუამან ვინმე გუასწავლანა. ვგრეთვე, და ფრიად უფროს, საღმრთოთა სურვილი არა გარეგნით ისწავლების, არამედ მყის, აგებულებასავე თანა ცხოველისა კაცისასა ვიტყვ, თესლოვნებითი რამე სიტყუად დათესულ არს ჩუენ შორის, რომელითა თავით თვსთ გუქონან მიმეზნი კეთილისა თვსად განსაკუთრებისანი, რომელითა სამოძღვრებელი მცნებათა ღმრთისათა, მივილით რა მონაწილეთა მუშაკობა მისი და კელოვანებით ბრდა და სრულებად მოყვანებად ღმრთისა მადლითა, მინიჭებული არს. ვინაცა ჩუენცა მოსწრაფება თქუენი, ვითარცა საკმარი, წინამდებარისა ამის პირისათვის მიგთუალავს და წადიერ ვართ, პირისამიერთა მოცემითა და ლოკვათა თქუენთა ჩუენთა თანა შემწეობითა, თქუენ შორის დამალულსა მაგას ნაბერწყალსა საღმრთოესა სურვილისასა, ძალისაებრ სულისა მიერ ჩუენდა მოცემულისა მოსწრაფებით აღტყინებად.

საკმარ უკუე არს ცნებად, ვითარმედ საქმე ესე ღმრთისა სიყუარულისა ერთი არს წარმართებათაგანი, ხოლო ძალი მისი ყოველთავე მცნებათა სიმრავლის თანა მოქმედ არს. რამეთუ უკუეთუ ვიყუარდე მე, უფალი იტყვს, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ,² და კუალად: ამათ ორთა მცნებათა ყოველი შჯული და წინამწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან.³ ვინაცა აწ არა თუ ზედა-მიწვევით პირველ ვჰყოფთ მისთვის სიტყუად დაგვიყვებითა ამისითა, ვითარმედ უკუეთუ ამას ვჰყოფდეთ, ყოველთავე სათნობათა ნაწილებსა გარე მოვპლით, არამედ რაოდენი თანა-ზომიერ არს ჩუენ და თვს ეყვის აწინდელსა ამას პირსა, მას მოგაცხენებ თქუენ ჩუენ მიერ თანა-ნადებისა მისთვის სიყუარულისა ხოლო პირველად ესე თქუათ, ვითარმედ ყოველთავე ღმრთისა მიერ მოცემულთა ჩუენდა მცნებათა ამათნი ძალნიცა შემძლებლობისანი პირველვე მოგვბუმან მის მიერ, რაჟთა არცა დაგვმძიმდეს, ვითარმცა უახლესი რამე იძიებოდა ჩუენგან, არცა კუალად აღვიზუანეთ, ვითარმედ უმეტესი რამე შემოგვლიეს, უფროს მის მიერ ჩუენდა მოცემულისასა და ამათ

¹ მათ. 22. 36-39; მარკ. 12. 28-31.

² იოან. 14. 23.

³ მათ. 22. 40.

მის მიერ პირველვე მოცემულთა ძალთა. უკუეთუ მართლად და ჭეროვნად ვიკარებდით, სათნოებისა სრულ-გვყოფით მოქალაქობასა ღმრთისმსახურებით, ხოლო უკუეთუ განვხრწნათ სამართლისა იგი მოქმედება მათი, ბოროტისა მიმართ მოვიყვანებთ.

და ესე არს სამღვარ სიბოროტისა: ბოროტად და გარეგან მცნებათა ქრისტესთა კუმევაჲ კეთილად მოცემულთაჲ მათ ზუნდა ღმრთისა მიერ, ვითარ-იგი კუალად ღმრთისა მიერ საძიებელთა სათნოებათა მოქმედება არს კეთილისა სენდისისა მიერ მცნებისაჲ უფლისა კუმევაჲ მათი. ვინათგან უკუე ესე ესრეთ არს, ამასვე პირსა სიყუარულისათჳ ვიტყვიტ ზუნ.

მცნებაჲ მოგვლიეს შეყუარებად ღმრთისა ძალითა მით სიყუარულისათა, რომელ-იგი პირველით დაბადებითგან და თუ სულად გუაქუნდა ზუნ შორის და ამისი გამოსაჩინებელი არა გარეთ, არამედ თვთ თავსა შინა თჳსსა თავისა მიერ თჳსისა ისწავლის თითოეულმან

ვითარ კეთილსა გულისმთქუმელ ვართ ზუნებით, დაღაცათუ სხუასა სხუად რაიმე აგვანდების კეთილად და სხუასა სხუად და სიყუარული თჳსთა და ნათესავთა მიმართ უსწავლელადვე გუაქუს და ქველის-მოქმედთა მიმართ ნებსით ვაჩუენებით ყოველსა ერთგულესა. აწ უკუე რაჲ არს უსაკრველეს სიკეთისა? რომელი მოგონებაჲ არს რუღევანეს ღმრთისა დიდად შეუნიერებისა? რომელი სურვილი სულისაჲ არს ესრეთ ძლიერ და დაუპყრობელ, ვითარ ღმრთისა მიერ მოსრული იგი ყოველისა სიბოროტისაგან განმწმედელი სულისაჲ ჭეშმარიტითა მით სიყუარულითა, აღმძვრელი ესრეთ სიტყუად, ვითარმედ: დაწყლულ ვარ მე სიყუარულითა, რამეთუ ყოვლად გამოუთქმელ და მოუთხრობელ არიან ელვანი საღმრთოისა სიკეთისანი, ვერ წარმოაჩინებს სიტყუაჲ, ვერცა მითუალავს სასამენელი. დაღათუ მითებისა ბრწყინვალეზანი სიტყუნე, დაღათუ მთარისა კამკამეზანი, ანუ თუ თვთ ნათელი მშისაჲ, ყოველივე უპატივო არს მისამსგავსებელად. დიდებისა მისისა და უფროჲს უნაკლულევანეს დაშთებან თანა-შეტყუებისაგან ჭეშმარიტისა მის ნათლისა, რაოდენ სიღრმე ღამისაჲ და მჭმუნვარე უკუნი სიზნელისაჲ შუადლისასა მას სიწმიდესა და საჩინოებასა მშისა შარავანდელთასა. ესე სიკეთე ვორციელთა თუალთაგან უხილავ არს, მხოლოდ სულითა ოდენ და გონებითა დასატყვენელ, რომელი უკუეთუ სადმე გამოუჩნდა ვისმე წმიდათაგანსა მოუთმენელი საწვრტელი სურვილისაჲ, დაუტევა მათ. რომელნი-იგი იურვოდეს აქაჲსა ამის ცხორებისათჳ, იტყოდეს: მ მე, რამეთუ განმიგრძდა

მწირობაჲ ჩემი! ოდესმე მოვიდე და ვეჩუენო პირსა ღმრთისასა?⁵ და ვორცთაგან განვსნაჲ და ქრისტეს თანა ყოფაჲ ფრიად უფროჲს უმჯობეს არს⁶ და სწყურის სულსა ჩემსა ღმრთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველის⁷ და აწ განუტევეო მონაჲ შენი, მეუფეო,⁸ რამეთუ ვითარცა საპყრობილე, ეძვნებოდა ცხორებაჲ ესე ესრეთ, ძნად დაუპყრობელ იყვნეს კრთომითა, რომლითა სულსა საღმრთოისან სურვილმან შეახის. ვინაჲცა განუძღომელად ქონებითა ხედვისა ღმრთისა სიკეთეთათა სალოცველ თჳსსა ჰყოფიან საუკუნესა ცხორებასა თანა-განგრძობად ხილვასა შეუნიერებისა უფლისასა. ესრეთ ზუნებით კეთილისა გულის-მთქუმელ არიან კაცნი, ხოლო საკუთრებით კეთილ და საყუარელ სახიერი არს და სახიერ მხოლოდ ღმერთი არს და ვინათგან ყოველთა კეთილისა და სახიერისა გული უთქუამს, ღმრთისათჳ სადმე სურის ყოველთა.

ვინაჲცა გულს-მოდგინებით აღრჩევისა მიერ წარმართებელი იგი ზუნებითაჲცა მყოფ არს ზუნ შორის, რომლითა ოდენ გულის-სიტყუანი არა გარდაქცულ იყვნენ ბოროტებისა მიერ. ამისთჳსცა საჭიროდ თანა-ნადებად მიგუევადების ღმრთისა მიმართ სიყუარული, რომლისაგან მოაკლდეს რაჲ სული, მიერთგან დაუპყრობელ იქნების ყოველთა ბოროტთა მიმართ. რამეთუ ღმრთისაგან უცხო-ყოფთაჲ და გარე-მიქცევაჲ გაჰინისასა მასცა: მოსალოდნელსა სატანჯველსა უსასტიკეს არს და უმძიმეს შესამთხუეველად მისთვის, რომელსა შეემთხვის, ვითარცა თუალისათჳს მოკლენაჲ ნათლისაჲ უძნელეს არს, დაღაცათუ არა აქუნდეს ტკივილი, და ცხოველისათჳს განკუეზაჲ ცხორებისაგან. ხოლო უკუეთუ მშობელთა მიმართ სიყუარული შეილთაჲ ზუნებითი არს და ამას ცხად-ჰყოფს თჳსებაჲ პირუტყუთაჲ და კაცთაჲ პირველით მასაკითგანი სიყუარული დედისა მიმართ, ნუმცა გამოიწინდებით ზუნე უპირუტყუეს ჩხვლთასა, ნუცა უმძვნვარეს მვეცთასა უყუარულ და უცხო-ყოფითა შემოქმედისა მიმართ ზუნებისა. რომელი-იგი დაღაცათუ ვერ გვცნობიეს მიერ სახიერებით მისით, თვთ ამიერ, მისგან ქმნულებისათჳს ოდენ სიყუარულად და გარდამეტებულად სურვილად მისსა თანა-მდებ ვართ და რათა დამოკიდებულ ვიყვნეთ სამარადისოისა ჰსენებისა მისისა და ვითარ-იგი ჩხვლნი დედისადა. რამეთუ უმჯობეს ზუნებითთა საყუარელთა არს ქველის-მოქმედი იგი. და ესე არა ხოლო კაცთათჳს ეყვის, არამედ უქველად ყოველთა ცხოველთა ზუნებასა საკუთარ-ყოფაჲ კეთილისა რაჲსმე მომცემელისა. იცნა, თქუმულ არს, კარმან

5 ფსალმ. 41. 3.
 6 ფილიპ. 1. 23.
 7 ფსალმ. 41. 3.
 8 ლუკ. 2. 29.

4 ქვ. 2. 5.

მომგებელი და ვირმან ზაგაი უფლისა თვისსაჲ. ხოლო შემდგომისა თქუმაჲ ჳმნულ იყავნ ჩუენთჳს, ვითარმედ: ისრაელიმან მე არა მიცნა და. ერმან ჩემი არა გულისჳმა-ყო. რამეთუ ზოგადთა და მრავალთა სხუათა ესევეთართათჳს რაჲ! საჳმარ არს თქუმაჲდ, თუ რაოდენსა ერთგულეზასა აჩუენებენ მზრდელთა მიმართ.

ხოლო უკუეთუ ქველის-მოქმედთა მიმართ ერთგულეზასა და ჳუნებთისა სიყუარულსა აღვირზეთ და ყოველსავე ტკივილსა თავს-ვიდებთ მისაგებელად პირველ-ქმნილთა ჩუენ ჳედა ქველის-მოქმედებათა, რომელი სიტყუაჲ შემძლებელ არს ღირსებით მიწთომად ნიჭთა ღმრთისათა, რომელთა სიმრავლე ესოდენ არს, ვიდრედა ჳეშთა რიცზსა იქმნების, ხოლო სიდიდე რაზამ და ევოდენ, ვიდრემდის ერთი ოდენ მათგანი ჳმა-არს თანა-მღებ ყოფად ჩუენდა ყოველსავე მადლობისა მიცემად მომცემელისა მისისა? თანა-წარგუჳდვლ სხუათა, რომელნი-იგი დაიცაათუ თავით თჳსით ჳეშთა-აღმატებულ არიან სიდიდითა და მადლითა, არამედ უმეტესთა მათთაგან უდარესად გამოაჩინენ თჳსსა სამადლობელ-ყოფასა, ვითარცა ვარსკულაფნი დაფარულნი მშისა შარავანდელთა უბრწყინვალესობისაგან. რამეთუ ვერ მცალს დატვევზად უდარესთა და უდარესთა მიერ განზომად. ქველის-მოქმედისა სახიერებასა დაიღუემბოდელ უკუე მშისა აღმობრწყინებანი და მთოვარისა კუალად მოქცევობანი, ჳაერთა შუბაგებანი, ჳამთა ცვაღებანი, წყალნი ღრუბელთმიერნი და სხუანი კუალად ქუეყანისმიერნი, თჳთ ესე ჳლუაჲ, ყოველი ქუეყანაჲ, ქუეყნით აღმოცენებულნი წყალთა შინა დაყენებულნი, ნათესაფნი ჳაერსაშინანი ჳეგრეულნი, ცხოველთა თითო-სახეობანი, ყოველნივე სამსახურებელად ცხოვრებისა ჩუენისა დაწესებულნი.

არამედ იგი ოდენ ვთქუათ, რომელსა თანა-წარსლუაჲ არცაღა მწებებელისაგან შესაძლებელ არს და მადლობისა დადუმებაჲ გონებისა მრთელისა და სიტყჳს მქონებელისაგან ყოველად შეუძლებელ, ხოლო ღირსებითსა რასმე თქუმაჲ მისთჳს ყოფად უშეუძლებელეს; ესე იგი არს, რამეთუ ხატად ღმრთისა და მსგავსებად შექმნა ღმერთმან კაცი და მეცნიერებასა მისსა ღირს-ყო და სიტყვერებითა ყოველთა ცხოველთაგან იგი მხოლოჲ შეამყო და უსწოროჲ იგი საშოთისა საშუებელი მიჳმადლა მას და დაადგინა მთავრად ყოველთა ჳედა ქუეყანისათა, ამისა შემდგომად გუელისამიერთა სივერაგითა მონადირებული და ცოდვასა მთავრდომილი და ცოდვისა მიერ სიკუდილსა და ღირსთა სიკუდილისათა მიცემული არა უგულეზებს-ყო. არამედ პირველად მჭული მისცა შემწედ, ანგულისნი დაუდგინა მცველად და მოღვაწედ,

წინაჲსწარმეტყუელნი მოუვლინნა მამზილებლად ცოდვისა და მასწავლელად სათნოებისა, კრთომანი ზოროტთანი თქუმითა გარდაჳკუეფთა, გულსმოდგინებანი კეთილთანი აღთქუმითა ადაღდინნა და აღსასრული თითოეულისაჲ კეთილთა, გინა ზოროტთაჲ მრავალ-გზის თითო-სახეთა პირთა ჳედა სასწავლელად სხუათა წინაჲთუე განაცხადა; და ამით და ესევეთართა ყოველთა შემდგომად ჳერეთ ურწმუნობებასა ჳედა დადგრომილსა არავე გარემიექცა, რამეთუ არა დატყვევულ ვიქმნენით სახიერებისაგან შეუფისა, არცა გარდაჳკუეფთა მან თჳსი იგი ჩუენდა მომართ სიყუარული, რომელნი ესე უგრძობელობითა პატივთაჲთა ქველის-მოქმედსა მას ვაგინებდით, არამედ აღმოვიწოდენით სიკუდილისაგან და კუალად განვცხოველდით მისვე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესგან; ვინაჲცა ოვთსახესა მას ქველის-მოქმედებისა ჩუენისასა უმეტესი აქუს საკურველებაჲ, რამეთუ ხატი ღმრთისაჲ იყო, არა ნატაცებად შეირაცხა სწორ ღმრთისა ყოფაჲ, არამედ თავი თჳსი დააცლიერა, ხატი მონისაჲ მიიღო,¹⁰ უძღურებანი ჩუენნი მიხუნა და სნეულბანი იტვირთნა¹¹ და ჩუენთჳს მოიწყლა, რაჲთა წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნეთ¹² და მომივიდნა ჩუენ წყვეისაგან წყვეა ქმნითა ჩუენთჳს¹³ და უპატოჲთა თავს-ოდვა სიკუდილი, რაჲთა ჩუენ დიდებულსა ცხორებასა კუალად აღმიყვანნეს და არა ჳმა-იყო განცხოველებაჲ ოდენ მკუდარ-ქმნილთაჲ, არამედ განღრთობისაჲცა პატვი მოგუმადლა და საუკუნენი განსასუენებულნი განგჳმადნა, რომელნი ჳეშთა-გარდაჲმატებიან ყოველსა გონებასა კაცობრივსა დიდებულებითა საშუებელთა თჳსთაჲთა. ამას ყოველსა ჳედა თჳთ იგი თავადი ესოდენ სახიერ არს, ვიდრემდის არცაღა ნაცვლის მიგებასა მიგუჳდის, არამედ ჳმა-იყოფს სიყუარულისა ოდენ ყოველისავე წილ, რაოდენი მოგუჳცა.

ამათ ყოველთა ოდეს გონებად მოვიდე რაჲთა ჩემი ვნებაჲ აღვიარო განცუზრებასა რასმე და საშინელსა ძრწოლასა შევეარდები, ნუსაღა წარმდებებითა გონებისაჲთა, ანუ შექცევითა ამაოებათაჲთა განვეარდე სიყუარულისაგან ღმრთისა და საყუედრელ ვიქმნე ქრისტესსა. რამეთუ რომელი ესე აწ მაცთუნებს ჩუენ და სთელითთა სამჭელურის ვორცთაგან ყოველთა სივერაგითა მოსწრავე არს, რაჲთა დაგუავიწყოს ჩუენ ქველის-მოქმედი, განმზრწნელობასა ჳედა სულთა ჩუენთასა აღიმდერებს და შემომივდების ჩუენ, რაჲთა საყუედრელ უფლისა ყოს შეურაცხებაჲ ჩუენი და

10 ელია. 2. 6-7.
11 მათ. 8. 17.
12 ეს. 53. 5.
13 გალ. 3. 13.

9 კ. 1. 3.

იქაღდეს ურწმუნეობასა ზედა და განდგომილებასა ჩუენსა, რომელსა-იგი არცა დაუზადებით ჩუენ, არცა მომკუდარ არს ჩუენთვის, მხოლოდ ოდენ რომელ მიმდგომ თვისა მეცნა ჩუენ უღებებითა და ურჩებითა ღმრთისა მცნებათათა. ესე ყუედრება უფლისა და ესე სიქადული მტერისა უმძიმეს არს ჩემდა და უფიცხეს აღმისნდების უფროს სატანჯველსა მას გეჰენისასა, რაჟამს მტერსა ქრისტესა ნივთ ვეჰმნეთ სიქადულისა და მიზეზ ამადლებსა მას ზედა, რომელი მოკუდა და აღდგა ჩუენთვის, ვინაჲცა ამის პირისათვის უმეტესი კრძალვად თანა-გუაც, ვითარცა წერილ არს.

და ესე ღმრთისა მიმართ სიყუარულისას სიტყუად ესოდენ, რამეთუ, ვითარცა პირველ ვთქუ, პირი სიტყუა ჩუენისა არა თუ ყოველისავე წარმოთქუამდ იყო, რომელი ესე შეუძლებელ არს, არამედ თავთავთანად შემოკლებულად მარადის მოსახსენებელ და აღმძვრელ ყოფად სულთა შინა თქუენთა საღმრთოთა სიყუარულისა.

გ. მოყუასისა მიმართ სიყუარულისათვის. შესადგინებელ უკუე არს წარმოთქუამდ წესითაცა და ძალითა მეთრისა მცნებისათვის.

ვინათგან პირველსა მას სიტყუასა შინა თქუემულ არს ჩუენ მიერ, ვითარმედ მჯელი თესლოვანებით ჩუენ შორის მყოფთა მათ ძალითა მუშაკ არს და მზრდელ თესლისა მის და მოძღვრებისა მცნებათა უფლისათაჲს; ხოლო აწ ვისწავით, თუ ვითარ ზრძანებულ ვართ შეყუარებად მოყუასისა, ვითარცა თავისა თვისა. დაღაცათუ ძალი ამისცა მცნებისა აღსრულებისა მოგვიდეს ღმრთისა მიერ.

ვინ-მე არა უწყის, ვითარმედ მშვიდი და ზიარებით ცხოველი არს კაცი და არა მარტოებითი, არცა ველურებითი. რამეთუ არარაჲ არს ესრეთ თვის ბუნებისა ჩუენისა, ვითარ ზიარებაჲ ურთიერთას და კუძევად ურთიერთას და სიყუარული თანა-მონათესავეთა ჩუენთაჲ.

ვინაჲცა რომელთანიცა-იგი თესლნი წინათვე მოუცემიან ჩუენდა უფალსა ჩუენსა, ამათსავე შემდგომობით ნაყოფსაცა ეძიებს ჩუენგან და იტყვს: მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ, რათა იყუარებოდეთ ურთიერთას.¹⁴ და ამის მცნებისა მიმართ ჰნებაჲს აღდგინებაჲ სულთა ჩემთაჲ. ამისთვცა ნიშად გამოსაჩინებულად მოწაფეთა თვისთაგან არა თუ ძალითა და სასწაულთა საკურველებასა ითხოვს, დაღათუ ამათიცა მოქმედებაჲ მიემადლა მათდა სულისა მიერ წმიდისა, არამედ რასა ეტყვს: ამით უწყობიანო ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ

იყუარებოდით ურთიერთას.¹⁵ და ესრეთ ყოველსა აღგილსა მცნებათა ამით შეაერთებს - სიყუარულსა ღმრთისა და მოყუასისა. ვინაჲცა მოყუასისა მიმართ კეთილის ყოფასა თავისა თვისა შეჰრაცხს: რამეთუ შშიოდა, - იტყვს, - და მეცით მე ჭამადი;¹⁶ და შემდგომი ამისი, რომელთა ზედა დაპრთაფს: რაოდენი არა უყავთ ერთსა ძმათა ჩემთა მკირეთაგანსა, იგი მე არა მიყავთ.¹⁷

აწ უკუე ცხად არს, ვითარმედ პირველისაგან წარემართების მეთრე, ხოლო მეთრითა კუალად აღსლვად იქმნების პირველისა მიმართ; და რომელსა უყუარდეს ღმერთი, იგი შეუდგენს მოყუასისა სიყუარულსა. რამეთუ ესმის უფლისა მიერ, ვითარმედ: უკუეთუ გიყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით.¹⁸ ხოლო ესე არს მცნებაჲ ჩემი, რათა იყუარებდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ.¹⁹ და კუალად: რომელსა უყუარდეს მოყუასი, ღმრთისა სიყუარულისა აღსრულებისათვის ჰყოფს მას, რომელი-იგი თვისად სამადლობელად მიეთუალავს ამას. ვინაჲცა სარწმუნოჲ იგი მონაჲ ღმრთისაჲ მოსე ესოდენსა აწუენებდა ძმათა მიმართ სიყუარულსა, ვიდრედა აღვთკასა ითხოვდა წიგნისაგან ღმრთისა, რომლისა შინა შთაწერილ იყო: უკუეთუ არა შეენდობვის ერსა მას შეცოდებაჲ მათი.²⁰ ხოლო პავლე შეწუენებულ ყოფად თავი თვისი ქრისტესგან იკადრა თხოვად ძმათა თვისთათვის და კორციელად ნათესავთა მისთა,²¹ რამეთუ მიმსგავსებულად უფლისა საკსარ ყოველთა ცხორებისა ენება ყოფად თავისა თვისაჲ. ამას თანა უწყობდაცა, ვითარმედ შეუძლებელ იყო ამის ძლით უცხო ყოფად მისი ღმრთისაგან; უკუეთუ მისამიმართისა სიყუარულისა მცნებათა უმეშთაესისათვის ღმრთისა მიერ მადლსა გამოითხოვდა და რამეთუ ამით მრავალ წილსა ნაცვალსა მიღებაჲ ეგულეებოდა, რომელსა-იგი მისცემდა.

გარნა ვითარმედ, ვიდრე ესე ვითარად საზომადმდე მოყუასისა სიყუარულისა მიიწინეს წმიდანი, კმა საყოფელი გამოჩინებაჲ ამისი აქუს აწ თქუემულთა ამით.

ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა პროფ. ე. ხინთიბიძემ.

14 იოან. 13. 34.

15 იოან. 13. 35.
 16 მათ. 25. 35.
 17 მათ. 25. 40.
 18 იოან. 14. 23.
 19 იოან. 15. 12.
 20 გამ. 32. 32.
 21 რომ. 9. 3.

იზარდახორცი სიტყვითა სარწმუნოებისათა

სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი

სამოღვაწეო და საღვთისმეტყველო თავნი

(გაგრძელება)

46. წრეგადასული და უადგილო გულისწუხილი რაიმე ვნების აღმძვრელის მიმართ გონებას ამღვრევს და აზნელებს, სულიდან წრეულ ლოცვასა და გულაჩვილებას სდევნის და სანაცვლოდ გულს აფადმყოფური წუხილით მტყვალავს. ამას მოსდევს უზომო სიმკაცრე და გულქვაობა. მათი წყალობითაა სწორედ, რომ ეშმაკები სასოწარკვეთილებაში აგდებენ სულიერი ცხოვრების მიმდევართ.

47. თუკი ასეთი რამ დაგემართება, მონაზონო, ეცადე სულში დაბუდებულ ეჭვსა და სრულყოფილების უდიდეს სურვილსაც მიაგნო, ადასრულე ღვთის ყოველი მცნება, ფუჭსიტყვაობით არ შესცოდო, არ ჩამორჩე ძველ წმიდანებს არც მოღვაწეობით, არც გონიერებით და ჭერეკით. მაგრამ, თუ შეაშინევ, რომ ზოროტი გაბრკოლებს, სულმოკლეობის დვარდლით აღვსილი გზას გიღობავს სიწმიდის ასეთი სიმალისაკენ, გასუსტებს და გაუძლიერებს, უსაშინლეს აზრებს შთაგაგონებს და ამგვარად მოგმართავს: შეუძლებელია ამქვეყნად შენი სულის ხსნა, და ვერც შეუძლებელია შეძლებ ღვთის ყოველი მცნების აღსრულებასო, მაშინ, შენ, კუთხეში განმარტოებით მტდომი, დაფიქრდი, გონება მოიკრიბე, კეთილი რჩევით სულს მიეცე შეება და უთხარ: "რად მწუხარე ხარ სულთ ჩემო, ანუ რად შემადრწუნებ მე? ესვედ ღმერთსა, რამეთუ მე აფუარო მას მაცხოვარსა პირისა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა" (ფსალმ. 41. 6). ვინ გამართლებულა საქმეთაგან სჯულისა? მეფის წინასწარმეტყველიც ხომ ამოხს: "არა განმართლდეს წინაშე შენსა ყოველი ცხოველი" (ფსალმ. 142, 2). მაგრამ ვსასოებ, რომ სარწმუნოება რომელი მაქუს ღმერთისა ჩემისა მიმართ, დამიფარავს და მიხსნის ღმერთისაგან ნაწყალობევე გამოუთქმელ ნიჭთა მყოფებით. წარვედ ჩემგან მართლუკუნ სატანა! უფალსა ღმერთსა ჩემსა თაყუანისუფაცუ, და მას მხოლოსა სიხრითგანვე ვმასხურო, რომელი შემძლებელ არს ხსნად ჩემდა წყალობით თვით. განვედ ჩემგან და ღმერთმან,

შემქმნელმან ჩემმან ხატად და მსგავსად თვსად, შეგმუსროს შენ.

48. ჩვენგან, ადამიანებისაგან, ღმერთი სხვას არაფერს ითხოვს, გარდა ერთისა, რომ არ შევეცოდით. მაგრამ ეს არ ნიშნავს სჯულის აღსრულებას, არამედ მხოლოდ შეუბნადავად შენახვას ხატისას და ღმერთსად თავისდაჭერას. ამგვარად აღჭურვილი და სულის ღია ვერხვისფერი სამოსელით შემოსილი თანაფიყოფებით ღმერთში, იგი კი ჩვენშია. ღმერთისა და ძე ღვთისას მადლით მოხილნი ნიშანდებული ვართ ღმერთის შეცნობის ნათელით, როგორც ნათქვამია: "გამოხნდა ჩვენ ზედა ნათელი პირისა შენისა, უფალო. მოეც სიხარული გულსა ჩემსა" (ფსალმ. 4. 7).

49. უძლიერება და სიზარმაცე სხეულისა სულსაც გადასდებს სიზანტუსა და დაუღვერობას. ამას განდევნის ყოველდღიური განაწესი, რომ არ გადაიზარდოს გონებრივ სილუნგესა და სიმზადლეში. ამგვარი მღვდმარეობა ხშირად საფუძველია იმისა, რომ შიშნული და ბილწი განსტა გულსაც შეეპაროს. შემდგომ, ეშმაკისაგან ცთუნებულ მისუსტებულსა და გულგატეხილ სულს სიზარმაცე ძლევს და ადამიანი ვულარ ახერხებს ხეირიანად ლოცვასაც კი, რადგან თვით ყოვლის შემოქმედებე ფიქრის დროსაც კი შეუფერებელი ზრახვანი აწუხებს. ასე რომ, თუკი შეიცნობ მიზეზს შენი ტანჯვისას, ზეჯითად ეცადე შესაფერისი ადგილი დაიკავო ლოცვისას და მუხლმოდრეკილი ევდრე კაცთმოყვარე ღმერთის გოდებით, ვაგებითა და ცრემლებით, რომ განაგდოს შენგან უძლიერების, დარდის და ავ ზრახვათა ტვირთი. თუკი ძლიერად და დაჟინებით რეკ ღვთის კარზე, გაგვლება და მყისვე იგონებ შეებას.

50. ვინც განიწმიდა გული, სულმოკლეობასაც სძლია. ხოლო ვისაც ჭერ კიდევ არ მიუღწევია სრულყოფილი განწმენისათვის, იგი ხან სძლევს მას, ხანაც მარცხს განიცდის. ამგვარ ჭიდილში

ვინც არასოდეს ჩაბმულა, ანუ სასველებით გულგრილია, დაძმობილებულია ვნებებთან და ეშმაკებთან, პატივმოყვარეობის ჭია ღრუნის და თავდაჭერებულია, ასეთვე ნათქვამია: "რამეთუ უკუეთუ ვისმე ეგონოს, ვითარმედ არს რაჟმე, და იგი არა იყოს, თავსა თვისსა აცთუნებს" (გალ. 6. 3). იგი დამონებულია სულმოკლეობის მარწუხებში მოქცეული, თრთის ზალღვივით გონებრივად სუსტი და დამფრთხალს იქ ეშინია, სადაც ღვთისმოშიშთათვის არ არსებობს არც შიში და არც სიმბლადე.

51. ვინც ღვთისმოშიშაა, მას არ აკრთობს არც ეშმაკების მიერ დაგებული მახე, არც მათი უსუსური შემოტევები, აგრეთვე არც გულბოროტ ადამიანთა რისხვა. რამეთუ, იგი ისევია, როგორც რაღაც ალი ან მცხუნვარე ცეცხლი ერთობ ზნელსა და მივარდნილ ადგილებში ღამით და ღღისით რომ აფრთხობს ეშმაკებს, რომლებიც უფრო მეტად გაურბიან მას, ვიდრე ცეცხლის ენები ეშმაკებს, რათა ღვთაებრივი ცეცხლის გამონაშუქში არ დაიფერფლონ.

52. ვინც ღვთის შიშითაა განმსჭვალული, ბოროტ ადამიანთა შორის ყოფნა როდი აშინებს. გამიანგებელი აქვს ღვთის შიში, ფლობს რწმენის უძლეველ იარაღს, და მას, ყველაზე ძლიერს, ძაღუძს გააკეთოს ის, რაც ზეგის შეუძლებლად და წარმოუდგენლად ეჩვენება. იგი მათ გვერდით დააბიჯებს, როგორც ზუმბერაბი მაიმუნებში, ანდა მხრდღვინავი ღომი ძაღლთა და მელიათა შორის. სასობა აქვს ღმრთისა, გამჭირახობით ანცივიფრებს, ამრებით აძრწუნებს და ბრძნული სიტყვებით როგორც რკინის კვერთხით, ამარცხებს მათ.

53. არა მხოლოდ განდევნის და მორჩილს, არამედ იღუმენსაც მრავალთა წინამძღვარსა და დიაკვანს ჰმართებს უდარდებობა, ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ფუსფუსზე ამბობს, რამეთუ თუკი ვდარდობთ, აღმოჩნდება, რომ ესცოდავთ ღვთის მცნებათა წინაშე, რომელიც ამბობს: "ეკრძალენით თავთა თქუენთა, ნუუკე დამძიმდენ გულნი თქუენნი, შეუბითა და მოვრალობითა და ბრუნვითა ამის სოფლისაჲთა და მეყსეულად მოიწიოს თქუენ ზედა დღე იგი" (ლუკ. 21. 34; მათ. 6. 25. 32).

54. ის ადამიანი თავისუფალი არ არის, რომლის გონებაც გაროულია დღენიდაც ყოველდღიურ სახმარზე ფიქრში, რამეთუ მათზე ბრუნვა, განურჩევლად იმისა, პირადია თუ სხვისი ეს საზრუნავი, ადამიანს ზღუდავს და იმონებს. მხოლოდ ეპისკოპოსს, იღუმენსა და დიაკვანს აქვთ ზედნიერება რომ თავისუფალი იყვნენ თავიანთი თუ სხვისი საყოფაცხოვრებო საგნების მოვლა-პატრონობისგან. თუმცა, არასოდეს დამსხდარან ისინი უქმად და არც გაუფრთხილებლობა

გამოუყენიათ თუნდაც, უმნიშვნელო და უმაჩნისი ნივთების მიმართაც კი. არამედ ყველაფერს ღვთისნიერად აღასრულებენ და ამას აკეთებენ უჭირველად მთელი სიცოცხლის მანძილზე.

55. საკუთარი სახლ-კარი არ გააპარტახო ახლობლისათვის სახლის აშენების მსურველმა. დაუკვირდი, ეს ხომ მძიმე შრომას მოითხოვს და ძნელი შესასრულებელია. მოხდება ისე, რომ საკუთარ სახლს დაანგრევ და ვერც სხვას აუშენებ.

56. ყოველდღიურ სახმართა და ფულის მოხვეჭის განუმომელი წყურვილი რომ არ დაგუფლოს, ნუ ეცდები მოგანდონ ეკონომოსობა ანუ ამ საგნების მეთვალყურეობა და მათი განაწილება მონასტერში, რათა ნივთს არ დაემონო და იმის სანაცვლოდ, რომ მონასტერზე გაწეული შრომის საზღაური მოგანდონ, არ გახდე განჭიქების საზაბი ქურდობისა და მკრეხელობისთვის. მაგრამ თუ წინამძღვარი მანც გაიძულებს ხელი მოჰკიდო ამ საქმეს ისე წარმართე, თითქოს მსურველუ ცეცხლის წინაშე იდგე გულში გავლებული ავი ზრახვისაგან კი უვნებელი იქნები მონანიების, აღსარებისა და წიანამძღვრის ღოცვა-კურთხევის შეწვევით.

57. ვნებათუქმნელმა არ იცის რას ნიშნავს ღვაწლით მიღწეული უვნებლობა და არც დაიჯერებს რომ არსებობს ასეთი ადამიანი დედამიწის ზურგზე. რადგან, ვისაც არ უარყოფია თავი თვისი, სისხლი არ დაუნთხვია ამის გამო საკუნო ნეტარებისა და ცხონებისათვის – აზრდაც არ მოუვა რომ ვინმე სხვას ძაღუძს ასე მოქცევა უვნებლობის მისაღწევად.

58. სხვაა უვნებობა სულისა და სულ სხვაა უვნებობა სხეულისა. სული და სხეული ნაკურთხია სულიწმიდის გამონაშუქითა და ნათლის გარდამოსვლით და არაფერია იმაზე უფრო სასარგებლო, ვიდრე ამ ერთადერთისა და თავისთავადის მოხვეჭა.

59. მსგავსად იმ ადამიანისა, რომელმაც სიგლახაკიდან სიმდიდრე მოიღო, ეკურთხა მეფედ დაბრძანდა ტახტზე, ბრწყინვალე შესამოსელით შეიმოსა და დაუწესდა მის წინაშე მღვარეო, იგი მეუფის გულისთქმას წვდება, ვითარცა კეთილიმყოფელს, უბოძო სიყვარულს მიაგებს, სამოსელი, რომლითაც შემოსილია სიხარულით აღავსებს მის გულს, ტახტიც შეფერებული აქვს და ზოძიებული სიმდიდრის ფასიც უწყის, ასევე მონახონიც, რომელმაც გულწრფელად დაუტევა ეს სოფელი და ყოველივე ამქვეყნიური, ქრისტეს შეუდგა და კეთილი გრძობებით განიმსჭვალა, მან სულიერების უმაღლეს საფეხურს მიაღწია მცნებათა აღსრულების გზით, თავად ღმერთის ჭერეტა შეძლო უხიჯოდ და მომხდარი ცვლილებების აშკარად

შემწევაც. რამეთუ ღღენიდაც გადმოღის სულიწმიდის მაღლი მასზე, ნიშანდებული სამოსლითა და მეფურ პორფირით. ასე რომ, მორწმუნეთათვის ქრისტე დიერთია ყოველივე, რამეთუ სწამთ ქრისტე, ეს ნიშნავს, იმოსებიან მისით.

60. მრავალნი კითხულობენ საღმრთო წერილს, ზევინი მათ წაკითხულს ისმენენ, მხოლოდ მცირედნი არიან, რომელთაც ძალუძთ სწორად გაიაზრონ არსი და მნიშვნელობა წაკითხულისა. ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებმაც, ის რაც საღმრთო წერილში ამოიკითხეს, ჩათვალეს, რომ შეუძლებელია მომხდარიყო, ანდა პირდაპირი გაგებით წაკითხული მათთვის ძნელად მისაღები შეიქმნა და იწყეს განმარტება თვითნებურად და რაღა თქმა უნდა შეცდომით. რაც აწმყოზეა ნათქვამი, მათი აზრით, მომავალში უნდა მოხდეს, ხოლო რაც მომავალზეა ნათქვამი, მას იგებენ, როგორც უკვე მომხდარს ან ყოველდღიურ ცხოვრებაში აღსრულებულს. ამგვარად, მათ არ გააჩნიათ არც სწორი დასკვნა და არც ჭეშმარიტი შეცნობის უნარი, როდესაც საქმე ეხება ღვთიური და ადამიანური საკითხების განსხვავებულობას.

61. მორწმუნეებს ისე უნდა ვუყურებდეთ, როგორც ერთ ადამიანს. უნდა მიგვაჩნდეს, რომ თითოეულ მათგანში ქრისტეა ჩასახლებული და ისეთი სიყვარულით უნდა განვიმსჯელოთ თითოეულისადმი, რომ მზად ვიყოთ თავგანწირვისათვის. აქედან გამომდინარე, არ უნდა ვთქვათ, რომ მაგანი და მაგანი ზოროტია, არამედ ყველა დაგსახოთ კეთილებად, როგორც ნათქვამია. ოდეს, იხილაგ რომ ვიღაც ვნებებს ებრძვის და იგი შენი ძმაა, რადგანაც ვნებები შენც გძულს, შეებრძოლები მასთან ერთად, ხოლო არაბნეკეთილი ადამიანი თუ შეგვბდა, ვისმედაც ბეიმობს ავზორცობანი, ის უფრო მეტად გაამხნევე, შენც არ ჩავარდე მის მსგავსად ცდუნებებში, რამეთუ ყოველივე ცვალებადია.

62. ფარისევლურად პირმოთნე ან საქმეთაგან წარმოჩინდება დამნაშავედ, ან უეცრად დასწეულდება ვნებათაგან, ან გამოუსწორებულ

დაუღვერობას გამოიჩენს რაიმეს მიმართ და ვერ მივითვლით ვითარცა უნაკლოს, არამედ შეგრაძებათ გარყვნილ და უხეშ პიროვნებად, ვინაიდან ზბარი არ გააჩნდეს ერთობაში, რომელიც უნდა იყოს გაუბზარავი და იმავდროულად ზღვარის დამღებიც ერთად მყოფთა შორის. რამეთუ თანაბრად ეუფლებათ სევეა წინ მყოფთ უკანანზე ღარღით უკან მყოფთ კი წინ მდგომთა ზიმორე აღარდებთ.

63. ვინც აგიზგიზებულ ღუმელში ჩაყრის მიწას ჩააქრობს ცეცხლს. ასევე, ცხოვრებისეული ფუსფუსი და ყოვეგვარი დაუოკებელი ღვთოღვა თუნდაც უმაწისისა და უმნიშვნელოსადმი იმთავითვე ანელეხს გულში გაღვივებულ ნაპერწკალს.

64. ყოველივეს დამტყვევებს, ცხოვრებისეულ სიამეთა მთელი არსებით უარმყოფელსა და განძარცვულს გარეგულ აღკაბულობათაგან სიკვდილის შიში სღევს ღღემუღამ. იგი გემრიელად პურსაც არ ჭამს და წყალსაც არ სვამს მოსალოდნელი სიკვდილის შიშით შეპყრობილი. არამედ მხოლოდ იმღენს იღებს, რომ სხეული არ დაუძაბუნდეს და რაც საკმარისი იქნება სიცოცხლის შესანარჩუნებლად; ყოველგვარ პირად ნება-სურვილს უკულაფერსაყოფს და იქცევა მონად, რომელსაც ყველაფერში განიკითხავენ, ყველაფერს უბრძანებენ და სამუშაოსაც ასრულებინებენ.

65. ვინც თავის ღვთისმიერ მამას ორგზის დაემონა ტანჯვის შიშით, ნაბრძანებიდან იმას როღდი ამოიღრეფს, რაც შეუშუბუქებს გულისტკივილს და ღახხნის შიშის ზორკიღებს, არამედ ყურად არ იღებს არც მეგობრულ, არც ფარისევლურ, არც იძულებით გამზნევებას და უპირატესობას მიანიჭებს იმას, რაც უფრო გაამწეაფებს მის ავადყოფობას, მისთვის სასურველი იქნება ზორკიღმღებელი, შეიყვარებს იმას, ვინც აქცევს ჭალათმეც ძღიერად და სამუღამოდ ჩაიბეჭდავს გულში იმ აზრს, რომ არასოდეს ღახხნას მოღიანად ამ რვალთაგან. რამეთუ ღახხნის იმედი ტანჯვას, მართალია, ამსუბუქებს, მაგრამ მონანულს უგრძობეღს ზღის.

ძველბერძნულიდან თარგმნა შაია ინღუაშვიღმა

(გაგრძელება იქნება)

ლოგმატი

ლოგმატი არის საღმრთო წერილში მოცემული ღმრთივგამოცხადებული და საეკლესიო კრებების მიერ აღიარებული ჭეშმარიტება. ეს ტერმინი ბერძნულია, თარგმანებით ნიშნავს მოძღვრებას, მდგომარეობას, განსაზღვრას. იგი გვხვდება წმიდა წერილებში, სადაც ნათქვამია, რომ იესო ქრისტემ ძველი აღთქმის მცნებათა კანონი შეცვალა მოძღვრებით—dogmasi (ეფეს. 2 15).

ეს სიტყვა ფართოდ გამოიყენებოდა ანტიკურობაში. მაგ. ციცერონთან სიტყვით "ლოგმა" აღინიშნებოდა ყველასათვის კარგად ცნობილი მოძღვრებანი, რომელთაც უდავო ჭეშმარიტების მნიშვნელობა ჰქონდათ. ქსენოფონტთან ასე ეწოდებოდა მეთაურის განკარგულებებს, რომლებიც ყველას უსიტყვოდ უნდა შეესრულებინა, პერიდიანესთან კი ეს სიტყვა აღნიშნავდა სენატის გადაწყვეტილებას, რომელსაც ყოველი რომაელი უნდა დამორჩილებოდა.

სიტყვა "ლოგმატი" გვხვდება ძველი აღთქმის ბერძნულ თარგმანში — სეპტუაგინტაში. მაგ. დანიელის, ესთერისა და მაკაბელოთა წიგნებში ასე ეწოდება მეფის ბრძანებას, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს; აგრეთვე ყველასათვის საგალობლოდ სამეფო კანონს. ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა გვხვდება ახალ აღთქმაში, მაგ. ლუკას სახარებაში (2. 1), სადაც ლოგმა ეწოდება მეფის ბრძანებას რომის იმპერიის აღწერის შესახებ. "საქმე მოციქულთაში" ამ სიტყვით თავიდან აღინიშნებოდა ეკლესიის ის დადგენილებანი, რომელთაც ეკლესიის წევრთათვის უდავო ავტორიტეტი უნდა ჰქონოდათ (საქ. მოც. 16; 4. 15; 22-25).

IV-V საუკუნეებში წმ. მამები და ეკლესიის მასწავლებლები სიტყვით "ლოგმატი" აღნიშნავენ არა ზოგადად მთელ ქრისტიანულ მოძღვრებას, არამედ განსაკუთრებულ, ღმრთივგამოცხადებულ, უდავო ჭეშმარიტებებს, რომლებიც შეიცავენ მოძღვრებას ღმერთის შესახებ, აგრეთვე კაცისა და სამყაროსადმი ღმერთის დამოკიდებულების შესახებ. მათივე განმარტებით, ლოგმატები უცვლელ ჭეშმარიტებებად წარმოგვიდგებიან და ესაა მათი განსაკუთრებული თავისებურება.

"კანონი" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სწორ ჯიხს, რომელიც უჩვენებს სწორ მიმართულებას. საღმრთო წერილში კანონი ეწოდება იმ წესებს, რომლებიც უშუალოდ მომდინარეობენ იესო ქრისტესა და მოციქულებისგან. კანონი ეწოდება, აგრეთვე, როგორც ადგილობრივი, ისე მსოფლიო კრებების დადგენილებებს.

ლოგმატებს და კანონებს განმარტავს და შემდეგ ხალხს ასწავლის კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, რომელიც მუდმივად ხელმძღვანელობს სულიწმიდით და მას ერთადერთს შეუძლია განსაზღვროს და განმარტოს საღმრთო წერილში მოცემული ჭეშმარიტებები.

კანონი საგალობლოა და აუცილებელი ყოველი ეკლესიისთვის, მღვდელმსახურებისა და მორწმუნეთათვის, მარამ ის არ არის უდავო ჭეშმარიტება. ამით განსხვავდება იგი ლოგმატისაგან.

ლოგმატი განსხვავდება საღვთისმეტყველო ამრისაგანაც, რომელიც შეიძლება გამოთქვას წმ. მამამ, საეკლესიო მოღვაწემ ან ცალკეულმა ქრისტიანმა. საღვთისმეტყველო ამრი, თუნდაც ჭეშმარიტი, ყოველთვის დარჩება კერძო ამრად, თუკი ეკლესიის მიერ არ იქადაგება, როგორც საგალობლო მოძღვრება და არ შეიცავს ჩვენი ხსენისათვის აუცილებელ სწავლებას.

სარწმუნოების სიმბოლოთი (მრწამსით) ეკლესია გვასწავლის მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტებებს, ესაა ჩვენი სულის ხსენისათვის აუცილებელი მოძღვრება ღვთის შესახებ.

და ბოლოს, ლოგმატი უდავო და აუცილებელი ჭეშმარიტებაა, რომელიც ყოველმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა უნდა მიიღოს და არავის აქვს უფლება უარყოს ან შეცვალოს იგი, რადგან ლოგმატები თვით ღმრთისგანაა მოცემული, განმარტებული და გადმოცემული კათოლიკე ეკლესიის მიერ. ამიტომ ყოველი კაცი, რომელიც შეეცდება რომელიმე ლოგმატის შეცვლას, განშორებული იქნება ქრისტიანული კრებისაგან და შექვენებული — ეკლესიის მიერ (გალ. 1. 8. 9).

თარგმანა გვლა ართშვილმა ("Догматическое Богословие")



აუცილებლობა სარწმუნოების ჭეშმარიტებათა ცოდნისა

ვინ არის ჭეშმარიტი ქრისტიანი? ჭეშმარიტ ქრისტიანად შეიძლება ჩაითვალოს ის, ვისაც უსიტყვოდ სწამს ყოველივე, რასაც მართლმადიდებელი ეკლესია ასწავლის, და არა მარტო სწამს, არამედ თავგამოდებითაც იღწვის ამ რწმუნის შესანარჩუნებლად. ამგვარი მოშურნობა უნდა ახასიათებდეს არა მხოლოდ მოძღვრების და ეკლესიის მასწავლებლებს, არამედ ყველა ქრისტიანს. რამეთუ ნათლობისას ქრისტიანი პირობას ღებს, რომ იქნება აღმსარებელი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, სარწმუნოების სიმბოლოს (მრწამსის) მიხედვით, და ეს პირობა აუცილებლად უნდა სრულდებოდეს მთელი ამქვეყნიური ცხოვრების განმავლობაში. არავის აქვს იმის თქმის უფლება, არცოდნა არცოდნააო, რადგან მხოლოდ ჩვილნი არ განიკითხებიან უცოდინარობისათვის, ასაკოვანი კი განიკითხება არასგზით არ ასკდებთ. "ძმანო, ნუ ყრმა იქნები გონებით, არამედ ზოროტისათვის ყრმა იყვებით, ხოლო გონებითა სრულ იყვებით" (1 კორ. 14:20), გვაფრთხილებს პავლე მოციქული. მამასადავსე, კარგი იქნება ვიყოთ ჩვილნი მწიგნობრივი თვალსაზრისით, მაგრამ არამც და არამც - გონებრივად. იყავით ყრმებით უბოროტონი, მაგრამ გეშინოდეთ უმეცრებისა ქრისტეს ჭეშმარიტებათა შეცნობაში, ეცადეთ რაც შეიძლება მეტ სრულყოფას მიაღწიოთ ამ ჭეშმარიტებების გონებით შეთვისების გზაზე. ამბობენ, თითქოს სრული ხსენისათვის არა საჭირო ღრმა ცოდნა სარწმუნოებისა. საკმარისია კეთილი და პატიოსანი ადამიანი იყო, ეს სიცრუეა. ასე რომ იყოს, მაშინ ქრისტე მხოლოდ მწიგნობრივ მცნებებს მოგვცემდა და არა ღოგმატურ სწავლებას და არ იტყოდა: "რომელსა პრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვრდეს, და რომელსა არა პრწმენეს, დაისაჯოს" (მარკ. 16: 16). ესე იგი, საჭიროა არა მხოლოდ მწიგნობრივი ღონისძიებები, არამედ ცოდნა სარწმუნოებისა. ამ ცოდნის გარეშე შეუძლებელია ქრისტიანული სულის მწიგნობრივი სრულყოფა, რამეთუ ეს უკანასკნელი აუცილებელ კავშირშია ღოგმატურ სწავლებასთან, ღოგმატური სწავლება კი მწიგნობრივ სრულყოფის საფუძველია. გარდა ამისა, არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ღვთის მადლის გარეშე შეუძლებელია სულის ხსნა, რა მწიგნობრივ სრულყოფასაც არ უნდა მივადწიოთ, რადგან ჩვენ ვცხოვრებთ მხოლოდ ღვთის კაცთმოყვარეობის წყალობით და არა რაიმე პირადი დამსახურებისა გამო; ღმერთის წყალობას კი მხოლოდ სარწმუნოებით და სარწმუნოების საქმეების კეთებით მივიღებთ. მწიგნობრივი სრულყოფაც სწორედ სარწმუნოებასთან

დაკავშირებითაა ფასეული. ამასთან, მხოლოდ ამით კი არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, არამედ აუცილებელია ვიყოთ მჭიდრო კავშირში ეკლესიასთან, ვმოწივდებოდეთ მის მწვემებსა და მასწავლებლებს და ესაზრდობდეთ ღმრთის მადლით, რომელსაც მათი საშუალებით ვიღებთ წმინდა საიდუმლოებაში. აი, რამდენი პირობაა საჭირო ჩვენი ხსენისათვის! აი, რატომია საჭირო მათი ცოდნა! იმათ კი, ვინც ეს არ იცის, საფრთხე ემუქრება და ამ საფრთხისაგან მათ დაცვას ვლილობს მოციქული: "რაითა არღარა ვიყვნეთ ყრმა ჩვილ-ატეხილ და მიმოტაცებულ ყოველსა მას ქარსა მოძღვრებისასა სიჯვრატეთა კაცთათია და ბაკულებითა მანქანებისა მის მიმართ საცდურებისასა" (ეფეს. 4: 16). ადვილია ჩვილის შეცდენა, იგი ყველაფერს იჭრებს. ყრმებს ემსგავსებიან ჭეშმარიტ სარწმუნოებაში გაურკვეველნიც, რადგან ადვილად შეიძლება მოტყუვდნენ და სხვადასხვა ცრუ სწავლებათა ზადეში აღმოჩნდნენ. და რაიოდენ ბევრია ამგვარი ცრუმასწავლებელი! ამაოდ როდი ადარებს მოციქული მათ სწავლებას ქარს. ერთ ცრუ მოძღვრებას ცვლის მეორე. მის მიმართ მტრულად განწყობილი, ისევე როგორც ქარს, ხშირად, ცვლის საპირისპირო მიმართულების ქარი. ეს ტყუილის თვისებაა. და მხოლოდ ჭეშმარიტება უფლისა სუფევს უკუნისამდე. ჭეშმარიტება კი წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიაში ინახება, რომელსაც ეწოდება სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა. ამ სვეტს ვერანაირი ქარი ვერ შეაწყვეს. იგი დაფუძნებულია მტკიცე კლდეზე - თვით ქრისტეზე, რომელმაც აღგვითქვა, რომ მის მიერ დაარსებულ ეკლესიას ვერ მოერევა მტერი და ბჭენი ჭოჭობეთისანი. მრავლად მძვინვარებდნენ მწვალებლოური სიცრუის ქარები, რომლებიც ეკლესიის დამბობას ლაშობდნენ, მაგრამ ეს ქარები, თავიდან ესოდენ მძლავრნი და სახიფათონი, სწრაფად გადაიკარგნენ და სხვა ქარებით შეიცვალნენ, ხოლო ეკლესიამ ყოველივე ეს გადაიტანა და სძლია ყველა ცრუ სწავლებას, მათთან ბრძოლაში კი იგი კიდევ უფრო გააძლიერა. სიკვდილამდე უნდა ვიყოთ ერთგული შვილნი დედა ეკლესიისა, კარგად უნდა შევისწავლოთ კახონი ქრისტესი და დაუღალავად ვიღწვიოდეთ მისი შესრულებისათვის. კახონი ქრისტესი - ესაა ძაფი, რომლითაც ვიკვლევთ გმას ამქვეყნიური ცხოვრების ხელო. ღამირითიდან ხეტარი მარადიულობისაკენ.

თარგმნა გელა არიშვილმა
(გ.ბ. "Духовное питание")



დეკანოზი იოანე მეიენდორფი

საღვთისმეტყველო განათლება პატრისტიკულ და ბიზანტიურ ეპოქებში და მისი გაკვეთილები ჩვენი დროისთვის

(გაგრძელება)

2. პატრისტიკული მემკვიდრეობა

შეუძლებელი იქნებოდა რამდენიმე წინადადებით განგვესაზღვრა პატრისტიკული მემკვიდრეობის ბუნება და მნიშვნელობა. მაგრამ შეიძლება გამოვყოთ პატრისტიკული ეპოქის რამდენიმე მტკიცება, რომლებმაც ჩვენს დროში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ჩვენი მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების სწავლების დასაბუთებაში.

1. პირველ ასეთ მტკიცებად გვევლინება ადამიანის "თეოცენტრიული" ბუნება. წმიდა ირინეოს ლიონელის წყალობით, რომელმაც აღწერა ადამიანი როგორც სულიწმიდის მქონეელი, რაც ადამიანის ბუნებრივი ყოფიერების ყველაზე არსებით და უმაღლეს ელემენტად გვევლინება; წმიდა გრიგორი ნოსელის წყალობით, რომელიც აიგივეს ადამიანში ღმრთის სახეებას თავისუფლებასთან, რაც ნებას აძლევს ადამიანს იყოს თანაბარი, ერთიანი და ერთადერთი ჭეშმარიტად თავისუფალი ღმრთის ცხოვრებასთან; წმიდა გრიგორი პალამას წყალობით, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანი არის უშუალოდ თანაბარი ღმერთთან, თვით ანგელოზებზე მაღლა დგას, - ჩვენ ჭეშმარიტად ვფლობთ პატრისტიკულ კონსენსუსს, რომელიც აერთიანებს იმას, რაც მხედველობაში ჰქონდათ მამებს, როდესაც საზღვრავდნენ ადამიანის ბედს ტერმინით განღმრთობა (theosis). "ღმერთი განკაცდა იმისათვის, რომ ადამიანი გამზადდებოდა ღმერთი" - წერდა წმიდა ათანასე ალექსანდრიელი. მართლმადიდებელი სარწმუნოება ითვალისწინებს ადამიანის ბატონობას შექმნილზე. მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი, რომელიც ახლა ადამიანს ანიჭებს შემადრწუნებელ ძალაუფლებას მატერიაზე, ენერჯიაზე და შესაძლოა შემდგომში კოსმოსზეც, სათავეს იღებს იქიდან, რომ ადამიანი შექმნილია ბატონად შემოქმედისა, ასე რომ, პოტენციურად მას შეუძლია ებიაროს ღმრთის ძალაუფლებას შექმნილ ბუნებაზე. თუ ბატონა ღვთისა გულისხმობს, აგრეთვე, თავისუფლებას, ითვალისწინებს ამასთანავე

პასუხისმგებლობასაც. ადამიანი მოწოდებულია ასახოს ბატონა ღვთისა და არა დაიკაფოს ღმერთის ადგილი, მონაწილეობა მიიღოს ღმრთის მადლში და არა შეცვალოს ის თავისი ნებით; განახორციელოს ნება ღვთისა, მაგრამ არ ეთამაშოს ბუნებას, როგორც ეგოცენტრიული და კაპრიზი ბავშვი. ადამიანი ყოველთვის ზოროტად იყენებს თავის ადამიანურ ცივილიზაციას ატომური კატასტროფით განადგურებას.

მაგრამ კაცობრიობის ტრაგიკულ და გზადახნულ ისტორიაში სუფევს ღმერთსაც იესო ქრისტეს ბიროვნება და მისი სხეულის რეალობა - ეკლესია, რათა აჩვენოს სასმენელის მქონეებს რათა ისმინოს, თვალის მქონეებს კი დაინახოს ძალაუფლების ჭეშმარიტი მნიშვნელობა. ქრისტეს ჭეშმარიტების არადახნავი ასევე ვერ ხედავს მთლიანად ადამიანის ბუნებას. ეს გამოხატება იმაში, რომ როდესაც ადამიანი უარყოფს ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს, ის ხშირად ქმნის ახალ ცრულღმერთებს: არის რა თავისი ბუნებით "თეოცენტრიული", ადამიანი ეძებს ახსოვრებს ან ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს, ან ერთ-ერთ მრავალრიცხოვან და მუდმივად გამჩენ მის შემცველებს.

2. მეორე პატრისტიკულ მტკიცებად, რომელზედაც მუდმივად კონცენტრირებას ახდენს ჩვენი რწმენა, გვევლინება ის, რომ ღმერთი არის სამება, და აქედან გამომდინარე, ღმერთი არის სიყვარული (1 იოანე 4, 8). მას არ შეეძლებოდა ყოფილიყო სიყვარული, თუ იქნებოდა მარტო: სიყვარული ყოველთვის გულისხმობს კავშირს, და ღმერთი არის ის სიყვარული, რომელიც მარადიულად აერთიანებს მამას, ძეს და წმიდა სულს. აერთიანებს რა სამ ღვთიურ სახეებას ბუნებით, ღვთიური სიყვარული მადლის ძალით ხდება ადამიანებისთვის მისაწვდომი. უფალი ღმერთი იესო ქრისტე ბრძანებს: "მამაო, რომელნი -

ესე მომცენ მე, მნებავეს, რაათა სადაც მე ვიყო, იგინიცა ჩემ თანა იყენ, რაათა ჰბედვიდენ ღიდებასა ჩემსა, რომელი მომეც მე, რამეთუ შემოიყარე მე უწინარეს სოფლის დაბადებისა" (იოანე 17, 24).

ეს გულისხმობს იმას, რომ "განღმრთობა" "orthosyne" "theosis", - რომელმედაც ჩვენ ვლამპარაკობდით, როგორც პირველ პატრისტკულ მტკიცებაზე, არ ანადგურებს ადამიანის პიროვნებას, ადამიანის თავისუფლებას. ის არ შეანთქავს ადამიანს ბუდისტური უპიროვნო ღვთიური აბსოლუტის ჩარჩოებში. ცხოვრება ღმერთში არის პიროვნებათშორის ურთიერთობა, ურომლისოდაც არ არის სიყვარული და ღმერთი არის სიყვარული. უფრო მეტიც, ღმერთის სამეობა უშუალოდ დაკავშირებულია იმასთან, თუ რას ნიშნავს ქრისტიანად გახდომა და ქრისტიანული ცხოვრება ჩვენი "დაცემული" სამყაროს კონკრეტულ გარემოებაში.

თუ ადამიანის საბოლოო ბედი დაკავშირებულია პიროვნებათშორის ურთიერთობებთან ღმერთში ცხოვრების შიგნით, მაშინ პირველდაწყებითი მოძრაობა იმისა, რასაც უწოდებენ ჩვენს რწმენას, გვევლინება პირად აქტად. რუს ფილოსოფოსს უყვარდა გაპიორება: "ქრისტიანად არ იბადებიან, არამედ ხდებიან". ასწლულებების განმავლობაში ქრისტიანები და განსაკუთრებით მართლმადიდებელი ქრისტიანები პეკებოდნენ (ცლუნებას - ჩათვალათ ქრისტიანული რწმენა გარანტირებულად: ისინი თვლიდნენ მას კულტურის ნაწილად, აიგივებდნენ ერთეულ შემკვიდროებასთან, იღვწოდნენ და იყენებდნენ სახელმწიფოს ბრუნვას რწმენაზე ახლა ჩვენ დიდ ფასს ვიხდით ასეთი ილუზიებისათვის, მართლაც, ასეთი ილუზიები არსებობდა. წმიდა ეკლესია ყოველთვის თვლიდა, რომ მონათვლა შეიძლება მხოლოდ ცოცხალი ადამიანისა, მისი პირადი რწმენის საფუძველზე (ან ნათლიების მტკიცებაზე, რომ მოსანათლაგი აღიბრძებოდა ასეთ რწმენაში). მხოლოდ ადამიანს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საეკლესიო საიდუმლოებებში, რადგანაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია უბასუხოს ღვთიურ სიყვარულს და გახდეს თანამონაწილე მასთან ურთიერთობისა. მაშინაც კი, როდესაც ეკლესია აკურთხებს უსულით საგნებს, ის აკუთვს ამას, რათა შეცვალოს ისინი მათ პირველდაწყებით და მათთვის დამახასიათებელ კავშირში ღმერთთან და ნება მისცეს ადამიანებს გამოიყენონ ისინი ღვთის ნების თანახმად. ასე მაგალითად, ჩვენ ვაკურთხებთ წყალს, რათა ის გახდეს ჩვენთვის გადარჩენის მაღლი, იორდანეს კურთხევას, უხრწნელების წყარო, კურთხეული ძღვენი. მაგრამ ეკლესიას არ შეუძლია აკურთხოს ისეთი

ინსტიტუტები, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო ან განსაკუთრებული იდეოლოგიური მიმართულება ან ფილოსოფია. ეს უპიროვნო რეალობანი თავის საკუთარ ფუნქციებს ასრულებენ ამ ქვეყანაზე, რომელშიც, ჩვენ, ქრისტიანები, წარმოგზავნილი ვართ როგორც ქრისტეს მოწაფენი; მაგრამ მათ არ გააჩნიათ ღვთიური თვისებები. თუ ისინი წარმოგვიდგებიან "კურთხეულად" ან "ღვთიურად", მაშინ გადაიქცევიან კერპებად.

ღმერთის მსახური მონათვლითა სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა; შემდეგ ის შედის ურთიერთობაში წმიდა სამებასთან, წმიდა ეკლესიასთან, რომელიც დღემდე წანამძღვარია ახალი ურთიერთობებისა (რომლებიც დაადგინა ღმერთმა და სურდა ღმერთს), რომლებიც შეადგენენ მშვიდობას და სიხარულს ღვთის სასუფეველისა.

3. საღვთისმეტყველო სკოლები
მე მომიწვიეს, რათა გაგაკეთო მოხსენება პატრისტკული და ბიბანტიური შემკვიდროების შესახებ ჩვენი მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების სწავლების ჩარჩოებში. აქამდე მე ვლამპარაკობდი ადრეულ ეკლესიაზე, როდესაც, თვალსაჩინო მიზეზთა გამო, ახალგაზრდა ქრისტიანული თემი მხოლოდ ეძებდა თავისი მოწმობის დამაკავშირებელ გზებს ამაყ ელჩობით ფორმირებულ საზოგადოებასთან. რათა გაევიფოთ, თუ როგორ და რა მიზეზით შეძლო მან ეს, საჭიროა გავისხენოთ ადამიანის ბედისა და ეკლესიის ბუნების მართლმადიდებლური გაგების ძირითადი წანამძღვრები.

ეს აუცილებელია არა მარტო ისტორიული ინტერესის გამო, რადგან მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ თანამედროვე სამყაროში ჩვენი გონების მუდმივი ორიენტაცია ქრისტიანული იმედის ფესვებზე და საფუძველზე დღეს უფრო მეტადაა საჭირო, ვიდრე სხვა დროს. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელსაც ხშირად უწოდებენ "შემდეგქრისტიანულს", იმ გაგებით, რომ აღიარებენ რა ქრისტიანობის ისტორიულ მნიშვნელობას, სამყაროს ფორმირებაში უკვე აღარ მიიჩნევენ მას მომავლის საფუძველად. ეს "სეკულარიზმი" სხვადასხვა საზოგადოებაში იძენს სხვადასხვა ფორმას, მაგრამ მისი ყოველმომცველი რეალობა გადამწვევტ ფაქტად გვევლინება.

თანამედროვე მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო სკოლები დაარსებულ იქნენ მართლმადიდებლობის დასავლეთთან შეხების ფონზე. ყველა მათგანმა დასაწყისში მიიღო დასავლური პროგრამები და მეთოდოლოგიები. პირველი ასეთი სკოლა იყო ცნობილი აკადემია, დაარსებული კიევში მესტიმეტყ საუკუნეში, მიტროპოლიტ პეტრე

მოგილას მიერ. აკადემიის დასავლური ორიენტაცია სიმბოლურად გამოიხატებოდა იმაში, რომ სწავლება მიმდინარეობდა ლათინურ ენაზე და პროგრამა შედგენილი იყო პოლონეთისა და ლიტვის ებრაული სკოლების პროგრამების შესაბამისად. როდესაც მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება მომწიფდა და დაიწყო თავისი ფესვების აღმოჩენა წმიდა წერილში და პატრისტიკაში, აკადემიის ლათინურმა ორიენტაციამ დამსახურებული კრიტიკული შეფასება დაიმსახურა. მამა გიორგი ფლოროვსკი თავის კლასიკურ ნაშრომში - "რუსული ღვთისმეტყველების გზები" - ლაპარაკობს მართლმადიდებლური აზროვნების "დასავლური ტყვეობის" შესახებ. მაგრამ თუ მივმართავთ მოგილას აკადემიას, და რუსეთში მისი მეთოდების დანერგვის შემდეგ მის უდიდეს გავლენას პეტრე პირველის რეფორმების ეპოქაში, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება ნაყოფიერად ვერ განვითარდებოდა თანამედროვეობის პრობლემებზე ორიენტაციის გარეშე, დარჩებოდა გაყინული წმინდა რიტუალური, მუდმივად განმეორებად ფორმებში. დასავლური იდეებისა და მეთოდების დანერგვა განხორციელდა მეტად უხეშად, ისევე როგორც პეტრე პირველის რეფორმები მოლიანად. გონება და გული არ იყო მზად გაეაზრებინა დასავლური იდეების ასეთი დიდი ღონისძიება. დაშვებულ იქნა ფუნდამენტური შეცდომები. მაგრამ მაინც შედგა სულიერი და ინტელექტუალური შეხება, ხევრ რამეში მსგავსი ქრისტიანობისა და ელინიზმის შეხებისა შესაძლებელი და მეთოთე ასწლელულებში. იგი იყენებდა დასავლურ მეთოდებს, ამასთან, ინარჩუნებდა გადმოცემის შინაარსს იმ სახით, როგორც ის შენარჩუნდა ლიტურგიაში და წმიდა მამების თბულებებში. მეცხრამეტე საუკუნეში მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება თანდათანობით აღმოცენდა. ფლოროვსკი სამართლიანად თვლის მოსკოვის მიტროპოლიტის ფილარეტის (დროზდოვი) პიროვნებას დასავლური იდეების ინტელექტუალური მონაწილის პერიოდისა და ახალ, თავისუფალ, მართლმადიდებლური გადმოცემის სწრაფი აღორძინების პერიოდზე გადასვლის სიმბოლოდ. მოგილას მიერ დაწყებული დასავლეთთან შეხება წარმოგვიდგა ისტორიულ ნაბიჯად იზოლაციისაგან იმ მტკიცებისაკენ, რომ მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება თანამედროვე სამყაროში რჩება ქრისტეს ჭეშმარიტების ცოცხალ მოწმობად.

მეცხრამეტე საუკუნეში ზღაგანურმა მართლმადიდებლურმა ქვეყნებმა - საბერძნეთმა, სერბეთმა, ბულგარეთმა და რუმინეთმა, - მიადწიეს რა ერთგულ თავისუფლებას, შეძლეს თავისი ეკლესიური ცხოვრების ახლებურად

ორგანიზაცია. მათ ასევე შექმნეს საღვთისმეტყველო სკოლები დასავლეთის ნიშუში საფუძველზე. უმრავლეს შემთხვევებში მათ მიიღეს საღვთისმეტყველო ფაკულტეტების დაარსების გერმანული ნიშუში სახელმწიფო მფარველობაში მყოფ უნივერსიტეტებში. დღეს მხოლოდ საბერძნეთი ინარჩუნებს მეცხრამეტე საუკუნის ვითარებას, აქვს რა საღვთისმეტყველო ფაკულტეტები ათენსა და თესალონიკაში, რადგანაც მთლიანად მხოლოდ ომის შემდეგ სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა ითვალისწინებდა საღვთისმეტყველო სკოლების გამოყოფას უნივერსიტეტისაგან.

მართლმადიდებელ საღვთისმეტყველო სკოლებში სწავლების დასავლური სისტემის მიღება გულისხმობს არსებით ცვლენას, განისაზღვროს ღვთისმეტყველება, მრავალ სხვათა მსგავსად, მეცნიერული დისციპლინის სტატუსით მართლაც, შუასაუკუნეების სქოლასტიკიდან დაწყებული, ღვთისმეტყველება განისაზღვრებოდა, როგორც დისციპლინა, და მსგავსად სხვა დისციპლინებისა, იყენებდა არისტოტელეს ლოგიკის მეთოდს, იმ განსხვავებით, რომ მეცნიერული აზროვნების დასაბუთებულ და აუცილებელ წინამძღვრად იღებდა ღვთიურ გამოცხადებებს - წმიდა წერილსა და გადმოცემას. ცხადია, ლათინური დასავლეთის მიერ ღვთისმეტყველება ითვლებოდა ყველა მეცნიერების გვირგვინად, სხვა დისციპლინები და განსაკუთრებით კი ფილოსოფია - დამხმარე (philosophia ancilea theologiae). მაგრამ აზროვნების მეთოდი რჩებოდა ერთი და იგივე: რაციონალური შემეცნება ითვლებოდა შემეცნების ერთადერთ გამართლებულ ფორმად. ღმერთის არსებობა შეიძლება რაციონალურად დამტკიცდეს. შეიძლება დაგამტკიცოთ, რომ მწვალებლობანი წარმოადგენენ მხოლოდ რაციონალურ აბსურდულობას. წმიდა წერილში სამყაროს წარმოშობის გადმოცემა ნატურალისტებს შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც მეცნიერული მტკიცებანი. ეკლესია თავისი რწმენის მასწავლებლობის ძალაუფლებით გამოსცემდა ბრძანებებს, რომლებიც უნდა მიეღოთ, როგორც შემოთავაზებული რაციონალური ჭეშმარიტებანი და რომელნიც ემსახურებოდნენ შემდგომი საღვთისმეტყველო მსჯელობის საფუძველს.

ადრე ჩვენ დავადგინეთ, რომ პატრისტულმა ტრადიციამ დაგვიტოვა ადამიანის გაგების სხვაგვარი ცნება და ღმერთისა და კაცის თანაზიარობის განსხვავებული წარმოდგენა. ღვთის შემეცნების გზა მდგომარეობს არა ღმერთის კონკრეტის რაციონალურად შეთვისებაში, არამედ რეალურ ურთიერთობაში, რომელიც მოიცავს გონებას, სულს და სხეულს. სწორედ ამ ურთიერთობაში აღადგენს ადამიანის ნამდვილ

ადამიანურობას, როგორც ის შექმნა და შეიყვარა უფალომა. მართლაც, მან შექმნა ადამიანი თავის ხატებად, რაც მამების თანახმად ნიშნავს, რომ ურთიერთობა და კავშირი ღმერთთან და გაძლიერება მასში ბუნებრივია ადამიანისთვის. ასეთი კავშირის გარეშე ადამიანი კარგავს თავის მოღიანებობას, როგორც ადამიანური არსება: ის ხდება არასრული, მოკვდავი, უცოდინარი და ზრმა. მიიღო რა ადამიანურობა, ჭვარზე წამებულმა და სიკვდილისაგან აღმდგარმა ძემ ღვთისამ აღადგინა პირველდაწყებითი ჭეშმარიტი ადამიანურობა.

შეუძლიათ და ვალდებულნი არიან ჩვენი თანამედროვე სკოლები, რომლებიც პირველად შეიქმნენ დასავლურ ლათინურ და პროტესტანტულ ნიმუშებზე, განავითარონ ღვთისმეტყველების ეს პატრისტული ტრადიცია? ცხადია, მათ შეუძლიათ და ვალდებულნი არიან გააკეთონ ეს უპირველესად ყოვლისა, როგორც ზემოთ აღვნიშნავთ, თვითონ მამები იყვნენ აღიარებულნი ეკლესიის მიერ "მამებად" იმიტომ, რომ ისინი გამოხატავდნენ ქრისტიანულ ჭეშმარიტებას თავის დროის ენით, იყვნებდნენ ზერძული ფილოსოფიური აზროვნების კატეგორიებს ყველგან, სადაც ეს შესაძლებელი იყო, სწავლობდნენ ათენის აკადემიაში (წმიდა ბასილი დიდი, წმიდა გრიგორი ღვთისმეტყველი), ითვისებდნენ თავიანთი ეპოქის ლიტურატურულ და პოეტურ სტილს, რომელიც შენარჩუნებულია ეკლესიაში (განსაკუთრებით მათ ლიტურგიულ გალობებში) ჩვენს დრომდე.

მეორე მხრივ, დღეს ჩვენთვის შეუძლებელია განავითაროთ მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება დასავლური სწავლებისა და მეთოდოლოგიის გარეშე, მაგრამ არა მათდამი დაქვემდებარებით. ეს, ცხადია, ითვალისწინებს, რომ ჩვენმა საღვთისმეტყველო სკოლებმა მოღიანად უნდა შეიმეცნონ ის მიღწევები და კრიტიკულად გამოიყენონ ისინი. მამები არ აღიქვამდნენ ზერძულ კონცეფციებს მათი განწმენდისა და შინაგანი გარდაქმნის გარეშე და მათი ქრისტიანული გამოცხადების საწინააღმდეგო წანამძღვრების უარყოფის გარეშე (მაგალითად, ორიგენობის უარყოფა). ასევე, დღეს არაკრიტიკული მიღება სწავლელებისა, რომელიც განვითარდა ეკლესიის ფარგლებს გარეთ და ეყრდნობა თავის საერო რაციონალურ დეტერმინიზმს, იქნებოდა კატასტროფული მართლმადიდებლური ღვთისმეტყველებისათვის. უპირველესად ყოვლისა, ბიბლიისტიკის სფეროში არ შეიძლება გავიგოთ წმიდა ტექსტის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, თუ არ ვაღიარებთ, რომ ღმერთი მოქმედებს ისტორიაში არა მხოლოდ იმ ბუნებრივი თანმიმდევრობით, რომელსაც შეისწავლიან მეცნიერები, არამედ უშუალოდაც, ხანდახან ამ

ფარგლებს გარეთაც, ავლენს თავის ძალაუფლებას შემოქმედისა და მაცხოვრისა. მაგრამ დასავლურმა სწავლელებამ შეიძლება ასევე გვასწავლოს ჩვენ (რაც სავსებით მისაღებია და გაგვამდიდრებს) ბიბლიაში სხვადასხვა ლიტურატურული ფანრის გარიჟვა: ეს ისტორია, ეს პოეზია, ეს იგავი, რომლებიც ბუსტად ასევე აღიქმება, როდესაც ეკლესია კითხულობს, განმარტავს და ადიდებს წმიდა წერილს, როგორც უფლის სიტყვას. ასე რომ, თვით მისაწვდომობა პატრისტული თხზულებებისა გამოწვეულია დასავლელი სწავლელების შრომებით, რომ აღარაფერი ვთქვათ რომაელ-კათოლიკე მამების მიღიარ მეთოდ ლიტურატურაზე, რომლებიც ჩვენს მსგავსად მისწრაფიან აღადგინონ მამების გადმოცემა თანამედროვე ქრისტიანულ აზროვნებაში. მაგრამ მოუხედავად იმის მტკიცებისა, რომ ღიდად დავალებულნი ვართ დასავლური მეცნიერებისგან, ჩვენი საღვთისმეტყველო სკოლები უნდა დარჩნენ მართლმადიდებელ სკოლებად, რომელთაც შეეძლებათ გაიზიარონ კრიტიკული და ანალიტიკური დასავლური იდეები, ჩაწვდნენ მათ გამოცდილებას და წარმოაჩინონ არსება მართლმადიდებლური სარწმუნოებისა ღმერთის, ადამიანის და შექმნილი ბუნების შესახებ. ეს რწმენა მოცემულია წმიდა წერილში, მაგრამ ის იყო გამოხატული აგრეთვე მამების მიერ და შენარჩუნდა დიდი ბიზანტიური ტრადიციის ფარგლებში, რომელიც შემდგომ გადაეცა სხვა კულტურებს. შესაძლოა, ყველაზე საგრძნობ ადვილს მართლმადიდებლური ეკლესიის გადმოცემის შენარჩუნებისა ჩვენს დროში წარმოადგენს ლიტურგია: ეს არის უშუალო და კორპორატული ცდა ღვთის სასუფეველისა, რომელიც გამოვლინდება ევქარისტიაში, სხვა საიდუმლოებებში, მთელს ლიტურგიულ წესში (taxis), წმიდა წერილის ტექსტების საეკთვიკურ გაგებაში, რომლებიც გამოიყენება ღმრთისმსახურებაში, ბიზანტიური პიმნოგრაფიის მიღიარ მემკვიდრეობაში, რომელიც ინარჩუნებს, ხანდახან თითქმის სიტყვა-სიტყვით პარაფრაზებში, მამების ბუსტ სარწმუნოებრივ გადმოცემას.

მართლმადიდებლური ღმრთისმსახურების ტრადიციისადმი ერთგულებამ შეინარჩუნა მართლმადიდებლური რწმენა ბალკანეთზე და ახლო აღმოსავლეთში ოტომანთა მრავალსაუკუნო მმართველობის მოუხედავად, - ეპოქაში, როდესაც არ იყო არც საღვთისმეტყველო სკოლები და არც საღვთისმეტყველო სწავლება. დღესაც, რუსეთის ეკლესია აღნიშნავს ღმრთისმსახურების ამ ფუნქციას და საბჭოთა კავშირის ქრისტიანთა მიერ განოცდილებით შეიცვლია, როგორც ეკლესიური ცხოვრების მთავარი გამოხატულება, რომელსაც თან ერთვის მასწავლებლობა და რწმენის შემეცნება. თითქმის

ათასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შთავარ ვლადიმირის წარგზავნილები, დაესწრნენ რა ლიტურგიას კონსტანტინოპოლის სიფის ტაძარში, ეკითხებოდნენ თავის თავს: მიწაზე არიან ისინი თუ ზეცად? მათი ცდა აღმოჩნდა გადამწყვეტი ახალი რელიგიის ამორჩევაში. მათი გამოცდილება და აღმაფრენა ცოცხლობს ჩვენს დროშიც.

ამიტომ ჩვენი საღვთისმეტყველო სკოლების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, როგორც ჩანს, არის შესაბამისი აკადემიური საზოგადოებების მართლმადიდებლური რწმენის გადმოცემაზე დაფუძნება, როგორც ის შენარჩუნდა ღმრთისმსახურების ტრადიციაში. ღვთისმსახურების მნიშვნელობის დამდაბლება, თუ ამას ადგილი აქვს, გვევლინება "დასავლურობის" ნიშნად, ცრუ და საბიფათო გაგებით. თუ ღმრთისმსახურება არის მხოლოდ ღვთისმოსაობის გამოხატულება, თუ ის არ არის დაკავშირებული რეალურ ქრისტიანულ ცხოვრებასთან, გამოყოფილია ღვთისმეტყველებისაგან და პერიფერიულია საღვთისმეტყველო სკოლის ძირითადი მოღვაწეობის მიმართ, მაშინ მას არაფრით არ შეუძლია შეასრულოს ის როლი, რომელიც იგი ასრულებდა საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებლურ ეკლესიაში - როლი, რომელიც მღვთმარეობს ჭეშმარიტი მართლმადიდებლური "გონების" (phronema) გამოხატულებაში, ეკლესიის გარდაქმნაში ადამიანების უბრალო საკრებულოდან ქრისტეს სხეულად, და ამდენად იგი ვერ შეასრულებს სკოლის, რომელიც ჩვეულებისამებრ ითვლება ინტელექტუალური ვარჯიშის ადგილად, ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრების კერად გარდაქმნის როლს; ცენტრად, საიდანაც ეკლესიის ტრადიცია გაფრცვლდება ეპარქიებში და სამრევლოებში, დაეხმარება ეპისკოპოსებსა და მღვდლებს ასწავლონ და იქადაგონ ჭეშმარიტება.

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო განათლების თანამედროვე სკოლები ასრულებენ თავიანთ მისიას სხვადასხვა საზოგადოებებში. გარეშე დამკვირვებელს შეიძლება ადვილად შეეჭმნას შთაბეჭდილება, რომ მათ შორის ცოტაა ერთიანობა და საერთო აღმაფრენა. მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება აღმოჩნდება შედაპირული. მიუხედავად ჩვენი სისუსტეებისა და ყველა ბარიერისა, რომელიც გვეყოფს, მიუხედავად ენობრივი და ფორმაციული გაყოფისა, პირადად მე კვლავ აღმოვაჩენ ხოლმე გადმოცემის ერთიანობას და არსებითად ერთიან მღვთმარეობის ღვთისმეტყველებისა და

მართლმადიდებლური გამოცდილების ძირითად ელემენტებთან, როდესაც საშუალება მაქვს ვწვიო საღვთისმეტყველო სკოლებს სხვადასხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებში.

ადამიანური ერთ რომ ვილაპარაკოთ, როდენობისა და კრიტიკულად შეფასებული ხარისხის ჩარჩოებშიც კი შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საღვთისმეტყველო ლიტურატურა არც ისე ძლიერია, როგორც ვვალება რომ იყოს. და, მიუხედავად ამისა, მისი დაფუძნებულობა პატრისტიკულ გადმოცემაზე, ის ფაქტი, რომ იგი მიჰყვება ადრექრისტიანულ წმოდანობას; მისი წარმოგზავნილებითობა ადამიანის ზეის მიმართ, რომელიც ღმერთთან კავშირისთვისაა მოწოდებული, საკმარისია ყველა ჩვეთაგანის გაერთიანებისათვის, რათა ჩვენი მართლმადიდებლური მოწმობა გახდეს მნიშვნელოვანი მრავალ გარეშეთათვის. "სინდესმოსის" ინიციატივა, რომელმაც მოაწყო საღვთისმეტყველო მართლმადიდებლური სკოლების ეს მეორე კონსულტაცია, საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავევლო ჩვენი ფესვების ერთიანობას და ამით ჩვენი მომავლის განუყოფლობას. ამ ერთიანობის შეთვისება და მისით ცხოვრება შეგვძენს განსაკუთრებით ძვირფას გამოცდილებას ყველა ჩვენთაგანს, ვინც მოწოდებულია შეატყობინოს დასავლურ სამყაროს მართლმადიდებლური გადმოცემა. დღეს ამერიკაში ჩვენ ვართ საზოგადოების უმნიშვნელო უმცირესობა, საზოგადოებისა, რომელიც რელიგიურობის მხრივ დასაწყისიდანვე პლურალისტური იყო და ახლა განიცდის ძლიერ სეკულარიზაციას. ჩვენ ვგრძნობთ ჩვენი პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთს მართლმადიდებლობისადმი ერთგულებისა, და აგრეთვე ნიჭისა - გამოვხატოთ არა სექტანტური ან "თავისთავში ჩაკეტილი" ეგოტიკური სწავლება, არამედ ქრისტიანული ჭეშმარიტება ჩვენს დროში. საღვთისმეტყველო განათლება არსებითია ჩვენთვის ისევე, როგორც ლოცვები და ყველა იმათი თანამშრომლობა, ვინც მონაწილეობას იღებს მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო განათლებაში მთელს მსოფლიოში. სწორედ ამიტომ დიდად მადლობელნი ვართ "სინდესმოსისა" ჩვენი მოწვევისათვის ამ ქალაქში, საიდანაც 1733 წელს პირველი მართლმადიდებელი მისიონერები გაემართნენ ამერიკის კონტინენტისაკენ, და აგრეთვე მოცემული შესაძლებლობისა - გაავადრებლოთ მართლმადიდებელი საღვთისმეტყველო სკოლების თანამშრომლობა.



ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე)

წმიდა მარტვილთა და ღვაწლითშემოსილ მამათა "ცხოვრება-წამებების" მეტაფორასული რედაქციები

წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიამ უფლის ვნებათა თანამოწამედ შერაცხა ყოველი ქრისტიანი, ვინც კი საკუთარი სისხლის დათხევით "სწამა" ძე ღვთისა, ქალწულისაგან შობილი მხსნელად კაცთა. ქრისტიანული ეკლესია წმინდანთა ძელებზე დაეფუძნა, მათი სისხლით შემტკიცდა.

ქრისტეს მოწამეთა საქმენი ჭეშმარიტად "აღწერილ არს ცათა შინა" და ღვაწლი, რომელიც მათ მოიღვაწეს, მარადის უჩინარ მადლს გადმოგვივლენს მართლმორწმუნეებს.

ამგვარ მოღვაწეთა ცხოვრება ზოგჯერ სიტყვიერად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, ხშირად კი მაშინვე აღიწერებოდა მათი წამებისა და მოქალაქეობის თვითმხილველთა და თანადამხვედურთა მიერ. ამ სახით მრავალმა ძეგლმა მოაღწია ჩვენამდე.

წმიდა მარტვილთა და მამათა "წამება-ცხოვრებები" განუყრელი ნაწილია ქრისტიანული ეკლესიისა. მათი პირველსახე არის თავად ცხოვრება და წამება უფლისა, აღწერილი მათე, მარკოზ, ლუკა, და იოანე მახარებელთა მიერ /შემდგომში ცალკეულად აღიწერა აგრეთვე წმიდა მოციქულთა მარტვილობანიც /.

ცნობილია, რომ IV საუკუნეებდ ქრისტიანული ეკლესია ძირითადად მოწამებრივი იყო. როდესაც ახალი რეული თვითმხილველად ცნეს, როგორც ჭეშმარიტი სიტყვა ღვთისა, წმიდა მოწამეთა ეპოქა დიდ მეუღაბნოე მამათა მოღვაწეობამ შეცვალა. შესაბამისად, "წამებათა" ტრადიციას "ცხოვრებათა" ციკლი შეენაცვლა. IV-VII სს-ში მრავალი სასწაულმოქმედი მამის ცხოვრება აღწერეს მათმა მოწამეებმა და მოწამეთა მოწამეებმა. ყოველი ამგვარი აღწერილობა, "ვითარცა ძეგლი პირმეტყველი", სახედ და ნიმუშად გადაეცათ მომავალ თაობებს.

VII ს-დან კვლავ განახლდა რწევა მართლმადიდებლობისა. ხატმორკინალობა წინააღმდეგ აღდგა ჭეშმარიტ ქრისტიანთა სრული კრებული. მრავალმა მორიგო მოწამის სანატრული გვირგვინი, მრავალი ემსგავსა პირველ მარტვილებს. მათი

ღვაწლიც ჯერონად აღწერეს საეკლესიო მეტატიანეებმა.

ხატმორკინალობის წინააღმდეგ მებრძოლო სულიერ ძაღას ჰმატებდნენ "უშინაგანეს" უღაბნოებში მოღვაწე მამები, სრულნი სათნოებითა და მადიებელნი მეციური ნეტარებისა. მათი ცხოვრებაც მისხალ-მისხალ აღიწერა და გადმოეცა მომავალ თაობებს.

წმიდა მარტვილთა და განდევილ მამათა "წამება-ცხოვრებები", ხშირ შემთხვევაში, როგორც ვთქვით, თვითმხილველთა მიერ აღიწერებოდა. ამგვარი პირველადწერილი თბზულებები, ჩვეულებრივ, ენობრივად მარტივია. მათი ავტორები არ იყვნენ მწერლობაში დახელოვნებული მემეტატიანენი. პირველადწერილთა თბრობა ხშირად მხოლოდ ფაქტების აღწერას წარმოადგენს. მათში არაფერია თქმული წმინდანთა სულიერი ცხოვრების შესახებ, არ არის გაცხადებული მოწამებრივი ღვაწლის სპირიტუალური შიარ აღწერილობებს გულისხმობდა ჩვენი წმიდა მამა ეფრემ მცირე, როდესაც წერდა, რომ მარტვილთა "წამებანი" და მამათა "ცხოვრებანი", "მამინ, ვითარცა ფამი მისცემდა, თბრობის სახედ ოდენ აღიწერეს თითოეულისა წმიდათაგანისა თანა-დახუდომილისა ვისგანმე".

ასეთ დროს თავი იჩინა გაცილებით საშიშმა სენმაც. მარჯვე ფამი პოვეს მწვალებლებმა და ცრუ მქადაგებლებმა. პირველთბრობათა მარტივი და ლიტონი სიტყვები ზოროტი აზრებით შეაბავეს, რითაც ჭეშმარიტი "მარტვილობებიც" საეჭვო გახადეს. წმიდა ეფრემ მცირე ამის შესახებ გვაუწყებს: თვითმხილველთა აღწერილობები "არა ხოლო ლიტონობასა და სიმარტივესა შინა დაშოეს, არამედ რომელნიმე მათგანნი განირაყნესცა კაცთა მიერ ზოროტთა და მწვალებელთა, რომელთა დრკუნნი იგი სიტყუანი მათნი თანაშემკრინეს ლიტონობასა მას თბრობისასა და ცრუთა მით მართალიცა შეამორღვეს და საეჭველ ყვეს".

წმიდა ეფთვიმე მთაწმიდელი ასახელებს კიდევ რამდენიმე ასეთ შერყვნილ ძეგლს. მისი თქმით:

"მოციქულთა ცხოვრებანი რომელნიმე გარყვნილ არიან მწვალებელთაგან". აქვეა გაფრთხილება წმიდა გიორგის არატეშმარიტი "წამების" შესახებ. აღინიშნულია, აგრეთვე, ყალბი "წამება კურიკუსი", რომელიც არის "უცხო სჯულისაგან ქრისტიანეთასა". დიდი მოძვიარი გვაუწყებს: "და სხუანი რომელი ესევითარიმე ნატყუარნი, მრავალ არიან სახელები მათი; არა საკმარ არს ესევითარი. აწ რომელიმე სხვათა მწვალებელთა დაუწერია და თვთვე საცნაურ არს". წმიდა ეფთვიმე მიგვითითებს კიდევ იმ პირზე, ვინც გარყვანა წმიდანთა "ცხოვრება-მარტივობები": "ხოლო ესე მოციქულთა და მოწამეთა" მას დაწვეულსა ივლიანეს, ვითარცა იყო მტერი უფლისა და ყოველთა წმიდათა, მან გარყვნა რათამცა ნაკლად შერაცხნეს ყოველნი და არამცა ვის სარწმუნოდ უჩნდა წამება წმიდათა მოციქულთა, გინათუ მოწამეთა".

როდესაც ყალბი "ცხოვრება-წამებები" მრავლად გავრცელდა ქრისტიანთა შორის და ჭეშმარიტი საფრთხე შექმნათ თვით უტყუარ აღწერილობებს, უფლის ნებით, დედა ეკლესიას ძალმწივლ გამოუჩნდა ძლიერთაშემოსილი მოღვაწე, ახალი ღვთისმეტყველი ღვთითგაბრძნობილი წმიდა სვიმეონი, რომელიც ეფრემ მცირის თქმით, იყო "კაცი ყოვლითა საწარმართოთა და გარეშითა სიბრძნითა სრულიად განსწავლული და ეგრევე შინაგანთა ამათ და ჩუენთა საეკლესიოთა წიგნთა ტუხლისა და ახლისა სჯულისათა მოსწრაფებით წურთილი, ამას ყოველთა თანა და სულიერთაცა სათნოებათა მოქმედებასა შინა კუთხლად გამოცდილი".

წმიდა სვიმეონ ღვთისმეტყველი უდიდესი მამაა ქრისტიანული ეკლესიისა. ფასდაუღებელია სვიმეონის ღვაწლი კონკრეტულად აგიოგრაფიის დარგში. მის სახელს უკავშირდება წლის პირველი ხუთი თვის /სექტემბერ - იანვარი/ აგიოგრაფიული მასალის დამუშავება.

წმიდა სვიმეონის მოღვაწეობა ძირითადად ორი გზით წარმართა: 1/ თავდაპირველი მარტივი აღწერილობის გამშვენება და სიმარტივეში დაფარული მადლის გაცხადება. წმიდა ეფრემი გვაუწყებს, რომ სვიმეონმა "პირველად შეამკო უმუხრებად სიტყვსა, ხოლო არა ეგრეთ, ვითარმცა სხუად ძალი შემოიღო, არამედ იგივე ძალი პირველადწერილისა სიტყვსად შეამკო და აღწერა უბრწყინვალესად". 2/ ყოველგვარი საეჭვო და მწვალებლური აზრის აღმოფხვრა აღრინდელი თბულეებებიდან. წმიდა ეფრემის თქმით, სვიმეონმა "კუალად შემკობასა თანა უმუხრისასა იღაწა სრულად განგდება სიტყვსად საექუელსა და მწვალებელთა მიერ შეძინებულისა".

ამგვარი ორმხრივი მოღვაწეობით წმიდა სვიმეონ ღვთისმეტყველმა ანუ ლოლთოეტმა

/როგორც უწოდებენ მას ზოგჯერ/ შექმნა უცთომელი სიტყვით შემკობილი და საღვთო მადლით გაბრწყინებული ახალი ციკლი "ცხოვრება-მარტივობებისა". წმიდა ეფრემი წერს: "ორნი ესე დიდნი შემატებანი მისცნა /სვიმეონმა/ წამებასა წმიდათასა, რამეთუ იფქლი განწმედლყო ლუარძლისაგან და ყოვლადმუხნიერად შეცვალნა უმუხრებისაგან".

ამგვარი ახალი "ცხოვრება-მარტივობები" მეტაფორასად იწოდება, განსხვავებით ძველი ანუ კიმენური რედაქციებისაგან. სიტყვა "კიმენი", როგორც ამას განგვიმარტავს ეფრემ მცირე, ნიშნავს "მდებარე" /ზერძ. keimeou - მდებარე/ და ამ სახელით მხოლოდ თავდაპირველი მარტივი აღწერილობები • აღინიშნება. რაც შეეხება "მეტაფრასს", ეს სიტყვა გულისხმობს "გარდაკაბმვას გამშვენებას" /metavrasi/. ამ სახის "ცხოვრება-წამებათა" შექმნა, როგორც ითქვა, წმიდა სვიმეონის სახელს უკავშირდება /აქედან გამომდინარე, თვით სვიმეონს ხშირად ეწოდება "მეტაფრასტი"/.

ეფრემ მცირის უწყებით სვიმეონმა წინადაიღვა ძელი იგი "მოწამეთა", რომელსა "კიმენ" უწოდებენ ანუ "მდებარე" და შეცვალა მეტაფრასად.

თუმცა სვიმეონ ღვთისმეტყველის მეტაფრასები თავიდანვე დაინერგა საეკლესიო მსახურებაში, მაგრამ შემდეგ ხანგრძლივად აიჭრალა მათი ხმარება და მხოლოდ მოგვიანებით აღდგა სამართალი. საინტერესო ცნობებს გვაწვდის ეფრემ მცირე ერთხელ ეკლესიაში კითხულობდნენ წმიდა თეოკტისტე ლეზველის "ცხოვრების" სვიმეონისეულ მეტაფრასს. მასში ლეონ მეფის შესახებ ასეთი რამ ყოფილა თქმული: ლეონმა "განმარტუქმულეება ბერძენთა მეფობისა საფლავსა თუსსა თანაშთაპფლა". ამ "ცხოვრების" კითხვას დასწრება წმიდა სვიმეონის თანამედროვე მეფე ბასილი (976-1025), რომელიც შემომოტანილი სიტყვების გაგონებაზე ძლიერ განრისხებულა და გულისწყრომით ავისილს წმიდა სვიმეონის ნაწერების დაწვა უბრძანებია. ბასილი მეფის სიცოცხლეში სვიმეონის მეტაფრასული საკითხავები ეკლესიაში მეტად აღარ წაკითხულა.

კარგა ხნის შემდეგ, როდესაც გარდაიცვალა წმიდა სვიმეონი და თვით მეფეც, ერთმა პატიოსანმა და სარწმუნო კაცმა ასეთი ჩვენება იხილა: თითქოს სამეფეო პალატში იმყოფებოდა იგი და ესმოდა, თუ როგორ მოუხმობდა პალატის მეფე ეკლესიის სახელგანთქმულ წინამძღვრებს. თავად მეფე არსად ჩანდა. ხმა ისმოდა მხოლოდ მისი; საეკლესიო წინამძღვრები კი სათითაოდ შემოდიოდნენ და თან შემოჰქონდათ თავიანთი წიგნები. პირველად წმიდა ბასილი მოსულა პალატში, შემდეგ წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი

და მასთან ერთად წმიდა იოანე თქროპირი, როცა სამივე მათგანი წარუდგა მეუფეს, კვლავ გაისმა ხმა: "მოუწოდეთ ჩემთან სვიმეონს". ამგვარი მოწოდების შემდეგ გამოიხდა წმიდა სვიმეონ ღვთისმეტყველი, რომელიც მისივე ნაწერებით ხელში მეთხებ შევიდა უზენაესთან.

ეს ჩვენება მისმა მხილველმა აუწყა პატრიარქს, რომელიმაც სარწმუნოდ შერაცხა უწყებელი. პატრიარქის ნებით კვლავ განახლდა კლესიებში წმიდა სვიმეონის წიგნების კითხვა.

სამწუხაროდ, სვიმეონ ღვთისმეტყველმა ვერ მოასწრო დაწეხული საქმის ბოლომდე მიყვანა. მისი გარდაცვალებიდან დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, XI ს.-ის II ნახევარში, წმიდა სვიმეონის საქმე გაავრცელა და სრული წმიდა იოანე ქიფილინოსმა. სწორედ მის კალამს აკუთვნებენ დარჩენილი შვიდი თვის მეტაფორასებს.

ქართული აგიოგრაფიული მწერლობა თითქმის სრულად შეიცავს, როგორც კიმენურ, ასევე მეტაფორასულ "ცხოვრება-წამებათა" ციკლს. კიმენური რედაქციები კარგა ხანია იქცა მკვლევართა შესწავლის საგნად. მათი მნიშვნელობა იმითაც აიხსნება, რომ ბევრ შემთხვევაში მხოლოდ ქართულად არის შემორჩენილი ესა თუ ის აგიოგრაფიული თხზულება, სხვა ენებზე კი იგი დაკარგულია. ამიტომ არის, რომ ქართველ მკვლევარებთან ერთად სამღვარგარეთელი მეცნიერებიც დაუცხრომლად სწავლობენ ძველ ქართულ ხელნაწერებში გახსენებულ ძეგლებს, ამგვარებენ მათ, და ამ გზით, მნიშვნელოვნად ამდიდრებენ ქრისტიანული კულტურის ისტორიას.

განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ ზოლო ხანებში, ასევე, დიდი ყურადღება ექცევა მეტაფორასულ რედაქციებსაც.

ქართული მეტაფორასტიკის კვლევას სათავე დაუდო დიდმა ქართველმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ. მისმა შრომებმა ამ დარგში მსოფლიო რეზონანსი აპოვა. 1910 წელს გამოქვეყნდა კ. კეკელიძის განმარტებული შრომა "Симеон Метафраст по грѣшнским источникам". გამოკვლევას თან ერთვის წმიდა მამის ეფრემ მცირის მრავალმხრივ საყურადღებო თხზულება: მოსახსენებელი მცირე სვიმეონისათვის ღვთისმეტყველისა და თხოვრება მიმებთა ამათ საკითხავთა თარგმანებისა".

აღნიშნული "მოსახსენებლის" შესწავლამ ცხადყო, რომ წმიდა სვიმეონი მოღვაწეობდა X ს. - ის II ნახევარში ზერძენთა მეფის ბასილის დროს /976-1025/. ეს საკითხი აქამდე გაურკვეველი იყო. კ. კეკელიძემ დაადგინა ბუსტი წელიც, როცა წმ. სვიმეონმა თავისი მეტაფორასული კოროპუსი შედგენა დაიწყო /982 წ./.

ორი წლის შემდეგ კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა ახალი შრომა: "Иоанн Ксифилин, проповедатель Симеона Метафраста". აქ განხილულია მკვლევარის მიერ გელათის ხელნაწერში მოძიებული დოკუმენტი, რომლის ორიგინალი დაწერილი ყოფილა იოანე ქიფილინოსის მიერ. აღნიშნული დოკუმენტი ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის, ერთი მხრივ, წმიდა სვიმეონის, მეორე მხრივ კი, თავად იოანე ქიფილინოსის სამწერლობო მოღვაწეობის შესახებ. სათაურში ხაზგასმითაა თქმული, რომ ის შეიღი თვე, რომლებიც დაუშუშაგებელი დარჩა სვიმეონს, გაუსრულებია სწორედ იოანეს: "შედათ ამათ თთუეთა, რომელ არიან ფებერვლი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი და ავლუსტისი, ამათ შინა მოვსენებულთა წმიდათა ცხოვრებათა და მოქალაქეობათა და წამებათა და ღუაწლთა ძუელისა კიმენისაგან, რომელსა ვიეინიმე მრავალთავადცა უწოდენ გარდამეტაფრასმქმნელისა, ესე იგი არს განმავრცულელებისა და შემამკობელისა, პლატისა მწიგნობართა უადრესისა, ყოვლად ბრძნისა ფილოსოფოსისა ქიფილინოსისა მოსახსენებელი დიდისა მეფის ალექსის მიმართ".

კორნელი კეკელიძის ამ ორმა შრომამ დასაბამი მისცა ქართულ ენაზე არსებული მეტაფორასული ძეგლების სისტემურ შესწავლასა და გამოცემას. თავად მკვლევარმა მრავალი მეტაფორასი გამოაქვეყნა სათანადო გამოკვლევითა და კრიტიკული აპარატით. განსაკუთრებით ფასეულია მკვლევარის მიერ შედგენილი სრული საძიებელი ქართულად თარგმნილი მეტაფორასული რედაქციებისა /მსგავსი საძიებელი უფრო ადრე კ. კეკელიძეს შედგენილი ჰქონდა კიმენური რედაქციებისათვის/. აღნიშნული საძიებელი, რომელიც პირველად 1947 წელს გამოქვეყნდა, დღესაც გამკვლევია ქართული მეტაფორასტიკის მკვლევართათვის.

ძველ ქართულ მწერლობაში მეტაფორასული რედაქციები ჩნდება სვიმეონ ღვთისმეტყველის სიტყვობლემივე X ს. - ის მეტაფორასების პირველი ნიმუშები ქართულად უთარგმნიათ წმიდა მამებს: დავით ტბელსა და სტეფანე სანანოხძეს /X ს.-ის II ნახევარი/. მათ შესახებ ეფრემ მცირე გვაუწყებს: "და კუალად ამის, ახლისა მოწამეთაჲსა" - განცა ითარგმნეს მცირედნი, ვითარ იგი არს წმიდისა არტემისი და კრიტულთაჲ და ელევთერისი, რომელნი უთარგმნიან წმიდასა მამასა ჩუენსა დავით ტბელსა... ეგრეთვე სანატრელსა სტეფანეს სანანოხს ძესა უთარგმნიან საკითხავი დაუქვლიმელთაჲ და ცხოვრებაჲ თოკტისტე ლემგელისაჲ და სხუანიცა".

რამდენიმე მეტაფორასული თხზულება უთარგმნია წმიდა ეფთვიმე მთაწმინდელსაც. ეფრემ მცირე გვამცნობს: "ხოლო მოძღვარსა მას და ჩუენ

ყოველთა მამასა და მნათობსა წმიდისა მამასა ეფთვიძის ლოლოთეგის შუამდგომლობისაგან კლემენტისი ოდენ უთარგმნია და წმიდისა პროკოპისი, რამეთუ სხუათა წიგნთაგან უცალო იყო.

ეფთვიძეს, წმიდა კლემენტისისა და წმიდა პროკოპის "წამებათა" გარდა, როგორც ეს კ კამკლიძეს აქვს გარკვეული, სხვა მეტაფორასტებიც უთარგმნია. მაგალითად: "წამება" ევსტრატისი, ავქსენტისი, ევგენისი, ორიენტისა და მარდარისა, ცხორება და მოქალაქობა მარიამ მეგვტელისა, "ცხორება ნიკოლოზ მირინოუკისა" და სხვა.

მემოდასახელებულ "მოსახსენებელში" წმიდა ეფრემ მცირე ცნობას გვაწვდის წმიდა გიორგი მთაწმიდლის შესახებაც: "წმიდათა გიორგისი და თეოდორესი და სასწაული წმიდისა თეოდორესი უთარგმნია ღირსსა ნეტარებისა გიორგის მთაწმიდელსა".

კ კამკლიძის გამოკვლევის თანახმად, წმიდა გიორგი მთაწმიდელს, გარდა აღნიშნულისა, უნდა ეკუთვნოდეს სხვა მეტაფორასტების ქართული თარგმანებიც: იოანე დამასკელის "უწყებათაგან პირველთა დიდთა გამოწულილთა შერებელი საკითხავი ყოვლად ქებულისა შობისათვის უფლისა", ღვთისმეტყველების ტვირთის "მოწაფეთა მათთვის უფლისათა", "თბრობა მარგებალი" და სხვა.

ბიზანტიური მეტაფორასტიკის ქართულად თარგმანში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის წმიდა მამას თეოდოსეს, რომელიც ხუცესმონაზონად არის წოდებული. იგი მოღვაწეა XI ს-ის II ნახევრისა. წმიდა თეოდოსეს თარგმანები დაცულია ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერებში (N20, N36, N37). ეს ხელნაწერები იფარგლება სექტემბრისა და ნოემბრის თვის საკითხავებით. კ კამკლიძის აზრით, სექტემბრის თვის საკითხავები თეოდოსეს 1081 წელს უთარგმნია /ამ თვის საკითხავებიდან მხოლოდ ერთი, კერძოდ, "ჯუარის საკითხავი" თარგმნილია წმიდა ეფთვიძე მთაწმიდელის მიერ; იხ. ნ. გოგუაძე, სექტემბრის თვის მეტაფორასტების ათონური ნუსხა, მრავალთავი ტ. XII, 1986, გვ. 101-113/. საგულისხმოა წმიდა თეოდოსეს ანდერძიც: "შე თავით ჩემით არარა დაძინებო; არცა ჩამირთავს და არცა დამიკლია, რაოდენ ჩემგან ეგებოდა და ქართული ენა თავს იდებდა, არამედ ვითარცა ზერძულად მიპოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრადცა წარჩინებულთა, ესრეთვე ქართულად დამიწერია".

ქართული მეტაფორასტული კრებულებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ყოფილი წერაკითხვის გამავრცელებელი სამოგალოების ხელნაწერი S-384, რომელიც გადაწერილია 1105 წლამდე. კრებული შეიცავს სამი თვის - სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის მეტაფორასტებს.

თარგმანთა ერთ ნაწილს ახლავს ანდერძები, რითაც ირკვევა მთარგმნელთა ვინაობა /ეფრემ მცირე, სტეფანე სასანოასძე, დავით ტბელი, არსენ იყალითოელი/, მაგრამ უმეტესობა ანონიმურია.

აღნიშნული კრებული შეიცავს მრავალ ისეთ ძეგლს, რომელიც ათონურმა ხელნაწერებმა წმიდა თეოდოსეს ხუცესმონაზონის თარგმანებითაც შემოგვინახა. ასე რომ, სექტემბრისა და ნოემბრის მეტაფორასტულ საკითხავთა დიდი ნაწილი ჩვენამდე მოღწეულია ორი პარალელური თარგმანის სახით, რომელთაგან ერთი წმიდა თეოდოსეს ეკუთვნის, მეორე კი - ძირითადად უცნობ მთარგმნელთა ხელიდან არის გამოსული. ეს გარემოება დიდად საყურადღებოა ზოგადად ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიისათვის, რადგანაც აღნიშნული პარალელური კრებულები მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის წმიდა სვიმეონის მიერ შექმნილი მეტაფორასტული კორპუსის იმ ცვლილებათა შესასწავლად, რაც ამ კორპუსს მოგვიანებით უნდა განეკუდა.

წმიდა სვიმეონის აგიოგრაფიული შრომების დიდი ნაწილი ქართულად თარგმნა წმიდა მამა ეფრემ მცირემ. კ კამკლიძე ასახელებს მის მიერ თარგმნილ 26 ძეგლს, რომლებმაც გავრცელება პოვეს ქართულ საეკლესიო ღვთისმსახურებაში. ესენია: "ცხოვრებანი" წმ. პელაგიასი, წმ. გრიგოლ ნოსკესარიელისა, წმ. იოანე დამასკელისა, "წამებანი" წმ. დიმიტრისი, წმ. იერონისი, წმ. შინა მეგვიტელისა და მათთან ერთად სხვადასხვა ხასიათის მრავალი ქადაგება-საკითხავი. ეფრემ მცირემ შეკრიბა მის დროს არსებული თარგმანები და ერთ კრებულად წარმოადგინა ისინი, რასაც "მეტაფრასი" ეწოდა.

ეფრემ მცირის თანამოღვაწედ წარმოგვიდგება წმიდა არსენი იყალითოელი, რომელსაც უთარგმნია "ცხოვრება და ღვაწლი ევგენიასი", "წამება გურია, სამონა და აზიზოსი", წმიდა იოანე დამასკელის "სიტყუად დიდისა შაბათისათვის".

კ კამკლიძის ვარაუდით, მეტაფორასტები უნდა უთარგმნა წმიდა იოანე პეტრიწისა, ხელნაწერ A-878-ში, რომელიც შეიცავს წმიდა მერკვირისა და წმიდა ვარვარას მეტაფორასტულ "წამებებს", არის მინაწერი: "ესე მერკვირისა წამება და ვარვარისა პეტრიწის თქმულია".

ძირითადად ამით ამოწურება წმიდა სვიმეონის მეტაფორასტულ ძეგლთა ქართული თარგმანები; მაგრამ ქართულ მწერლობაში მოიპოვება მრავალი სხვა მეტაფორასტიც, რომლებიც წმიდა სვიმეონის ხელიდან არ გამოსულა. მათი უმრავლესობა წმიდა იოანე ჭიფიფლინოსის შეთხზული უნდა იყოს. კ კამკლიძე შენიშნავს: "სვიმეონ ლოლოთეგმა თავისი შრომა იანვრის თვით გაათავა; მეცნიერებამ მეტაფორასტული

მწერლობის შესახებ მეტი არა იცოდა რა. ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ გამოვაქვეყნეთ ერთი ქართული დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ დანარჩენი შვიდი თვე /თებერვალი-აგვისტო/ გადაუმეტაფრასებია იოანე ქიფილინოსს, რომელიც თავის შრომას 1081 წელს შესდგომია. ამ ქიფილინოსის მეტაფრასთა კრებული, კათალიკოზ ევდემონ ჩხეტიძის /1543-1578/ ინიციატივით გადაწერილი, სამ უმარამაზარ ტომად დღეს გელათის მონასტერში ინახება" (კ კეკელიძე, ეტიუდები, XI, გვ. 80).

კ კეკელიძის აღმოჩენამ სენსაცია გამოიწვია ბიზანტიანულ წიგნებს შორის, რადგანაც იოანე ქიფილინოსი აქამდე საერთოდ უცნობი იყო ქრისტიანული მწერლობის ისტორიაში. მართალია, წმიდა იოანეს ქართული თარგმანები ჯერ სისტემურად შესწავლილი არაა, მაგრამ ის, რაც უკვე გამოიცა /აღნიშნული კრებულიდან ცალკეული ძეგლები გამოაქვეყნა კ კეკელიძემ/, აშკარად ცხადყოფს, რომ ქიფილინოსის ქართული თარგმანები დიდად შეაფასეს შუა საუკუნეების ქრისტიანული ლიტურატიკის ისტორიას.

კ კეკელიძის ვარაუდით, წმიდა იოანე ქიფილინოსის მეტაფრასთა ქართულად მთარგმნელი უნდა იყოს იოანე პეტრიწი. თარგმანების სპეციალური შესწავლა, ალბათ, ამ საქმეს მოჰყენს შუქს.

მეტაფრასულმა მიმდინარეობამ თვალსაჩინო კვალი დატოვა ორიგინალურ ქართულ მწერლობაშიც. საკუთრივ ქართული მეტაფრასტიკის ერთ-ერთ უადრეს ნიმუშად მიიჩნევა "სერაპიონ ბარბუმელის ცხოვრების" ჩვენამდე მოღწეული რედაქცია /ამ "ცხოვრების" კიმენი ჯერტყობით ცნობილი არ არის/, რომელსაც კ კეკელიძე XI ს. - ით ათარიღებს. ასევე, შედარებით ადრინდელ /XI ს./ ძეგლებად ითვლება წმიდა ასურელ მამათა მეტაფრასული "ცხოვრებები", რომელთა ენა მჭიდროდ უკავშირდება ამავე პერიოდში თარგმნილ მეტაფრასულ თხზულებებს.

წმიდა თეოფილე ხეცესმონაზონს ორიგინალური თხზულებაც შეუქმნია. როგორც ვარაუდობენ, მის კალამს უნდა ეკუთვნოდეს ილარიონ ქართველის "ცხოვრების" მეტაფრასული რედაქცია.

წმიდა არსენ ბერს XII ს. - ის I ნახევარში გადაუმეტაფრასებია ჩვენი სულიერი დედის წმიდა ნინოს "ცხოვრება". შემორჩენილია ამ თხზულების II მეტაფრასიც XIII საუკუნისა. რ. სირაძის დაკვირვებით, პირველი აგიოგრაფიული მეტაფრასია, მეორე - პოშილეტიკური.¹

1 რ. სირაძე, ქართული ქსთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ. 1978, გვ. 149.

XII ს. - ის დამდეგს ეკუთვნის "მეტაფრასული მარტვილობები" წმიდათა დავით და კონსტანტინესი, წმიდა რაფლენ პირველმოწამისა და მეფე არჩილისა.

რ. სირაძის აზრით, "გვიანდელი მწიგნობრული გამოძახილი მეტაფრასტიკისა XVIII საუკუნეშიაც აღინიშნება".²

საკუთრივ ქართული მეტაფრასები დიდი ხანია იქცა შესწავლის საგნად. დღეისათვის ყველა მათგანი მეცნიერულადაა გამოცემული და შესწავლილი. ცალკეულ გამოცემებთან ერთად მოგვეპოვება მთლიანი გამოცემაც, რომელიც განახორციელებს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით /იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტურატიკის ძეგლები, წიგნი 3, მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს. თბ. 1971/.

ზემოთ მიუთითებდით, რომ სვიმეონ ღვთისმეტყველის მეტაფრასულ მოღვაწეობას ძირითადად ორი მიზანი ჰქონდა: 1/ ძველი, მარტივი თხრობის გამშვენება, მისი ენობრივ-სტილისტური დახვეწა და ფრაზისათვის გამომსახველობითი უნარის მინიჭება; 2/ გვიანდელი ყაზბი და შერყენილი ადგილების აღმოფხვრა და თხზულების ისტორიულ-თეოლოგიური თვალსაზრისით გამართვა.

დასახული მიზნის მისაღწევად წმიდა სვიმეონმა, ეფრემ მცირის უწყებით, ერთი მხრივ, "წინადაიდვა ძველი იგი მოწამეთა", მეორე მხრივ, კი, "გულმოდგინედ შეისწავლა საეკლესიო თხრობანი და ხრონოლოგია" და საჭირო ცნობები მოიძია მათში. ასე რომ, წმიდა სვიმეონის მოღვაწეობა განისაზღვრებოდა როგორც ძველი, მარტივი თხრობის გამშვენებით, ასევე სხვადასხვა ისტორიულ-ლიტურატიკური ცნობების შეკრებითა და შესწავლით. აღნიშნულ მომენტებს ხაზს ვუსვამთ იმის გამო, რომ დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანი ჩანს მსგავსი მეთოდით ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების დამუშავება. ცნობილია, რომ ჩვენი სათაყვანო წმინდანების შესახებ დროთა განმავლობაში მრავალი რამ გამოირკვა და აღმოჩნდა. ამიტომ, როდესაც გვსურს, ქართველ ქრისტიანებს სახელ და ნიმუშად განვუჩინოთ წინაპართა ღვაწლი, ვფიქრობთ, არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ არსებული აგიოგრაფიული აღწერილობებით და დამატებით აუცილებლად უნდა მივაწოდოთ მათ ყველა ის ცნობა, რაც დროთა განმავლობაში გამოვლინდა.

ეს საქმე დღეისათვის დაწყებულია: რამდენიმე წლის წინათ უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია

2 რ. სირაძე, დასახ. შრომა, გვ. 150.

მეორემ მთლიან მწყემსმთავრული ლოცვა-კურთხევა და დასახა გზა ქართველი წმინდანების ცხოვრება-წამებათა გადამეტაფრასებისა თანამედროვე მკითხველის ლიტერატურულ-ესთეტიკური გემოვნების შესაბამისად და ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების მიღწევათა კვალდაკვალ.

ამ მიმართულებით გაშლილი შრომის პირველი ნიმუში უკვე მთლიან ქართველმა მრევლმა. მხედველობაში: გვაქვს წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების უახლესი რედაქცია, რომელიც ნ. პაპუაშვილს ეკუთვნის /იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1982 წ./ და რომელიც ძველად აღწერილ "ცხოვრებასთან" ერთად ეფუძნება დავით გარეჯელის შესახებ გამოვლენილ მნიშვნელოვან ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებს.

ასე რომ, ორიგინალური მეტაფრასული მწერლობა დღესაც გრძელდება.

სასიხარულო მოვლენად მიგვაჩნია, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ ქართული მეტაფრასტიკის მკვლევარები უკვე შეუდგნენ თარგმნილ ძეგლთა სისტემურ შესწავლასა და გამოცემას. უკანასკნელ ხანს მკითხველთათვის ხელმისაწვდომი გახდა ძველი ქართული მეტაფრასული თარგმანების პირველი

ტომი, რომელიც დიდი მშრუნველობითა და საქმის ცოდნით არის გამოცემული. ეს ტომი შეიცავს სექტემბრის თვის მეტაფრასულ ძეგლებს. გამოცემა ეკუთვნის ნ. გოგუაძეს, რომელიც ქართული მეტაფრასტიკის ცნობილი მკვლევარია. ტექსტებს წინ უძღვის გამომცემლის გამოკვლევა "მეტაფრასულ თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები", სადაც მკვლევარი სპეციალურად მსჯელობს სექტემბრის თვის მეტაფრასული კრებულების შესახებ. ყოველ ტექსტს თან ერთვის საგულისხმო კომენტარები და შენიშვნები.

ჩვენი სურვილია, რომ დაწყებული საქმე, ერთი მხრივ, უახლესი ცნობების საფუძველზე ორიგინალური აგიოგრაფიული ძეგლების გადამეტაფრასებისა და, მეორე მხრივ, ძველად ნათარგმნი უმდიდრესი მეტაფრასული კრებულების მთლიანი სახით გამოცემისა, ღვთის შეწევნითა და თავად წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის მეთხებით, რაც შეიძლება მალე დასრულდეს, რათა უფრო ელვარედ გამოაბრწყინოს უფალმა ძლივეთშემოსილ მარტვილთა და წმიდა მამათა ღვთივეკურთხეული სახელები.

მშობლივით უშარსა

წმიდათ ღმერთთ

(ქართლ-კახური საგალობელი)

წმი-და-თ ღმერ-თო, წმი-და-
 ივე-წმი-და-
 უ-ფა-ლო ძლი-ე-რო, შე-გვი-წა-ლენ
 უ-ფა-ლო ძლი-ე-რო, შე-გვი-წა-ლენ
 უ-ფა-ლო ძლი-ე-რო, შე-გვი-წა-ლენ

დავით აღმაშენებლის მედწოდების გაგებისათვის

საქართველოს ისტორია აღმშენებლობის დარგის ბევრ სახელმძღვანელო მოღვაწეს იცნობს: ციხე ქალაქებისა და ეკლესია-მონასტრების მშენებლებს, განმაახლებლებს ("ახლად მაშენებელი") და მოკამბმელოთ. მაშენებელთა შორის მოიხსენებიან როგორც მშენებლობის ინციტორები და შეწირულობათა გამღებნი (ქტიტორნი), ასევე ხუროთმოძღვარნი, კარიბთხურნი, ჩუქურთმის მჭრელი ოსტატები...

სააღმშენებლო მოღვაწეობით გამორჩეულ არც ერთ მეფესა თუ ხუროთმოძღვარს შემატანიან "აღმაშენებლის" მედწოდებას არ უსაკუთრებს. ერთადერთი გამონაკლისია მეფე დავით აღმაშენებელი.

შეიძლება თუ არა დაბეჯითებით ითქვას, რომ დავით აღმაშენებელმა ყველა წინამორბედსაც და შთამომავალსაც გადააქარბა სამშენებლო მოღვაწეობის მასშტაბით? ან იქნებ მისი მოღვაწეობის ერთადერთი სფერო აღმშენებლობა იყო და მის უმთავრეს დამსახურებას შეადგენს გზებისა და ხიდების, ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-ქალაქების აშენება?

რასაკვირველია, თურქების თარეშისაგან "მოთვრებულ" ქვეყანაში, სადაც "თვნიერ ციხეთა სადამე არა იყო კაცი სოფელსა შინა, არცა რა შენებულობა" ("ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, I, 1955, 324), სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის მარტო საშუალო გამარჯვებები, რომლითაც დავით მეფემ დიდად გაითქვა სახელი, საკმარისი ვერ იქნებოდა. "ამიტომაც ყოველნაირად ეცადა, რომ გზები და ხიდები საქართველოში შესაფერისად ყოფილიყო მოწყობილი. იქ, სადაც მანამდე ნიადაგის ბუნებრივი თვისებების გამო მოგზაურობა გაძნელებული იყო, მან გზები შეაკეთებინა და ქვაფენილ-ყენა, ე.ი. ქვებით მოაფენინა, მდინარეებზე ხიდები ააგებინა, გზებზე ფუნდუკები, ანუ მგზაურთათვის განკუთვნილი სასტუმროები ააშენებინა... ვითარცა ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველს, დავით აღმაშენებელს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ჰქონდა ყურადღება მიქცეული, ამისთვის მან საგანგებოდ ქსენონი ააგებინა... დასასრულ, ქართული სააღმშენებლო ხელოვნების ძეგლური სიღიადღეც კარგად არის აღბეჭდილი მისი

დროის ნაგებობაში. მათგან საკმარისია თუნდაც დასახელებული იყოს ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების ისეთი მშენებური ძეგლი, როგორც გელათის მონასტერი" (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, თბ. II ტ., 1983, 359).

ვახუშტი ბატონიშვილის აზრით "ზოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქნა მეფედ, იყო ქუეყანა ესე სრულად ოკერი; ამან განაგესა და აღაშენა ("აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ქართლის ცხოვრება, IV, 1973, 163).

ვახუშტისეული ინტერპრეტაციის გაგონა ეშინება არაერთ ავტორს; მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ჩვენი სასიქაღლო პოეტი გრიგოლ ორბელიანი. "საღლეგძელოში" იგი დავით აღმაშენებლის სხვა დამსახურებებთან ერთად (მეტეც, იგი "ივერის" აღდგინებას ახსენებს) ხაზგასმით აღნიშნავს მის აღმშენებლობას:

"დავით შთქვი: "იყავ(ნ) ქალაქი"
და აღმოცენდენ ქალაქნი!
განჰვლე უდაბნო ოხერი, -
საესე დაბებით შეჰქმენი!
დაჰკარ წერაქვი, - და აღინდენ
ტაძარნი, ტურფად ნაშენნი!"

მართალია, დავით მეფის სააღმშენებლო მოღვაწეობა თვალსაჩინოა, მაგრამ სამშობლოს წინაშე მას არანაკლები ღვაწლი მიუძღვის სხვა მხრივაც; იგი იყო ზრწყინვალე მხედარმთავარი და პოლიტიკოსი, მეცნიერებისა და კულტურის უდიდესი მუცნატი. არ დარჩენილა ქართული კულტურის არც ერთი დარგი, რომლის მიმართაც მას მზრუნველობა არ გამოეჩინოს. ამიტომ, ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, - "დავით აღმაშენებელს ფასდაუღებელი ღვაწლი მიუძღვის, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისა და სოციალური წეს-წყობილების, ისევე კულტურული აღორძინების წინაშე" (დასახ. ნაშრ., გვ. 359).

მაშ რატომ ფიგურირებს დავით მეფის მედწოდებაში მაინცდამაინც მისი "აღმაშენებლობა"?

* * *

დავით აღმაშენებლის მედწოდებით დაინტერესება ადრეც ყოფილა (ამას მოწმობს ვახუშტი ბატონიშვილისეული კომენტარიც), მაგრამ ეს ინტერ

რესი გაცხოველდა ბოლო ხანებში, როდესაც საჭირო შეიქნა დავით აღმაშენებლის პროსპექტსა და ხეივანზე სათანადო რუსული წარწერის გაკეთება. იმ მოტივით, რომ აქაოდა, ტოპონიმები სხვა ენებში უთარგმნელად გადადიოდა, დავით აღმაშენებლის პროსპექტზე გააკეთეს წარწერა: "Пр. Давуда Агмашенебели".

ამ წარწერამ ქართველი ინტელიგენციის უკმაყოფილება გამოიწვია. პრესაში გამოჩნდა კრიტიკული წერილები (კ. წერეთელი, ნ. ლომოური, თ. ცქიტიშვილი, "რისთვის ვაწერთ სახელწოდებებს რუსულად?" გამ. "თბილისი", 1989 წ. 20 აპრ., გ. ზაქარაძე, "სახელწოდება - რეზუსი?" გამ. "თბილისი", 1989, 18 გვ.). ავტორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ დავით აღმაშენებლის ბედწოდების უთარგმნელად გადატანა სხვა ენებში (მათ შორის რუსულშიც) დაუშვებელია. მართლაც, ქართული სიტყვა "აღმაშენებელი" ქართულის უცოდინარ კაცს არაფერს ეუბნება და "Агмашенебели"-ს დაწერილი ჩვენნი დედაქალაქის სტუმრებს მხოლოდ "რეზუსის" წინაშე ვაყენებთ. რაკი საჭიროდ ვთლით რუსულ ენაზე წარწერების გაკეთებას, ამ წარწერებს გარკვეული ინფორმაციული ღირებულება უნდა ჰქონდეს, "Агмашенебели" კი ქართულის არამცოდინისათვის არავითარ ინფორმაციას არ იძლევა. ასეთ წარწერას თურმე იმით ამართლებენ, რომ რუსული "Строитель" ზუსტად ვერ გადმოსცემს ქართულ აღმაშენებლისათ (იგივე ითქმის გერმანულ Erbauer-ზე და სხვ.).

"ეს მართალია, - პასუხობენ წერილის ავტორები, - მაგრამ ამ გზას თუ დავადექით, დიმიტრი თავდადებულის სახელის ლიტერატურაში მიღებული რუსული შესატყვისი Самопожертвователь ასევე არაა ზუსტი... თუ აქაც რუსული ასოებით ვწერთ - "Тавгаденуа"?"!

პატივცემული მეცნიერები აყენებენ წინადადებას, რომ პროსპექტს რუსულად დაეწეროს "Пр. Давуда "Строитель" და დასძინებ: შეიძლება ვიმსჯელოთ, რომელი სიტყვა სჯობს - "Строитель" თუ "Возобновитель". ან იქნებ ვინმემ სხვა ფორმაც შემოგვთავაზოს, მაგრამ სიტყვა "აღმაშენებელი" რომ უნდა ითარგმნოს ისევე, როგორც ყველა სხვა მსგავსი ზღვსახელი, ეს აშკარაა". ამავე აზრს ავითარებს ბატონი გ. ზაქარაძეც. ისტორიულ პირობა ბედწოდებების ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის მრავალრიცხოვანი ფაქტების დამოწმების შემდეგ იგი წერს: "აღმაშენებელი" ძველქართული ენობრივი ფორმაა, რომელსაც რუსულში არა აქვს ზუსტი ექვივალენტი. მართალია, ერთ დროს მას თარგმნიდნენ, როგორც "Восстановитель", მაგრამ, ეს თარგმანი ამრთობრივად არასწორია - მეფე დავითი " აღმდგენელი" კი არ იყო, არამედ

ქვეყნისა და სახელმწიფოს ახლად მშენებელი. დღევანდელ ქართულში "აღმაშენებელს" შეესაბამება "მშენებელი" ან "ამშენებელი", რომელთაც რუსულში შეესაბამება "Строитель". მაგრამ სახელწოდება "Давуд Строитель" არ შეესაბამება დავით მეფის ნამდვილ როლს საქართველოს ისტორიაში (უცნაური ლოგიკაა: თუკი "აღმაშენებელი" "ამშენებელს" ნიშნავს, ეს უკანასკნელი კი - "Строитель"-ს შეესაბამება, როგორ მონდა, რომ "აღმაშენებელი" და "Строитель" არაა იდენტური ცნებები? "მშენებელი"-სა და "Строитель"-ის იგივეობა ეჭვს არ იწვევს; არც ის თქმულა სადმე, "აღმაშენებლის" წოდება არ შეესაბამება დავით მეფის ნამდვილ როლს საქართველოს ისტორიაშიო. დასკვნა ცალსახა გამოდის: "აღმაშენებელი" "ამშენებელიან" არ შეიძლება გავაიგიოთ. ე.კ. ასეთ კონტექსტში დავით აღმაშენებელი უბრალო "დავით მშენებლად" იქცევა, გაუთანასწორდება მშენებელს სპეციალობით და ვერ ასახავს მის ღვაწლს. ამიტომ სწორი იქნება, თუ ამ საკუთარ სახელს თავისი ბედწოდებით, დღეს ტოპონიმად გამოიყენებულს, რუსულად ასეთ ფორმას მივცემთ: "Проспект царя Давуда Строителя". "მეფე-მშენებელი" უკვე აღარ აღიქმება როგორც პროფესიით მშენებელი - კირითხურო ან ქვითხურო, ან თუნდაც ხუროთმოძღვარი. სახელდებაში მეფის ტიტულუს შეტანა მას იმ შინაარს მიანიჭებს, რომელიც მეტ-ნაკლებად გასაგებს გახდის დავით მეფის ღვაწლს ერისა, სახელმწიფოსა და სამშობლოსათვის".

ავტორი მართალია, როცა ამბობს, რომ ბედწოდება "Строитель" არ შეესაბამება დავით მეფის ნამდვილ როლს საქართველოს ისტორიაში, მაგრამ Давуд Строитель-ისათვის Царь-ის წამდღვარება მაინც ვერ შევლის საქმეს. მართალია, ეს მშენებელი - მეფეა, არაა უბრალო "კალატოზი" ან თუნდაც ხუროთმოძღვარი, მაგრამ ეს ბედწოდება მაინც მართლდენ მის აღმშენებლობით ააქმიანობას (ციხე-ქალაქების, ეკლესიების შენებას) უფამს ხაზს და არაფერს გვეუბნება იმაზე, რომ დავით მეფე " ქვეყნისა და სახელმწიფოს ახლად მშენებელი" (გ. ზაქარაძის სიტყვით), " ქართული სახელმწიფოებრიობისა და სოციალური წეს-წყობილების, ასევე მეცნიერებისა და კულტურის ამაღლდინებელი" იყო (ივ. ჭავჭავაძის შეფასებით).

ამჟამად, "Строитель" ზუსტად არ გადმოსცემს ქართულ "აღმაშენებელს" იმიტომ კი არა, თითქოს ამ " ძველქართულ ენობრივ ფორმას" რუსულ ენაში ზუსტი ეკვივალენტი არ მოიპოვებოდეს, არამედ იმიტომ, რომ თვით ქართული "აღმაშენებლის" მნიშვნელობაც ხანდახან დავითწოდებულად გვაქვს წარმოდგენილი (ე.ი.

"შენიშნულთან" (გათანაბრებული). ეს კი, როგორც ვხედავთ, გაუგებრობის წყაროდ იქცა. ოღონამ უცხოელებთან ეკვივალენტებს დაუწვევებლეთ ძებნას, ჯერ უნდა ნათლად განვსაზღვროთ ქართული სიტყვის სემანტიკური ველი.

საქმე ისაა, რომ ძველ ქართულ "აღმაშენებელში" მართლ მშენებლობათა ინიციატორი კი არა, ქვეყნის ამაღორძინებელიც იგულისხმებოდა. ზენებრივია, ასეთი სიტყვის Строитель-ად თარგმნა არასწორი გამოვლა (იგივე ითქმის Восстановителს-სა და Возоиновителს-ზეც). ამიტომ უნდა ვვძებნოთ არა "მშენებლის" შესატყვისი რუსულ ენაში, არამედ "ამაღორძინებლისა". ასეთი მნიშვნელობის მქონე სიტყვა კი არ შეიძლება ნებისმიერ ენაში არ იყოს.

მაგრამ გვაქვს კი საბუთები იმის საჩვენებლად, რომ ძველქართული "აღმაშენებელი" მშენებლის გარდა (თანამედროვე გაგებით) ნამდვილად გულისხმობდა ქვეყნის ამაღორძინებელს, ყოველივე სიკეთის მომტანს?

ამის გასარკვევად უნდა მივმართოთ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს და ენახოთ, რა მნიშვნელობებითაა იქ ნახმარი ეს სიტყვა. საამისო მასალები უზუად მოუძიებია პროფ. ილია აბულაძეს (ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, 24), ხოლო "აღმაშენებლის" შინაარსის გარკვევას საგანგებო წერილი მოუძღვნა პროფ. რევაზ სირაძემ ("აღმაშენებელი", გამ. ლიტ. საქართველო, 1989, N12). ჩვენთვის საინტერესო მასალისათვის ძირითადად ამ ორ ნაშრომს დავყვებუნებით.

ილია აბულაძე "აღმაშენების" მნიშვნელობათაგან ასახელებს: "აგება, აღმართვა; სიკეთით ავსება, დასახლება", განგებულება, გაშენება, დამტკიცება; განახლება, შექმნა". ამათ შორის პროფ. რ. სირაძე დავით აღმაშენებლის ზედწოდების შინაარსის გასახსნელად უპირატესობას აძლევს "სიკეთით აღვსებას", ერთგან კი გაკვრით "აღორძინებასაც" ახსენებს (აღმაშენება ნიშნავდა სიკეთით აღვსებას, სულიერ ამაღლებას თუ აღორძინებას; ემევე შინაარსი უნდა ჰქონოდა "აღმაშენებელსაც", რაც დავითს ზედწოდებდა "დაუმკვიდრდა").

სულხან-საბა ორბელიანი "აშენების" ორ მნიშვნელობას ასახელებს: შენობის ქმნა, გინა გამდიდრება. რატომღაც ეს უკანასკნელი მნიშვნელობა ილ. აბულაძის ლექსიკონში ვერ მოხვდა (თუმცა "სიკეთით ავსება" და "შექმნა" მკრთალად მიგვანიშნებენ "გამდიდრებასაც"), "ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" კი გადატანით მნიშვნელობადაა მიჩნეული (მაგ. "აშენდა კაცი" ნიშნავს: გამდიდრდა, დოვლათით აივსო, გახდინიერდა. იხ. ქველ, არნ. ჩიქობავას საერთო რედ., ტ. I, 1950, "აშენება", "აშენებს" და

სხვ.). "აღმაშენებელს" ამავე ლექსიკონში მართლად "აშენებელი" და "ამგებელი" შეესატყვა, თუმცა იქვეა აღნიშნული, რომ "ესაა ქართველთა მეფის დავით IV-ის ეპითეტი".

"აღმაშენება", როგორც ვიცით, უმეტესწილად შენობის აგებასა და აღმართვას, ქალაქის დაფუძნებასა და გაშენებას აღნიშნავს. ამის მაგალითები ძველ მწერლობაში ბევრია (ილია აბულაძის მიერ დასახელებულთაგან: მათე 7, 24; ეკლესიასტე 3, 3; ამოსი 9, 11; ესაია 44, 26; იერემია 31, 4; I ეზრა 6, 14 და სხვ.), მაგრამ ამჯერად ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ჩვენ გვაინტერესებს ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობები; როდესაც, მაგალითად, საუბარია აღამაინის "აღმაშენებამე", აქ, ზენებრივია, შენობის აგების მზაგებს ვერაფერს იგულისხმებთ, თანაც ეს სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში ისეთ ნოყანებს ავლენს, რომ მისი შეცვლა ერთი რომელიმე უცვლელი ეკვივალენტით არ ხერხდება.

ყველგან, სადაც კი ქართულ ტექსტებში "აღმაშენება" წერია, ძველ ბერძნულ პარალელურ ტექსტებში (საღმრთო წერილის წიგნები და სხვ.) გვაქვს: ὁἰκονομεῖν, ლათინურში - aedifico, გერმანულში - erbauen, aufbauen, aufbauen, სომხურში - շինել და ა. შ. (ეს ეხება როგორც შენობის აგებას, ასევე აღამაინის აღმაშენებას" და სხვ.).

ὁἰκονομεῖν საკუთრივ ნიშნავს "სახლის აშენებას" (ὁἰκονομῶ - სახლი, ბინა) და საერთოდ "შენებას". ახალ აღთქმაში ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობებიც ჰქონია: "ღარიგება", "ჭკუის სწავლება", "სარგებლობის მოტანა" (A. D. Weiss, Griechisch-Russischer Sловарь, СПб, 1894, col. 868).

"შენების" გამოშატველ სიტყვებს სხვა ენებშიც აქვთ მეორე მნიშვნელობად "ღარიგება" და "დამოძღვრა". ასეთია, მაგალითად, ლათ. aedifico (იხ. И. Кронберг, Латинско-русский и Русско-латинский лексикон, М., 1860, 18). ასეთივე კავშირში არიან ერთმანეთთან რუსული Созидание და Назидание. რაც შეეხება გერმანულ erbauen-ს, "შენებასთან" ერთად იგი აღნიშნავს "სულით ამაღლებას", "სულიერი კმაყოფილების განცდას".

ამრიგად, "აღმაშენება" სხვადასხვა შემთხვევაში შეგვიძლია გავიგოთ, როგორც "ღარიგება" და "დამოძღვრა", "სარგებლობის მოტანა", "სულით ამაღლება" და სხვ. ამდენად, ეჭვს იწვევს საღმრთო წერილის რუსულ თარგმანში გამჟღავნებული ტუნდენცია: სადაც კი ნაგებობის აღმართვასთან არა გვაქვს საქმე, "აღმაშენება" მხოლოდ და მხოლოდ "ღარიგებას", "ჭკუის სწავლებად" იქნეს გაგებული.

პავლე მოციქულის ეპისტოლეებში "აღმაშენება" არაერთხელ გვხვდება ისეთ კონტექსტში, როდესაც

"დარიგებად" და "დამოდღვრად" მისი გააზრება ლოგიკურია (I კორ. 8, 1; 14, 3-17; II კორ. 12, 19; ეფეს. 4, 12), მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ასეთი მნიშვნელობის დაკანონება ამრის ზუნდოვნებას იწვევს და იძულებული ვხდებით "აღშენების" სხვაგვარი გააზრება ვეძიოთ. მოვიყვანოთ ამის რამდენიმე მაგალითს:

1. "კაცად-კაცადი ჩუენი მოყუასსა სათნო-ეყოფოდენ კეთილისათეს აღსაშენებლად" (რომ. 15, 2). ახალი ქართული თარგმანის მიხედვით: "ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს აპოს მხოლოდ მოყვასს, მისდა სასიკეთოდ და დასამოდღვრად". აქ როგორც ვხედავთ, რუსული თარგმანის კვალობაზე "აღშენება" "დამოდღვრად" გაგებული. კონტექსტის მიხედვით კი ავსებდა ყოფილიყო: "კეთილისაგან წარსამატებლად". შევნიშნოთ, რომ "დამოდღვრა" გვაქვს მომდევნო მუხლში (რომ. 15, 4) და იგი შეესაბამება ბერძნულ δὲ ἀποδοξάζω-ს. როდესაც ასეთი შესანიშნავი სიტყვა აქვს მოციქულს "დამოდღვრის" გამოსახატავად, იგი ამ ფუნქციას არ დააკისრებდა οὐκ ὀνειδέσθαι-ს, რომლის უმთავრესი შინაარსი მანაც "აშენება".

2. "აწ უკუ მშულობასა შეუდგეთ და აღშენებასა ურთიერთას" (რომ. 14, 19). ისევ რუსულის გავლენით გვაქვს: "მაშ, მოვდიოთ მშულობის საქმეს და იმას, რითაც დავმოდღვრავთ ერთიმეორეს". რაკი "აღშენება" დამოდღვრად მივიჩნიეთ, უცნაური რამ მივიღეთ - "ერთიმეორის დამოდღვრა". ვფიქრობთ, "ერთიმეორის დამოდღვრა" არაზუნებრივი საქმეა. ჩვეულებრივ, სადაც ერთი - მოძღვარია, იქ მეორე - მოწაფე უნდა იყოს. აშკარაა, აქ ურთიერთდამოდღვრაზე კი არა, ურთიერთშეწვევაზე (ურთიერთ-აღშენებაზე) მიგვანიშნებს მოციქული.

3. "ვგრეთცა თქვენ, ვინაათგან მოშურნე ხართ სულთა, აღსაშენებლად ეკლესიისა ეძიებდით, რათა აღემატებოდით" (I კორ. 14, 12). ესაა სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ბერძნულიდან. ეკლესიის "აღშენება" უნდა იგულისხმებოდეს ეკლესიის აღორძინებად. რუსულ ენაზე მთარგმნელი უცდიათ "აღშენების" სტერეოტიპული გაგება ("დარიგება", "დამოდღვრა") მოერგოთ ამ მუხლისათვის და ამიტომ რამდენადმე თავისუფალი თარგმანი გამოსვლიათ: "Так и вы, ревнуя о дарях духовных, старайтесь обогатиться ими к назиданию церкви". ახალ ქართულად მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ აპყობია "აღშენების" ასეთ ინტერპრეტაციას და "აშენებად" გადმოუღია.

4. პავლე მოციქული "აღშენება"-ში რომ აღორძინებას (ზრდა-განვითარებას, წარმატებას) გულისხმობს, ნათლად ჩანს კორინთულთა მიმართ ვინსტროლის სხვა ადგილასაც: "რამეთუ რაა არს

პავლე? ანუ რაა არს აბოლო? არამედ მასხურნი, რომელთაგან თქვენ გრწმენა, და კაცად-კაცადსა ვითარცა უფალმან მისცა: შე დაეასბ, აბოლო მორწყო, ხოლო ღმერთმან აღალოძინა. აწ უკუ არცა დამსხმელი რაა არს, არცა მომრწყველო, არამედ აღმაორძინებელი ღმერთი; ხოლო დამსხმელი იგი და მომრწყველო - ღმრთისა თანაშემწენი ვართ; (ხოლო თქვენ) ღმრთისა ნამუშაკენი, ღმრთისა აღშენებულნი ხართ" (კორ. 3, 5-9). ხოლო ფრაზა ბერძნულ ტექსტში ასეა: *ἢ ἐστὶν ὀνειδέσθαι ἔσθαι*. როგორც ვხედავთ, ეს იგივე "აღშენება" (აღამიანისა), რაც სხვაგან გვაქვს. რუსულ თარგმანში ეს სიტყვა ყველგან *назидание*-დ არის გადმოცემული, მაგრამ აღწერულ კონტექსტში იმდენად დაშორებულია მისი აზრი "დამოდღვრა-დარიგებას", რომ მთარგმნელი იძულებული გამხდარა დაეწერა: *Возвращение*. შესაბამისად, ახალ ქართულ თარგმანშიც გვაქვს "ხოლო თქვენ ღმერთის ნამუშაკენი, ღმერთის ნაშენნი ხართ".

"აღორძინების" მნიშვნელობით უნდა გაეგოთ "აღშენება" მრავალ სხვა ადგილასაც, მაგალითად: "რამეთუ ვთქუ: უკუნისამდე წყალობა აღეშენოს და ცათა შინა განემშალოს ჭეშმარიტება შენი" (ფს.).

5. "იკითხეთ მშულობა იერუსალემისა და აღშენება (var. განგებულება) მოყუარეთა შენთა" (ფს. 121, 6). აქ "აღშენებით" გადმოცემულია ბერძ. *ἢ ἐστὶν ἡσυχία*, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს: 1) სოუხე, დოვლათი. 2) კეთილდღეობა.

6. "გეთის შინანი ნუ განსდიდნებით, ენაკიმეთნი (ὄν ἐν Ἁκλή) ნუ აღეშენებით საბლისაგან საციხელისა, მიწაე გარდაისხით საცინელად თავთა თქვენდა" (მიქ. 1, 10). "აღშენება" აქ ნიშნავს "სარგებლობის ნახვას", "გამორჩენას".

7. "და აწ ჩუენ ეზნატრით უცხოთა და აღეშენებინ მოქმენი უსჯულოთანი (var. აღეშენებინ ყოველნი, რომელნი იქმან უსჯულოებასა) მალ. 3, 15. "აღეშენებინ" ბერძნულად იმავე სიტყვითაა გადმოცემული (*ἀποκαθάρσει*), და ამ კონტექსტში უნდა ნიშნავდეს "კეთილდღეობას", "სიმდიდრეს", "წარმატებას". ლუთერის თარგმანში გვაქვს: *gedeihen* - მრდა, განვითარება, წარმატება, აყვავება. ახალ ქართულში - "აშენდნენ კიდევ ზოროტმოქმენი".

8. "აღშენება" წარმატებასა და გამდიდრებას უნდა ნიშნავდეს ასეთ კონტექსტშიც: "აღაშენებდა მათ და განამტკიცებდა მათ სიმდიდრესა მას ზელა" (კიმენი, ტ. I, კორნული კაპელიძის რედ., 1918, 198); "კურთხულ არს ღმერთი, რომელმან გამოგაძინა შენ კეთილად მწყემსად ჩუენდა და მკურნალად, სულიერად აღმაშენებლად ჩუენდა" (მატებურდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ზ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, 1979, 365).

9. "სიტყუასა აღმაშენებელსა უთბრობნ... (უდაბნოს მრავალთაჲი, 27v); "ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს არს; ყოველივე ჯერ არს ჩემდა, არამედ არა ყოველი აღმაშენებელ არს" (I კორ. 10, 23). აქ ორივეგან "აღმაშენებელი" - "სასარგებლო" უნდა იყოს.

პროფ. რევაზ სირაძეს მოჰყავს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ერთი ადგილი და მისი ნიკო მარსიელი თარგმანი. გრიგოლს თურმე მონასტერში ესტუმრა დედამისი, რომელსაც "ფრიად ნუგეშინის-სცა ნეტარმან მან ღმრთისა კაცმან და აღამენა ფრიად სანატრელი იგი მოხუცებული". ნიკო მარს ასე უთარგმნია: "Блаженный божий человек доставил возжеленной старше бльшее утешение, преподал ей внушительное назидание". ჩვენს მიერ პირველგანხილული მაგალითებიდან, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს "აღშენების" Назидание-დ გააზრების უმართებულობა.

და ბოლოს, გვინდა მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი, რომლითაც საშუალება გვუძლევა "აღშენება" ერთდროულად ნაგებობის აღმართვადაც გაუიამბოთ და აღამიანის სულიერ აღორძინებადაც (მიგვითითა ლევან აბაშიძემ): "და თქუენცა, ვითარცა ღლინი ცხოველნი, აღეშენებოდეთ სახლად სულიერად, სამღვდლოდ წმიდად..." (I პეტ. 2, 5).

ამრიგად, საკუთრივ ნაგებობის აღმართვის გარდა ძველქართული "აღშენება" მოიცავდა შემდეგ მნიშვნელობებს: 1. აღორძინება, ზრდა-განვითარება, წარმატება; 2. სიკეთით აღვსება; 3. გამდიდრება; სარგებლობის ნახვა; 4. კეთილდღეობის მოპოვება; 5. შეწვენა, დახმარება, დავერდომილის წამოყენება.

თუ გაეითვალისწინებთ ამ მნიშვნელობებს,

გამოვა, რომ დავით მეფის "აღმაშენებლობა" უსათუოდ გულისხმობდა მისი სამეფოს აღორძინებასაც, წარმატებასაც, გამდიდრებასა და კეთილდღეობასაც, ყოველივე სულიერი და ხორციელი კეთილით აღვსებასაცა და უმწუროთა შეწვენა-დახმარებასაც. მაგრამ ყოველივე ამის გამოთქმა ერთი სიტყვითაც შეიძლება: დავით მეფე იყო საქართველოს აღმაშენებელი ანუ ამადლორძინებელი. ეს მნიშვნელობა სიტყვისა, ვფიქრობთ, ყოველი სხვა მნიშვნელობის მომკველიცაა და წმიდა მეფის დამსაზურველსაც ჯეროვნად წარმოაჩენს.

პროფ. რევაზ სირაძე "აღმაშენებლობის" მრავალმხრივი მნიშვნელობიდან პირველ ადგილზე გამოყოფს "სიკეთით აღმავსებლობას"; მისი დასკვნით, იმიტომ დამკვიდრებია დავითს ეს ზედწოდება, რომ იგი იყო საქართველოს სულიერი აღმაშენებელი ანუ "სიკეთით აღმავსებელი". ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ პატრივკემული მეცნიერის ამ მოსაზრებას, მაგრამ ვთვლით, რომ ძველქართული "აღშენების" ყველა ნიუანსს უფრო თვალსაჩინოდ ასახავს სიტყვა "აღორძინება", და ამიტომ ეს სიტყვა უნდა დავდოს საფუძვლად დავით მეფის ზედწოდების გააზრებას უცხო ენებზე მისი თარგმნის დროს.

"აღორძინება" რუსულად იწება Возрождение, "ამადლორძინებელი" კი - Возраждатель ან Возрадатель (В. Даль, толковый словарь, I, 1955, 229). ამიტომ ვფიქრობთ, რომ დავით აღმაშენებლის ზედწოდება მხოლოდ ამგვარად უნდა იწერებოდეს რუსულად. პროსპექტს კი, თუ რუსული წარწერა აუცილებელია, უნდა დავაწეროთ: "Пр. Давида Возраждателя".



თვალსაზრისი

ეპისკოპოსი ანანია (ჭაფარიძე)

ჩვენგან გაფაუცხლოთ ჩვენი სისხლი და ხორცი?

ჩვენს უფალსა და მაცხოვარს იესო ქრისტეს წმიდა სახარებაში ნაბრძანები აქვს იგავი კეთილი მწყემსის შესახებ, რომელსაც თავისი ასი ცხვრიდან ერთი დაეკარგა. მწყემსმა მიატოვა მინდორზე 99 ცხვარი და წავიდა ერთადერთი ცხვის საძებნელად. როცა იპოვა, გაიხარა და შეუერთა მიტოვებულთ. ეს იგავი ჩვენ დღევანდელ ყოფასაც შეეხება. მე ვგულისხმობ იმ დამოკიდებულებას, რომელიც შეიქმნა ქართველთა და ისთა შორის.

პატრიარქი და დიდებულნი ქართველნი, განა დღემდე ჩვენი საყვარელი საქართველოს ქართული თუ ოსური ნაწილი ჩვენს საეკლესიო სამწყსოში არ შემოდიოდა და შემოდის დღესაც? მაშ, როგორ უნდა მოიქცეს კეთილი მწყემსი, როცა სამწყსოს ერთი ნაწილი დანარჩენისაგან ჩამორჩენას აპირებს, მიატოვოს ეს და სხვა ცხოვარნი წინ გაირიგოს? სად უნდა იყოს კეთილი მწყემსი ამ დროს?

მცნება, სიყვარული ქრისტესი, გვაგალებს სიყვარულით, პატივისცემით და გაგებით მოვეკიდოთ ჩვენში მცხოვრებ ოსებს. მწყემსმა კეთილმა ისინი თავის სამწყსოს უნდა დაუბრუნოს, მთელი თავისი ყურადღება იმ ერთადერთს, სამწყსოდას ჩამორჩენილს უნდა მიაპყროს. ამიტომაც უნდა ითქვას - ოსები საქართველოს შეიღებენ არიან. უფრო მეტიც, ისინი არა ფორმალურად შემოდიან ჩვენი ეკლესიის სამწყსოში, არამედ რეალურად. საერთოდ, საქართველოს ეკლესიაში შემოდიან არა მარტო ქართველები, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ქრისტიანი - რუსები იქნებიან თუ უკრაინელები. ოსი ქრისტიანები ჩვენი სამწყსოს ნაწილია. და ახლა, ამ გასაჭირის დროს, ჩვენ მათთან ვართ, ჩვენ მათ გვერდში ვიჭნებით, არ დავანებებთ მგელს ანუ საქართველოს მტერს, წაგვართვას ნაწილი ჩვენი სამწყსოსი, სადაც ყველა დაცული და კურთხეული უნდა იყოს.

მე მხედველობაში მაქვს, პირველ რიგში, ჩვენი ეპარქია, რომელშიც შედის ბორჯომის რაიონი. აქ მრავალი ოსი ცხოვრობს, კეთილი ქრისტიანები, კეთილმოწყობილები. ჩვენ ყოველთვის დავიცავთ ამ ქრისტიანების ინტერესებს.

და თქვენ ჩვენი საყვარელი საქართველოს

შვილებო - ოსებო, იყავით გულდინჯნი და გულმშვიდნი, ერთი წუთითაც არ დაქვდეთ თქვენს მიმართ ქართველების ძმობასა და შეგობრობაში. განა დღემდე საუკუნეთა მანძილზე ჩვენ ერთობა, სიყვარული, ძმობა, ნათელ-ძირიანობა, ნათლიანობა არ გვქონდა და გვაქვს ერთმანეთში, განა ცოტაა ჩვენში ერთ ოჯახში, ერთ ჯერქვეშ მცხოვრები ქართველები და ოსები? ჩვენ ხომ არა მარტო სულიერი ერთობა გვაკავშირებს, არამედ ერთ სისხლად და ხორცად ვართ ქცეულნი. განა ასე არ იყო საუკუნეთა მანძილზე? ახლა ყველამ ერთად ვუცადოთ, ცხვარი მგლად არ იქცეს, როგორც ეს ალან ჩოჩიევს სურს.

მე წავიკითხე ოსი მოქალაქის წერილი რესპუბლიკურ გამზეთში, სადაც ის ჩოჩიევს პირად მტერს უწოდებს და ეს ასეა მართლაც, ამ კაცს და მის ჯგუფს თავისი ხალხის დაღუპვა სურს. ჩვენ ჩვენს სამწყსოს მარად დავიცავთ, როგორც ჩოჩიევების მსგავსთაგან, ისე იმ ქართველთაგანაც, რომლებმაც არ იციან მტრობის გადღვივებით რას უშნადღებენ ქართველ ხალხს.

ქართველი ქრისტიანო, შენ უბარმაზარი პოლიტიკური კულტურის შემკვიდრე ხარ, როგორ ფიქრობ, ასეთი მიდგომა რომ ჰქონოდა ჩვენს ვრს სხვა ეროვნების შეიღებთან, ჩვენი სახელმწიფო იარსებებდა ორიათას უქვსასი წელი? ჩვენ მუდამ გვქონდა ჩვენი სახელმწიფო, მაგრამ ჩვენს წინაპრებს, ყველაფერთან ერთად, ქრისტიანული სიყვარული და პოლიტიკური მოთმინება ჰქონდათ. სიყვარული და არა ამპარტავნული თავისაღწერება, მოთმინება და არა უსაფუძვლო მოთმინებლობა. "იყვარებოდეთ ურთიერთას" - გვასწავლის უფალი, "შეიყვარე მოყვასი შენი - ვითარცა თავი შენი" - "იყავით სრული, ვითარცა მამა ღმერთი" - იმეორებს დიდი ილია მართალი. ნუ გავხდით ცილისწამებას პოლიტიკურ იარაღად, ცილისწამება სიმდაბლეთა, ცილისწამება იგმობა უფლის იმ ათ მცნებაში, რომელიც მოსე წინასწარმეტყველს მისცა თვით ღმერთმა: - "არა ცილი სწამო მოყვასსა შესსა წამებითა ცრუითა".

როგორც გაირკვა, ქართველების ერთ ნაწილს

არაქართველებად მიიჩნევენ მათი "ოსური" გვარების გამო. ასეთი მიდგომა არასწორია და მცდარი. არსებობს მეცნიერული ნაშრომები, ძველი საბუთები, საიდანაც ნათლად მტკიცდება, რომ ამ გვარების ნაწილი ქართული წარმოშობისაა.

მე აქ შევეხები მხოლოდ რამდენიმე გვარს, ჩვენს რაიონში გავრცელებულთ, მაგალითად, თედიაშვილების გვარი საერთოდ ბორჯომული წარმოშობისაა. დიდი მეცნიერი ვახუშტი ზაგრატიონი, რომელიც ასევე ცნობილი გეოგრაფი იყო, XVIII საუკუნის დასაწყისში, დღევანდელი ბორჯომის რაიონში ასახელებს "თედიათ-უბანს" ანუ თედიაშვილების სოფელს. ეს ის დროა, როცა, იმავე ვახუშტის გადმოცემით, ჩრდილო კავკასიიდან ქართლის მიდამოებში თანდათან ესახლებიან ოს-ღვალეები /იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 634-650/. ვახუშტი ასახელებს ყოველ ხევს, ყოველ ადგილს, სადაც კი ოს-ღვალეები სახლობენ ამ დროს. მათი დასახლების არეალი საქართველოში იმ დროს მხოლოდ ქართლის მთიანეთს მოიცავდა და არავითარი ოსური მოსახლეობა ან ოსური გვარი დღევანდელ ბორჯომის რაიონში ვახუშტის დროს არ ცხოვრობდა. მაგრამ იქ როგორც აღვნიშნეთ, თედიაშვილების სოფელი კი იყო. თედიათ-უბანი, ს. მაკალათაის მიხედვით, წაღვეთთან მდებარეობდა /ბორჯომის ხეობა, 1957, გვ. 26/. თედიაშვილები იმ დროს იყვნენ ავალიშვილების ყმები. ცნობილია, რომ ვახუშტის შემდეგ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ავალიშვილები თავიანთი ყმებით ბორჯომის ხეობიდან გადასახლდნენ შიდა ქართლში. ცხადია, მათ შორის იყვნენ ყმა თედიაშვილებიც. აქ ისინი მეცხრამეტე საუკუნეში მოექცნენ ოსურ გარემოში და ამ გვარის ზოგიერთი წევრი გაოსდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ავალიშვილები კვლავ დაბრუნდნენ ბორჯომის ხეობაში, მათ შორის იყვნენ თედიაშვილებიც.

ქართველების გაოსების შესახებ ჩვენ გვაქვს მეცნიერ ეთნოგრაფთა უამრავი მონაცემები. გ. ჭიშკლაძე წერს: "თუ ქართველთა და გაქართველებულ დვალთა გაოსება წინა საუკუნეში მხოლოდ მაღალმთიან ხეობას მოიცავდა, მეოცე საუკუნეში პროცესმა გადმოინაცვლა დაბალმთიანი გარდამავალი ზოლისაკენ" /ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, კრებული შიდა ქართლი, 1987, გვ. 17-18/, ხოლო რაც შეეხება ქართველთა გაოსებას მაღალმთიანეთში, ამის შესახებ წერდა მეთვრამეტე საუკუნის დიდი გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტიც. ეს მეცნიერი გერმანიიდან კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მოგზაურობდა. ის წერს: "კავკასიელ მთიელთა შორის, განსაკუთრებით დიკებსა და ოსებში, არის ბევრი ქართველი, რომელთაც რელიგიასთან ერთად ენაც

დაივიწყეს" /გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 185/. მისი დაკვირვებით, ქართლის მთიანეთში ოსთა შორის მცხოვრები ქართველები კარგავენ ქართულ ენასა და სარწმუნოებას, რის გამოც ისინი ოსლებოდნენ.

ვახუშტის დროს ქართლის მთიანეთში ოს-ღვალეები არცთუ დიდი ხნის შემოსულები იყვნენ. ამიტომაც მაღრან-ღვალეთში /საქართველოში ოსთა განსახლების ძირითად ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა დღევანდელი ჭავჭავაძის რაიონის ერთ ნაწილს/, ოსებთან ერთად ჯერ კიდევ ცხოვრობდა ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა /იხ. დასახ. ნაშრ. ტ. I, გვ. 101, ტ. II, გვ. 91/. სწორედ ისინი განიციდნენ იმ დროს გაოსებას და ეს პროცესი შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნეში გავრცელდა ქართლის ბარში, მთიელების ბარში ხიზნებად ჩამოსახლებასთან ერთად.

ამ პროცესს თვით ხალხი უკვირდებოდა და აფიქსირებდა თავის მახხვრობაში: აი, რას წერს მეცნიერი: "საინტერესოა ეთნოგრაფიული მასალა ოდიშელების შესახებ. ძირ-გვარი ყოფილა ცეცხლაძე. თავიდან მეჭულის ხეობის სოფელ სარდისში უცხოვრიათ. მანდ ყოფილან სამი ძმანი ცეცხლაძეები /აღსანიშნავია, რომ ცეცხლაძეები, 1744 წლის აღწერის თანახმად, ჯურთის ხევის მკვიდრნი არიან, იხ. ჭავჭავაძე, გვ. 184/. ერთს ერქვა ბელო, მეორეს - მელა, მესამეს - ოდი. ესენი ჩამოსულან და დაუკარგათ ნამდვილი გვარი ცეცხლაძე და გადაკეთებულან სამ გვარად - ოდიშვილად, ბელოშვილად და მელაშვილად. მელაძის წინაპარი დასახლდა ჯურთაში, ოდიშვილისა - ზოღებში, ბელოშვილისა - საფარშეთში. მელაძეები და ბელოშვილები გაოსდნენ. ხევშიც არიან ოდიშვილები, პაპაჩემის გადმოცემით ისინი ზოღებში მოდიოდნენ სალოცავად" /რ. თოფჩიშვილი, ქნის ხეობის ზოგიერთი ეთნო-ისტორიული საკითხები, მაცნე, ისტორიის სერია, 1987, N4, გვ. 35/.

არის სხვა საგვარეულო დაკვირვებაც ხარხელების, ჭაბაურების და ფსუტურების გაოსების შესახებ - "ზეენი მოგვარეები ყოფილან აგრეთვე ქოლოთში მოსახლე ხარხელები და ფსუტურები, ზოგი ნახილში ცხოვრობენ. ნახილში ბევრი გაოსდა და ფსუტურები თვითონ უფრო ოსურად ლაპარაკობდნენ" /იქვე, გვ. 39/. ასევე არის პიტეეების შესახებაც. "თელყორაშვილების ძირ-გვარი გუთნიაშვილი ყოფილა, თელყორაშვილების გვარს კი შედარებით გვიან /XIX ს-ის პირველ ნახევარში/ გამოყოფიან ბუკარაშვილები და ზიტიაშვილების გვარი" /იქვე, გვ. 39/. ზიტიაშვილები ანუ ზიტიაანთი რუსული აღმინისტრაციის გავლენით XIX საუკუნეში თავიანთ გვარს უმატებენ გვარწარმოქმნულ რუსულ სუფიქსს "ვი" და

ბიტიამშვილების ნაცვლად ფორმდება გვარი ბიტიევი. დასახელებულ ნაშრომში აღწერილია, აგრეთვე მგაგის პროცესები - მაგალითად, თუ როგორ შევიდა ილურიძეების ოჯახში ოსური ენა და წეს-ჩვეულებები; ისინი ოსურ გარემოში, ერთ-ერთი მთის ხეობაში ცხოვრობდნენ: "ცნობილია, რომ ქალი იშვიათად თხოვდება ზარიდან მთაში, ძირითადად პირიქით მოვლენას აქვს ხოლმე ადგილი. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ილურიძეებიც: მათ ქვემოდან მოსახლე ქართველთაგან მეშთ არაყინ თხოვდებოდა. ილურიძეების მეშთ კი ოსები მკვიდრობდნენ. XIX ს-ში ილურიძეებმა მასობრივად დაიწყეს ოსის ქალებთან დაქორწინება. ქალებმა კი, რომლებიც ილურიძეთა ოჯახების დედები და რძოლები გახდნენ, გვარში შემოიტანეს ოსური ენა, ყოფა და რიგი წეს-ჩვეულებები. ილურიძეები დღეს ფაქტობრივად ორენოვანნი არიან. XVIII ს-ის აღწერის მასალებით ილურიძეების ქართველობა არავითარ ეჭვს არ იწვევს" /იქვე, გვ. 35/. ასევე ითქმის გვარ ელოვის შესახებ. გ. ჩიქოვანის მიერ ჩაწერილი მასალებით, ქარიხში ხევიდან მოსულან გიგაურები, რომელთა მემკვიდრები არიან ქანის ხეველი პავლიაშვილები. "პავლიაშვილების განაყოფად ითვლებიან ელოშვილები. ახალი გვარ-სახელის გამოყოფა შედარებით გვიან, XVIII ს-ის მერვე ნახევარში მოხდარა. ამ გვარისათვის საფუძველი დიდი ოჯახის უფროსს ელო პავლიაშვილს მიუცია. 1774 წლის აღწერის დავთარში ასეთი პიროვნება მართლაც გვხვდება" /იქვე, გვ. 32/. ასევე ითქმის სოუკაელების შესახებაც, "1774 წ. სოფ. უკანა მთაში ძირითადად მკვიდრობენ შოუკაშვილები, ოლაძეები, 1873 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, აქ ჩანან მანჯიკაშვილები, ეთნოგრაფიული მასალებით ოლაძეთა გვარიდან არიან გამოსული პაპიაშვილები" /იქვე, გვ. 33/. ჯიკაელების /მანჯიკაევი/ და პაპიაელების მსგავსად, ქოქიაშვილების ანუ ქოქოეების განაყოფი ყოფილან კაჭიაურები. "გაფაშში მკვიდრობენ კაჭიაურებიც /ი.ჭავჭავაძის შვილი, გვ. 186/, მათი ძირი გვარი ქოქაშვილი ყოფილა" /იქვე, გვ. 36/. "ჭოჭალების /ხოჩელები/ ძირი გვარია ქარუმიძე" /იქვე, გვ. 37/. მთის გვარ ჩოჩელებისაგან ნაწარმოებია გვარი ჩოჩიშვილებისა.

ქართველთა გაოსებით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო გასულ საუკუნეში ცარისტული ადმინისტრაცია. მეფის ჩინოფნიკები აღწერის მასალებში განგებ იქცეოდნენ შემდეგნაირად: მიუხედავად იმისა, რომ 1886 წლის საოჯახო სიების აღწერის მასალებში თრუსოს ხეობის სოფელ ოქროყანაში, აღწერის თანახმად, მკვიდრობდნენ ეროვნებით ქართველები, აღმწერმა ისინი რუსული სუფიქსით "ევ" ჩაწერა: გუდიევი,

ზიბილოევი, არჩინოევი, ზიდაგოევი, მაგალიოევი, კაკაევი /რ. თოფჩიშვილი, XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის მასალები, მნათობი, 1987, N12, გვ. 160-161/. მიუხედავად იმისა, რომ სოფ. თოღოთის მკვიდრი ფიტაროევის და თაყაევიების საოჯახო ენა ქართული იყო, აღმწერმა ისინი ოსებად ჩაწერა. არსებობს ძველი ქართული მასალები, საიდანაც ჩანს, რომ ის გვარები, რომლებიც დღეს ოსურად მიიჩნევა, ძველად ნამდვილად ქართულს წარმოადგენდა. მაგალითად, ხარებაშვილების ანუ დღევანდელი ხარებოევის წინაპრებს ქართული სამართლის ძეგლები ჯერ კიდევ შეთვრამეტე საუკუნეში მოიხსენიებენ როგორც მღვდლებს. ცნობილია, რომ ოსები იმ დროს არა თუ მღვდლებად, არამედ ქრისტიანებადაც კი ნაკლებად მიიჩნეოდნენ, მათ გაქრისტიანებას ჩრდილო კავკასიაში, ანუ ოსთა განსახლების ძირითად ტერიტორიაზე ეწეოდა რუსული ხელისუფლება. ამიტომაც, შუაგულ საქართველოში, რუსთა და შინდისში ოსი მღვდლად ვერ გამწესდებოდა. ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს, აღნიშნული მღვდელი ოსი რომ ყოფილიყო, ამის შესახებ უთუოდ მიუთითებდა მისი მოწივანი ეპისკოპოსი. 1793 წლის 16 თებერვალს რუსული ეპისკოპოსი ჩივის ვახტანგ ბატონიშვილთან იმის შესახებ, რომ "ხარებაშვილს გიორგი მღვდელს ამისი სოფელი მივაბარე სანახევროდ, რაც ემოვა შუამე უნდა გაეყო" /ქართ. სამართ. ძეგლები, ტ. VIII, გვ. 196/, მაგრამ იმ მღვდელ ხარებაშვილს არ გაუწვია და შინდისში გადასულა. ასევე ითქმის მარლიშვილების, ახლანდელი მარგიეების შესახებ. ისინი კიდევ უფრო ადრე, XVIII საუკუნიდან მოიხსენიებიან წერილობით საბუთებში /იქვე ტ. VII, გვ. 690-691/. მარლიშვილების ერთ შტოს ჯაფახეთთანაც აქვს კავშირი. ისინი თუმანიშვილების ყმები ყოფილან /ტ. VIII, გვ. 90/. შიდა ქართლში არა მარტო ყმა გლეხები /ხიზნები/ გაოსებულან, არამედ თავადების და აზნაურების ნაწილიც კი. მაგალითად, ბორტიევიების წინაპარი ბორტიშვილები მაჩახლების ერთ-ერთ შტოს წარმოადგენდნენ. "მაჩახლების გვარი თავადურ სახელებად დაიყო: მაალიშვილებად, გიორგიშვილებად, რევაზიშვილებად და ბორტიშვილებად" /ქსე ტ. 6. გვ. 509/. რევაზოევიც /რევაზიშვილები/ გაოსდნენ. ახლანდელი დიაკონოების წინაპარი დიაკონიშვილები XVI საუკუნიდანვე იხსენიება, "გორელმა ვაჭარმა დიაკონიშვილმა სტამბოლში გარდაცვლილი სიმონ მეფის ნემჭი საქართველოში წამოსვენა" /ისტორიული წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, 1988, გვ. 28/.

აღსანიშნავია, რომ ქართველთა გაოსების მეშთ აღნიშნულ პროცესს განსაკუთრებული მეთოდებით ავითარებდა ცარისტული ხელისუფლება. მაგალითად,

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამდე რვა წლით ადრე ხელისუფლებამ ქართული ბატონებისაგან გაათავისუფლა მათი ყმების ოსური ნაწილი. ეს მოხდა 1852 წლის 8 ივნისს იმპერატორის რეზოლუციის შედეგად, რომელიც მან დაადო მეფისნაცვალ ვორონცოვის შესაბამის წარდგინებას. რუსეთის სენატის გადაწყვეტილება შეეხებოდა ქართულ მუხატონეთაგან ყმების ოსური ნაწილის გაათავისუფლების მოთხოვნას. მეფის ნაცვალ იძლეოდა გზადა ახალი გზები ექსპედიციების ოსური ნაწილის გაათავისუფლებისათვის, კერძოდ, მაჩაბლებს დაუნიშნა ყოველწლიური პენსია ხუთიათასი მანეთის ოდენობით: ოღონდ მათ უნდა გაეთავისუფლებინათ თავიანთი ყმების ოსური ნაწილი /სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 186, ქ. ს. საქ. სსრ, 1981, გვ. 338/. ამის გამო, ბატონყმობის გადადარდნამდე დიდი ხნით ადრე, 1852 წელს ოსები გამოვიდნენ ყმობის უფლისაგან. ისინი იქცნენ თავისუფალ სახელმწიფო გლეხებად და შეეძლოთ დასახლება საბამინო მიწებზე, აგრეთვე, ქართულ მემამულეთა მიწებზეც. ოღონდ არა როგორც ყმებს, არამედ როგორც ხიზნებს - თავისუფალ მიწათმოქმედებს. ეს იყო ძალზე დიდი პრივილეგია, რომელიც მიენიჭა შიდა ქართლის მოსახლეობის მხოლოდ ოსურ ნაწილს. ამის გამო მრავალი ქართული ყმა გლეხისათვის "ოსობა" სანატრელი იყო და ესენიც ცდილობდნენ ჩაწერილიყვნენ ოსებად ყოველი მომდევნო აღწერის დროს. ხოლო უფრო ადრე, XIX საუკუნის დასაწყისში, ქართველების გაოსებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი საეკლესიო პოლიტიკამ, რომელსაც რუსული საეგზარხოსო ეწოდა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ. ამ დროს მრავალი ქართული საეპისკოპოსო გააუქმეს და მათ ნაცვალად დააარსეს სულ სამი ეპარქია: ქართლისა, ოსეთისა და სიღნაღისა. ე.წ. "ოსეთის ეპარქიის" შექმნით რუსულმა საეკლესიო ხელისუფლებამ გადაწყვიტა "აღდგინა" ქრისტიანობა საქართველოს მთიანეთში. ამ დროს აღსდგა ოსეთის სასულიერო კომისიაც, რომელიც თითქოსდა "აქრისტიანება" ქართლის მთიანეთის მოსახლეობას, ამ დროს აქ მოინათლა მოსახლეობის დიდი რაოდენობა. "1815 წელს უკვე მონათლული იყო 11446 ოსი, ხოლო 1820 წლის პირველი ივლისისათვის მონათლული ოსების რიცხვმა 31997 კაცს მიაღწია" /სამხრეთ ოსეთის ისტ. ნარკვევები, გვ. 245/. მონათლულთაგან ყველა ოსი არ იყო. ქართული მთიელებიც ინათლებოდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ რუსული საეკლესიო ხელისუფლება მონათულის საფასურად მხოლოდ ოსებს ათავისუფლებდა ბატონყმური ურთიერთობისაგან და, აგრეთვე, აძლევდა ფულად ჯილდოს, ქართული მთიელებიც, საბამინო

გლეხების კატეგორიაში გადაყვანის მიზნით, ოსებად აცხადებდნენ თავს და "ინათლებოდნენ". ხელისუფლებამ მიზნად დაისახა როგორმე აღმოეჩნებოდა ქართლის მთიანეთში ქართული საეკლესიო მახურება, ქართული წირვალთქვა, რელიგიური წესების ქართული რიგით აღსრულება. მთიელების ქართველთაგან გაუცხოების მიზნით მრავალი ღონისძიება გატარდა. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიაშიც მთელი ტომების გაქრისტიანებულ წევრებს რუსეთის ხელისუფლება ასახლებდა დაბლობში, აძლევდა მიწას და გარკვეული ოდენობით თანხას /მ. გონიკაშვილი, საადგილმამული რეფორმა, 1984, გვ. 72-73/. გარდა პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური მიზეზებისა, არსებობდა ქართველთა გაოსების სხვა მიზეზებიც. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ქართული მოსახლეობის ეთნიკური თვითშეშეცნების უაღრესად დაბალი დონე, რომელიც განსაკუთრებით გაღრმავდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების გამო. ერთნაირი თვითშეშეცნება იმდენად დაბალ დონეზე იდგა, რომ თვით ილია ჭავჭავაძის ფიგურალური შეფასებით ქართველად თავის თავს თვლიდა ძირითადად მხოლოდ ქართველი, ბარელი და კახეთის მოსახლეობის შეგნებული ნაწილი /იხ. ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 72-73/. ამ დროს თვითშეშეცნების დაბალ დონეს რელიგიური მომენტიც აღრმავებდა, ქართველად მხოლოდ ქართველ მართლმადიდებლებს თვლიდნენ, ქართველ კათოლიკებს უწოდებდნენ ფრანგებს, ქართველ გრიგორიანებს - სომხებს, ქართველ მაჰმადიანებს - თათრებს. როგორც ვთქვით, ქართველობა დაკავშირებული იყო მტკიცე მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან, ამიტომაც იყო ტენდენციები იმისა, რომ ბარში მასიურად ჩამოსახლებული მთიელების მოუნათლაობის გამო ბარელები დაექვევლიყვნენ მთიელთა მართლმადიდებლობაში, ანუ რაც იგივეა მათ "ქართველობაში". არსებობს ამის დამამტკიცებელი მრავალი ფაქტი. მაგალითად, ზესტაფაშვილები ძველთაგანვე ქართველებად მიიჩნეოდნენ, ჯერ კიდევ ოსების საქართველოს მთიანეთში ჩამოსახლებამდე. მიუხედავად ამისა, ქართლის მთიანეთის "ზესტაფაანთოფლიდან" ბარში გადმოსახლებული ზესტაფაშვილების ნაწილი ოსებად მიიჩნის ბარელებმა, მათი არამართლმადიდებლობის ანუ არაეკლესიურობის გამო. მაგალითად, XVIII საუკუნის სამოცდაათიანი წლების აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ ზესტაფაშვილების სოფელში, ანუ "ზესტაფაანთ სოფელში" სულ ოთხი კომლი ოსი ცხოვრობდა /ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd. დოკ. 5421/. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1870 წელს ამ სოფელში აღმინისტრაციამ "გახსნა" ეკლესია; ეს

ნიშნავდა ქართველი მთიელების ოსებად ჩაწერას. ქართული მთიელები /ოსები/ ბატონყმური უღლისაგან /მაჩაბლებისაგან/ გათავისუფლების შემდეგ (1852 წლიდან) მრავლად ესახლებიან საფლაგანდოში ანუ დღევანდელი ზნაურის რაიონში. აქ ისინი, როგორც თავისუფალი გლეხები, მემამულისაგან დასამუშავებლად იღებენ მიწას 10 დესეტინამდე. ისინი იყვნენ არა ყმები, არამედ ხიზნები. მალე ისინი გამდიდრდნენ და ქართველ მოსახლეობასაც ალუბრეს სურვილი მსგავსი წესით მიეღოთ მიწა-წყალი. მაგრამ ამ დროს საქართველოში ჯერ კიდევ არსებობდა ბატონყმობა, ხოლო ყმობისაგან მხოლოდ ოსები იყვნენ გათავისუფლებულნი. ამიტომ "ოსობა" იქცა სოციალურ კატეგორიად. "ოსობამ" თავისუფალ მიწათმოქმედად აქცია ყმა-გლეხი და ეს დიდ გავლენას ახდენდა ქართველებზე. ნ. მარი და შემდეგ უფრო საფუძვლიანად ვ. აბავეი ამტკიცებს, რომ ოსები რომელიდაც მოსული ირანული ტომის უბრალო გაგრძელება არ არიან. მათ დამხველური მცხოვრებნი არც გაუფლეთით და არც გაწყვეტილან, არამედ შეხამებთან, მოხდა ასიმილაცია და ამის შედეგად წარმოიშვა ახლანდელი ოსური ტიპი" /ი. მეგრულიძე, სიძველენი ლიახვის ხეობაში, 1984, გვ. 7/. მართალია, ეს შეეხება კავკასიის მთიანეთს, სადაც მოხდა მოსული ირანული ტომისა და დამხველური იბერიული ტომების ურთიერთ შერევა, რამაც, აბავეის თანახმად, ხელი შეუწყო "ახლანდელი ოსური ტიპის ჩამოყალიბებას". მაგრამ ეს ხსნის ქართველთა ოსებში ასიმილაციის პროცესსაც, რადგანაც ქართველები იბერიულ-კავკასიური ტომია მსგავსად დვალეზისა, რომელნიც, თანახმად ვახუშტისა, საფუძვლად უდევს თანამედროვე სამხრეთელი ოსების ეთნოსს. სწორედ ამიტომ ზოგი ავტორი საეჭოდ მიიჩნევს ჩრდილოელი და სამხრეთელი ოსების ერთიან წარმომავლობას" /ოსები მეგრულიძე, სიძველენი ლიახვის ხეობაში, 1984, გვ. 10/. ხოლო "ენობრივი მონაცემებით ვ. აბავეი თვლის, რომ ჩრდილო ოსური ენა უკანასკნელი ორასი წლის მიხედვით უფრო რუსული ენის გავლენას გვიჩვენებს, ხოლო სამხრეთ ოსური - ქართული ენისა" /იქვე, გვ. 11/. თუმცა ისიცაა აღსანიშნავი, რომ ამ საკითხზე სხვაგვარი თვალსაზრისიც არსებობს.

როგორც აღინიშნა, საფლაგანდოსა /ზნაურის რაიონი/ და ქნის საერისთაოში /ლენინგორის რაიონი/ მცხოვრებლებზე ქართული ზეგავლენა სრულიად ამკარაა. მაგრამ თვით სამაჩაბლოსა და მალრანდვალეთის /ცხინვალისა და ჯავის რაიონების/ ეპიგრაფიკული მასალა მსგავს ზეგავლენაზე გვანიშნებს. ჯერ კიდევ გოულდემტელტი მოუთითებდა, რომ დიდი ლიახვის ხეობაში და მის

მემოწულზე მრავალი ქართული სოფელი არსებობდა. XVIII საუკუნის ბოლოს ისინი ოსურ გარემოში მოხვედრილან, ანუ როგორც მეცნიერები უწოდებენ, "ოსური დაფენების" ქვეშ. არსებობს ქართველთა გაოსების ეპიგრაფიკული სურათიც, კერძოდ, აქ იგულისხმება წარწერები საფლაგის ქვესა და სხვ. აქედან ჩანს: თუკი მამა-პაპა ქართული გვარის მატარებელია თვით XIX ს. I ნახევარში, შეიღს უკვე "ოსურ" ყაიდაზე - რუსული დაბოლოებით მოუწყვია თავისი გვარი. მაგალითები უამრავია, მათ მოყვანამდე უნდა ითქვას, რომ გვართან ერთად აქაური ქართველები ენასაც კარგავდნენ, თვით XX ს. დასაწყისშიც კი თუკი მამა-პაპებმა ქართული ენა იკოტნენ, შეიღებმა უკვე აღარ იცან, "ადგილობრივ ოსთან უფროსი თაობის დიდი უმრავლესობა ორენოვანია, ისინი მშობლიური ოსური ენის გარდა ქართულ ენაზეც მეტყველებენ" /იქვე, გვ. 230/. სოფ. გუფთელი ჯოფეებისა და თიგიშვილების წინაპრების საფლაგის ქვეს აწერია: "ჯიოშვილი" /ტატო ჯიოშვილი, "ქალამანა", "არჯუვანა", "სოსიკო ჯიოშვილის მეუღლე" და სხვ. /, ხოლო ახალ დროში - "ჯიოვეი". ასევე აწერია ძველი დროის საფლაგის ქვეს მშვენიერი ქართული ენით დაწერილი ლექსი - ეპიტაფიები, წარწერები: "თიგიშვილი", "გასიშვილი", "ფილიშვილი", ახლა - თიგივე, გასივე, ჰლივეი /იქვე, გვ. 234-235/. "ფილივეების ზოგი ოჯახი ზიჭიკაშვილად იხსენიება. მასსადაამე, მათ წინაპარს ზიჭიკა რქიქვია" /იქვე, გვ. 236/. უძველეს დროს ერთი ჯიოშვილი მღვდელი ყოფილა და სიონშიც უმსახურია. "ყოფილა მორგოელი ჯიოშვილი ანუ ჯიოვეი, რომელიც შემდეგ თბილისში - სიონში მსახურობდა" /იქვე, გვ. 237/, სოფ. ჭრამში არის ქოთოლოშვილების ეპიტაფიები და შემდეგ ქოთოლოშვილისა /გვ. 238/. სოფ. ნინოში 1894 წ. ქვაზე აწერია ქარსანიშვილი, რამდენიმე ხნის შემდეგ - ქარსანოვი /გვ. 239/. თუკი სოფ. მსხლებში 1880 წლის ეპიტაფიაზე მშვენიერი ქართულით არის ცხოვრებაშვილის ეპიტაფია, რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე ჩნდება "ცხოვრებავეისა" /გვ. 242/. საინტერესოა ცნობა ცაბავეის შესახებ: "ვასილ ცაბავეის მეტრიკულ ამონაწერში ჩაბამული წერია. ვასილს ვეკითხები, ჩაბავეი და ცაბავეი განა ერთი და იგივეა? მისი პასუხია: ასე იყო, ჩაბამშვილს გვიწოდებდნენ, აგერ 50 წელიწადია ცაბავეს /ცაბათი/ გვეძახიანო" /გვ. 246/. ჯავაში არის 1870 წელს მშვენიერი ქართულით დაწერილი ეპიტაფია ბათო სანაყოშვილისა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ახალი საფლაგის ქვაზე სანაყოფი წაუწერიათ. ძველ წარწერებში კი ყველგან ქართული ფორმებია. ერთი ამ გვარისა თანამდებობის პირი ყოფილა. "თანამდებობის პირებს უფრო ადრე დაუწყიათ

გვარების გარუსულება" /გვ. 249/. გვხვდება გვარები თავდაპირველი ფორმით: ბაბაშვილი, თანდილაშვილი, თიბილაშვილი, ქვაბაძე, ხარებაშვილი, ფარასტიშვილი /შემდეგ ფარასტაევი/, გათოკოშვილი, შემდეგ გათოკოევი, რელგურაძე, ქოქოშვილი, დედაშვილი-ვალიშვილი, ბაბაშვილი და არა ბაგიევი /იხ. იქვე, გვ. 249-291/. აქვე, ამ მოსახლეობაში არსებობდა მრავალი ქართული ლეგენდა, თქმულება, ხატ-ჯვრებისა თუ ეკლესიების სახელები და მათი საგვარეულო თაყვანისცემის წეს-ჩვეულება. "სამხრეთ-ოსეთის, განსაკუთრებით ჭავის რაიონის მცხოვრებთა ზეპირსიტყვიერებაში ვხვდებით ქართულის მსგავს თქმულებებსა და ლეგენდებს" /გვ. 251/. არსებობს ასევე გვარები ტომონიშიური წარმოშობისა, მაგალითად, "სავახტანგო" ეწოდებოდა ერთ ვრცელ კუთხეს შიდა ქართლში, სამაჩაბლოსა და ქანის ხეობის სამღვარზე აჭაურების გვარი - ვახტანგიშვილი, შემდეგ ვახტანგოვად გარდაიქმნა, თუმცა იმერეთში გვხვდება გვარი ვახტანგაძე, აჭარაში - ვახტანგური, ქართლში - ვახტანგიშვილი. დვალეთში იყო ტომონიმი "ზობალოი", ამიტომაც ამ ხეობის მკვიდრთა ერქვათ - ბიბილოურები /ძველი ერისთავთა, ქართ. სამართალის ძეგლ. II, 1965, გვ. 102/. საერთოდ, ზემოთ მოყვანილის განსამტკიცებლად არსებობს უამრავი უძველესი წერილობითი წყარო:

მოსახლეობის აღწერები, ეთნოგრაფიული ჩანაწერები, ეტიმოლოგიური მასალა თუ სამართლებრივი საბუთები. საჭიროა მხოლოდ მათი თავმოყრა.

ყოველივე ზემოაღნიშნული სრულ უფლებას იძლევა ითქვას, რომ ქართველი და ოსი ხალხების ძმობას არა მხოლოდ სულიერი, არამედ ხორციელი, ეთნიკური საფუძველიც გააჩნია. განხეთქილებას ამ ორ მოძმე ხალხს შორის უფალი არ დაუშვებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი მასალა ჩვენ გადმოვუცით არა ვისიმე ეროვნული გრძობების დასათრგუნად, არამედ იმის საჩვენებლად, რომ ერთი წარმოშობის ორი გვარი ერთმანეთს არ დაუპირისპირდეს. მაგალითად, თიბილაშვილი, რომელსაც პასპორტში ქართველი უწერია, სისხლისძიერი ნათესავია თიბილოვისა, ცხოვრებაშვილი - ცხოვრებოვისა, ბაბაშვილი - ბაგაევისა და ასე შემდეგ. ჩვენ ყველანი საქართველოს შვილები ვართ, წევრები უფლის ერთი სამწყსოსი და ჩვენს შორის განხეთქილება მხოლოდ უფლის მტრებს გაახარებს. შევთხოვ უფალ ღმერთს, დაამკვიდროს მშვილობა თქვენს გულებში. ნახრძანებია - დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვილობა და კაცთა შორის სათნოება.

იარეთ უფლის გზით.

მზისა აღმობრწყინებასა მთუარედ და ვარსკვლავნი არა ბრწყინვენ.
 ნათლისა მომცემელსა ვუგალობდით და ვიტყოდით: ალილუია!
 ქრისტეს გამოჩინებასა აჩრდილი კედელთაგან მოაკლდა.
 ნათლისა მომცემელსა ვუგალობდეთ და ვიტყოდით: ალილუია!
 ჭეშმარიტებისა გამოჩინებასა რჩული და წინასწარმეტყუელნი დასცხრეს.
 ნათლისა მომცემლისა ვუგალობდით და ვიტყოდით: ალილუია!

ერასტ ვაჩნაძე

ქაშუაეთის წმიდა ბიოგზის სახელმწიფის ეკლესიის მოხატვის ბავშვ



შეიღი წლისამ ქართულ გიმნაზიაში დავიწყე სწავლა. აღმზრდელებს შორის იყვნენ ცნობილი პედაგოგები: ლუარსაბ ზოცვაძე, დავით კარიჭაშვილი, პეტრე მირიანაშვილი, თამარ ლომოური, ნინო ზაქრადე, იაკობ ნიკოლაძე და ზაქარია ფალიაშვილი. ამ პლეადას ამშვენებდა ფიზიკური და სულიერი სილამაზით შემკული პიროვნება, რომელშიც პარმონიულად იყო შერწყმული სასულიერო და საერო კაცობა. ეს მომხიზვლელი ადამიანი დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე გახლდათ, რომელიც გიმნაზიაში არა მარტო საღვთო სჯულს ასწავლიდა, არამედ მაღალი მნიშვნის, კეთილშობილი ქვეყნის უხმო მქადაგებელი იყო. კალისტრატე ცინცაძე, ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიის აღმაშენებელი და წინამძღვარი, ფაქტიურად მეფის დროის ავტოკეფალიას მოკლებული, საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი გახლდათ. იმ დროს ქვაშეთის ეკლესიის ეროვნული როლი დიდი იყო. აქ დაკრძალვის წესი აუკეს: იაკობ გოგებაშვილს, ვაჟა ფშაველას, აკაკის და სხვ. ჩვენ, ქართული გიმნაზიის მოსწავლეები, ჩვეულებრივ, ვესწრებოდით წესის აგებას. მე კარგად მახსოვს ის წლები, როდესაც ქართული გიმნაზიის შენობაში

კალისტრატე ცინცაძემ დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი დააარსა და ამ ტაძრის გუნდის ლოტზარი (რომელშიც მეც ვგალობდი) დიდი ზაქარია ფალიაშვილი იყო. აი, მოკლედ, ის შთაშვებულები უბიბოდები ჩემი მასწავლებლის შესახებ, რომლებიც მესხიერებამ დღემდე შემომინახა.

მართალია, ამის შემდეგ დრო-ვითარება შეიცვალა, დიდი ისტორიული ძეგლები მოხდა, მაგრამ ჩვენ ერთი მეორის მხედველობის არიდან არ მოვცილებულვართ. 1938 წ. დედაჩემთან ერთად ქვაშეთის ეკლესიის ეზოში დაფსახლდით, სწორედ ტაძრის ჩუქურთმებით მორთული აღმოსავლეთის კედლის მხრიდან. ზუნებრივად აღსდგა წარსულის მოგონების ხატები: ეკლესიის წარსული და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, ახლა უკვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ეკლესიის ეზოში, ეპისკოპოს დიმიტრისთან მოსულ მის უწმიდესობას ხშირად ვესაუბრებოდი. ვეწვეოდი აგრეთვე სიონში, კათოლიკოსის ძველ ბინაზე.

მის უწმიდესობას აინტერესებდა ჩემი აზრი მის მიერ აღდგენილი სამრევლოს გუმბათისა და

არქიტექტორ კალაშნიკოვის მიერ საპატრიარქო სახლის პროექტის შესახებ.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი მოვლენა მის უწმიდესობასთან ურთიერთდამოკიდებულებაში ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიის მონატვა იყო, რომლის შესახებ ბევრი მაქვს მოსაგონარი, მაგრამ თავს ვიკავებ და შეძლებისამებრ მოკლედ მოგახსენებთ. ყოველთვის ვფიქრობდი, ტაძარი როგორ დარჩა მოუხატავი-მეთქი. დიმიტრი ეპისკოპოსთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ ჰქონდათ განზრახვა მნატვარი პარიზიდან მოეწვიათ, მაგრამ ეკლესიის (1912 წელს) გახსნის შემდეგ მალე დაიწყო ომი, შემდეგ - რევოლუცია და განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. ამიერიდან ეკლესიის მონატვა ოცნებად იქცა ჩემთვის, ოღონდ ოცნებად, რომლის რეალიზაცია უნდა მომდაროყო. ვის უნდა მოეხატა, რომელ მნატვარს? - მთლად ღაღღაღად გულიაშვილს. მასხოვს, ღაღღაღად გულიაშვილი პარიზიდან რომ ჩამოვიდა, ვხედვოდით, ვსაუბრობდით, ტერიტორიულად ახლო მეზობლობამაც უფრო დაგვაახლოვა. ხშირად მისი ბინის აივნიდან აღტაცებით გაფიქროვით მოვარაინ ღამეებში შუქ ჩრდილით მოცულ ქვაშეთის ეკლესიას. ერთ-ერთ ასეთ საღამოს ღაღღაღად ვკითხე: მოსახატე რომ შეიქმნეს ეკლესია, მონატვადი? ღაღღაღად აინთო. მისი შემოქმედების ცუცხლმა იფეთქა. იმ დღიდან სულიერი სიმშვიდე დაკარგა. მე მტკიცედ გადავწყვიტე მისი უწმიდესობისათვის გამეზიარებინა ჩემი იდეა და განხორციელება შეეძლო. სამამულო ომი ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. სასულიერო პირნი მტკიცედ იდგნენ თავის საღვთოებზე და არათუ ღაღღაღად არ ჰქონია არსად ადგილი, პირიქით, ეკლესიამ დაგროვილი თანხებით ჩვენი სახელმწიფოს კიდევ უფრო გაძლიერებას შეუწყო ხელი. ასეთი გახლდათ სიტუაცია 1946-1947 წელს, როდესაც გაგზავნე და საგანგებოდ ვინახულე მისი უწმიდესობა.

უნდა ითქვას, რომ იმ დროისათვის ასეთი ექსტრავაგანტური აშმაგი თითქმის გამორიცხული უნდა ყოფილიყო, თუმცა რუსეთში მოგიერთი ტაძრის რესტავრაცია, მნატვრობის აღდგენა ხდებოდა...

ამრიგად, ერთ საღამოს, სახსე მიმანსწრაფვით და მტკიცე რწმენით, რომ მის უწმიდესობას დავითანხმებდი, მის სამუშაო კაბინეტში მშვიდად მოვახსენე ჩემი განზრახვა.

ჩემი ძვირფასი მასწავლებელი, მისი უწმიდესობა გამოუმუშავი, გათვლებული იყო, არ მოელოდა, თუ შეიძლება ითქვას, ასეთ "სინამდვილეს" მოკლებულ

აშმაგს. საუბარი დიდი მღელვარებით მიმდინარეობდა. და ხოლოს, დამშვიდებულმა მითხრა: "შე ფული არა მაქვს, წადი დიმიტრი ნახე, მოელაპარაკე მას" და კარგად მასხოვს, ასე დამეშვიდობა: "Благославляю тебя".

წარმოდგინეთ, მოხუცდავად იმისა, რომ ეპისკოპოსი დიმიტრი ლაზარევილი ხასიათით დინჯი, უდრეკი პიროვნება იყო, ჩვენი საუბარი წარმატებით, შედეგადად დაგვირგვინდა. ხე-ტყე შეიძინა და ხარაჩოებიც აიგო.

ღაღღაღად ესკიზების დამზადებას.

პირველ რიგში, საკურთხევლისას და შემდგომში კი, როგორც ჩვენი საუბრიდან გამოირკვა, სურდა ტაძარი მთლიანად საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსით მოეხატა. მაგრამ რომ გაგვეგო, მის უწმიდესობას, როგორც შემკვეთს, ფრესკების როგორი სტილი მოეწონებოდა, წამოზრძანდა ნიმუშების გამოფენაზე, რომელიც საქართველოს მუშეუმის დარბაზებში ბატონ ივანე ჭავჭავაძის მიერ იყო მოწყობილი. მის უწმიდესობას მოეწონა ახტალის სურობა, რომელმაც მნატვარს გარკვეული ორიენტაცია მისცა. კონსულტანტად, გულიაშვილის სურვილით, მოწვეული იყო შალვა ამირანაშვილი. ერთ მშენიერ დღეს ქვაშეთის ეკლესიაში შედგა იმ ესკიზის განხილვა, რომელიც დღეს საკურთხევლის კედელზეა ასახული. განხილვას დასწრენ: მისი უწმიდესობა, დიმიტრი ეპისკოპოსი, შალვა ამირანაშვილი, დავით ლომიძე, მნატვარი და მე. ესკიზი მოიწონეს და ღაღღაღად გულიაშვილი ხარაჩოებზე ავიდა. მისი უწმიდესობა დიდ ენთუზიაზმს იჩინდა. იგი ქვაშეთის ეკლესიაში ხშირად მოზრძანდებოდა ხოლმე. ამ პერიოდში გარდაიცვალა დიმიტრი ეპისკოპოსი, სამწუხაროდ ის ვერ მოესწრო მონატვის დასრულებას.

ერთ დღეს მისმა უწმიდესობამ დამიხარა და სურვილი გამოთქვა მოციქულთა სახეებში ამ საქმეში მონაწილეობა სახეები გამოეხატა. ღაღღაღად მივუტანე მისი უწმიდესობის ახალგაზრდობის სურათი და ქრისტესთან მდგომი პირველი მოციქული გამოსახა კალისტრატე ცინცაძის სახით.

აი, ძაღზე მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა მონატვა. ამიტომ მე აქ არ მინდა დაწვრილებით გადმოვიცემა იმისა, თუ რატომ შეწყდა ეკლესიის მონატვა, როგორი რემონანსი ჰქონდა მას და სხვა. ერთი რამ უდავოა - მისმა უწმიდესობამ დიდი ღვაწლი დასდო ჩვენი საუკუნის ქართულ საეკლესიო სახეით ხელოვნებას და თავისი სახელი საქართველოს საუკეთესო და რჩეულ კათოლიკოსებს შორის ამ მხრივაც უკვდავყო.

"გარნა რა არის ბენდიერება?"



ჩემს წინ გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათა ორტომეული დევს. თავფურცელზე ავტორის წარწერაა: თავის ძმისწულს, ტიტე ქიქოძეს, უძღვნის წიგნს. ტიტე ქიქოძე, ცნობილი ვქიძი, ილია ჭავჭავაძის მკურნალი, დიდად უყვარდა გაბრიელ ეპისკოპოსს და დიდად ზრუნავდა კიდევ მასზე. ამის დასტური თუნდაც ისაა, რომ სწორედ ზიდა აფინანსებდა რუსეთში განათლების მისაღებად წასულ მომავალ მედიკოსს.

ერთ-ერთ თავის "შოკლე მოძღვრებაში" გაბრიელ ეპისკოპოსი კითხვას სვამს: "გარნა რა არის ბენდიერება?" და თავად განსჯის: "ზოგიერთსა ჰგონია, ვითომც ბედი და, უბედობა დადის ქვეყანაზე თვალახვეული და ვისაც უეცრად

პირველი შეზღვევა, იგი გაკეთდება, და თუ მეორე შეზღვევა, წახდება... თუ კარგად დაუკვირდები ქვეყნის ცხოვრებასა, შეიტყობ, რომ ბენდიერება და უბედურება დამოკიდებულია თვით კაცზე და მის ყოფა-ქცევაზე-- "

გაბრიელ ეპისკოპოსის საყვარელი ძმისწულის ტიტეს შვილების - გემას, ვანოსა და კატოს - ცხოვრების შესახებ ვინც უწყის, ზოგიერთს შეიძლება მწარედ გაელიმოს: როგორ შეიძლება თვით კაცზე და მის ქცევაზე იყოს დამოკიდებული ბედი და უბედობა, როცა ბედისწერას, მართლაც და თვალახვეულად მოსიარულეს ქვეყნად, შეიძლება უსამშობლოდ დატოვოს ღირსეული ადამიანი, მთელი ცხოვრების მანძილზე დააშოროს მშობლიურ კერასა და ახლობლებს, სანატრულად გაუხადოს მას თავისი მამა-პაპის ენის გაგონებაო?! და მაინც, ვინც ასე იფიქრებს, ვისაც გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვები სიმწრით გააღიმებს, ღრმად არ ჩაფიქრებია ალბათ ცხოვრებას. მოძღვარი კი საგანგებოდ გვეუბნება: თუ კარგად დაუკვირდები ქვეყნის ცხოვრებასა... მართლაც, თუ კარგად დაუკვირდები "ქვეყნის ცხოვრებასა", მოუხედავად ბედისწერის მიერ შეთავაზებული უმძიმესი და უმკაცრესი გამოცდისა, ბატონმა გემამაც, ბატონმა ვანომაც, ქალბატონმა კატომაც შეძლეს და თავიანთ პირად ადამიანურ თვისებებს, ხასიათს, ნებას დაუქვემდებარეს ყოფა, შეინარჩუნეს მაღალი ღირსება, კეთილშობილება, არათუ არასოდეს ქცეულან უსამშობლო ადამიანებად, პირიქით, საშობლოს ერთგულ მსახურებად იცხოვრეს და, მამასადამე, ისინი ბენდიერები იყვნენ.

ბენდიერია ის კაცი, ვისაც შეუძლია რუღუნებით მთელი ცხოვრების მანძილზე აგროვოს, ვთქვათ, ქართული იარაღი, შეისწავლოს და მოუაღეროს მას, შეინახოს, შეინახოს იმ რწმენით, რომ უსათუოდ დადგება ოდესმე ის დღე, როდესაც მისიანები იხილავენ და მოუვლიან ამ კოლექციას; ბენდიერია ის კაცი, რომელიც სიზრცითა და ღლით მამულს მოშორებული, მაინც მწვავედ გრძნობს პასუხისმგებლობას მის წინაშე, არ ასვენებს ეს გრძნობა და თავისუფალ დროს თურქეთის ტერიტორიაზე გაზნეული ქართული და სომხური ეკლესია-მონასტრების სლაიდებს აკეთებს. მერე ერთხელ გადაღებულით არ კმაყოფილდება და იგივე ძეგლებს წლების მერე კვლავ აფიქსირებს ფირზე, ანუ ძეგლების მდგომარეობას დინამიკაში

იძლევა; ვანო ქიქოძის შეგროვებული ნუმისმატიკური კოლექცია, მისივე სიტყვით, ჩვენთვის დიდ ინტერესს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ მან მაინც შეაგროვა, მოუარა... რუკები... ზოგი ნაკლებად მნიშვნელოვანი, ზოგი კი უნიკალური, უძველესი... მინერალების კოლექცია, არქეოლოგიურ გათხრებზე ნაპოვნი ნივთების კოლექცია...

მაშ, რაღაა კაცის ზედნიერება, თუ არა ის, მთლიანად დაინარჩუნო, გასცე შენი ქვეყნისათვის ის, რისი გაცემაც შეგიძლია?!

ისევე ვანო ქიქოძის უკეთილშობილესი წინაპრის, გაბრიელ ებისკოპოსის სიტყვებს გავისწავლოთ: "პირველთა ცნობათა და ჩვეულებათა, რომელთა მიიღებს მცირე წლოვანი ყრმა სახლსა შინა მამისა თვისისა, პირველთა მაგალითთა, რომელთა იგი ჰხელავს გარემოს თვისსა, აქვსთ უდიდესი მნიშვნელობა მრთელსა მისსა სიცოცხლესა შინა. ყოველი მომავალი ცხოვრება მცირე წლოვანისა ყრმისა, მისი ყოფა-ქცევა, მისი ხასიათი და ერთის მხრივ, თითქმის, სულის ცხონებაც დამოკიდებული არის მას ზედა, თუ რა სახით გაიზარდა იგი, რა შეაგონეს და რა ასწავლეს მას და რას მიაჩივის იგი მშობელთა სიყმაწვილეშივე". ის, რასაც შეისურთქავს აღამიანი ზავშობაში, ყველაზე მყარად ისაღვრებს მის ხასიათში. რამდენიც უნდა ეხეთქოს ამ სიმყარეს შემდგომ ცხოვრებისეული მოვლენები, იშვიათია ის, ძირითადი, სიყრმეში ჩამოყალიბებული გარდაიქმნეს, სხვად იქცეს. ეს ძველი ქართული რწმენაა, ამიტომაც ჩვენში გამძაფრებული ინტერესი ოჯახის შვილობის მიმართ.

ამიტომაც, ის, ვინც უწყის ვისი ტრადიციების გამგრძობელს ელია, რა ფესვებზე, რა ძირიდანაა ამოზრდილი ვანო ქიქოძე, რა ატმოსფეროთი სურთქავდა იგი ყრმობისას, აღარ უკვირს მისი უძლეველი კეთილშობილება, დაუღალავი მამულიშვილობა. გაბრიელ ქიქოძის მადლი მთელ საქართველოს უშუქებდა სულს. იაკობ გოგებაშვილმა საჭიროდ სცნო თავის "ზუნების კარში" შეეტანა ერთი ეპიზოდი ებისკოპოსის ცხოვრებიდან, რათა პატარა ქართველებს მით ზნეობის ყადრი შეესწავლათ; გეშა ქიქოძის ოჯახში დღესაც ინახება ილია ჭავჭავაძის მიერ ტიტყ ქიქოძისათვის, თავისი უსაყვარლესი ექიმისათვის მირთმეული მშვენიერი ჭურჭელი. ილია, როგორც ჩანს, დიდად მადლიერი იყო ვანო ქიქოძის მამის, ჭკვიანი და ერთგული მკურნალისა, ტიტყ ქიქოძისა; ზესიკის ქუჩაზე, მალა, მანამ სანამ მას აღმაშენებლის ქუჩა გადაკვეთს, ძველი სახლი დგას ბარათაშვილების ეული. ახლა იქ ზევრი ოჯახი ცხოვრობს. ადრე კი ვანო ქიქოძის პაპა - ზაალ ბარათაშვილის შვილი, დავითი სახლობდა. დავითს დიდი ღვაწლი მიუძღოდა მამა დავითის ეკლესიის

მშენებლობაში. ამას ისიც მოწმობს, რომ იგი თავისი ცოლ-შვილით მთაწმინდაზე სწორედ მამა დავითის ეკლესიაშია დაკრძალული /1979 წელს სამშობლოში ჩამოსული ვანო ქიქოძე ხშირი სტუმარი იყო ბარათაშვილებისეული სახლისაც ზესიკის ქუჩაზე და მამა დავითის ეკლესიისაც.../. ვანო ქიქოძის პაპას, დავით ბარათაშვილს, ტატო ბარათაშვილის თბილისში გადმოსვენებისათვის დიდად უღვაწია...; ქიქოძეებისეულმა სულიერებამ ჰკვება გერონტი ქიქოძე, ანდა თუნდაც მიშა ქიქოძე, მიშა პაპა, როგორც ახლობლები უხმობდნენ. ის მიშა პაპა, რომელიც არამზის მცველად მუშაობდა წლების მანძილზე და რომელიც აოცებდა არამზის მნახველებს თავისი ღრმა განსწავლულობით, მჭევრმეტყველებით, სიღარბისლით; ვანო ქიქოძის ძმა, გეშა, გერმანიაში განათლებამიღებული და სამშობლოში ჩამოსული ოთხჯერ გადაასახლეს ოცდაათიანი წლებიდან 1956 წლამდე. და არავის გაუკვირდებოდა, იგი რომ დაეჭვებული, გუნებაარეული, უნდო აღამიანი ყოფილიყო. მაგრამ ის, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ზატონ გეშას, მომლიმარს, მოსიყვარულეს, სიკეთისათვის მუდამაჟამს გამზადებული, დამეთანხმება, ტანჯვა-წამებამ და ვაებამ ვერ ჩაკლა მასში მოყვასი, ვინაიდან, როგორც ჩანს, "იქ იღვა და სხვაგვარად არ ძალუქდა".

ამ ფონზე სრულიად ზუნებრივია ვანო ქიქოძის პიროვნებაც...

ზემოთ დავწერე "უძლეველი კეთილშობილება" -მითქი. არ მინდა ეს სიტყვები ცარიელ პათეტიკად მოიფხნოს მკითხველს. დიას, ნამდვილი კეთილშობილება უძლეველია, სადა და ზოგჯერ სასწაულმოქმედიც. დასტურად ერთი ამბავი უნდა გავისწავლო ვანო ქიქოძის ცხოვრებიდან.

სამამული ომის წლებში ერთ დღეს ვანო გესტაპოში დაიბარეს: რადიომიმღები ჩაგვაზარეთო. გასაგებია, რა მიზეზი ჰქონდათ საამისოდ. ისიც გასაგებია, რა განცდა დაუფლვებოდა ქართველ ემიგრანტს, როდესაც ამ "მიწვევას" მიიღებდა. რაოდენ "გაუხარებდა გულს" იმის შეგნება, რომ გესტაპო მისი პერსონით დაინტერესდა. თითქოს სრულიად ცხადია: ვანო ქიქოძეს დაუყოვნებლივ უნდა აეღო თავისი რადიომიმღები და უსიტყვოდ ჩაეხარებინა იგი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ასე არ მოხდა. იგი მივიდა იქ, სადაც უხმობდნენ და წყნარად განაცხადა: მე არაფრით არ შემძლია რადიომიმღების ჩაბარება. მთელი ჩემი ოჯახი საქართველოშია - დედა, ძმა, ნათესავები... ყოველდღე რადიომიმღებით ვიგებ რა ხდება ჩემს ქვეყანაში და განა შემძლია მისი დათმობა?

მალვა ამირეჯიბის სიტყვებია: მას უქმდე, რაც

ქრისტე ზაგაში გაჩნდა, ჭეშმარიტება სადა არისო. ვანო ქიქოძის ჭეშმარიტება იმდენად სადა და ნათელი იყო, რომ მან გააოგნა გესტაპოს მუშაკი და განზრახვაზე ხელი ააღებინა.

ვლადიმერ ნაზოკოვმა თავისი მშობლიური რუსეთისაგან შორს განვლილ ცხოვრების უდიდესი ნაწილი, სამშობლოსაგან მოშორებული მოღვაწეობდა, შესანიშნავი წიგნები დაწერა. პატივისცემა და შეძლება არასოდეს დაკლებია. მაგრამ მას არასოდეს უცხოვრია იქ საკუთარ სახლში, მუდამ სასტუმროში ქირაობდა ბინას. როგორც ჩანს, არასოდეს იფიწყებდა, რომ სამშობლოს გარეთ იგი ყველგან და ყოველთვის სტუმარი იყო.

არც კატო ქიქოძეს, არც ვანო ქიქოძეს გერმანიაში ოჯახი არ შეუქმნიათ. გემას, ვანოს და კატოს ერთადერთი შთამომავალი - საქართველოში მცხოვრები გემას შვილი ნინიკო არის /ახლა უკვე ნინიკოს შვილებიც - ქეთი და კატო გამცემ-

ლიძეები/. ვინ იცის, ეგებ იმიტომ, რომ სამშობლო ისაა, სადაც ადამიანის მშობლების ალაგია, სამშობლოა. ხოლო კატო ქიქოძისა და ვანო ქიქოძის ერთადერთი ალაგი - საქართველოა.

"დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ..." - ალბათ არ იყო ადამიანი 16 იანვარს ვაკის სასაფლაოზე, ვანო ქიქოძის დაკრძალვაზე მოსულთა შორის, გულში ეს სიტყვები არ ჰქონოდა: "დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ: შენს მიწას მიმბარეო..."

წინა საღამოს კი, საღამოს 8 საათზე, სიონის ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამშობლოში "დაბრუნებულ სნეულს" პანაშვიდი გადაუხადა...

16 იანვარს ვანო ქიქოძის დაბადების დღე იყო. 16 იანვარს 1990 წლისა, მისი ფერფლი საყვარელი და მონატრებული ძმის, გემას გვერდით დაიკრძალა.

კორცი უფლისაჲ, სისხლი მაცხოვრისაჲ წინა-ადგს,
ბეცისა ძალნი უხილავად გმსახურებენ,
ღალღებენ და იტყუიან კმითა დიდებულთა:
წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო!




მაცხოვრის გარეგნობა გადმოცემათა მიხედვით

"რომელი იყო პირველითგან, რომელი გუესმა და ვიხილეთ თუალითა ჩუენითა, რომელი ვიხილეთ და ხელნი ჩუენნი კმსახურებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა... გითხრობთ თქუენ" (1 იოანე 1, 1,3)

იესოს გარეგნობის ყველაზე ადრეული აღწერილობანი უკვე საკმაოდ გვიანდელ ხანას განეკუთვნებიან, თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი თუნდაც სუსტად ეხმაურებოდნენ წმ. იოანე ღვთისმეტყველის, ირინეოს ლიონელისა და პაპიუსის დროინდელ გადმოცემებს. წმ. ნიკიფორეს მოჰყავს მე-8 ასწლეულის საეკლესიო მამის, იოანე დამასკელის აღწერილობა და ამზობს, რომ იესო ჰგავდა ქალწულ მარიამს; იყო ლამაზი და განსაკვიფრებლად მაღალი, ოდნავ წელში მოხრილი, ღია ფერის რამდენადმე დახვეული თმებით, რომელსაც არასოდეს შეჰხებია ხელი დედისა მისისა; ჰქონდა მუქი წარბები, ოვალური სახე ფერმკრთალი და შავგვრემანი იერით, ნათელი თვალები და გამოხეღვა, რომელშიაც იხატებოდა მოთმინება, კეთილშობილება და სიბრძნე.

აი, აგრეთვე მაცხოვრის აღწერილობა წერილიდან, რომელიც იერუსალიმის თემის თავმჯდომარემ გაუგზავნა რომის სენატს:

ჩვენს დროში, ნათქვამია ამ წერილში, გამოჩნდა უდიდესი სათნოების ადამიანი, სახელად ქრისტე იესო... ის ტანმაღალია, მშვენიერი, აქვს კეთილშობილური სახე, ისე რომ, ვინც მას უყურებს, ერთდროულად სიყვარული და შიში იპყრობს. აქვს ღვინისფერი, თაფლისფერი დატალღული თმა, დახუჭუქებულიც კი, რომელიც მხრებზე დაცემისას ბზინავს, ნაზარეველთა ჩვევისამებრ შუაზე აქვს გაყოფილი. შუბლი სუფთა და სწორი აქვს, სახეზე კი არცერთი ლაქა და ნაოჭი არ ატყვია, არამედ ვარდისფერი დაჰკრავს. ცხვირი პირი უნაკლო სილამაზისა აქვს; წვერი ხშირი და ფართო, შედარებით მოკლე, ისიც შუაზე ორად გაყოფილი, თვალები ცისფერი და ძალიან ნათელი /ეს აღწერილობა რამდენადმე მოგვაგონებს დავით



მეფეს ახალგაზრდობაში. 1 მეფეთა, XVI, 12. და სიძეს სოლომონის "ქება-ქებათა"-დან V, 10/. ის შიშის მომგვრელია, როცა კიცხავს და სიყვარულით აღსავსე, როდესაც შეაგონებს; მზიარულია, მაგრამ ღირსებას ყოველთვის ინარჩუნებს. ის არასდროს უნახავთ მომცინარე, არამედ მტირალი. ტანი და ხელ-ფეხი იერით მშვენიერი აქვს. საუბრის დროს სერიოზულია, თავმდაბალი და ზომიერი, ის უმშვენიერესია კაცთა მოდგმაში.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გარეგნობა და დამახასიათებელი თვისებები

ჩვენამდე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხორციელი სილამაზის აღწერა შემორჩენილია წმ. თეოფანესა და ნიკიფორეს თხზულებებში. აი, რას ამბობენ ისინი: ის იყო საშუალო სიმაღლის, სახე ჰქონდა ხორბლისფერი, თმა ღია ქერა, ოდნავ ოქროსფერში რომ გადადის, თვალები ნათელი, სუფთა, დაწმენდილი, გამხებდა სწრაფი, გამჭოლი, წარბები ოდნავ დაშვებული, მუქი ფერისა, ცხვირი საშუალო, ბაგეები ვარდისფერი და ტკბილმოუბარნი, სახე არც მთლად მრგვალი, ხელის თითები მოგრძო. მასში არ იყო არავითარი სიამაყე, ყველაფერში უბრალოება, ოდნავი მოჩვენებითობის გარეშეც კი. არავითარი განებზრება-გააზიზება, ყველაფერში სრული მორჩილება. ტანსაცმელს ატარებდა უბრალოს; უპირატესობას ანიჭებდა ზუნებრივ ფერებს. ყოველ მის საქმეში ღვთიურად ანათებდა უხვი მადლი. ასეთი იყო გარეგნობით დედა ღვთისა. საკვირველია სიტყვები წმ. დიონისე არეოპაგელისა, რომ თუ პავლე მოციქულის მიერ არ იქნებოდა ღვთისმეტყველებაში განსაწავლული, მაშინ აუცილებლად ყწმ. ქალწულს მიიხვედრა ღმერთად! თუ ასეთი ღმერთება იყო მის გარეგნობაში, მაშინ რაღა ითქმის მის შინაგან, სულიერ ღმერთებაზე? რას ვიტყვით იმ ღმერთზე, იმ მშვენიერებაზე, რომელიც იყო ამა მეფისა ასულში?

გონება მისი, ღვთიურ საქმეებში, ფლობდა ისეთ სიბრძნეს, რომელიც არავის კაცთაგან არ გააჩნდა და არც არავის ექნება მომავალში. აღბრძნისა მისისათვის იგი შეფარებულ იქნა იერუსალიმის ტაძარში და რამდენიმე ხნის შემდეგ წმ. წერილი ესმოდა ისე ცხადად და სწორად, რომ გაოცებაში მოჰყავდა გამოცდილი და დახელოვებული სჯულისმოდგარიც კი. ღვთის დედის განსაკუთრებული გულისხმიერება გასაოცარია მით უფრო, რომ სიბრძნით ბევრად უსწრებდა ასაკს; ჯერ კიდევ სამი წლისას ესმოდა, რომ მის გარშემო ხდებოდა წმინდა და ღვთიური საიდუმლო; ხოლო ის, რომ მას ასე ადრე ჰქონდა მადლიანი ნიჭი ზეციურ ქვეყანასთან ურთიერთობისა და ღირს იქნა ციურ მოქალაქეებთან საუბრისა, ყოველგვარ ჩვენს გულისხმის-ყოფას აღემატება.

მისი ზნეობრივი სიმაღლე ჩვენთვის, ჩვენი მიბაძვისათვის, წარმოადგენს უმაღლეს მაგალითს სრულქმნილებისა. მასში არ იყო ბიწიერება: უბიწო, - ის იყო ჭერქელი სათნოებისა. ყველაფერ იმას,



რაც მართებდა ძვ. სჯულის მიხედვით და რაც ეხსნებოდა სახარებისეული სჯულით, ის ასრულებდა ყოველგვარი სიზუსტით. რა შეიძლება მის თავმდაბლობაზე უფრო მაღლა იდგეს. ზეციური მაცნე მთავარანგელოზი გაბრიელი ახარებს, რომ ის შობს ძეს მადლისა-მესისას, მეფეთა მეფეს; მართალი ელისაბედი ესაღმება, როგორც დედას უფლისა, - ის კი არა, თუ არ აიმაღლებს თავს, არამედ შიშაც კი ჰგვრის ასეთი პატივი: - შეძრწუნდება ანგელოსის სიტყვებზე და თავს ღვთის მხველად აღიარებს, რომელსაც მოჰხვდა უფალმა. მართალი იოსების ეჭვქვეშ ექცევა და თავმდაბლად სდუმს, ემორჩილება უბუნაეს ხელისუფლებას და ილტვის ეგვიპტედ. ასევე, რა შეიძლება მის უპოვარებაზე უფრო სრულყოფილი იყოს? ასულმა მდიდარი მშობლებისა, უგულვებლყო ყოველივე, რაშიც

ნუგეშს ხედავენ ასულნი კაცთანი, უყვართ რა სიკეთე ამა ქვეყნისა: მას არ ჰქონდა საკუთარი სახლი და ცხოვრობდა იოსებ ღურგლის უბადრუკ ქონში. შემდგომად ჯვარცმისა ძისა თვისისა, არ ჰქონდა თავის მისაყრდენიც კი და ცხოვრობდა ქრისტეს უახლოესი მოწაფის სახლში. რა შეიძლება მის უმანკოებაზე უფრო წმინდა იყოს? თვით იპოსტასურმა ღვთის სიტყვამ აღზარდა იგი და საშო მისი თვის ჭერად იგულა. წმ. ამბროსი მედიოლანელი მის უბიწოებას ასე გადმოგვცემს: "ის იყო ქალწული არა მარტო ხორციით, არამედ სულითაც; გულით შემუსვრილი, საუბარში ღვთივგანზრძობილი, ცოტას ლაპარაკობდა და საუბარშიაც იყო უმანკო".

რაღა ითქმის მის სიმამაცეზე უდიდეს განსაკდელთა და მწუხარებათა შორის? - არ დაცემულა სულით, როცა წინ ედო ხიფათით აღსავსე გზა ეგვიპტისაკენ. როგორღა სიმტკიცით მიჰყვებოდა იგი თავის ძეს, რომ განაცვიფრებს ადამიანურ გულსა და ყოველივე ხილულსა და უხილავ ზუნებას, როცა იგი ვნების გზას შეუდგა, იყო გოლგოთაზე, როცა ძე მისი ჯვარს აცვეს, იგი მის ჯვართან იდგა, დაესწრო მის დაკრძალვას! რაოდენ დაკვირვებული იყო იგი თავის თავზე, რა მოუდღელად ფიზიკობდა და ეს მამინ, როცა აღდგომი იყო მადლითა და სიწმინდით! ესმა რა ანგელოსის სიტყვები: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა, - მან ერთბაშად არ დაიჭრა, არამედ სიფრთხილით ფიქრობდა, ახლაც ხომ იგივე არ ხდება, რაც ევას შეემთხვა? რამდენად იყო ღვთის ნებაზე მინდობილი, როცა მასმედ სასოების დამდებმა თქვა: აჰა, მხევალი უფლისა! მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა! მისი ლოცვა ღვთის მიმართ! წმ. ამბროსი ამბობს, თითქოს ღვთისმშობელი ყოველთვის ღმერთს ეზრახებოდა /ესაუბრებოდა/; თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ლოცვაში გაატარა. და ლოცვა მისი იმდენად ძლიერი იყო, რომ ცანი დაიმორჩილა, თვითონ ღმერთი გარდამოიყვანა მეციდან, მიძინებისას ქვეყნის ყველა კუთხიდან შემოჰკრიბა წმ. მოციქულები. დედა

ღვთისა, მიუხედავად სიწმინდისა და ღიღებულებისა, მამინაც კი, როცა ემუქრებოდა უბედურება და გაჭირვება, არ ეყრდნობოდა საკუთარ მადლიან ძალებს, არამედ მან თვით გვასწავლა, რომ ღმერთი იფარავს ყველა ღვთისმოსავს: წყალობა მისი ნათესავიდან ნათესავამდე მომიშთა მისთა ზედა. მიუხედავად თავისი მადალზნებისა, არ ავიწყებოდა აღესრულებინა ღვთისმოსავის ვალდებულებანი: ისიც, ვითარცა ერთ ღვთის მისი ძე და ღმერთი მონათლა მონის ხელით, ემორჩილებოდა განწმენდის წეს-ჩვეულებას, რომელსაც მოსეს სჯული ავალებდა; ყოველ წელს, დღესასწაულთა ღვთის, მონახულებდა იერუსალიმის ტაძარს. ყოველდღიურად არასოდეს იფიწყებდა ახლოდღებს. უყვარდა გარეშენიც /უცხონი/. წმ. ამბროსი ამბობს: არავინ არ გაუნაწყენებია არასდროს, არ იცოდა შეზღუდვა, ყველაზე უბადრუკი ადამიანიც კი არ სძავდა. არაფერი განსაკუთრებული არ გააჩნდა და მიძინების წინ ღატაკებს თავისი ტანსაცმელი დაურიგა. ჰქონდა წმინდა სიყვარული თავისი მამულის ჯემარტი სიკეთის მიმართ. გული მისი გამოუთქმელი სიხარულით იფიქრობდა, სულ უფალს განადიდებდა, რადგან უფალმა მოჰხედა თავის ხალხს - ისრაელს, რამეთუ აღუსრულა აღნათქვამნი, რომელნიც მან აბრაამს და მის მოდგმას მისცა. უყვარდა მტერნიც; როცა მის ძეს ჯვარს აცვამდნენ, მისი ზაგვევიდან არავის არათუ შეურაცხყოფელი, არამედ მოუთმენელი სიტყვებიც კი არ სმენია! წმ. ეპიფანე და ნიკიფორე ამბობენ: ნებისმიერ შემთხვევაში ის ინარჩუნებდა ღირსპატივისცემ ღარბისილობას და იყო უცვლელი. ძალზე ცოტას ლაპარაკობდა, მხოლოდ აუცილებელსა და სასიკეთოზე; სიტყვები მისი იყო ტკბილი; სიამოვნებით უსმენდა სხვებს და თითოეულს შესაბამის პატივს მიაგებდა, თავის საუბრებში ყოველთვის კეთილსახიერებას ინარჩუნებდა, არასოდეს არ იცინოდა და არ იცოდა შეკზუნება; დამოკიდებულება ჰქონდა მშვიდი და ურისხველი.

ღვთისმშობელი ქალწულო, შენდა რაე მოვიღინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ უწყებად საიდუმლოსა, დატევნად დაუტევნელისა და გეტყოდა შენ: გიხაროდენ, სახარულევანო, რამეთუ სული წმიდაე მოვიდეს შენ ზედა, ძალი მადლისაე გფარავდეს შენ. ამისთუისცა შენგან შობილსა ძე მადლის ეწოდოს, რომელმან იხსნას ნათესავი კაცთაე.

ხაზი ძლიერებისა

დიმიტრი თუმანიშვილი

ჯვრის ხატება სამთავისის ტაძრის კედელზე

"თამარის ხანის", XII-XIII საუკუნეთა ქართული ტაძრების შილველთ, უთუოდ დაამახსოვრდებოდათ იკორთას, ზეთანისა, ქვათახევის და სხვათა აღმოსავლეთის კედელზე, საკურთხეველის სარკმლის თავზე მკლავებგანპყრობილი ღიდი, დაჩუქურთმებული ჯვრები. ეკლესიის წმიდათაწმიდის სიახლოვეს ქრისტიანული სარწმუნოების უმთავრესი ნიშნის გამოსატყვა საფესით ბუნებრივი რომაა, ამას მტკიცება არ ესაჭიროება, მაგრამ, მოუხედავად ამისა, ტაძრის გარე კედელზე გამოქანდაკებული ჯვარი საქართველოს გარეთ იშვიათად გვხვდება და არც ჩვენში გამოისახებოდა მუდამ. ჩვენს მეცნიერებაში გამორკვეულია, რომ იმგვარი "ნიში ჯუარისაჲ" როგორსაც ერთიანი ფეოდალური საქართველოს ხუროთმოძღვრება იცნობს, 1030 წლის სამთავისის საყდრის აღმშენებელმა შექმნა /ივარაუდება, რომ იგი უნდა ყოფილიყო სამთავრელი ეპისკოპოსი ილარიონი, გვარად ყანსაველი/. მან, როგორც ძველად იტყობენ, "მოისიბრძნა" ჯვრის "აღმართვა" ლილვების კონაზე; იგი ქვებიდან, შენობის ქვის ხარისხიდან იწყება, შეეზრდება საკურთხეველის სარკმლის მოხარხოვებას, კვლავ ამოიზრდება მისგან და ჯვრის კვარცხლბეკს შემოხაზავს. ასე რომ, საკუთრივ უზარმაზარი ჯვარი მაღალ "საყდრებზე" დამყარებული და ჩვენს თვალისთვის ღამის ტაძრის მთელ სიმაღლეს უთანაბრდება. ეკლესიის ამ კედლის დანარჩენი უხვი სამკაული /სამკობი თაღები, ჩუქურთმა და ა. შ. / მის ირგვლივ იყრის თავს და ასე წარმოიქმნება ჯვრის თავისებური "განდიდების" ხატი, რომლის ბადალი, გერმანელი მეცნიერის ფ. ვ. დაიხმანის აზრით, არც იცის ქრისტიანულმა ხელოვნებამ.

შუალა ჯვრის თანხლებ მისართავ გამოისახულებათა შორის ყველაზე საყურადღებოა მისართავ თაღებს გამოხმული "სამყურები". მათი აზრი თანამედროვე ადამიანს თავიდანვე არ ეხსენება, არადა, სწორედ ისინი მიგვახვედრებენ იმ შინაარსს, რომლის გარეშე, საფუძრელია, ვერც შეიქმნებოდა ეს გამოსატყლება. პროფ. ლ. რჩულიშვილმა გამოარკვია, რომ ისინიც ჯვრებია და, ამგვარად, სამთავისის აღმოსავლეთის ფასადზე სამი ჯვარი


ყოფილა გვერდიგვერდ გამოკვეთილი. მკვლევარმა ისიც აჩვენა, თუ რა წინასახეები ჰქონდა ამ კომპოზიციას, რაგვარმა წინადროინდელმა მაგალითებმა მისცეს ზიდი სამთავრელი მღვდელმთავარ-ხუროთმოძღვრის ამ თეოლოგიურ-მხატვრულ იდეას.

ერთიმეორის გვერდზე გამოსახული სამი ჯვარი აღრიდანვეა ცნობილი საქრისტიანოს ხელოვნებაში და მარტივი სახით იგი ადვილად "ამოიკითხება", ვითარცა გოლგოთის აღმნიშვნელი - ე. ი. შუათანა ჯვარი ვნებული მაცხოვრის სახებაა, კიდევბე კი - მის თანა დასჯილი ავაბაკების ჯვრებია. ადრევე შემოსულა ეს გამოსახულება ჩვენშიც - მას ვხედავთ უკვე V საუკუნის მიწურულის ზოლნისის სიონის ჩრდილოეთის სტოას ერთ-ერთი სვეტის თავზე. აქედან მოყოლებული იგი მრავალგზის მოუხმიათ ქართველ ოსტატებს ხატად უფლისად, ქრისტიანული მოძღვრების მაუწყებელ-განმაცხადებლად. დროთა განმავლობაში "სამი ჯვარი" სხვადასხვანაირად გადმოიკეცოდა და, შესაბამისად, სხვადასხვაგვარად გაიგებოდა კიდეც. ზოლნისის და უფრო მოგვიანებითაც, მაგ. VIII საუკუნის თელოვანის ჯვარბატონის კარის მღვდლარზე სამ ერთნაირ ჯვარს ვნახულობთ, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი მხოლოდ ადგილმდებარეობით ამოიცნობა. გამოქანდაკებული თითქოს გვეუბნებათ: "აი - გოლგოთა", და სხვა ყველაფრის გახსენებასა და მოფიქრებას ჩვენ გვანდობს. მომდევნო საუკუნეთა ხელოვანნი ცდილობენ, საზრისი თვითონვე ნათელაყონ - შუალა ჯვარი ზომითაცაა გაზრდილი და არა მხოლოდ შუაშია, არამედ ხშირად დანარჩენებზე შევითაც /ქვაბისხევი, გველდერი, თონეთი, ზბიფი და ა. შ. / ეს იმის გამო ხდება, რომ IX-X საუკუნეებში ჯვრებს, როგორც წესი, საკურთხეველის სარკმლის თავზე ათავსებენ და თავსართზე აბჯენენ - მის თაღთან შუა ალაგას მაცხოვრის მსახველი ჯვარია, აქეთ-იქით კი, თაღის ზოლოებიდან გამოსულ წრფივ მონაკვეთებზე - კიდურა ჯვრები. კიდევ უფრო შორს მიდის გურჯაანის ყველაწმინდის /VIII საუკუნე/ ამგები დიდებული ხუროთმოძღვარი

- მასთან ჭვრები სამ - საკურთხეველისა და მის თანმხლებ სადგომთა - სარკმლებზე ნაწილდება, შუათანა კი გაცილებით დიდია სხვა ორზე. მაგრამ მისი ცდა თანამედროვეთ არ აუტაცნიათ, ასეთ გზას X საუკუნის მეორე ნახევარში დაადგინენ - ასეა კუმურდოში /964 /, ასეა ხელისში /1002 /, უფრო მოკრძალებულად - ცხვევის ზერის-საყდარში. სამივეგან ჭვრებს სხვადასხვა ხუროთმოძღვრული სამკაულებიც ახლავს. მათ საითათოდ იქნებ არც ჰქონდეთ რაიმე განსაზღვრული მნიშვნელობა, - დღეს ჩვენ ამაზე დაბეჭუთებით არაფერი ვიცით - მაგრამ მთლიანობაში ისინიც აშშობენ თავის კუთვნილ სიტყვას: კედლებზე განთავსებულ ჭვრებს თითქოს გარემოს უქმნიანო, ხატოვნად რომ ვთქვათ, შორისდებულებითა და ეპითეტებით ამკობენ მათ.

ასეთი იყო ილარიონ სამთავისელის ამოსავალი. ოღონდ მან ჭვარი - ქრისტე კიდევ მეტად გამოჰყო, მის ირგვლივაც მეტი მოსართავი მიათავსა, ზემორე შედარებას თუ მივეყვით, მისი ხოტბა უფრო სიტყვაუხვი გახადა. მისი ჩანაფიქრის გასაგებად კიდევ ერთი რამაცაა საგულისხმო - ჭვრის ლილვოვან საყრდენზე ქვემოთ, სარკმლის ქვეშ, გამოხმულია კუთხეზე შეყენებული კვადრატები /მათ ჩვეულებრივ, პირობითად, "რომბებად" იხსენიებენ/. იტალიელი მკვლევარის ად. ალარგონოველოს დაკვირვებით, ისინი უკვდავება - მარადისობის ნიშნებია; თუ მათ ჭვართან ერთად წავიკითხავთ, გამოგვივა "ჭვარი მარადისობით შემოსილი", ე.ი. ძელი ცხორებისა, უფრო ზუსტად კი "ხე ცხორებისა".

ჭვარი რომ კაცთა მოდგმას ცხოვრება-სასუფეველის მომნიჭებელ ხედ მოეწლინა, ქრისტიანულმა აზროვნებამ მტკიცედ იცოდა - "ესე არს"-ო იტყვის მაგალითებზე, უფლის საფლავის ტაძრის შესახებ წმ. იოანე დამასკელი "ედემი, ესე არს ხე ცხორებისაჲ, სანატრული ჭვარი". ძველ საქართველოშიც იგი რომ ასევე ესმოდათ, ქართული ხელოვნების ნაწარმოებები გვემოწმება. ზოლნისის სიონის ზემოხსენებული სვეტისთავი ნაწილია სტოას სამკაულისა, რომელიც ძირითადად ხეთა და მცენარეთა ანუ ცხოვრება - სასუფეველის გამოსახულებათაგან შედგება; ამრიგად, ჭვრები სამოთხეშია აღმართული ამ სიტყვის ორსავე აზრით /ძველქართულად ხომ "სამოთხე" ზალს, მტილს ნიშნავდა/. გაფოთილილი, როგორც იტყვიან, "განედლებულია" ჭვრის ქვედა ზოლოები ზერის - საყდარსა და ხელისში, რაც, აგრეთვე მისი მაცხოვრებელი ძალის მიმანიშნებელია და სამოთხეში "დანერგულ" ხესაც მოგვაგონებს.



სამთავისელი დიდოსტატი არც ედემს გვისურათებს და არც ფრთხილი, "ზმადაბალი" მითითებით კმაყოფილდება. იგი აქანდაკებს გოლგოთაზე აღმართულ ჭვარს, მაგრამ მხატვრული საშუალებებითა თუ სიმბოლოთა დართვით წარმოგვიჩინს მის ქეშმარიტ მნიშვნელობას; საკურთხეველის მკველად იგი ალაპყრობს ძელს ქეშმარიტსა და ცხოველმყოფელს, საჭურველს, სიქაღულსა და სასოს ქრისტიანეთას.

შოთა სხირტლაძე

იშვიათი სურათი - ფოტომატიანე

არსებობს შემორჩენილი სურათების ცალკეული ეგზემპლარები, რომელთა ხილვაც გარდასულ დღეთა მძისა მიგვახედებს და მოულოდნელად წარმოაჩენს უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ მოვლენებსა თუ პიროვნებებს.

ფოტოებზე, ამჟერად ჩვენს მიერ წარმოდგენილი სურათი ფართო საზოგადოებრიობის ინტერესს გამოიწვევს.

ამ სურათის მოკლე ისტორია ასეთია:

სურათი გადაღებულია იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის (ქიქოძის) მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში, კერძოდ, 1894 წელს, მის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, ქ. ქუთაისში გამართულ დასავლეთ საქართველოს სასულიერო მოღვაწეთა ყრილობის აღსანიშნავად. ეკლესიის სურათი ინახებოდა რაჭაში, ონის რაიონის სოფელ მრავალძალში, ამავე სოფლის ეკლესიის (X-XI სს.) განმარტების დეკანოზ მიხეილ შაქარიას ძე სხირტლაძის ოჯახში.

მიხეილ სხირტლაძე მის პირველ რიგში მარტვიდან მესამე.

სურათს უკანა მხარეს აქვს წარწერა:

"ეს კრება იმერეთის ეპარქიის სამღვდელთა დეპუტატებისა თავისი სასიქადულო დიდად საეყარელის მღვდელმთავრით ყოვლადუსამღვდელოების გაბრიელით გადაიხატა ქ. ქუთაისში, სასულიერო სასწავლებლის შენობის წინ 1894 წელს, სოფლის თვის უკანასკნელ რიცხვებში".

თვალნათლივ ჩანს სულმნათი გაბრიელის სახე პირველ რიგში, შუაში. სამწუხაროდ, სხვა პიროვნებების ვინაობა თვით მიხეილს აღნიშნული არა აქვს.

ამდენად, სასურველად მიგვაჩნია ამ სურათის გამოქვეყნება, რადგანაც ჯერ კიდევ ცოცხალი არიან ის ხანდაზმული ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ იმ სახელოვან სასულიერო პირთა ამოცნობა, რომელთა სახეც ამ სურათმა შემოგვინახა.

უდაოა, რომ ასეთი მოღვაწეების გამოვლინება და მათზე კუთილი მოგონებების გამოქვეყნება, სახარგებლო სამსახურს გაუწევს ფართო საზოგადოებას.



სამკურნალო მსენარეები

ელენე ბარამიძე

"უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა"... მშვენიერია უფლის ხელით მოქარგული სამოსელი მათა და ფერდობთა — მზისფერი ფარმანდუკები, იისფერთვალა ზეკონდარები, მარჯნისფერი საპოვნელები — სიციცხლის და ჭანმრთელობის ელექსირები, რამდენ საიღუმლოს ინახავს ღვინა ბუნების მადლიანი წიაღი... თითოეული საიღუმლოს კეთილგონიერი ამოხსნა კი საღბუნია ადამიანის სულისა და სხეულისათვის.

ღვთიური საიღუმლოს ახსნას სჭირდება თვალის სულიერი, რათა დაეინახოთ, თუ როგორ მოგვიწყო ღვინა ბუნებამ უფლის კურთხევით "დიდი მწვანე აფთიაქი".

რა განსხვავებაა ბუნებრივ სამკურნალო ბალახსა და ამ ბალახიდან ქიმიური გზით მიღებულ წამალს შორის? დღეს მთელი მსოფლიოს მეცნიერები ცდილობენ მიიღონ ხელოვნური გზით რძე, შედგენილობით ღვინის რძის იდენტური, მაგრამ ამაღლ. ღვინის რძე ნაყოფია ღვინის მკერდის, მცენარის წვენი — ღვინამიწის. ბალახებით მკურნალობა — ფიტოთერაპია სამედიცინო მეცნიერების უძველესი, ღვთითკურთხეული დარგია.

"არ არსებობს ღვინამიწის ზურგზე მცენარე, რომელიც არ იყოს სამკურნალო" — გვასწავლის ძველი აღმოსავლური სიბრძნე. მსოფლიოს ფიტოთერაპევტთა უდიდეს ინტერესს წარმოადგენს საქართველო, სადაც ნაირფერი ყვავილებით და ბალახებით.

გერმანელი მეცნიერი კურტშპრენგელი თავისი ცნობილი ხუთტომეულის პირველ ტომს სწორედ ძველი კოლხური მედიცინით იწყებს და იგონებს მედიკოს ბალის 40 სასწაულთმოქმედ მცენარეს. მარტო მინდიას განსვენება რად ღირს? — რა სიყვარულით დაიგანა მედიცინის ამ დარგმა, ამ ხელოვნებამ ქრისტიანულ ტაძარ-მონასტრებში. აქ, ღვთითგანბრძნობილ ბერთა და მოძღვართა მიერ იქმნებოდა, ითხზებოდა და ითარგმნებოდა წიგნები: "უსწორო-სწოროპოვარი კარაბადინი", "წიგნი სააქემოი", ზაზა ფანასკერტელის "კარაბადინი" და სხვანი. ან რა ჩამოთვლის იმ სახელოვან საგვარეულო ღინასტებს საქართველოში, რომელთაც ღღემდე მოიტანეს ბალახებით წამლობის სხვადასხვა საიღუმლო.

უწმიდისა და უნეტარისის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II უდიდესი ღვაწლითა და ლოცვა — კურთხევით საპატრიარქოში უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს კვლევა-ძიება ხალხური სატაძრო მედიცინისა და ფიტოთერაპიის დარგში. ამ მიზნით, საპატრიარქოს დაღებული აქვს სამეცნიერო ხელშეკრულებები თითქმის ყველა ბოტანიკურ ბაღთან და ამ პრიფილის სამეცნიერო ცენტრებთან, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ღვინამიწით შეგროვებულია მეტად საინტერესო მასალა. გვსურს დაინტერესებულ მკითხველს მივაწოდოთ ცოდნა სამკურნალო მცენარეთა მოპოვების, შენახვისა და მათი გამოყენების შესახებ.

უნდა დავეხმაროთ ადამიანს ქიმიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში. რამდენი საღბუნია აქვს მას სხეულისათვის მწვანე სამყაროს ბინადართა შორის: საღბი და ქრისტესისხლა, ღვკა და თავშავა, მრავალძარღვა და ჭინჭარი, კალენდულა და გვირილა, ია და ვარდი.

ყურნალის ამ ნომრიდან ჩვენ ვიწყებთ თხრობას სამკურნალო მცენარეთა შესახებ.

სალბი

(*Salvia officinalis*; Шалфей лекарственный)

სალბი, როგორც სამკურნალო მცენარე, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იყო ცნობილი. სხვადასხვა წყაროებით ჩვენამდე მოაღწია შუასაუკუნეების პოეტთა მიერ სალბისადმი მიძღვნილი სტრიქონებმა.

"რად მოკვდა კაცი, რომელმან ჰპოვა სალბი — მკურნალი". მცენარის ღიღ ღირსებაზე მეტყველებს თვით მისი სახელიც. სალბი გამოტანმრთელებას ნიშნავს. სამკურნალოდ სალბის ფოთლები გამოიყენება, ფოთლებს ყვავილობის დაწყებამდე, მაის-ივნისში აგროვებენ, როცა მზიან, მშრალ ღვინებში მცენარეში ეთერზეთები წარმოიქმნება.


ფოთლებს მზეში კრეფენ და ჩრდილში აშრობენ.

სალბის ჩაის ხშირად სმა ღვინის მატებს სხეულს. ფოთლების ნაყენს გააჩნია მადებინფექციურებელი, ანთების საწინააღმდეგო, მთრიმლაფი თვისებები. არომატული ნაყენი გამოიყენება გამოსაფლებად ყელის და ხახის ანთებითი პროცესების, ღრძილების ანთებისა და სისხლდენის, სტომატიტის, ანგიტის, ზემო სასუნთქი გზების კატარის დროს.

ყელში გამოსაფლები ნაყენი ასე მზადდება: იღებენ 5-25 გრ. ფოთლებს, ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მღვდარე წყალს, ანერებენ 20 წუთით.

სალბი შედის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, საგულე, ყელ-ყურის, ამოსახველველი, ფალარათის საწინააღმდეგო ჩაის ნაკრებში.

ცნობილია, რომ სალბის აბაზანებით კარგ შედეგებს აღწევენ ქვეშვავე და ქრონიკული პოლიართრიტების, რადიკულიტების, იშიაზების, პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენების მკურნალობისას.



ექიმების რჩევით სალბი გამოიყენება, როგორც მასტიმულირებელი, შარდმდენი, ყაბზობის საწინააღმდეგო, სისხლის გამწმენდი საშუალება, ასევე კუჭ-ნაწლავის ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

ნაყენი მზადდება შემდეგი შეფარდებით: 20 გ. სალბი, 2 ჩაის ჭიქა მღელარე წყალზე. სვამენ დღეში რამდენჯერმე 1/3 ჭიქას.

სალბი ღამის ოფლიანობის საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა.

ფილტვის ტუბერკულოზის დროს გამოიყენება

რეცეპტი, რომლის შემადგენლობაში, სხვა ბალახებთან ერთად, ღომინირებს სალბი. ნარევი ასეთი შეფარდებისაა: სალბის ფოთლები 8 გრ., ჭინჭარი 5 გრ., იასამანი 4 გრ., ფარსმანდუკი 4 გრ. აღნიშნულ მასას ახამენ 3 ჩაის ჭიქა მღელარე წყალზე, დგამენ თბილ ადგილას ნახევარი საათით. ნაყენი ყოველდღე მზადდება. სვამენ თითო ჭიქას დღეში სამჯერ. მკურნალობის კურსია 3 თვე და მეტიც.

ჩინებულ შედეგს იძლევა სალბის ნაყენი ბუახილის მკურნალობის დროსაც.

მკურნალობის მეთოდი კი ასეთია: კეთდება გამწმენდი ოყნა სალბის გრილი კონცენტრირებული ნაყენით (3 სუფრის კოფში 1 ჩაის ჭიქა მღელარე წყალზე), ავადმყოფი უნდა იწვევს 20-30 წუთი, რომ ნაყენი კარგად იქნას შეწოვილი ნაწლავებში. პროცედურა კეთდება ყოველდღე, 1 კვირის განმავლობაში. ამ პერიოდში ყოველად დაუშვებელია ალკოჰოლის მიღება და აუცილებელია შეკრულობის თავიდან აცილება. ხალხური მედიცინა იყენებს სალბს ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, თირკმელების, ანთების, ფალარათიანობის, მუცლის შეზღუდვების, სუნთქვის გაძნელების, ხიხინის, გრიპის და გაციებითი სახის დაავადებათა მკურნალობისათვის. ცნობილია ისიც, რომ სალბი აუჭობს კუჭის წველის გამოყოფას, კუჭიდან და სუნთქვის ორგანოებიდან გამოდევნის ღორწოს, აუჭობს მადას, კურნავს დიარეასა და ნაწლავების ფუნქციის მოშლილობას.

ამაგრებს ნერვებს, სუსტი ნერვების მქონეთ სასურველია ხანგამოშვებით მიიღონ სალბის აბაზანა ჭლივით. ტუბერკულოზიან ავადმყოფებს, რომლებსაც აქვთ ხველა ჩირქიანი ნახველით და ძლიერი ოფლიანობა ღამით, ასევე სალბის რძიან ნახარშს.

ადრე სალბის ფოთლების ფხვნილი შედიოდა კბილის ფხვნილის შემადგენლობაში. სალბის ახალი, ნორჩი ფოთლები კარგია გაშავებული კბილების გასაწმენდად, ღრძილების გასამაგრებლადაც.

სალბის ნაყენის საფენებს ადებენ ძველ ჭრილობებზე, წყლულებზე, ფეხების ოფლიანოს დროს იკეთებენ სალბის აბაზანებს.

სალბი კარგი სახელებელიცაა. მას მცირე დოზით იყენებენ ღორის, ბატის ან ინდაურის შემწვარი ხორცის შესამზადებლად. ზოგან სალბის ნამცხვარსაც კი აცხობენ.

ნინოზა

მიმდინარე წლის 26 იანვარს, საქართველოს საპატრიარქოს საკრებულოში, საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილებამ მოაწყო ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთასწორის, წმიდა ნინოსადმი მიძღვნილი შეკრება.

მოწვეული იყვნენ სრულიად საქართველოს პატრიარქის ქორეპისკოპოსი მიტროპოლიტი კონსტანტინე, წმიდა ნინოს გზაზე ფეხით მავანნი, დედათა მონასტრის მონაზონნი და სამონაზვნენი, საერონი, საპატრიარქოს თანამშრომლები, სამების ტაძრის მგალობელთა გუნდი, ასევე, საქართველოს კონსერვატორიის შემუსიკენი.

შეხვედრა დაიწყო ლოცვით, რის შემდგომაც დამსწრეთ სიტყვით მიმართა საპატრიარქოს გამომცემლობის განყოფილების თავმჯდომარემ, წილკნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ, რომელმაც შეკრებილთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მიულოცა წმიდა ნინოს დღე.


საპატრიარქოს პატროლოგმა დენიზა ზუჰბაძემ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით პოლიტიკურ-ისტორიული ვითარება, რომელიც წინ უსწრებდა




წმიდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევას, საინტერესოდ გააშუქა წმინდანის ცხოვრების ეპიზოდებზე დაყრდნობით.

დღეა ნინოს მიერ განვლილი გზა ფარავნის ტბიდან - მცხეთამდე, წმინდა გზად იქცა ყოველი ქართველისათვის. წმიდა ნინოს ნაკვალევზე სიარულის ძნელი და საპატიო მისია კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული წმიდა ნინოს გზის მონაწილეებს, რომელთა სახელითაც ისაუბრეს სამონაზვნე ქეთევანმა და სამონაზვნე ნინომ და დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი წარუძღვლი შთაბეჭდილებები.

საინტერესო იყო მიტროპოლიტი კონსტანტინეს გამოსვლა წმიდა ნინოს მისიისა და ქართველთა ამ წმინდანისადმი დამოკიდებულების შესახებ. ისმოდა გალობა, შთაგონებითა და მადლიერებით სავსე იყო ყოველი დამსწრე ადამიანის გული. სტუმრების სახელით შეკრებილთ მიმართა დოც. ლალი ჭიხაძემ.

დასასრულ, მუუფე კონსტანტინემ და მუუფე ზოსიმემ დამსწრე საზოგადოებას დაურიგეს წმიდა ნინოს სამახსოვრო ხატები და აკაკი წერეთლის პოემა "წმიდა ნინო".





მართა ტარტარაშვილი

ეკლესიური ხმა ჰერეთიდან

(სადღიური ჩანაწერები)

დღეს დედა საქართველოს მოწყვეტილი, ხელოვნური დობის გადაღმა დარჩენილი ჰერეთის მკვიდრ ინგილოებს დანგრეული ტაძრები შემოჰღალატებენ... ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ მთვრელ საუკუნეში ამ მხარეში ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდა მოციქულთა სწორი წმ. ელისე.

მოგვიანებით, წმ. ნინოს მოღვაწეობის შემდეგ ინტენსიურად იზრდება სატაძრო აღმშენებლობა ჰერეთში, ტაძართა უმეტესობა აიგო მოციქულთა სწორის წმიდა ელისეს ნატურფალებზე. თუ რა საერთო აქვს მოციქულთა სწორ წმიდა ელისეს ჰერეთთან, საინგილოსთან, ამ მასალას მკითხველი შემდეგ ნომრებში გაეცნობა. დღეს კი, ეკლესიის გახსნიდან ერთი წლის შემდეგ, მიუხერხულეთ და მიგაყურადლოთ "ეკლესიურ ხმას საინგილოდან".

28 აპრილი, წითელი პარასკევი, 1989 წელი

დღეს წითელი პარასკევი, მძიმე დღე. კახის ახლადგახსნილი ეკლესიის სამრევლოში საღამოს ლოცვა ტარდება... ეზოში სარესტავრაციო მშენებლობის მასალაა, ტაძარი ხარაჩოებშია.

დაღუმებული საუკუნის შემდეგ, ჰერეთის მიწაზე დღეს პირველად ცხვება სააღდგომო საეკლესიო არტისი.

29 აპრილი, შაბათი

დღის 9 საათია, ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობაში თავ-თავისი წვლილი შეიტანეს ქართული სასოფლო საბჭოსა და ქართული კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა, ეკლესიის ოცუელმა და ქართულმა საშუალო სკოლამ.

დღის 3 საათზე დაიწყო წმიდა სამების პარაკლისი. მატულობენ მომსვლელები. შანდლები ვეღარ იტყვს სანთლებს. პარაკლისის შემდეგ იწყება ნათლობა. საღამოს ექვს საათზე წინასააღდგომო ლოცვას იწყებს მამა დიმიტრი.

ეზო ივსება მრევლით, გალობს მოძღვარი, გალობას ხმას აყოლებენ სხვებიც.

ღამის თორმეტი საათია, ხალხით სავსეა ეკლესიის ეზო. ყველას ერთნაირად მოსწავრებია აღდგომის დღესასწაული.

-ქრისტე აღსდგა! - ისმის მოძღვრის მკვეთრი ხმა სამჯერ.

-ჭეშმარიტად - ერთხმად პასუხობს ხალხი.

- "ქრისტე აღსდგა, მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიზნითგზავნილი" - უერთდება მოძღვრის

გალობას ხალხის გულიდან ამოსული გალობაც. იწყება ტაძრის ერთობლივი გარშემოვლა, უამრავი სიხარულია ყველას გულსა და თვალებში, შემდგომ კი ჯვარზე მიხვევაა. აქაც ძველი ქრისტიანული წესი გამოკრთის ინგილოურ ხასიათში: ჯერ მამაკაცი და მერე ქალნი...

შემდგომ ქადაგება მოძღვრისა:

"სოფლიოს საქრისტიანო ხალხმა ამ წამიერ შეერთებაში, ერთმანეთთან და უფალთან ერთი და იმავე მადლით განიცადა მაცხოვრის აღდგომით მონიჭებული სიხარული..."

ტაძრის ეზოში ღამისთევით მოსულ ხალხს ქართული სიმღერებისა და დიდ-გარძონის ხმა აფხიზობდა გამთენიამდე.

30 აპრილი, კვირა, აღდგომა

ხალხის ტალღა ერთმანეთის მიყოლებით ემატება ეკლესიას "სამბტოთი" და სხვა შესაწირავით, მოდიან შორეულნი და ახლობელნი.

ტაძრადქცეული პატარა სამრევლო ფუტკრის სკას დამსგავსებია. აქა-იქ ამერბაიჭანელიც გამოჩნდება ხოლმე. გურჯების დიდი დღეაო, მოწიწებით ანთებენ სანთლებს.

ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ ეზოში საღვთო სუფრაა გაშლილი.

ისმევა სალღევრძელო ცისა და მიწის, წინაპართა და საწინაპროთა, ისმევა საღღევრძელო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის, ქართველი ხალხის, სუფრას არც წამიერი ღუმელი ავიწყდება სისხლიანი 9 აპრილის უდანაშაულო ქართველ მსხვერპლთა მიმართ.

1 მაისი, ორშაბათი, დღია

სასაფლაოს დღე /ინგილოურად - სამარევეზე გასვლაჲ/. კახში, "თხილიანის სასაფლაოს" კურთხევის შემდეგ ქართული სოფლის - ქოთოქლოს ძველი და ახალი სასაფლაოს კურთხევას აპირებს მამა დიმიტრი. გულდაგულ, სათითაოდ იკურთხება ყოველი საფლავი. მოძღვარი აქაც მკვირე ქადაგებას ატარებს საკურთხით მოსულ ჭირსუფლებთან.

აგერ, კახში ზოგს ნათლობისა და ზოგს დაბადების დღის სუფრაც უნდა რომ აკურთხოს, აქაც მოძღვარია საჭირო. ისიც ყველას თანაბრად უნაწილებს სიბზოსა და მადლს.

1 მაისი, დღია

დღეს სამეხობაა. იმავე სოფელში, სამების

სახელობის ეკლესიაში, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ პირველად ტარდება პარაკლისი. ტაძარში მოსულნი ერთმანეთს "შეგვეწიოს" და "დაგიმადლოს" სიტყვებით ესალმებიან.

სკოლის დირექციას ერთდროულად მოსანათლად მოყავს 50-მდე ბავშვი.

სოფლის მაცხოვრებლებმა ივანე მათეს ძე ფიროსმანაშვილის ოჯახიდან წამოიღეს მამამისის დიაკვან მათეს ნაქონი ფაშნი ხუცურად. იგივე მაცხოვრებლებმა მოიტანეს ერთ-ერთი აწიოკებისას ნახევრადამწვარი მღვდლის საღვთისაწილო სამოსი, ხატები, ხის დამწვარი სამირთნე ყუთი.

შემდეგ ყველას დაურიგდა საღვთო ეპისტოლეები, საეკლესიო ჯვრები და მცირე ხატები.

სალამოს 7 საათზე, კახში საქართველოს მეფის არჩილის მიერ 718 წელს აშენებული კასრის სამების საყდრის ნანგრევში ტარდება წმიდა სამების პარაკლისი.

ამ ტაძრის შესახებ ქართლის ცხოვრება გვაუწყებს... "და აღაშენა მეფემან არჩილ საყდარი კასრისაჲ" - დღეობაზე მოსული მომლოდინე ხალხი შეუერთდა პარაკლისს.

5 და 6 მაისი, გიორგობა საინგილოში

5-ში, სალამოს 6 საათზე კახის ახლადგახსნილი წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლოში ჩატარდა წმიდა გიორგის სახელზე პარაკლისი.

6-ში დღითი, ქურმუხის წმიდა გიორგის სახელობის ამ წმიდა სალოცავ ტაძარში /IX-X სს/, ათასობით ქალი და კაცი, ბავშვი და მოხუცი მოდის. ხალხით გაივსო მთელი ფერდობი, ტაძარი და ხეობა.

ურიცხვ ინგილოთა შორის ამგონიანელებიც არიან მოსულნი. ისინიც თაყვანს სცემენ ქართველთა ამ სალოცავს. "ბევრჯერ შევუთქვით გაჭირებებაში მყოფებმა და ბევრჯერ შეგვეწიათ" - ამზობენ და ზოგი სანთლების დანთებას სწავლობს, ზოგ-ზოგი ჯვრებსა და წმიდანთა გულსაკიდ მუდლიონებსაც იძენს - "ესენი ღმერთის ხალხიათ". ზოგმა კი მოძღვარს კურთხევაც სთხოვა.

ამოვიდა რაიონის ამგონიანეული ხელმძღვანელობა, მღვდელს მიესალმნენ, ტაძარს სამჯერ შემოუარეს და დაანთეს სანთლები.

დაბლა ხეობაში ისმის ქართული საქადაო. სოფელი სოფელს უხინჯავს ძალას ქართულ ჭიდაობაში. ერთად შერწყმულა ქართული ზეიმი და ქრისტიანული დღესასწაული, ძლიერად რომ მოსწყურებია ამ კუთხის ხალხს...

1 ივნისი, ხუთშაბათი

ყოველ ინგილოურ სოფელს თავისი ეკლესია აქვს. ყოველთვის თუ არა, ტაძრის სახელობის დღესასწაულზე მაინც ახერხებენ იქ მისვლას და მოლოცვას, სანთლის დანთებას.

სოფელ ალიბეგლოს /ქათმისხევი/ წმიდა ნინოს ეკლესიაში დღესასწაულის წინა საღამოსა და მთორე დღეს ადგილობრივმა მოსახლეობამ იმეიმა ნინოობა.

უფლებადამეებით, წინააღმდეგობის გარეშე, საბეიშო ვითარებაში პირველად ჩატარდა წმიდა ნინოს სახელობის პარაკლისი. ადგილობრივი მაცხოვრებლების უთვალავ რიცხვს (ორიათასამდე) ემატებოდა მეზობელი ქართული სოფლებიდან მომდინარე ხალხიც. კახის ტაძრის წინამძღვარმა მამა დიმიტრიმ პარაკლისის შემდეგ ჩაატარა ქადაგება, დაურიგა ხალხს ჯვარ-ხატები, ეპისტოლეები და ლოცვანები...

6 აგვისტო, კვირა

დაიწყო რესტავრაციის პროცესში მყოფი კახის წმიდა გიორგის ეკლესიის მუდრაწაფილი - რკინის თაღებით მოსალტული ნავისებური გუმბათის მონეტონება.

დღის 7 საათიდან 100 კაცისაგან შემდგარმა ინგილო კოლმეურნეებმა, სტუდენტობამ და ადგილობრივმა ინტელიგენციამ შეუსვენებელი მუშაობის შედეგად ზოლომდე მიიყვანა მისი მონეტონება.

სალამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, მომუშავეთა ხანდაზმულებისა და ახალგაზრდების თითქმის ნახევარი ერთობლივად მონათლა.

ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა იმ დღის სამუშაოებთან და ნათლობასთან დაკავშირებით გამართეს ხალხისათვის საღვთო სუფრა.

ნოემბერი, 1989 წ.

კვლავ გიორგობა

დღეს ჰერეთის ყველა ქრისტიანული ოჯახი ემზადება დიდი დღესასწაულისათვის. ჩვენებური ხალხისთვის გიორგობა თითქმის ადღგომის ტოლფასია.

დიდი და პატარა ეცილება ერთმანეთს "საყდარზე გასასვლელად". შრომით და ჯაფით მოპოვებული ჭირნახულის დაბინავეებით შილოლი ინგილო ღმერთს მადლობას სწირავს, საღვთო ზედაშის ქვევრს ახდის ამ დღისთვის განკუთვნილს, სანთელ-საქმეველს მიუბრუნდება მოწიწებით, ოჯახის წმინდა ადგილას რომ აქვს შენახული და თავის საგვარეულო ნათესავეებთან ერთად დაადგება ქურმუხის წმიდა გიორგის სალოცავისაკენ მიმავალ გზას. ასე იყო ამჯერადაც; წლეულს, სხვა წლებთან შედარებით, მეტი ორგანიზებულობა გამოიჩინა რაიონის ხელმძღვანელობამაც.

მოუხედავად ხალხმრავალობისა, კახის ეკლესიის წინამძღვარი ყველას ლოცავს, ყველას აძლევს ქრისტიანულ განმარტებებს და ნათლავს მონათლვის მსურველთ.

ნოდარ ლადარიძე

პეტრე

შენ არ გიცვლია ფერი, -
 მე ვიცვალე.
 შენთვის უცხოა ცვალებადობა, -
 ეს მე გამეხსნა და ამეხილა მთვლემარე სული.
 მთვლემარე სული გადამეცა ელვარე სივრცელ,
 რომლის წმინდა თვალსაწიერზე სპეტაკობდით
 შენ და მოსე და ილია.
 ასე შევებე მარადისობას, მის მზურვალეობას და სიდიადეს.
 ეს მზურვალეობა და სიდიადე
 მე განვიცადე ელდასავით, და მომენატრა
 წარმატებლობა, -
 მისი ჩვეული მყუდრო წიაღი,
 ასე რომ იტკბობს მერალ სისველეში, ტკივილში შობილთ.
 ამიტომ გთხოვ: "სულ ერთი წამით
 შეაკავე, დაახანე უჟამო ჟამი,
 სულ ცოტა ხნით გაუგრძელე
 სუნთქვა სიყვარულს!"
 რადგან მწყუროდ სიყვარული! როგორ მწყუროდ
 ცხოველი წყალი სიახლოვისა; როგორ მინდოდა,
 დამეგები რომ გეთია ჩემს კარავში; და როგორ მსურდა
 შეგებებოდი განთიადს ერთად
 და მერე ნავით დაგვესურა გენისარეთის
 ლაპლაპა სარკე.
 თუნდ არ დაგვედო ნავის ფსკერზე ფართხალა ტვირთი,
 გვერდი-გვერდ გვევლო წყალთა ზედა
 და შენი სიტყვით დატყვევებულს კვლავაც ამევსო ჩემი გული
 იმ ურთულესი სიმარტივით, შენს შემდგომად რომ
 ასე დამაკლდა.
 ოჰ, კიდევ ერთხელ რომ მენახე ჩემს ჭერქვეშ, ერთხელ
 გამეყო შენთვის ერთი მუჭა ზეთისხილი
 ან სამი ლეღვი.
 მაგრამ უწყობი, კურთხეულო, თუ რა მოკლეა
 მანძილი პალმის რტოსა და "ჯვარს-ეცუნს" შორის.
 ჩვენი ბუნების ეს სიღარიბე დაიტირე
 ლაზარეს გვამთან.
 ჩვენი ბუნების ამ ბიწისათვის მეც შთამაგლე
 მწარე ტირილში,
 როს განთიადის ზღურბლთან მიმდგარმა, სამგზის უარგყავ.
 მე გილალატე, გილალატე!

რადგანაც ჩემი სიყვარული იყო შიში და სასრულობა...
 და განთიადის მღურბლთან მიმდგარმა შევიგრძენი,
 როგორ დაფლითა ჩემი შიში
 მამლის ყვილის ბასრმა ზგერამ.
 და იშვა დილა.
 სისხლიანი ღლის ჩანასახი წამოიჩიტა...
 მე წამოვდექი, მე ავიღე ჩემი ცხედარი,
 ჩამოვირეცხე გულისთქმათა ნატერფალები.
 აწ ველარაფერს წამართმევენ!
 მოვდივარ შენსკენ უშიშარი
 და უღრტვინველი.
 იცოდე - მოვალ!
 რადგან მამხნევეს შენი ჯვარის მწვავე სიმძიმე.
 აწ ველარაფერს წამართმევენ!
 მე შევიმოსე სხივოსანი შენი აღდგომით.
 გახალოვდები.
 სწორედ ფამთასვლა, შექმნილი და წარმატალი,
 მიმიყვანს შენთან.
 აწ ველარაფერს წამართმევენ!
 შენი ბრწყინვალე ამაღლება და მანძილი,
 მან რომ გახლო ჩვენს შორის ზღვარად,
 მაძლევს უფლებას ვუწილადო
 ყველას და ყოველს,
 რაც კი მკერდში შენ ამოყვავე.
 აწ ველარაფერს წამართმევენ!
 ცეცხლის ალი, ჩემზე შენთვის გარდმოვლენილი,
 მინათებს საგაღს, თუმცა ვიცი,
 გზის ბოლოში ჩემი ტვინი
 საკუთარ სისხლში დაიხრობა,
 ეს არ მაშინებს.
 აწ ველარაფერს წამართმევენ!
 გესმის? - მოვდივარ, რომ დავთესო
 მილიონთა ცოდვილ გუბებში
 თაბორის შუქის ათინათები.

მოლოდინი

წარღვნის სუნი აქვს შენს წყლებს, სიცოცხლევ!
 დაღლილი თესლით ჩასახული ჩემი გონება
 დაშვრა და დაღნა.
 და მეშინია, რომ მოვა იგი, ხელს გაიწვდის,
 მაგრამ ვერაფერს აღმოაჩენს
 ჩემი არსების ნელო ტოტებზე,
 გარდა ათასი უდიდობაში საჩუქრისა,
 ძალთა უწყალოდ დამბარტავმა თაობებმა
 რომ მიწილადეს.

ДЖВАРИ ВАЗИСА, N 1, 1990

(Крест из лозы виноградной)

В номере опубликованы рождественское и повогоднее послания католикоса-патриарха всея Грузии Святейшего и Блаженнейшего Илии II. В этих посланиях католикос-патриарх с любовью поздравляет свою паству с великим праздником Рождества Христова и молит Всевышнего в новом 1990 году ниспослать свою милость на всех грузин, возвысить их души, и да будет Бог мира и любви с ними.

Толкованию любви – этого главного понятия христианского вероучения – посвящено поучение архиепископа Кесарии Каппадокийской Василия Великого, взятое из известного сборника этого выдающегося церковного деятеля "Аскетикон". Древнегрузинский текст подготовлен к изданию проф. Э.Хингибидзе, ему же принадлежит введение. Пучение публикуется под рубрикой "Богословие".

В номере публикуются также "Слово об обрезании Господа" и "Слово о Богоявлении", автором которых является преподобный Дмитрий Ростовский.

Продолжается печатание "Главы о деянии и богословии" Симона Нового Богослова, в которых он разъясняет значение молитвы для совершенствования и очищения человека, более глубокого осмысления Священного Писания и "Житий" святых отцов и усвоения их в повседневной жизни.

Статья епископа Амвросия (Катамадзе) посвященная метафрастической редакции "Жития и мученичества" святых мучеников и подвижников.

Весьма актуальное звучание имеет статья епископа Апаньи (Джапаридзе – "Отричем ли нашу плоть и кровь?", в которой речь идет об исторически сложившейся близости Грузии и Осетии.

Эквтимэ Кочламазашвили предлагает весьма интересное соображение относительно прозвания Давида Строителя, находящее подтверждение в письменных исторических источниках.

Статья Мананы Хелаиа "Что есть счастье?" знакомит читателей с духовным портретом Вано Кикодзе, преданного сына отечества, волею судеб оказавшегося за пределами Грузии.

Дневниковые записи Марты Гартарашвили "Церковный глас из Эрети" повествуют о возрождении православной церкви на этой древней грузинской земле.

В номере завершается публикация статьи протопрера Иоанна Мейендорфа "Богословское образование в патристическую и византийскую эпохи и его уроки для нашего времени".

Читателя, несомненно, заинтересуют основанные на преданиях сведения о внешности и чертах характера Спасителя и Богородицы.

В рубрике "Питаемый словом веры" дается толкование "Догмата" и обосновывается необходимость знания истин вероисповедания.

В журнале открывается новая рубрика – "Целебные растения", в которой рассказывается о благословенной Господом "зеленой аптеке". В номере мы знакомимся с одним из целебных растений – шалфеем.

В номере печатаются стихотворения Ногара Ладариа.

В номере публикуется картли-кахетинское песнопение "Святый Боже".

Здесь же приведена редкая фотография – фотолетопись.

В номере представлен также материал, отображающий жизнь грузинского патриаршества.



JVARI VAZISA 1, 1990

(THE CROSS OF VINE)

The journal opens with Christmas and New Year epistle of His Holiness and Beatitude Ilia II, Catholicos-Patriarch of All Georgia, by which the Primate of Georgian Church congratulates his flock on the glorious feast and asks the Lord that He may grant every Georgian with mercy, spiritual elevation and may the God of peace and love be with them.

The teaching of Basilly the Great, archbishop of Cabadocia, is dedicated to definition of the meaning of "love" - the main concept of Christian doctrine. The definition is based on the famous collection - "Asceticon", written by the above mentioned greatest Holy Father. The old Georgian text was prepared for publication by Prof. Elguja Khintibidze. The text is printed under the heading - "Theology". "The Word On the LORD's Circumcision" and "The Word on the LORD's Incarnation", by St. Dimitry Rostover the Wonder-maker, is also printed here. The printing of St. Simeon New Theologian's "The Apostolic and activity chapters", explaining the importance of the prayer in complete purification of a human being, is kept on in this issue of the journal.

The article written by Bishop Ambrosy (Katamadze, Dealing with the metaphrasal edition of "Life and Martyrdom" of the Holy Martyrs and Holy Fathers, is printed under the heading - "Lay and Church".

The article - "Shall We Enstrange Our Flesh and Blood?", written by bishop Anania (Japaridze), concerns with the historical friendship of Georgians and Osetians.

Ekvtime Kochlamashvili offers us a very interesting consideration for understanding the title of David Great the Rebuilder, which is proved in the historical sources.

The article "What Can Be Happiness?", written by Manana Khelaya, acquaints us with the spiritual portrait of the Georgian patriot - Vano Kicodze, who was deprived from his motherland.

The daily records - "Voice of Church from Herety", written by Martha Tartarashvili, tells us about the revival of Orthodox Church life on that ancient land of Georgia.

The article "Theological Education in Patristic and Byzantine Epoches and Its Lessons to the Present Days", written by the archpriest John Meyendorf, is finished up in this issue of the journal.

Readers will be acquainted with the information about the appearance and characteristic features of Our Saviour and All Holy Virgin, according to the stories.

In the rubric - "Brought up in the Truths of the Faith", we acquaint with the explanation of the dogmat and with the article dealing with the inevitability of the knowledge of the faith.

The journal founds the new rubric - Medical Herbs, which tells us about the "Green pharmacy", blessed by God. This time we acquaint with the medical herb, called "Salvia".

Kartl-Kakhetian song - "OH, Holy God", is printed in the journal.

In the rubric - "poetry", the verses by Nodar Ladarya are printed.

The photo chronicle of the journal contains a rare photograph. The photo material is enclosed to the journal, which depicts the life of the Georgian Patriarchate.



შინაარსი

ოლია II საახალწლო ეპისტოლე	3
საშობაო ეპისტოლე	9
ღვთისმეტყველება	
წმ. მამა დიმიტრი როსტოველი. სიტყვა ღვთის განცხადებაზე	15
სიტყვა უფლის წინადაცვეთაზე	20
ელგუჯა ხინთიბიძე. სიყვარულისათვის	24
ბასილი დიდი. კითხუაჲ მოღვაწეთაჲ	27
იზარღებოდი სიტყვითა სარწმუნოებისათა	
სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი. სამოღვაწეო და საღვთისმეტყველო	31
თაენი	34
მიტროპოლიტი მაკარი. დოგმატი	34
ეპისკოპოსი მაკარი. აუცილებლობა სარწმუნოების ჭეშმარიტებათა ცოდნისა	35
დეკანოზი იოანე მეიენდორფი. საღვთისმეტყველო განათლება	
პატრისტულ და ზიზანტიურ ეპოქებში და მისი გაკვეთილები	36
ჩვენნი დროისთვის	
ერი და ეკლესია	
ეპისკოპოსი აშროსი (ქათამაძე). წმინდა მარტვილთა და	
ღვაწლით შემოსილ მამათა "ცხოვრება - წამებების"	41
მეტაფრასული რედაქციები	
ექვთიმე კოჭალაშაშვილი. დავით აღმაშენებლის ბედწოდების	47
გაგებისათვის	
ერასტ ვაჩნაძე. ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის	
ეკლესიის მოხატვის გამო	58
მანანა ხელაია. "გარნა რა არის ბედნიერება"	60
თვალსაზრისი	
ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე). ჩვენგან გავაუცხოოთ ჩვენი	
სისხლი და ხორცი?	52
ეკლესიის ისტორია	
მაცხოვრის გარეგნობა გადმოცემათა მიხედვით	63
ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გარეგნობა და დამახასიათებელი	
თვისებები	64
ხატი ძლიერებისა	
დიმიტრი თუმანიშვილი. ჯვრის ხატება სამთავისის	
ტაძრის კედელზე	66
წარსულიდან	
შოთა სხირტლაძე. იშვიათი სურათი - ფოტომატრიანე	68
სამკურნალო მცენარეები	
ელენე ბარამიძე. საღბი	69
ვუგალობლით უფალსა	
წმიდათ ღმერთთ	46
ქრონიკა	
ნინოთა	71
მართა ტარტარაშვილი. ეკლესიური ხმა პერეუთიდან	73
პოეზია	
ნოდარ ლაღარია. პეტრე	75
მილოდიანი	76
რეზაუძე რუსულ ენაზე	77
რეზაუძე ინგლისურ ენაზე	78

ჯვარი ვაზისა
N 1 (29), 1990 წ.

გარეკანზე

I გვ-ზე - **წმიდა ნინო**
შიო მღვიმე, მე-17 ს. II ნახ.

IV გვ-ზე - **ლაზარეს აღდგინება**
მე-12 ს. მინანქარი

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე
ეპისკოპოსი **ზოსიმე (შიოშვილი)**

რედაქტორი
ლევანოზი **არჩილ მინდიაშვილი**

პ/გ მღვიანი
ანდრო ზელუკაძე

Джвари вазиса
(Крест из лозы виноградной)
№ 1 (29), 1990 г.
Грузинская патриархия
Тбилиси, пл. Ираклия № 1

DJVARI VAZISA (THE CROSS OF VINE)
№ 1 (29), 1990
Georgian Patriarchate
Tbilisi 1, Erekle's square

რედაქციის მისამართი
სრულიად საქართველოს საპატრიარქო
თბილისი, ერეკლეს მოედანი, № 1

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.05.1990 წ. ტირაჟი 10000

ლაზარე მეგობარი, შენი მკუდრებით აღადგინე ქრისტე ვითარცა შემოქმედხარ, და ცხოვრების მომცემელი კაცთმოყუარე.

ოთხისა დღისა მკუდარსა, ლაზარეს უწოდე ხმითა უკუდავო, და სიტყვითა შენითა, დაჰხსენ ჭოჭოხეთისა მეუფეხაჲ.

გესთა აღმატებულო, ღუთაება შენი, ყოველთა უჩუენე მკუდრებით რა აღადგინე, ოთხისა დღისა ლაზარე მეუფეო.

დღეს ზეთანია გუაუწყებს, ცხოველსყოფელსა ქრისტეს აღდგომასა, სიხარულით მით, მკუდრებით ლაზარეს აღდგომითა.

ლაზარეს საფლავსა ზედა, ზეთანიას მოხუედ ქრისტე საკვირუელთმოქმედო და დაჰსდევ, და ჰსტიროდი მას, რათა სარწმუნო-ჰყო, ხორცთშესხმა შენი მხსნელო, რომელნი იგი მიიხუენ, კაცთა ცხოვრებისათჳს მრავალმოწყალე.

მართას და მარიამისი, გლოვა დააცხუე მაცხოვარ, და უჩუენე მათ ხელმწიფება შენი ვითარმედ ჭეშმარიტად შენ ხარ, აღდგომა და ცხოვრება და ყოველთა ღმერთი და უფალი. ვითარ იგი ჰსთქუ ყოვლისა მპყრობელო.

შეკრული სახუეველითა, მეგობარი შენი მხსნელო, მკვიდრთაგან ჭოჭოხეთისათა, აღმოიყუანე, სიტყვითა შენითა, ყოვლისა შემძლეზელითა, და სიკვდილისა მძღაფრება, და მეუფება მისი განხეთქე მაცხოვარ.

